# კვირის პალიტრა

№ 14 (475) ◆ 5 – 11 აპრილი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.



## „არავის აქვს უფლება, კანონი, თუნდაც კარგი მიზნით, დაარღვიოს“

**„რეალურად, ბიუჯეტი ოქრუაშვილმა შეასრულა“**

თუ მორალურ ხმებს დავუჯერებთ, უკვე გენერალურ პროკურორადაც მნიშნავს... ეს აბსოლუტური სისულელეა...

პრობლემები ისევ რჩება, რადგან არ მომწონს არც საკონსტიტუციო ცვლილებები, არც პრემიერ-მინისტრისთვის უფლებების გაზრდა და არც ის კაცი, რომელსაც ეს პოსტი უჭირავს. გვ.7,27

## მერაბ ქორდანია ვაზიარე და აღსარებაც ვათქმევინე...



**ინტერვიუ ციხის ეკლესიის მოძღვართან**

ვეკითხები: მოგიპარავს? მპასუხობს – მომიპარავს. დაწვრილებით თუ გამოვკითხე, სად მოიპარა და ვის მოჰპარა, მაშინ ხომ თანამონაწილე ვხდები?.. აღსარებისას კონკრეტულ ცოდვას აღიარებენ და არა მის დეტალებს...

ზოგჯერ დამნაშავეს ისეთი ვინმე ასამართლებს, ცხრაჯერ მეტი ცოდვა რომ აქვს ჩადენილი. გვ.5

## „დავუბრიალე თვალები და სახლში გავუშვი“

გვ.7



**„არც გულს გავიტეხ, არც ხელს ჩავიქნევ და არც სამშობლოს გავებუტები...“**

## „დაუწერელი კანონია – კილერს შემკვეთი პირადად არ ესაუბრება“



**„ტერორიზმის საბოლოოდ დამარცხება არც ერთ სპეცსამსახურს არ შეუძლია“**

„საფრთხე ნებისმიერი ქვეყნის პრეზიდენტს ემუქრება. ცხადია, არც ჩვენი პრეზიდენტია გამონაკლისი. ამიტომ ნებისმიერი ვარიანტი უნდა გაანალიზდეს და შესაბამისი დასკვნები გაკეთდეს. ასეთ ვითარებაში სწორ დასკვნებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს – შეიძლება აჭარის ფაქტორს იყენებენ და სინამდვილეში კი უფრო სერიოზული ძალები მოქმედებენ.“ გვ.5,27



## რა ღირს საქართველოში „კაშკაშა ვარსკვლავობა“?

**„ნამუსი გააქვთ?!“**

იმედია, დღევანდელი ვაიმომღერლები ოდესმე მიხვდებიან, რომ არ შეიძლება ფულით იყიდო მომღერლობა, მსახიობობა და ა.შ. ფონოგრამის აკრძალვა ბევრს მიუჩენდა თავის ადგილს, მაგრამ სამწუხაროდ, ჩემი იდეა ბოლომდე ვერ განვახორციელე. სამწუხაროდ, დღევანდელი ქართველი ვარსკვლავების 80% სულ ფულით არის „გაქაჩული“. იმედია, ამ უმსგავსობას ოდესმე წერტილი დაესმება. გვ.11,27

## „მისმა კაცმა შემომთავაზა, მოგების 93% მუმლაძისთვის დამეთმო“



გვ.6

**„პირველი ლედის ქუთაისელი მამობილი გამომინახეს საქმის ჩასაწყობად“**



## რომელი კვერცხი შევღებოთ სააღდგომოდ?

„უცხოეთის ინკუბატორებიდან ორცენტიან „ნაგავს“ ეზიდებიან.“ გვ.13,27

**„კვირის პალიტრის“ შემდეგ ნომერში – ტრადიციული სააღდგომო საჩუქარი!**

## ბათუმი-თბილისი-ბათუმი

პრეზიდენტის რწმუნებულები ბათუმის პორტსა და სარფის საბაჟოზე ვასილ სანოძე და დავით ახალაია აჭარაში გაემგზავრნენ. წინა უშედეგო ვიზიტისგან განსხვავებით, მათ აჭარის ლიდერთან პრეზიდენტ სააკაშვილისა და თვით აბაშიძის ხელმოწერილი დებულება მიაქვთ. მათ სწორედ ამ დებულების არარსებობის გამო ვერ შეძლეს მოვალეობის შესრულება აჭარაში. პრეზიდენტის სურვილით, მათ ჩასვლას ბათუმში და შემდგომ მუშაობას თვალყური ეუროსაბჭომაც უნდა ადევნოს. პრეზიდენტისა და აჭარის ლიდერის ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად, ახალაია მტკიცებით, „სარფის საბაჟოზე შინ, ბათუმის პორტში კი სანოძის მეთვალყურეობის გარეშე ვერც ერთი ტვირთი ვერ გაივლის და მილიონები, რომლებიც აქამდე ვიღაცების ჯიბეებში მიდიოდა, გეზს ბიუჯეტისკენ აიღებს".

როგორც ამბობენ, ასლან აბაშიძის გარემოცვა და მისი მხარდამჭერები პრეზიდენტის რწმუნებულებს „სულელ ოპტიმისტებს" უწოდებენ და ვარაუდობენ, რომ დავით ახალაიასა და ვასილ სანოძისთვის ბათუმი-თბილისი-ბათუმის რეისი სატანჯველ პროცესად გადაიქცევა. თუმცა ახალაია ირწმუნება, რომ ყველანაირი წინააღმდეგობის მიუხედავად, ის მაინც შეასრულებს თავის მოვალეობას.

## ჭიპაშვილი ცენტრს საყვედურობს

აჭარის წარმომადგენლობის თბილისის ოფისის ხელმძღვანელი ჰამლეტ ჭიპაშვილი საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას აჭარის მიმართ ტენდენციურ მიდგომასა და საქართველოს სახელმწიფოებრივი სივრციდან რეგიონის ხელოვნურად გაყვანას ადანაშაულებს. იგი ცენტრს თბილისსა და ბათუმს შორის ურთიერთობების მოსაგვარებლად მოლაპარაკებებისა და იურიდიული საფუძვლების შექმნისაკენ მოუწოდებს.

„ვიდრე არ გაიმიჯნება უფლებამოსილებები ცენტრსა და რეგიონს შორის, აჭარის პრობლემაც გაუთავებელ კონფლიქტად არ დასრულდება. თბილისსა და ბათუმს შორის უფლებამოსილებების კონსტიტუციის ფარგლებში გამიჯვნა კი აუცილებელია და სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოგვარების გზად იქცეოდა", აცხადებს ჭიპაშვილი. მისივე შეფასებით, საქართველოს უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლობა გადაუმოწმებელი ინფორმაციით იმის შესახებ, რომ თითქოს ბათუმში პრეზიდენტ სააკაშვილზე თავდასხმა დაიგეგმა, დაპირისპირების მხარეებს შორის კონფრონტაციას აღრმავებს და ხელს არ უწყობს წარმოქმნილი კონფლიქტის დიალოგისა და მოლაპარაკების გზით მოგვარებას.

რადგან პარლამენტს გარეთ „აღორძინების" დარჩენით ცენტრალურ ხელისუფლებას აჭარა საქართველოს საკანონმდებლო სივრციდან ხელოვნურად გაჰყავს, ჭიპაშვილი ასლან აბაშიძის მიერ საქართველოს პარლამენტიდან აჭარის 6 მაჟორიტარი დეპუტატის გაწვევას არ გამორიცხავს. ჭიპაშვილი ავტონომიის ცეცხლ გადაწყვეტილებას ქრებულებისა და ხელის სარჩევნო ოლქებში განმეორებითი არჩევნების შესახებ და უკეირს, თუ რატომ არ დაინიშნა განმეორებითი არჩევნები ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში. მისივე განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის პორტსა და სარფის საბაჟოზე პრეზიდენტის წარმომადგენლების საქმიანობის დებულება დასაზუსტებელია, მათ მუშაობის დასაწყებად აჭარულ პრობლემები არ შეექმნებათ.

## აბაშიძე რუსმა „მძმ" მოაბეზღა?!

როგორც ჩანს, აჭარის ლიდერის, ასლან აბაშიძის დაპირება უფასო ტროლეიბუსების შესახებ, წინასაარჩევნო დაპირებად რჩება. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ მოსკოვიდან დაბრუნებული ასლან აბაშიძე აცხადებდა, რომ მისი „მეგობარი და ძმა", მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი სამი თვით აჭარას მოსახლეობას 24-საათიანი ელექტროენერგიის საფასურს გადაიხდის და ასევე მოსკოვური ტროლეიბუსების უსასყიდლოდ გადაცემას დაპირდა, თუმცა დანაპირები საჩუქარი იგვიანებს. მოსახლეობაში კი დღითი დღე მატულობს ეჭვი, რომ ან ხალხი მოატყუა აბაშიძემ, ან აბაშიძე გააცურა რუსმა „ძმამ".

ქალაქ ბათუმის ტროლეიბუსების სამმართველოს უფროსის თემურ თურმანიძის თქმით, ამ პროექტის განხორციელება მხოლოდ აჭარაში შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ შეაფერხა. აჭარის ხელისუფლებასთან დაახლოებული პირის თქმით, თუ გავითვალისწინებთ ბოლო დროს ბათუმში მის სტუმრობასთან დაკავშირებით მასმედიაში ატეხილ სკანდალებს და განცხადებებს, მოსკოვის მერი შესაძლოა საჩუქრების გუნებაზე სულაც აღარ იყოს.

## პარლამენტი რამდენიმე ფრაქციად დაიშლება

ახალი პარლამენტის მუშაობის დაწყებამდე მისი შემადგენელი ფრაქციების შესახებ უკვე კეთდება პროგნოზები. საჩხერის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, ვალერი გელბახიანის ვარაუდით, 2004 წლის მოწვევის პარლამენტში, რომელიც აპრილის შუა რიცხვებში შეიკრიბება, 6 საპარლამენტო ფრაქცია ჩამოყალიბდება.

გელბახიანის განცხადებით, 6 საპარლამენტო ფრაქციიდან 2, სავარაუდოდ, მაჟორიტარების იქნება. ერთ-ერთ მაჟორიტარულ ფრაქციას სათავეში გოგი ლიპარტელიანი ჩაუდგება. გელბახიანის ვარაუდით, მეორე მაჟორიტარული ფრაქციის შექმნას ნიკო ლეკიშვილი აპირებს. აჭარის 6 მაჟორიტარი დეპუტატი კი ცალკე ფრაქციის ჩამოყალიბებას 4 დეპუტატის გადმობირებით შეეცდება. „თუ „აღორძინება" საბოლოო შედეგითაც ვერ გადალახავს 7%-იან ბარიერს, აჭარის მაჟორიტარებისთვის პარლამენტში ცალკე ფრაქციის შექმნა პრინციპული იქნება", აღნიშნა გელბახიანმა და განაცხადა, რომ პარლამენტში დანარჩენ 3 ფრაქციას „ახლების და მრეწველების" ბლოკი, „ნაციონალ-დემოკრატები" და აფხაზეთის დეპუტაცია ჩამოაყალიბებენ. როგორც კულუარებში ამბობენ, შესაძლოა ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციის" წინა დღეებში გაკეთებული პროგნოზი გამართლდეს და სახელისუფლებო პარტიაც ცალკე ფრაქციებად დაიშალოს.

## 20%-იანი კონტრაბანდა

„საქართველოში კონტრაბანდა 20%-ს არ უნდა აღემატებოდეს", ასეთია პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას განცხადება და იგი კონტრაბანდის 80%-იან ლეგალიზაციას ითხოვს.

დავით გოდაბრელიძე, რომელიც ახლახან დაინიშნა საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტზე, საგადასახადოსა და საბაჟო დეპარტამენტების წმენდას არა მარტო კონტრაბანდისტების ხელშემწყობთაგან, არამედ ნარკომანებისგანაც მოითხოვს. „თბილისში ერთ-ერთი ცნობილი ნარკომანი სასამართლოში მიჩივის იმის გამო, რომ უკანონოდ იქნა დათხოვილი სამსახურიდან. არადა, შინ ატყობინებდა, სამსახურში ვარო. სამსახურში კი რეკავდა, შინ ვარო და ამ დროს წამლის ბარიგასთან დადიოდა მარნეულში", განაცხადა დავით გოდაბრელიძემ. ასე რომ, ამ სამსახურის ყველა თანამშრომელი მალე ნარკოლოგიურ შემოწმებას გაივლის. ეს იდეა ზურაბ ჟვანიას მას შემდეგ გაუჩნდა, რაც დავით გოდაბრელიძემ თანამდებობიდან დათხოვილი თანამშრომლების სამსახურში დაბრუნების პრაქტიკის აღკვეთა მოითხოვა.

## ნათელაშვილი მოუწოდებს

პარლამენტს გარეთ დარჩენილმა ოპოზიციურმა პარტიებმა ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა დაიწყეს. 3 მარტს, გვიან ღამით, ლეიბორისტების ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა შეხვედრა გამართა აჭარის ლიდერ ასლან აბაშიძესთან. ამ ფაქტთან დაკავშირებით ნათელაშვილი აცხადებს, რომ მას არჩევნების შემდეგ ბათუმში ოფისის გახსნა მოუნდა და აბაშიძესთან სწორედ ამ თემაზე ისაუბრა. ამასთან, მისი თქმით, იგი კვლავაც სააკაშვილისა და აბაშიძის ოპოზიციაში რჩება. „ორივეს მოვუწოდებ, გონს მოეგონ. ცეცხლთან თამაშს თავი დაანებონ და სახელმწიფოს მიხედონ. რაც შეეხება ოპოზიციურ ფრონტს ორივეს წინააღმდეგ, ამას ლეიბორისტული პარტია თვითონ მიხედავს", განაცხადა ნათელაშვილმა, რომელსაც მიაჩნია, რომ ავტონომიური რესპუბლიკები არ უნდა არსებობდეს.

## შემორიგების რთული პროცესი დაიწყო

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დავალებით, ამ კვირისთვის აჭარაში ვიზიტს და ავტონომიის ხელმძღვანელთან კიდევ ერთხელ შეხვედრას გეგმავს. შეძლებს თუ არა ჟვანია აბაშიძის შემორიგებას, სავარაუდოდ, კვირის ბოლოსთვის გახდება ცნობილი. ჟვანია აბაშიძესთან ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილების გამიჯვნაზე ისაუბრებს. მანამდე კი შს მინისტრი გია ბარამიძე წალენჯიხას ესტუმრა კიდევ ერთი შემორიგების აქტის განსახორციელებლად. ბარამიძემ პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მომხრეების შემორიგება დაგეგმა. მასთან ერთად წალენჯიხაში იმყოფებოდა სახელმწიფო მინისტრი გურამ აბსანძე. პარტიზანებმა იარაღი პირადად შს მინისტრს ჩააბარეს. დღემდე ტყეში იყვნენ გასული გია მესხია, მეტსახელად „კინგ-კონგი", მისი ძმა გოჩა მესხია, ბეჟან გვაზავა და ვახტანგ ზარანდია. შემოსარიგებელთა სია პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაამტკიცა. მათ შორის არიან აკაკი ელიავას თანამებრძოლებიც. იარაღის ჩაბარების სანაცვლოდ მათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოეხსნებათ.

## აფეთქება დიდუბეში

თბილისში, 4 აპრილს, დღის მეორე ნახევარში მომხდარ აფეთქებას მძიმე შედეგი მოჰყვა.

ინციდენტი დიდუბეში, სამთო ქიმიის წინ, სამარშრუტო ტაქსების გაჩერებაზე ორი ახალგაზრდა მამაკაცის კამათის გამო დაიწყო. დავით შალიკაშვილმა ურთიერთშელაპარაკების დროს ხელყუმბარა ესროლა(!) გიორგი ჯანაშვილს. შემთხვევის ადგილზე დაიჭრა სამი მოქალაქე. მათ შორის ერთი უმძიმეს მდგომარეობაშია. ქალაქის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა.

ტრაგიკული შემთხვევიდან უმოკლეს დროში სამართალდამცველებმა დავით შალიკაშვილი დააკავეს. მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

## სააკაშვილი ბრიუსელში მიემგზავრება

უცხოეთში ვიზიტებისაგან ხანმოკლე შესვენების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 6 აპრილს ორდღიანი სამუშაო ვიზიტით ბრიუსელში მიემგზავრება. ვიზიტის პირველ დღეს დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა, ადამიანის უფლებათა, ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე. ამავე დღეს საქართველოს პრეზიდენტი შეხვდება ევროკომისიის პრეზიდენტს რომანო პროდის. მოგვიანებით, მიხეილ სააკაშვილი ეწვევა ევროკავშირის საბჭოს, სადაც დაგეგმილია შეხვედრა მის გენერალურ მდივანთან, ევროკავშირის ერთიანი, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლეს წარმომადგენელთან ხავიერ სოლანასთან. მოგვიანებით კი საქართველოს პრეზიდენტი სიტყვით გამოვა ბელგიის საერთაშორისო ურთიერთობათა სამეფო ინსტიტუტში. ვიზიტის მეორე დღეს დაგეგმილია შეხვედრა ნატო-ს გენერალურ მდივანთან იააპ დე ჰოოპ შჰეფერთან.

საქართველოს პრეზიდენტი 7 აპრილს თბილისში დაბრუნდება.

## შეიქმნება ახალი კოდექსი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ იუსტიციის მინისტრ გიორგი პაპუაშვილს პარლამენტში განსახილველად შეტანის მიზნით, „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის" ახალი პროექტი გადასცა. მასზე მუშაობა სამართალდამცავი და უშიშროების ორგანოების რეფორმის დროს დაიწყო, ხოლო კონცეფციის შემუშავებას თავად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია ხელმძღვანელობდა.

ჭანტურიას თქმით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი პროექტი მთლიანად შეესაბამება განვითარებული სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნებს. ის გამოძიების გამარტივებას, მსაჯულთა ინსტიტუტის დამკვიდრებას, სამინისტროებისათვის საგამოძიებო უფლებების მინიჭებას და სხვა მსგავს საკითხთა მოგვარებას ითვალისწინებს.

იუსტიციის მინისტრ გიორგი პაპუაშვილის აზრით, ამ პროექტით კანონმდებლობაში ბევრი ცვლილება მოხდება და შეიქმნება ისეთი კოდექსი, რომლის შეცვლაც კარგა ხნის მანძილზე საჭირო აღარ იქნება. პროექტი ახალი მოწვევის პარლამენტს განსახილველად, სავარაუდოდ, შემოდგომაზე გადაეცემა.

## „თავისუფლების გამოსასყიდმა" ბიუჯეტი შეავსო

2004 წლის პირველ კვარტალში ბიუჯეტში გეგმით გათვალისწინებულზე 40 მლნ ლარით მეტი შევიდა. ხელისუფლების კულუარებში დაუფარავად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ეს ფაქტორი დაკავებულ მაღალჩინოსანთა მიერ გადახდილმა „თავისუფლების გამოსასყიდმა" განაპირობა. „პირველი კვარტალის ბიუჯეტის შესრულება გვაძლევს საშუალებას, რომ ის დაპირებები შევასრულოთ, რაც წინასაარჩევნოდ მოსახლეობას აღვუთქვით", აღნიშნავს ზურაბ ჟვანია. მისი თქმით, 15 აპრილიდან დაიწყება გაზრდილი პენსიების გაცემა, დევნილებს სააღდგომოდ დაურიგდება ორი თვის შემწეობა, დაიწყება ჩაის პროგრამების დაფინანსება, განხორციელდება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისთვის საჭირო ღონისძიებები. ამასთან, დაიფარება დიპლომატიური კორპუსისა და ჯანდაცვის პროგრამების წინაშე არსებული დავალიანებები. „შედარებით კარგი მაჩვენებლების მიუხედავად, კმაყოფილები მაინც არ ვართ", განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და განმარტა, რომ „ბიუჯეტის შესრულების ეს მაჩვენებელი მიღწეულია აჭარასთან არსებული პრობლემის გათვალისწინებით. რეგიონიდან თანხების გადმორიცხვა ისევ პრობლემად რჩება. ამ დროისთვის აჭარას პირველი კვარტალის მონაცემებით 10 მლნ ლარის დავალიანება ერიცხება. ამასთან დაკავშირებით მთავრობა უახლოეს მომავალში საგანგებო ზომებს მიიღებს." არ არის გამორიცხული, ცენტრმა რეგიონს კიდევ ერთხელ დაუწესოს ეკონომიკური ბლოკადა.

## გადასახადი გადასახადია

მომსახურების გამარტივებისა და სასმელი წყლის გადასახადის ამოღების გაუმჯობესების მიზნით, „თბილწყალკანალსა" და კომპანია „თელასს" შორის ხელშეკრულება გაფორმდა. კომპანია „თელასის" გენერალური დირექტორის, დანგირას მიკოლაიუნასის განცხადებით, ეს შეთანხმება „მომხმარებლის საკეთილდღეოდ გაფორმდა" და მსოფლიოში აპრობირებული სერვისის ერთ-ერთი ფორმაა — „ჩვენს მომხმარებელს შეეძლება სასმელი წყლისა და ელექტროენერგიის საფასური ერთად გადაიხადოს. თუმცა თუ ამის შესაძლებლობა არ ექნება და მხოლოდ ელექტროენერგიის საფასურს გადაიხდის, ეს წყალმომარაგების შეწყვეტაზე გავლენას არ მოახდენს და პირიქით".

„თბილწყალკანალის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იუზა ცარციძე იმედოვნებს, რომ ამით მომხმარებელს წყლის საფასურის გადახდა გაუადვილდება. მისივე თქმით, „თბილწყალკანალი" „თელასს" ამ მომსახურების საფასურად ერთ ქვითარზე ორ თეთრს გადაუხდის. „ეს მომგებიანი წინადადებაა, რადგან ჩვენ ინკასატორების მეშვეობით სადისტრიბუციო მომსახურება უფრო ძვირი გვიჯდებოდა", განაცხადა ცარციძემ. ელექტროენერგიისა და წყლის გადასახადის ერთიან ქვითრებს დაახლოებით 400 ათასი აბონენტი მიიღებს. თუმცა, საეჭვოა ამ ღონისძიებამ გაამართლოს, რადგან წყლის საფასურის გადაუხდელობის გამო აბონენტებს უშუქობა არ ემუქრება. არადა, გადასახადი გადასახადია, თუ კომფორტულად ცხოვრება გვსურს, უნდა გადავიხადოთ კიდეც.

## გატაცებული ლეიბორისტი დააბრუნეს

3 აპრილს ხუთდღიანი ტყვეობიდან გაათავისუფლეს ლეიბორისტული პარტიის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე, პარტიული საარჩევნო სიის მერვე ნომერი ვაჟა შენგელია, რომელსაც სხეულზე ძალადობის ნიშნები აღენიშნება. მას თავში ბლაგვი საგანი აქვს ჩარტყმული, ხოლო მარცხენა ხელზე ჯვრის გამოსახულებები აქვს ამომწვარი. შენგელია აცხადებს, რომ პირველი ორი დღის განმავლობაში გამტაცებლები მას რელიგიაზე ესაუბრებოდნენ, ხოლო იმ მოტივით, რომ გულზე ჯვარი არ ეკეთა, დამნაშავეებმა იგი აწამეს და ჯვრის გამოსახულებები ხელზე ამოუწვეს. მოგვიანებით გამტაცებლებმა გამოსასყიდის სახით თანხა მოითხოვეს, თუმცა ყოფილი მძევალი ირწმუნება, რომ მას თავისუფლების სანაცვლოდ არაფერი გადაუხდია. შენგელიას თქმით, ერთადერთი, რაც გამტაცებლებმა წაიღეს, ის თანხა იყო, რაც მას თან ჰქონდა. ვაჟა შენგელიამ თანხის ოდენობა არ დააკონკრეტა.

მოხდა თუ არა გატაცება პოლიტიკური მოტივით, ამას თავად ვაჟა შენგელია ვერ აკონკრეტებს. იგი ადასტურებს, რომ გატაცების მომენტში მას ავტომანქანაში 28 მარტის არჩევნების დღეს დაფიქსირებულ დარღვევებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ჰქონდა, რომელიც ამჟამად დაკარგულია.

## ასანიძე თავისუფლებას ელის

ევროსასამართლოს არსებობის ისტორიაში პირველად, საქართველოს მოქალაქის საქმეზე განაჩენს გამოიტანენ. 8 აპრილს სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატის თავმჯდომარე სხდომათა დარბაზში საზეიმოდ გამოაცხადებს საქმეზე „თენგიზ ასანიძე — საქართველოს წინააღმდეგ" გამოტანილ საბოლოო განაჩენს. ბათუმის თამბაქოს ქარხნის ყოფილი დირექტორის ადვოკატი ლია მუხაშავრია სტრასბურგში არ გაემგზავრება. სავარაუდოდ, სასამართლო პროცესს მხოლოდ თენგიზ ასანიძე და მისი ვაჟი, დავით ასანიძე დაესწრებიან.

აჭარის ლიდერის, ასლან აბაშიძის დეიდაშვილი და აჭარაში გავლენიანი პირი თენგიზ ასანიძე 1993 წლის 4 ოქტომბერს სახელმწიფო ქონების მითვისების ბრალდებით დააკავეს და 8-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. აბაშიძის ტყვე შევარდნაძემ 2000 წელს შეიწყალა. თუმცა, იგი უშიშროების იზოლატორიდან არ გამოუშვეს აჭარის პროკურატურის მიერ წაყენებული ახალი ბრალდებების გამო. თენგიზ ასანიძე ხელვაჩაურის რაიონის პოლიციის უფროსის, ვაჟა გოგიტიძის მკვლელობაში დაადანაშაულეს და კიდევ 12-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ბრალდებულმა განაჩენი უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა და გამართლდა კიდეც. თუმცა, იგი დღემდე პატიმრობაში რჩება. თენგიზ ასანიძე უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლებასა და მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 3 მლნ დოლარს ითხოვს.

## ახლა პოლონეთს ემუქრებიან




ესპანეთში განხორციელებული ტერაქტის შემდეგ „ალ-ქაიდას" ტერორისტთა ახალ სამიზნედ შესაძლოა პოლონეთის პრეზიდენტი ალექსანდრე კვასნევსკი იქცეს. მისი მისამართით მუქარა არაბულენოვან საიტზეა გამოქვეყნებული, რომელიც როგორც ვარაუდობენ, „ალ-ქაიდას" ტერორისტულ ორგანიზაციასთანაა დაკავშირებული.

გასულ წელს ამავე საიტზე გამოქვეყნდა მუქარა ესპანეთის მისამართით, სადაც ახლახან ქვეყნის ისტორიაში ყველაზე სისხლიანი ტერაქტი განხორციელდა. შედეგად 191 კაცი დაიღუპა.

პოლონეთის დაზვერვის ხელმძღვანელის, ზბიგნევ სემიატკოვსკის განცხადებით, საიტზე ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარებაა გაანალიზებული და აღნიშნულია, რომ კვასნევსკის საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადა 2005 წელს იწურება.

პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, იოზიფ ოლექსის თქმით, ეს ინფორმაცია მთავრობის წევრებმა უკვე განიხილეს. როგორც მინისტრმა აღნიშნა, ქვეყნისთვის ტერორისტული საფრთხე სავსებით აშკარაა. პოლონეთი ანტიერაყულ კოალიციაში აშშ-ის ერთ-ერთი უახლოესი მოკავშირეა. ამჟამად პოლონელი სამხედროები ერაყში 9,5-ათასიან საერთაშორისო სამხედრო კონტინგენტს ხელმძღვანელობენ. ექსპერტების ვარაუდით, პოლონეთს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოუწევს. საკუთარი ხალხის უსაფრთხოების მიზნით შესაძლოა ერაყიდან პოლონური ჯარების გამოყვანის საკითხს გადახედონ.

# „პარლამენტის სხდომებს ბრაზილიური სერიალივით არ უნდა ელოდნენ დიასახლისები...“



**სტრატეგიულად დღეს პუტინს გაუჩნდა შანსი, რომ ხელში აიყვანოს ძლიერი და დამოუკიდებელი რუსული გენერალიტეტი, რომელიც ნაკლებად ემორჩილებოდა მის წინამორბედს. ამის მაგალითად ბათუმში მდგარ რუსულ სამხედრო ბაზაში გენერლის შეცვლაც კმარა. ასეთი რამ ადრე არასოდეს მომხდარა. რომელი თავდაცვის მინისტრი და გენშტაბის უფროსი მოაწერდა ხელს იმ გენერლის გაწვევაზე, რომელიც თბილისის წინააღმდეგ მოქმედებდა?!**

## „შესაძლოა, პირველი სერიოზული სკანდალი იმუნიტეტის მოხსნის საკითხს მოჰყვეს“

**უპირველესი იქნება უცხოური ინვესტორებისთვის სამართლებრივი ბაზისა და ნორმალური პირობების შექმნა. თუ ქვეყანაში უცხოური ინვესტიციები არ შემოვიდა, ამ წუმპიდან ვერასოდეს ამოვალთ. უცხოელები კი მაშინ შემოვლენ, როდესაც მათ კანონი დაიცავს...**

**თუკი ახალარჩეული საკანონმდებლო ორგანო ერთპარტიულია, ავიტანოთ ეს ნაკლი. მთავარია, ის არ იქცეს სალაყბოდ, მუშტი-კრივის ადგილად და პარლამენტის სხდომებს ბრაზილიური სერიალივით არ ელოდნენ დიასახლისები.**

ნესიერად იყო თუ „წესების გარეშე“, ავად იყო თუ კარგად, საქართველოს მოსახლეობამ საკანონმდებლო ორგანო აირჩია. ახალ პრეზიდენტთან, პრემიერსა და მთავრობასთან ერთად უკვე ახალი პარლამენტარებიც გვყავს. ასე რომ, ყველა სახელისუფლებო შტო თავის ადგილზეა და გასაკეთებელი ერთიღა რჩება (რისი გაკეთებაც, როგორც წესი, უჭირთ ხოლმე) — ყველა მოხელემ, დეპუტატმა თუ ჩინოსანმა თავისი საქმე კეთილსინდისიერად აკეთოს, რომ ხალხის ნდობა და მოლოდინი არ გააწბილოს.

ახალი პარლამენტის ავკარგიანობას დრო გამოაჩენს, თუმც იმას მაინც ვიტყვით, რაც ახლავე თვალში საცემია — ახალ პარლამენტში მეტი ქალია (22 დეპუტატი ქალი გვყავს), ვიდრე წინანდელში იყო და ვერც მკვეთრად დაპირისპირებულებს ვხედავთ. ამ ორმა მიზეზმა ალბათ უნდა გვაფიქრებინოს, რომ საწყის ეტაპზე მაინც იქ ხმაშეწყობილი ღუღუნი და სიამტკბილობა თუ არა, სულ მცირე, მშვიდობა მაინც იქნება.

ასე რომ, მიხეილ სააკაშვილმა, როგორიც ხელს აძლევდა, ისეთი პარლამენტი მიიღო, მთავრობაშიც ასე თუ ისე მისაღები (ჟვანიასათვისაც) კადრები ჰყავს, ერთი ეგაა, რომ ჯერჯერობით აჭარის საკითხი და აბაშიძის პრობლემა ვერ მოაგვარა. გავლენიანი მეგობრებით გულმოცემული ასლან აბაშიძე ისევ ურჩობს. მიხეილ სააკაშვილი კი სულაც არ არის მომთმენი და წამყრუებელი კაცი. ასლან აბაშიძესთან გაუგებრობას ის დიდხანს ვერ აიტანს... აჭარაში ზურაბ ჟვანიას გაგზავნით მან ავტონომიის ლიდერს კიდევ ერთხელ აგრძნობინა, — საკითხი ნორმალურ კალაპოტში გადავიყვანოთო. ახლა მთავარია, ასლან აბაშიძეს არ შეუჩნდეს ეჭვიანობის ჭია და პრეზიდენტის ხელს თავისი შეაგებოს...

დიპლომატიური აკადემიის რექტორ **სოსო ცინცაძესთან** სწორედ ამ საკითხებზე ვისაუბრეთ, მაგრამ გვერდი ვერც საქართველოს საგარეო პერსპექტივებს ავუარეთ.

— ერაყში განხორციელებული ანტიტერორისტული მოქმედებების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ირანშიც გააგრძელებდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. შესაძლოა, პენტაგონს ეს დაგეგმილიც ჰქონდა. ირანმა კარგა ხანია დიდი საფიქრალი გაუჩინა აშშ-ს. ადრე, შაჰის დროს, ირანი ამერიკის მთავარი დასაყრდენი იყო რეგიონში. თავად შაჰიც არ შეესაბამებოდა აღმოსავლელ მონარქთა სტერეოტიპს, რომლებიც ნადირობასა და ჰარამხანებში კლავენ დროს. ამ საკმაოდ განათლებული ადამიანის მთავარი მიზანი ქვეყნის გაევროპულება გახლდათ. დღესაც იკვლევენ მეცნიერები, როგორ მოახერხა სამშობლოდან განდევნილმა აიათოლა ხომეინიმ საფრანგეთის პროვინციული ქალაქიდან მოემზადებინა რევოლუცია ირანში. შაჰის მმართველობის დროს, ირანში ყოფნისას, თვალში მომხვდა, რომ იქაური ახალგაზრდობა ჩვენს გოგო-ბიჭებზე გაცილებით თანამედროვე იყო. ევროპული წესები, შეხედულებები იქ უფრო მძლავრობდა, მინიკაბიანი და სიგარეტის მწეველი ქალიშვილებიც მრავლად იყვნენ. ვინ იფიქრებდა, რომ სულ რაღაც ერთ წელიწადში ეს გოგონები ჩადრში გაეხვეოდნენ, შეიქმნებოდა ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსები, ქალისა და მამაკაცის ერთ ოთახში ყოფნაც კი აიკრძალებოდა(!). მაგრამ მოლების მმართველობამ ქვეყნის ცხოვრებასთან ერთად საგარეო პოლიტიკაც შეცვალა. აიათოლა ხომეინის დროს გართულდა ურთიერთობა ამერიკასთანაც და რუსეთთანაც. ის აშშ-ს დიდ სატანას ეძახდა, სსრკ-ს — პატარას.

დღეს ამერიკას ირანის წინააღმდეგ მოკავშირე არ ჰყავს. ევროპას ირანის ნავთობი აინტერესებს და ამერიკის პარტნიორობისაგან თავს იკავებს. რუსეთიც არ აპირებს ირანთან ურთიერთობის გაფუჭებას — იგი იქ 2-მილიარდიან პროექტს ახორციელებს — აშენებს ბიშარის ატომურ ელექტროსადგურს (შეიძლება ირანმა ატომური ნარჩენებით ბომბების დამზადებაც დაიწყოს). ვაშინგტონი რუსეთისაგან ამ პროექტის შეწყვეტას ითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ შტატები ჯერჯერობით ვერ იწყებს აქტიურ მოქმედებას ირანის წინააღმდეგ, აქტიურად მუშაობს კულისებში — სულ ერთი კვირის წინ გამოჩნდა ინფორმაცია, რომ რუსეთი გაყინავს ამ ატომური სადგურის მშენებლობას. ეტყობა, მოსკოვი 2 მლრდ-ის კომპენსაციას ამერიკისგან მიიღებს.

აშშ-ს ირანზე დიდი პრობლემა ერაყში აქვს. ამერიკული ისტებლიშმენტი ერაყის მოვლენებმა შოკში ჩააგდო — დღითი დღე იზრდება დაღუპულთა რიცხვი. ამერიკა არ არის რუსეთი, სადაც, როგორც სტალინი ამბობდა, დაღუპულები მხოლოდ სტატისტიკაა. ყოველი მოკლული ჯარისკაცი ადაბლებს პრეზიდენტისა და მმართველი პარტიის რეიტინგს. მალე ომის შემდეგ დაღუპულთა რაოდენობა გადააჭარბებს ომის დროს დაღუპულთა რიცხვს. ამას არავინ ელოდა. ბუში უკან ვეღარ იხევს, თანაც წელს შტატებში საპრეზიდენტო არჩევნებია. ამიტომ ერაყის პრობლემების ფონზე უგუნურება იქნებოდა ცეცხლის ირანში გადატანა. ირანში საომარი ოპერაციების დაწყების შემთხვევაში, საქართველო და ამიერკავკასია აშშ-ის უმნიშვნელოვანესი ფორპოსტი გახდებოდა, მაგრამ ეს პროექტი ჯერჯერობით შეჩერებულია. თუმცა ამერიკა დღეს ჩვენს რეგიონში სხვა (ორი) ფრონტით შემოდის. პირველია ცენტრალური აზია — უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი. იქ შტატების შესვლის პარალელურად ინფრასტრუქტურის გამალებული მშენებლობა მიმდინარეობს. მანასის აეროპორტი, ფაქტობრივად, ამერიკის სამხედრო ბაზად იქცა, რის გამოც რუსეთის გენერალიტეტი ბობოქრობს და მკაცრად აკრიტიკებს პუტინს. 10 წლის წინ ამას ვინ წარმოიდგენდა, მაგრამ ეს დღეს რეალობაა.

ამერიკის შეერთებული შტატების მეორე ფრონტი კი სამხრეთ კავკასიაა. თუმცა ის აქ მეტ სიფრთხილეს იჩენს. ლაპარაკია, რომ მალე აზერბაიჯანში ამერიკის სამხედრო ბაზა გაჩნდება. ჩვენთან დღეს ორი რუსული სამხედრო ბაზაა, რომლებიც ალბათ მალე დატოვებენ საქართველოს (სხვაგვარი ვითარებაა სომხეთში, რომელიც, ფაქტობრივად, რუსეთის სამხედრო ბაზას წარმოადგენს). როგორადაც უნდა განვითარდეს მოვლენები, ერთი რამ ცხადია — თბილისს შეუძლია მშვიდად იყოს. მას რუსეთის პირისპირ არც ამერიკა, არც ევროკავშირი აღარ დატოვებს და ამიტომ უკვე არარეალურია რუსეთის ოცნება — საქართველოს დაშლაზე.

სხვათა შორის, მნიშვნელოვანია თავად პუტინის პოზიციაც. ის, როგორც ყველა ჩეკისტი, პრაგმატიკოსია. თვალს ვერ დახუჭავს მსოფლიო პროცესებსა და იმაზე, რომ ყალიბდება ერთპოლუსიანი მსოფლიო. ამიტომ მას არ აძლევს ხელს, საქართველოს გამო გაიფუჭოს საქმე ამერიკასა და დასავლეთთან. სტრატეგიულად დღეს პუტინს გაუჩნდა შანსი, რომ ხელში აიყვანოს ძლიერი და დამოუკიდებელი რუსული გენერალიტეტი, რომელიც ნაკლებად ემორჩილებოდა მის წინამორბედს. ამის მაგალითად ბათუმში მდგარ რუსულ სამხედრო ბაზაში გენერლის შეცვლაც კმარა. ასეთი რამ ადრე არასოდეს მომხდარა. რომელი თავდაცვის მინისტრი და გენშტაბის უფროსი მოაწერდა ხელს იმ გენერლის გაწვევაზე, რომელიც თბილისის წინააღმდეგ მოქმედებდა?!

— **ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ახალმა რეალობამ საქართველო ერთდროულად აქცია აშშ-ისა და რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორად და ეს შანსი გამოსაყენებელია?**

— ელცინისა და შევარდნაძის წასვლის შემდეგ ორივე ქვეყნის ხელისუფლებაში ახალი ყაიდის პოლიტიკოსები მოვიდნენ. სააკაშვილის მხრებს არ აწევს მემკვიდრეობითობის, ცკ-ის მდივნობის სიმძიმე, ის არ ყოფილა პარტიული ფუნქციონერი; რაც მალე წავლენ პარტიული ფუნქციონერები რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკური სცენიდან, მით უფრო ხელსაყრელი პირობები შეგვექმნება სათანამშრომლოდ. რუსეთთან ჯიბრში ჩადგომა და აგრესიული პოლიტიკა ხეირს არ დაგვაყრის. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სააკაშვილს რუსეთთან არცთუ დალაგებული ურთიერთობები დახვდა. მეცინებოდა ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერი რომ ამბობდა, — რუსეთთან ურთიერთობას სუფთა ფურცლიდან ვიწყებთო. ნეტავ მართლაც ასე იყოს. ჩვენს ურთიერთობებში იმდენი უარყოფითი რამ, იმდენი ჭუჭყია, დიდი შრომა დაგვჭირდება სუფთა ფურცლამდე მისასვლელად. აფხაზეთი, სამაჩაბლო, პანკისის დაბომბვები, სავიზო რეჟიმი — ეს ისეთი საკითხებია, რომლებიც ნამდვილად ვერ გვათქმევინებს იმას, რომ რუსეთი ჩვენი კეთილი მეზობელი არა, მაგრამ ნეიტრალური მოსაზღვრე ქვეყანააო. პუტინსა და სააკაშვილს ერთად მოუწევთ მემკვიდრეობით მიღებული ავგიას თავლების გაწმენდა.

— **ბოლო დროს ლაპარაკია სოჭი-თბილისი-ერევნის სარკინიგზო ხაზის აღდგენაზე. რამდენად არის შესაძლებელი, ეს საკითხი აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საწინდრად იქცეს?**

— ამ რკინიგზის ხაზის გახსნას გამართლება იმ შემთხვევაში ექნება, თუკი ქართველი ლტოლვილები მხოლოდ გალში კი არა, მთელ აფხაზეთში დაბრუნდებიან. დღეს ამბობენ, — ჯერ რკინიგზა უნდა გაიხსნას, ძველი კონტაქტები აღდგეს და ლტოლვილები მერე დაბრუნდნენო. ნურას უკაცრავად, ამით ვერ გაგვაცურებენ! ლტოლვილების დაბრუნების გარეშე რკინიგზის ხაზის გახსნა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ამ ხაზის აღდგენა თუ ჩვენთვის სასარგებლოა, ასჯერ მეტად სახეიროა რუსებისა და სომხებისთვის. სომხებს ჰაერივით სჭირდებათ ეს რკინიგზა, რადგან სტრატეგიულ მოკავშირე რუსეთს მხოლოდ საჰაერო გზით უკავშირდებიან. ამიტომ კეთილი ინებონ და ლობირება გაუწიონ აფხაზეთში ლტოლვილების დაბრუნების საკითხს. ასევე კეთილი ინებოს რუსეთმაც და ხელი აიღოს ცინიკურ განცხადებაზე — აფხაზებს ვერ ვაიძულებთ ლტოლვილების დაბრუნებასო. ვინ დაიჯერებს, რომ რუსებს არძინბაზე გავლენა არა აქვთ? თითის დაქნევაც არ უნდა, პუტინმა ერთი წარბი რომ ასწიოს, არძინბა მაშინვე შეასრულებს მის განკარგულებას. ამიტომ რკინიგზის აღდგენის საკითხი, რომელიც ერთდროულად სჭირდებათ სომხებს, რუსებსა და აფხაზებს, ლტოლვილების დაბრუნების საშუალებად უნდა გამოვიყენოთ. ეს მშვენიერი შანსია აფხაზეთის პრობლემის მოგვარების დასაწყებად.

— **ბოლო დროს ცენტრსა და რეგიონს მეტისმეტად გაურთულდათ ურთიერთობა. ცენტრალური ხელისუფლება აჭარაში არსებული უკანონო შეიარაღებული ფორმირებების გასაუვნებლად რეგიონში სპეცოპერაციის ჩატარებაზე ლაპარაკობს. რას გამოიწვევს მოვლენების ამგვარი განვითარება, ხომ არ მივალთ სამოქალაქო დაპირისპირებამდე?**

— ყველა პოლიტიკური გზა და საშუალება უნდა გამოვიყენოთ ამ პრობლემის მოსაგვარებლად. აჭარასთან დაკავშირებით დღეს არანორმალური სიტუაცია შეიქმნა. რიგითი მოქალაქეები შეიძლება ასეც ფიქრობდნენ, — ჯანდაბას, მიუშვან აბაშიძე თავის ნებაზე, ოღონდ სისხლი არ დაიღვაროსო, მაგრამ ნორმალური პრეზიდენტი ამ საზომით ვერ გაზომავს და ამგვარად ვერ მიუდგება საქმეს. მას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია ქვეყნის წინაშე, ამიტომაც ნებაზე ვერ მიუშვებს ერთი რომელიმე რეგიონის ხელმძღვანელს. ისტორიის მაგალითების გათვალისწინება გვმართებს. ჩერჩილი 1934 წელს ამბობდა, — ჰიტლერი ახლავე ძალით უნდა შევაჩეროთო. მისთვის რომ დაეჯერებინათ, მეორე მსოფლიო ომი არ მოხდებოდა. ჩერჩილისთვის ყურის დაგდების ნაცვლად ჩემბერლენმა მიუნხენში ხელი მოაწერა გერმანიასთან ხელშეკრულებას და თვითმფრინავიდან ჩამოსვლისთანავე აუფრიალა თანამემამულეებს ხელმოწერილი ფურცელი — მშვიდობა ჩამოგიტანეთო. მერე კი ამ „მშვიდობას“ 30 მილიონი კაცი ემსხვერპლა.

აჭარაში არსებული კონფლიქტი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაიჭრას. განა არ ვიცი, რომ ჩხუბს მშვიდობა სჯობს. კარგია, რომ აჭარაში ჟვანია მიდის. რა აჯობებს იმას, თუ ყველა პრობლემა ამით მოგვარდება? ამბობენ, ამ პრობლემიდან გამოსავალი უფლებამოსილებათა გამიჯვნააო. კი, ბატონო, გაირკვეს, რისი უფლება აქვს ცენტრს და რისი — რეგიონს. მაგრამ განა ტყუის სააკაშვილი, როდესაც ამბობს, ქვეყანაში ერთი მთავარსარდალი უნდა იყოსო. ვის გაუგია, ერთ სახელმწიფოში ორი მთავარსარდალი იყოს?! თუ აბაშიძემ ცენტრალური ხელისუფლების სამართლიანი პრეტენზია არ მოისმინა, თუ ისევ ძველებურად გააგრძელა და თქვა, — რაკი ბათუმის პორტში პრეზიდენტი ნიშნავს წარმომადგენელს, მე ფოთში უნდა დავნიშნოო, მაშინ პრეზიდენტი ვალდებული იქნება, სხვა ბერკეტები აამოქმედოს.

ასლან აბაშიძე არ ტოვებს უგუნური კაცის შთაბეჭდილებას. გონს უნდა მოეგოს და მიხვდეს, რომ რუსეთის იმედად საქართველოს პრეზიდენტთან ურჩობა არ გამოადგება. თავის მხრივ, რუსებმაც უნდა უთხრან აჭარის ხელმძღვანელს, რომ აჭარა საქართველოს განუყოფელი ნაწილია, რომ საქართველოს ერთი პრეზიდენტი ჰყავს, ერთი კონსტიტუცია აქვს და ავტონომიის ლიდერის ნაბიჯი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას. რუსებმაც უნდა უთხრან აბაშიძეს, — არ გაქვს უფლება, ხალხს იარაღი დაურიგო და არმია შექმნაო. პუტინი აპატიებს რომელიმე თავისი ავტონომიის ხელმძღვანელს ამას?

— **რამდენად რეალური და ობიექტური იყო საპარლამენტო არჩევნების შედეგი?**

— დღეს საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმური პრესტიჟი და ხელისუფლებისადმი ნდობა ერთ პირს, პრეზიდენტ სააკაშვილს ემყარება. ეს სახიფათო ვითარებაა. არ შეიძლება ნორმალურად იმუშაოს იმ ხელისუფლებამ, სადაც მხოლოდ ერთ პირს ენდობა მოსახლეობა. მიხეილ სააკაშვილისადმი ნდობა ნელ-ნელა უნდა გავრცელდეს და გადავიდეს სტრუქტურებზე, მინისტრებისა და უმაღლესი ჩინოსნებისადმი ნდობაზე. 28 მარტს, ჩემი აზრით, ყველა პარტიას თანაბარი პირობები ჰქონდა, მაგრამ ვისი ბრალია, თუ ზოგიერთმა ხმები ვერ მიიღო, ზოგმა პარტიამ კი, რაც ფული ჰქონდა, ნოემბერში დახარჯა და ახლა ვეღარ გასწია საარჩევნო კამპანია?

ნებისმიერი რევოლუცია საზოგადოებას ორ ნაწილად ყოფს. ხალხი სააკაშვილის მხარეს დადგა და უნდობლობა გამოუცხადა სხვა პოლიტიკურ ძალებს. ლოგიკური იყო იმ პარტიების მარცხი, რომლებიც სააკაშვილის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

ვაკვირდებოდი პრეზიდენტს არჩევნების წინა პერიოდში და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ იგი პროცესებში არ ჩაერია, სხვებს მიანდო ეს საქმე, თვითონ ძირითადად აჭარის საკითხით, რუსეთსა და დასავლეთთან ურთიერთობების მოგვარებით იყო დაკავებული. ის ასე იმიტომ მოიქცა, რომ ეს არჩევნები სარისკო არ ყოფილა, წინასწარ იყო ყველაფერი გარკვეული.

— **როგორი იქნება ეს პარლამენტი?**

— გადაწყვეტილებების მიღებისას სახელისუფლებო ძალა იქნება მთავარი. არ ვიცი, რას იზამს მემარჯვენე ოპოზიცია, თუმცა პროცესებზე გავლენას ვერ მოახდენს. ნათელი არ არის მაჟორიტარების პოზიცია. ერთ-ერთმა მათგანმა ისიც კი თქვა, — ჩვენ შემოქმედებითი ოპოზიცია ვიქნებითო. ამის მთქმელს მე პოლიტიკოსს ნამდვილად ვერ ვუწოდებ. მან არც „ოპოზიცია“ იცის, რას ნიშნავს და არც „შემოქმედება“. ამ ოპოზიციას ოპოზიციონერის სახელიც უნდა და თან გაიძახის, — მთელი სიცოცხლე სააკაშვილს ვუჭერდი მხარსო, ანუ ასეთი ოპოზიცია ვერ იოპოზიციონერებს. მოსალოდნელია, რომ თავად სახელისუფლებო ძალაში გაჩნდეს ოპოზიცია. ნაციონალებსა და დემოკრატებს თანამშრომლობისა და თანაარსებობის დიდი სტაჟი არ აქვთ, არ აქვთ წლების მანძილზე გაწერილი მოქმედებების პრინციპი და ეფუძნებიან ერთ ზოგად პოსტულატს — რაც იყო, ცუდია, მოდი, ახლა კარგად ვიმუშაოთო. როდესაც პარლამენტი მუშაობას დაიწყებს, ამ ძალაში უთუოდ გაჩნდება ბზარი, კანონების მიღების დროს აუცილებლად გაჩნდება წინააღმდეგობები. შესაძლოა, პირველი სერიოზული სკანდალი იმუნიტეტის მოხსნის საკითხს მოჰყვეს. ამ თემაზე მსჯელობა უხმაუროდ არ ჩაივლის. ჩემი ვარაუდით, იმუნიტეტი დეპუტატს ძალზე დემოკრატიულ ქვეყანაში უნდა ჰქონდეს, იქ, დამნაშავეს აზრადაც არ მოუვა, რომ პარლამენტში იყაროს კენჭი. ჩვენთან კი, ხომ ვიცით, რატომაც სურთ დეპუტატობა... ის ხომ ფაქტობრივად დამნაშავეთა თავშესაფარია?

სერიოზულ აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს საკადრო საკითხებიც. ერთ მინისტრს უთქვამს, — 40 წლისა თანამშრომელი კი არა, ხეც არ მინდა ეზოშიო. თუ ეს მართლა ითქვა, ძალიან ცუდია. მახსოვს, შევარდნაძის დროს ერთი 23 წლის ბიჭი დაინიშნა ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსად და თავდაჯერებით განაცხადა, — ჩემი გუნდით მოვედი ამ თანამდებობაზეო. მან არც იცოდა, რა არის გუნდი. 23 წლის ბიჭს როგორ შეიძლება გუნდი ჰყავდეს?! ეს ბავშვი თანაუბნელ ძმაკაცებს და თანაგუნდელებს ვერ არჩევდა ერთმანეთისაგან და ამხელა პოსტი კი ჩააბარეს. ისიც მახსოვს, შევარდნაძემ რომ თქვა მიხეილ ჭკუასელზე — ჭყინტი ბიჭი გავუშვით გურიაშიო. ის ჭყინტი ბიჭი, სამწუხაროდ, ძალაუფლებითა და თანამდებობით გააფუჭეს. არადა, მისგან შეიძლება კარგი სახელმწიფო მოხელე დამდგარიყო. ცნობილი გამოთქმაა — ხელისუფლება აფუჭებს კაცსო. დაღვინებულ, ჭკუადამჯდარ კაცს თანამდებობა ვერ გააფუჭებს, ახალგაზრდას კი შეიძლება ბევრი შეცდომა დააშვებინოს.

ნუ ველით, რომ ჩვენი ახალარჩეული პარლამენტი ბრიტანეთის პარლამენტისნაირი, კონგრესის ან ბუნდესტაგის მსგავსი იქნება. ჩვენს პარლამენტს აქვს ძალზე კონკრეტული ამოცანა — უმოკლეს ვადაში მიიღოს ის კანონები, რაც აუცილებელია ქვეყნის განვითარებისათვის. უპირველესი იქნება უცხოური ინვესტორებისთვის სამართლებრივი ბაზისა და ნორმალური პირობების შექმნა. თუ ქვეყანაში უცხოური ინვესტიციები არ შემოვიდა, ამ წუმპიდან ვერასოდეს ამოვალთ. უცხოელები კი მაშინ შემოვლენ, როდესაც მათ კანონი დაიცავს...

თუკი ახალარჩეული საკანონმდებლო ორგანო ერთპარტიულია, ავიტანოთ ეს ნაკლი. მთავარია ის არ იქცეს სალაყბოდ, მუშტი-კრივის ადგილად და პარლამენტის სხდომებს ბრაზილიური სერიალივით არ ელოდნენ დიასახლისები.

*იზო რიკაძე*

*დაჩი გრძელიშვილი*

# ქართველებს თავგანწირვა შეგვიძლია

არსებობენ თარიღები, რომლებსაც წარსული დრო არ გააჩნია. ასეთია 1989 წლის 9 აპრილიც.

...მას შემდეგ თხუთმეტი წელი გავიდა, მაგრამ ქართველ ხალხს, დაიწყებს თუ არა ფიქრს იმ ტრაგიკულ დღეზე, ტკივილი უახლდება, გული ყელში ებჯინება ისე, როგორც თხუთმეტი წლის წინ. დიახ, ეს ჭრილობა არ შუშდება, არც მოგონებები მიინავლება. ღმერთმა ნუ ქნას, ოდესმე ეს მოხდეს, იმიტომ რომ 9 აპრილს რაც აერთიანებდა ქართველებს, რის გამოც სიკვდილს სიმღერით შეეგებნენ, არც დღეს არის წარსული და მოგვარებული პრობლემა. მაშინდელი მტრის ხატი დღეს უკანა პლანზე გადავიდა, სახეცვლილი საცეცებით კი ისევ განაგრძობს ავ საქმეთა აღსრულებას.

„მოთმინების ფიალა აავსო იმან, რომ ქართველ ხალხს სწორედ ის დააბრალეს, რაც არასოდეს ახასიათებდა თავისი არსებობის ათასწლეულების მანძილზე — სხვა ერების შეუწყნარებლობა; რომ ქართველ ხალხს სწორედ იმის წართმევა მოუნდომეს, რასაც შეალია თავისი ძალა და ღონე, არც არასოდეს დაუთმია და ცოცხალი თავით არც არასოდეს დათმობს. დიახ, მისი მშობლიური მიწა-წყლის დაქუცმაცება და მიტაცება განიზრახეს.

სწორედ დღეს აჟღერდა მთელი ძალითა და სიმართლით დიდი გალაკტიონის პოეტური მანიფესტი „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაღლილ ირმების გუნდს წყარო ანკარა“.

ამ წყურვილმა გამოიყვანა ხალხი ქუჩებში.

ამ წყურვილის ჩახშობა მოინდომეს რესპუბლიკისა თუ ცენტრის უგუნურმა და ბოროტმა ძალებმა“, — წერდა 1989 წელს მწერალი გურამ გვერდწითელი.

მერაბ კოკოჩაშვილის მხატვრული ფილმი „ზაფხულის სამი დღე“ გამახსენდა. ფილმის გმირი არქეოლოგი ძველი კულტურის ნაშთებზე დგას და ამბობს, — აქედან თქვენამდე ოცი საუკუნეაო... სამწუხაროდ, ჩვენი პრობლემების შემხედვარე, ამ რეპლიკის პერიფრაზს ვერ გავაკეთებთ... თხუთმეტმა წელმა თხუთმეტი ნაბიჯითაც ვერ დაგვაშორა მთავარ პრობლემებს...

9 აპრილის შემდეგ რუსეთის მასმედიაში გავრცელებული სიცრუისა და ცილისწამების ტალღამ გადაუარა საქართველოს... მას მერეც არაერთხელ ვიწვნიეთ ამგვარი რამ, თუმცა 1989 წლის მოვლენების დამახინჯების სისასტიკეს, ალბათ ვერც ერთი დანარჩენი სიცრუე ვერ გაუტოლდებოდა. საბჭოთა კავშირის მასმედია დაუღალავად იბრძოდა „ჭეშმარიტების“ გასავრცელებლად — რომ თბილისში „ექსტრემისტი“, „ანტისაზოგადოებრივი ელემენტები“, „პროვოკაციულად იწვევდნენ უწესრიგობას“. ამის აღსაკვეთად რუსთაველზე, მთავრობის სახლის წინ საწყალი, „დაუცველი“ სამხედროები გამოვიდნენ. მათ თავს დაესხნენ. „სულ დაშავდა 109



სამხედრო მოსამსახურე... მათგან ნახევარი მსუბუქი ტრავმებით მიიყვანეს საოლქო სამხედრო ჰოსპიტალში და შინაგან საქმეთა სამინისტროს ლაზარეთში. ყველაზე მძიმედ დაშავდნენ რიგითი ჯარისკაცები: სერგეი პრიახინი (შინაგან საქმეთა სამინისტრო) — ტვინის, ქალის ღია ტრავმა, თავის ტვინის დაჟეჟილობა, სუბაროქნოიდული სისხლდენა; პეტრე რიბაკი — მძიმე, დახურული ტვინის ქალის ტრავმა; სამედიცინო სამსახურის პრაპორშჩიკი ლეონიდ სიდენკო — შუბლის ძვლის დახურული, ჩაზნექილი ჩატეხილობა... გაკეთდა ნეიროქირურგიული ოპერაციები“.

რაც შეეხება ქართველთა მსხვერპლს, ის 16 კაცი „ჭყლეტის შედეგად დაღუპულან“(!). მალე გარდაცვლილთა რიცხვი გაიზარდა...

თხუთმეტი წლის შემდეგ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ 9 აპრილის მსხვერპლთა შარავანდით მოსილ სახელებს: აზა ადამია (22 წლის), ეკა ბეჟანიშვილი (16 წლის), ნატო გიორგაძე (23 წლის), თამუნა დოლიძე (28 წლის), თინა ენუქიძე (70 წლის), ნინო თოიძე (25 წლის), ზაირა კიკვიძე (61 წლის), მანანა ლოლაძე (33 წლის), თამარ მამულაშვილი-სვანიძე (50 წლის), მამუკა ნოზაძე (22 წლის), ნანა სამარგულიანი (41 წლის), შალვა ქვასროლიაშვლი (35 წლის), მარინა ჭყონია-სამარგულიანი (31 წლის), ელისო ჭიპაშვილი (25 წლის), თამარ ჭოველიძე (16 წლის), ნათია ბაშალეიშვილი (16 წლის), ნოდარ ჯანგირაშვილი (40 წლის), მზია ჯინჭარაძე (43 წლის), მანანა მელქაძე (23 წლის), გია ქარსელაძე (25 წლის)...

მომხდარი ტრაგედიის გამო ქართველთა სა-

## 9 აპრილის ტრაგედიიდან 15 წელი გავიდა...



სოწარკვეთითა და სიმძიმილით აღშფოთებული ეფრეიტორი ალექსანდრ ვინოგრადოვი ამბობდა: „არავითარი ნიჩბები ჩვენ არ გვქონია... მთავრობის სახლთან ხალხი იჯდა. ჩვენმა ოფიცრებმა არაერთხელ სთხოვეს მათ, ამდგარიყვნენ, მაგრამ ისინი არ გამოგვეხმაურნენ. მაშინ დავიწყეთ მათი სათითაოდ აყენება და ფრთხილად (По тихоньку) გაცილება მოედნიდან. ამ დროს ბრბომ ფანჯრებიდან და სახლების სახურავებიდან ბოთლების, ქვის სროლა დაგვიწყო... ვფიქრობ, ეს ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი და ორგანიზებული იყო...“

**ზაქარია კეკელაშვილი**, თბილისის საპატრულო საგუშაგოს სერჟანტი: „მომიტინგეებმა ცეკვა და სიმღერა დაიწყეს, მოგრიალდნენ ჯავშანტრანსპორტიორები, მათ უკან — ჯარი. 4-5 წუთით ხალხის წინ გაჩერდნენ. შემდეგ დაიწყეს ხელკეტებით ცემა, ყვიროდნენ ბავშვები, კიოდნენ ქალები. გულმა არ მომითმინა და მოშიმშილეებს მოვუხმე. გამოიქცნენ. ჩვენ მათ გზას ვაძლევდით ჭიჭინაძის ქუჩისკენ.

მთავრობის სახლის წინ, ბუჩქებიდან ყვირილი შემომესმა — გვიშველეთ, გვიშველეთო! მივედი. ხნიერი ქალი ძირს ეგდო და სამი ქალიშვილი ზედ გადამხობოდა. მივედი საშველად. ქალი სულს ღაფავდა. ამხანაგს დავუძახე დასახმარებლად. ყვიროდა ფეხმოტეხილი ქალიშვილი. მასთან მივიჭერი. დავიხარე ასაყვანად, მაგრამ... თავში ნიჩაბი ჩამარტყეს. იქვე დავვარდი“.

მრავალთაგან ამორჩეული ეს ორი მაგალითი ნათლად მეტყველებს, რა სისხლის კევრი დატრიალდა 1989 წლის 9 აპრილის განთიადზე...

გარდა მექანიკური ტრავმებისა, ასობით ადამიანი მოიწამლა ქიმიური ნივთიერებებით, რომელიც დარბევისას სამხედროებმა გამოიყენეს. იმ სისხლიანი დღის შემდეგ ვინ იცის, მერამდენედ გაიმეორა ქართველმა ერთი დიდი ქართველის ტკივილით ნათქვამი სიტყვები: „ჩვენ ობოლო ერი ვართ... მთელ მსოფლიოში უნათესავო და უთვისტომო ხალხი ვართ, მხოლოდ ჩვენი თავის იმედით უნდა ვიცხოვროთ და ვიარსებოთ...“

უცხოელ ჟურნალისტებთან შეხვედრები, მათი თანაგრძნობა და ჩვენი სიმართლის უცხოეთში გაცხადება სერიოზული და მნიშვნელოვანი საქმე იყო, თუმცა მკაცრია ისტორია და ყველა ერს (არა მარტო საქართველოს) თავის გადასატანს სიმარტოვეში გადაატანინებს ხოლმე.

დღეს აღარ ვლაპარაკობთ იმაზე, რა გაარკვია საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ, ვინ რა თქვა და ვინ რა დამალა, ვინ იცოდა, რა იგეგმებოდა, ვინ ადევნებდა თვალს შორიდან ყველაფერს. დღეს ვლაპარაკობთ ტკივილზე, რომელიც მარადიულია... საუკუნის დანაშაულზე.

თხუთმეტი წლის შემდეგ 9 აპრილზე ვესაუბრებით ბატონ **ნოდარ ნათაძეს:**

— ცხრა აპრილის ხოცვა იყო იმპერიის რეაქცია 25 თებერვლის აქციაზე. ამ მრავალრიცხოვან აქციაზეც ქართველმა ხალხმა გამოაცხადა თავისი მტკიცე ნება, რომ საბჭოთა კავშირში ყოფნა არ უნდოდა. 25 თებერვლიდან 9 აპრილამდე თვე-ნახევარია. ეს სწორედ ის დროა, რომელიც სჭირდება ინფორმაციის შეგროვებას, გაანალიზებას. მათ მოინდომეს ქართველი ერის დასჯა ამ სურვილისათვის. უშუალოდ ცხრა აპრილს ორი ძალა მოქმედებდა — ერთი დაინტერესებული იყო, ეს აქცია ისტორიის წინაშე რუსეთისათვის მომგებიანად წარმოჩენილიყო. ეს ყველაზე მაღალი რანგის ძალა იყო. ის ცდილობდა, აქციის მიზეზად მხოლოდ აფხაზეთის საკითხი გამოჩენილიყო მაშინ, როცა სინამდვილეში 6 აპრილიდან ყველა ლოზუნგი მოხსნილი იყო, გარდა ერთისა: „გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას“; მეორე ძალა, უფრო დაბალი რანგისა — ცდილობდა მოეპოვებინა ცენტრალური ხელისუფლების თანხმობა მკაცრი სადამსჯელო ოპერაციის ჩასატარებლად.

6 აპრილს, საღამოს, პატიაშვილმა გამოგზავნა დელეგაცია რეზო ჩხეიძის მეთაურობით. მიგვიწვიეს ზვიადი, მერაბი, გია ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი (ესენი ორგანიზატორები იყვნენ) მხატვრის სახლში. რეზო ჩხეიძემ გადმოგვცა, — პატიაშვილი მზად არის ყველანაირ დათმობაზე, ოღონდ მიტინგი დაიშალოსო. მე ვფიქრობ, პატიაშვილმა იცოდა, რაც იგეგმებოდა და მართლაც მზად იყო დათმობაზე წასასვლელად. ირაკლი წერეთელმა მაშინ წარმოთქვა მართლაც ქრესტომათიაში შესატანი სიტყვა, — ჩვენ, 80 კაცი, შეფიცულები ვართ. უკან არ დავიხევთ, ჩვენი თავი გვემეტებაო. გულისხმობდა, თავი გვემეტება დაპატიმრებისთვისო, თორემ სისხლზე არავინ ფიქრობდა. რეზო ჩხეიძე და ლალი ჯავახიშვილი ხელცარიელები წავიდნენ... მე სხვაგვარად ვფიქრობდი, მაგრამ არაფერი მითქვამს. 7-8 აპრილს უკვე დაიწყო პროვოკაციები. 8 აპრილის საღამოს ცნობილი გახდა, რომ ჩამოსულა სპეციალური ნაწილები... მე მერე 9 აპრილის კომისიაშიც შემიყვანეს. მოვიდა ჩემთან ერთი კაცი და მითხრა, — 7-ში, საღამოს, რუსთაველზე სამი სამოქალაქოტანსაცმლიანი კაცი სეირნობდა, რუსები იყვნენ. ერთი როდიონოვი უნდა ყოფილიყო, მეორე კოჩეტოვი... ორნი ეუბნებოდნენ ამ ერთს: „Почему ты нам преприятствуешь, мы имеем право их истребить“-ო.



რუსებმა მომიტინგეთა წინააღმდეგ გამოიყენეს მომწამლავი გაზი, რომელიც ომში გამოიყენება, მესანგრის ნიჩბები... ამ ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ჩამოვიდნენ დასახმარებლად სხვადასხვა ორგანიზაციები. „საერთაშორისო წითელ ჯვარს“ ერთი შვეიცარიელი ქალი ედგა სათავეში. იმედი მქონდა, რაღაცას მაინც წამოიკნავლებდა ჩვენს სასარგებლოდ, არ წამოიკნავლა! თხებივით გაგვყიდეს. რუსთაველის მახლობელ უბანში სარეცხი ჰქონდა ქალს გაფენილი. დილით თეთრეულს ყვითელი ლაქები აღმოაჩნდა. ქალაქში ავრცელებდნენ მომწამლავ ნივთიერებებს... მოვითხოვე მისი ანალიზი და შესწავლა, არ შეისწავლეს... გერმანელი ექიმებიც იყვნენ ჩამოსულები. მე და ერთმა მათგანმა ერთად ვუყურეთ 9 აპრილის მიტინგის კადრებს. თამამად ამბობდა: ეს გამომსვლელი აქედან იმართება, ის — იქიდანო. მერე მითხრა: თქვენ ახლა რაც ქიმიური კატასტროფა განიცადეთ, ორი მაგხელა სოციალური კატასტროფა გელით მაგის საფუძველზეო. გულისხმობდა ფსიქიკურ ტრავმებს. მართალიც იყო. ბევრ ახალგაზრდას აღმოაჩნდა ფსიქოგენური სიმპტომი...

11 აპრილს მე და ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა ნიკო ჭავჭავაძემ გადავწყვიტეთ, ტელევიზიით გაგვეფრთხილებინა ხალხი, რომ შინიდან ფეხი არ გაედგათ. მივედით ნუგზარ ფოფხაძესთან ცეკაში. არ გაგვიშვა ეთერში, მაგრამ გვითხრა: შევარდნაძე აქ არის და ხომ არ შეხვდებითო. კი, ბატონოო, — ვუთხარით. შევხვდით. შევარდნაძემ გვითხრა: — თბილისში რუსი სამხედროების ყოფნის ყოველ დღეს იქნება მსხვერპლიო (გია ქარსელაძე რომ მოკლეს, ესეც საგანგებოდ, ხალხის დასაშინებლად გააკეთეს შემდეგ). ცხონებულმა ნიკო ჭავჭავაძემ უთხრა: — ჯარისკაცები არბევენ მაღაზიებს, არაყს და ღვინოს სვამენ და უარესად იქცევიანო... ასე აღარ იქნებაო, და — მართლაც აღკვეთა. ვკითხეთ: — თქვენ შეგიძლიათ ჯარების მოქმედებაზე ზეგავლენა იქონიოთ? რასაც ვეტყვი, იმას გააკეთებენო. ესე იგი, მას ჰქონდა ამისი რწმუნება. მე ვსვამ კითხვას, თუ მას 11 აპრილს ჰქონდა რწმუნება, რომ თავისი ნებით განესაზღვრა ჯარების მოქმედება, როდიდან მიიღო ეს უფლება? თითქოს 9 აპრილს არ ჰქონდა?.. პასუხი ჯერჯერობით, არ ვიცი.

15 წელი გავიდა...

დღეს ბევრი ამბობს, 9 აპრილი უნდა აღინიშნებოდეს, როგორც გამარჯვების დღეო. მე ვფიქრობ, ეს არის გლოვის დღე. ქართველებმა უსაზღვრო სულიერი ძალა გამოიჩინეს, მაგრამ მაინც... სხვათა შორის, ვნების კვირა ადრე ქრისტიანობაში გლოვის დღეებად იყო აღიარებული. გამარჯვების სიმბოლოდ მერე იქცა.

**კოკა გაწერელია:** — თავიდან მხოლოდ ახალგაზრდული მოძრაობა იყო, აპრილში კი ყველა ასაკის ხალხი გამოვიდა ქუჩაში. 7 აპრილს რუსებმა მძიმე ტექნიკა გამოიყვანეს... 8 აპრილს კიდევ უფრო მეტი ხალხი მოვიდა. მაშინ დავრწმუნდი, ქართველობა უშიშარია... დარბევას მაინც არ ველოდით.

8 აპრილს მომიტინგეებისკენ მივდიოდით თემურ ქორიძე, მისი ძმა და მე. დავინახე, 6 ტანკი მიიწევდა მთავრობის სასახლისკენ. რადგან მიტინგზე ხალხის მიყვანაში მეც მქონდა წვლილი, როგორმე უნდა შემეჩერებინა ისინი... მივხვდი, ტანკების ხალხში შესვლას მსხვერპლი მოჰყვებოდა. უცებ გადავწყვიტე და წინ დავუდექი... ჩემდა გასაოცრად, გაჩერდნენ.

თავისუფლების მოედანზე ვნახე ტექნიკა და ჯარი, რომელიც ნიჩბებითა და რკინის კეტებით იყო შეიარაღებული. მთავრობის სასახლესთან ბიჭები დავაყენე, რომ მათ ხალხი იქით არ შეემწყვდიათ და მერე არ ეთქვათ, სასახლეში შეჭრას აპირებდნენ და იმიტომ ვესროლეთო... რომ დაიძრნენ, პირველ რიგში გადავედი, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა მქონდა...

...9 აპრილის შემდეგ ხალხი სულიერად და ზნეობრივად ამაღლდა. იმდროინდელი შს მინისტრი რომან გვენცაძეც ამბობდა: — ჩხუბი და დანაშაული აღარ ხდებაო. კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებმა შემოგვითვალეს — ეს რა მოახერხეთ, ქურდობა აღარ გვინდა და ჩხუბისკენ გული არ მიგვიწევსო. მთაწმინდელები ამბობდნენ: — 9 აპრილის მერე ერთმანეთს როგორ დავუპირისპირდებით, მტერი აქ გვყოლიაო.

ამ ტრაგედიის შემდეგ ქუჩაში გასვლა მიჭირდა, ყველა მცნობდა, სითბოს გამოხატავდა... მერე ორთაჭალის ციხეშიც აღმოვჩნდი. მილიციელები შინ შემომიცვივდნენ, ვითომ ხელყუმბარები აღმომიჩინეს. გაუსამართლებლად გამიშვეს ციხეში. ხალხის მხარდაჭერით ორ თვეში გამათავისუფლეს.

ქართველ ხალხს თავგანწირვით ვერავინ გააკვირვებს. ჩვენი სამშობლო დღემდე რომ არსებობს, სულ თავგანწირვისა და გმირობის შედეგია.

...მთავარი ის კი არ იყო, ვინ გადაელობა ტანკს, ვინ ებრძოდა ჯოხებით მომხდურს... მთავარია, ვიცით — ქართველებს ეს ისევ შეგვიძლია...

***ლელა ჯიყაშვილი***

## მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „ქარხანას ქართველებიც მშვენივრად დავჭრით, იტალიელი ინვესტორი რად გვინდოდა?“ — 80 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „ქურდმა გადაარჩინა?!“ — 71
3. **ლელა ჯიყაშვილი** — „პირველად ვნახე ნოსტალგიით დაავადებული ადამიანი“ — 62
4. **დავით დევიძე** — „უძლეველობის მითი დამსხვრეულია — ოპერაციის უცნობი დეტალები“ — 31
5. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 29

მკითხველის სახელით პრემია კვლავ **ზვიად ჩაკვეტაძეს** გადაეცემა.

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 366-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# „კალატოზას“ პოლიციაშიც მიჰქონდა წილი

## „ახლა სხვა „ნაჩალსტვა“ მოვიდა...“

გასულ ხუთშაბათს, შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოსა და გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმის ერთობლივი ოპერაციის შედეგად, 36 წლის დავით ქარსელაძე, მეტსახელად „კალატოზა“ და ზვიად ჩხარტიშვილი დააკავეს.

შს მინისტრ გია ბარამიძის ინფორმაციით, მათი დაკავების გეგმა დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა. ქარსელაძე და ჩხარტიშვილი სართიჭალაში მცხოვრებ ტარიელ ცალუღელაშვილის ბინიდან აიყვანეს. დაკავებისას მათ წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ჩხრეკისას დავით ქარსელაძეს აღმოაჩნდა „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, ხოლო მისი ბინიდან ამოღებულია „აკს“-ის ავტომატური იარაღი და 7 ათასი დოლარი. ჩხარტიშვილს კი „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარა აღმოაჩნდა.

ოპერაციის შემდეგ, გია ბარამიძემ ბრიფინგი დილის 7 საათზე მოიწვია და ჟურნალისტებს ქარსელაძე-ჩხარტიშვილის დაკავების ფაქტი ამცნო. დილაადრიან ასეთი ინფორმაციის გავრცელება თავისთავად მეტყველებს იმაზე, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ სამართალდამცველები ამ ოპერაციას.

გია ბარამიძის ინფორმაციით, „დაკავებულები არიან მკვლელობაში, ყაჩაღობასა და ადამიანთა გატაცებაში ეჭვმიტანილი პირები. ქარსელაძე კანონიერი ქურდის სახელით არ სარგებლობს, თუმცა არც მცირე ავტორიტეტი აქვს დამნაშავეთა სამყაროში“. სამართალდამცველები აყვანილ პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულების დაკონკრეტებისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებენ.

ერთი ინფორმაციით, დავით ქარსელაძე, იგივე „კალატოზა“, რამდენიმე წლის განმავლობაში არეკეტებდა სამარშრუტო ტაქსებს. გავრცელებული ინფორმაციით, მას წილს ერთბაშად 6 ათასი მძღოლი უხდიდა. „კალატოზა“ აკონტროლებდა აგრეთვე დიდუბის ავტოსადგურის მნიშვნელოვან ნაწილს.

მართალია, ბერძნულ-რომაული სტილის ყოფილი მოჭიდავე (ქარსელაძე ერთ დროს საქართველოს ნაკრების წევრი იყო) ქურდის სტატუსით მართლაც არასდროს სარგებლობდა, მაგრამ მას პატივს სცემდნენ როგორც „კანონიერი ქურდები“, ასევე სხვა კრიმინალური ავტორიტეტები. სამართალდამცველთა განცხადებით, „კალატოზა“ შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნების მხარდაჭერითაც სარგებლობდა, გავლენიანი „კრიშების“ წყალობით თურმე ბუზსაც ვერავინ აუფრენდა. სამარშრუტო ტაქსების ურჩი მძღოლების მოსარჯულებლად კი ყოფილი მოჭიდავეებისგან შექმნილი ჯგუფი „მუშაობდა“. ასე რომ, პოლიტიკური „კრიშისა“ და დაკუნთული მოჭიდავეების მეშვეობით, „კალატოზამ“ საკუთარი იმპერია შექმნა.

სხვადასხვა დანაშაულში ეჭვმიტანილ „კალატოზას“, ცხადია, შესაბამის ბრალდებებს წაუყენებენ, მაგრამ ქართული თემიდა იმითაც დაინტერესდება, ვინ უმაგრებდა ზურგს „მარშრუტკების“ მეწილეს.

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ქარსელაძესთან კოლოსალური თანხები მიდიოდა, ეს კი მას ახალი ბიზნესის წამოწყების საშუალებას აძლევდა. სწორედ დავით ქარსელაძის კუთვნილებაა ელიავას ბაზრობაზე, სამხედრო ნაწილთან წამოწყებული ახალი ბაზრის მშენებლობა. ბიზნესის გარდა, „კალატოზა“ მეცენატობდა კიდეც. როგორც მოჭიდავეები ამბობენ, ქარსელაძეს არაერთხელ დაუფინანსებია ქართველ მოჭიდავეთა ტურნირები საზღვარგარეთ.

ვესაუბრებით სამარშრუტო ტაქსის მძღოლ **რუბენ მინასიანს:** — თვითონ კი არ დარბოდა ფულის ასაკრეფად, ბიჭები დადიოდნენ და ისინი აგვარებდნენ ყველაფერს.

— **რა თანხას იხდიდნენ მძღოლები?**

— გააჩნია სამარშრუტო ხაზს. ზოგი დღეში 20 ლარს იხდიდა, ზოგი — ათს, ზოგიც ნაკლებს, კაი ბიჭი იყავი და არ მიგეცა! სამაგიეროდ, სხვა ველარ წაართმევდა შოფრებს ფულს. ერთხელ ვაკელმა ბიჭებმა წაგვართვეს ფული. ორ დღეში იპოვეს და იმდენი ურტყეს, ცხვირ-პირი გაუერთიანეს... კარგია, თუ აღარ გამოგვართმევენ ფულს, მაგრამ ამ „კაი ბიჭების“ ქვეყანაში რაღაც არ მგონია, ეს მოხერხდეს. ახლა ალბათ სხვა „კალატოზა“ მოვა — ჭამა და ოჯახის რჩენა ყველას უნდა. ადრე იმიტომ არ იჭერდნენ „კალატოზას“, რომ პოლიციაშიც მიჰქონდა წილი. აბა, პოლიციელები ხომ არ დაგვიწყებდნენ დევნას, ფული მოგვეცითო. დღეს „ნაჩალსტვა“ შეიცვალა, აწი ალბათ სხვანაირად იქნება...

P. S. იმედია, გამომძალველობასა და რეკეტს ერთხელ და სამუდამოდ მოეღება ბოლო საქართველოში და ადამიანს, ტაქსის მძღოლი იქნება ეს თუ ხელზე მოვაჭრე, საკუთარი შრომითა და ოფლით მოპოვებულ კანონიერ ფულს ველარავინ წაართმევს.

***დავით დევიძე***

# „მერაბ ჟორდანია ვაზიარე და აღსარებაც ვათქმევინე...“

## ინტერვიუ ციხის ეკლესიის მოძღვართან

*რამდენიმე წლის წინ, როცა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მყოფმა კანონიერმა ქურდებმა ციხის ეზოში ეკლესიის აშენება გადაწყვიტეს, დახმარება ბიზნესმენებსა და ჩინოვნიკებს სთხოვეს. მართალია, მათ ფულის გადახდა დიდად არ ეჭაშნიკებოდათ, მაგრამ შავი სამყაროს ზეგავლენით იძულებული გახდნენ ეკლესიის მშენებლობაში თავ-თავიანთი წილი შეეტანათ. მაშინ ზოგი ამბობდა, ქურდებმა ბობოლა ჩინოვნიკებს ფული „დააწერესო“, ზოგი კი ფულის ნებაყოფლობით გაღებაზე ლაპარაკობდა. ასე იყო თუ ისე, „რეზბალნიცის“ ეზოში პატარა და კოხტა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია აშენდა.*

*ციხის ახლოს ეკლესიის არსებობა თავისთავად მისასალმებელი ფაქტია. სამოცდაათწლიანი ათეისტური ეპოქის შემდეგ საქართველოში ღვთისკენ შემობრუნება ეკლესიების შენებითაც გამოიხატა, ეს მადლი არც ციხეებში მსხდომ პატიმრებს უნდა მოჰკლებოდათ — ისინი ხომ ყველაზე მეტად საჭიროებენ ნუგეშისცემას.*

*დღეს „რეზბალნიცაში“ მყოფ ავადმყოფ პატიმრებს ეკლესიაში სანთლების დანთებაც შეუძლიათ, ლოცვაც და მოძღვრისთვის აღსარების ჩაბარებაც.*

*როგორი მრევლია პატიმართა კონტინგენტი, ამ თემაზე „კვირის პალიტრას“ საპატრიარქო კარის წმინდა გიორგის ტაძრისა და ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი* ***ლევან ფირცხალაიშვილი*** *ესაუბრება:*

— პატიმრობაში, განსაცდელის ჟამს, უფრო უჩნდება ადამიანს ღმერთთან სიახლოვის სურვილი. სხვა მხრივ კი პატიმრები ჩვეულებრივი მრევლია.

— **ეკლესიის აშენების ინიციატივა კანონიერ ქურდებს ეკუთვნოდათ?**



— დიახ. ამის სურვილი თვითონ პატიმრებმა გამოთქვეს. მაშინ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში კანონიერი ქურდი დათო კაკულია იჯდა. აქ საავადმყოფოა და პატიმართა სიკვდილიანობაც ხშირია. დათომ მითხრა, ლოცვის საშუალება გვინდა გვქონდესო. ასე დაიწყო ყველაფერი. ახლაც, თუ გარდაიცვალა ვინმე, ეკლესიაში პანაშვიდს ვუხდი და მერე მიჰყავს ოჯახს. რა მნიშვნელობა აქვს, კაცი პატიმარია თუ არა — ქრისტიანულად აღსრულების საშუალება ყველას უნდა ჰქონდეს. ამიტომ ეკლესიის აშენებით მართლაც დიდი საქმე გაკეთდა.

— **ახლა სააღდგომო მარხვაა. პატიმრები თუ მარხულობენ?**

— როგორც გარეთ არის ჭრელი საზოგადოება, ისეა პატიმრებშიც. ზოგი ღვთისმორწმუნეა, ჩემ მიმართაც პატივისცემითაა განწყობილი, მაგრამ არ მარხულობს. აქ არავითარ წესებს არ იცავენ, თავიანთი წესები აქვთ, მაგრამ ღვთისა და ეკლესიის მიმართ მოწიწებას და პატივისცემას გამოხატავენ. თუმცა ისეთებიც არიან, მარხვას და ყველა საეკლესიო წესს რომ იცავენ.

— **ეკლესიურად ცხოვრება თავისთავად გულისხმობს იმას, რომ დამნაშავემ კრიმინალურ საქმიანობაზე ხელი უნდა აიღოს.**

— რა თქმა უნდა, მაგრამ დღეს ხალხს საუკუნის სენი შეეყარა — რაღაცნაირად ახერხებენ გარეგანი ეკლესიური ცხოვრების დანაშაულებრივ ქმედებებთან შეთავსებას. ადამიანი პირველ ნაბიჯებს რომ დგამს ღვთისკენ, ჩემთვის ესეც საკმარისია. წმინდანობას არავის ვთხოვ.

— **ხშირად ამბობენ აღსარებას და გულწრფელები თუ არიან ამ დროს?**

— გულწრფელობაზე ვერაფერს გეტყვით. მაგის გამკითხავი არ ვარ. რასაც აღიარებენ, იმაზე ვუკითხავ შენდობის ლოცვას. ისე კი, თუ გულწრფელი არ იქნება, მაშინ რაღა უნდა ჩემთან?

— **შეიძლება ისეთი დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი, რომელზეც სასჯელს არ იხდის. რამდენად ენდობა მოძღვარს ასეთ დროს პატიმარი? მით უმეტეს, რომ ადრე ასეთი პრეცედენტი არსებობდა და ხშირად სპეცსამსახურები მღვდლებისგან ინფორმაციებს იღებდნენ.**

— ასეთი ტენდენცია მართლაც არსებობდა. იგი კომუნისტებისა და ათეისტების დამკვიდრებული მეთოდია. როცა აღსარებას აბარებ, აბარებ საკუთარ ცოდვას. ვეკითხები: მოგიპარავს? მპასუხობს — მომიპარავს. დაწვრილებით თუ გამოვკითხე, სად მოიპარა და ვის მოჰპარა, მაშინ ხომ თანამონაწილე ვხდები?.. აღსარებისას კონკრეტულ ცოდვას აღიარებენ და არა მის დეტალებს. ზოგმა შეიძლება წინასწარ გაამხილა თანამზრახველები და შემდეგ მე გადმომაბრალოს: მღვდელს აღსარება ვუთხარი და იმან ჩაგიშვათო. ამიტომ ასე არ ვიღებ აღსარებას. ვეკითხები: მკვლელობის ცოდვა გაქვს? — მპასუხობს და მორჩა, მეტს აღარაფერს ვეკითხები. მკვლელს ეპიტიმიას ვადებ და ვუხსნი, როგორ უნდა მოიქცეს.

— **პოლიციელები თუ დაინტერესებულან პატიმართა აღსარებით?**

— არა, რას ამბობთ? ეკლესიაში პოლიციელებიც ლოცულობენ... იქ ჩვეულებრივი ურთიერთობებია. შემოწირულობებით არის აშენებული ეს ეკლესია. გაიძახოდნენ, გარეთ ხალხს ფულს აწერენ და ეკლესიას აშენებენო, ამის განსჯა არ მინდა. ბევრი მართლა გულწრფელად იღებდა მონაწილეობას ეკლესიის შენებაში.

მერაბ ჟორდანია ძალიან ეხმარებოდა ამ ეკლესიას. ვუთხარი: ხომ ხედავ, გარეთ არ დადიოდი ეკლესიაში, მაგრამ დიდი მადლი რომ გაქვს გაკეთებული, ღმერთმა არ დაგტოვა და მოგიყვანა აქმეთქი (იცინის). ვაზიარე, აღსარებაც ვათქმევინე... ასევე ვაზიარე აკაკი ჩხაიძე და დავით მირცხულავაც.

— **არ ნანობდნენ, ბევრი ფული შევჭამეთო?**

— მე მხოლოდ იმაზე ველაპარაკები, რასაც თვითონ აღიარებენ სინანულით — ეს კი სულ სხვა საქმეა. გგონიათ, მხოლოდ პატიმრები არიან დამნაშავეები და გარეთ დარჩენილები კი უდანაშაულონი? ზოგჯერ დამნაშავეს ისეთი ვინმე ასამართლებს, ცხრაჯერ მეტი ცოდვა რომ აქვს ჩადენილი. პატიმრობა ზოგჯერ თავისებური ღვთის წყალობაცაა — ადამიანს გამოარჩევს საიმისოდ, რომ ღრმად დააფიქროს. ზოგი ისე მიდის ამ ქვეყნიდან, ერთხელაც არ დაფიქრდება ღმერთზე. პატიმარს კი მეტი მიზეზი აქვს საკუთარი ცოდვების გაცნობიერებისა თუ სინანულისათვის.

— **გქონიათ შემთხვევა, რომ პატიმარს ხელი აეღოს დანაშაულებრივ საქმიანობაზე?**

— როგორ არა. გგონიათ, მოსწონთ ასეთი ცხოვრება? ვინ საით წავიდა, როგორ წარიმართა მისი ცხოვრება, ამას მხოლოდ ღმერთი განსჯის და არა — ადამიანი.

— **ათეისტებიც ხომ არიან, ან სხვადასხვა სექტის წარმომადგენლები?**

— აქ ყველაფერი გარკვეულია. არავინ არავის ჩაგრავს, მაგრამ სექტანტებმა ქადაგება რომ დაიწყონ, ცხვირ-პირს მიუმტვრევენ. სხვა მხრივ კი, როგორც გითხარით, ჩვეულებრივი მრევლია, ისეთივე ჭრელი, როგორიც გარეთ.

— **სულ მალე ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული დადგება, რას ეტყოდით საქართველოს ციხეებში მსხდომ პატიმრებს?**

— ყველაფერი, რაც ხდება და რაც ეკლესიის მიერ არის დადგენილი, მარხვა იქნება თუ დღესასწაული, შინაგანად, გულში უნდა განიცადო. ნათქვამია: უფალი ასჯერ რომ დაბადებულიყო, შენს გულში თუ არ დაიბადა, დაღუპული ხარო. ჩვენს გულებში უნდა ხდებოდეს აღდგომა. ამას ვუსურვებ ყველა პატიმარს... და ყველა ქრისტიანს.

***დავით დევდარიანი***

# „დაუწერელი კანონია — კილერს შემკვეთი პირადად არ ესაუბრება“

## „ტერორიზმის საბოლოოდ დამარცხება არც ერთ სპეცსამსახურს არ შეუძლია“

ტერორიზმის თემა საქართველოში სულ უფრო აქტუალური ხდება. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქალაქის ქუჩებსა თუ მატარებლის ლიანდაგებზე სერიული აფეთქებების შემდეგ კილერების ჯერი დგება. ათი დღის წინ დაკავებული ლერი ბერიძის საქმეს, რომელსაც უშიშროების მაღალჩინოსანთა ინფორმაციით, აბაშიძის ოპოზიციის ლიდერების ლიკვიდაცია ჰქონდა დავალებული, გასულ პარასკევს სკანდალური გაგრძელება მოჰყვა. უშიშროების მინისტრის მოადგილის, გიგი უგულავას განცხადებით, აჭარელი ტერორისტების სამიზნეს ქვეყნის პირველი პირი — მიხეილ სააკაშვილი წარმოადგენდა. უგულავას თქმით, ლერი ბერიძე ორი კვირის განმავლობაში სწავლობდა თბილისში პრეზიდენტის გადაადგილების მარშრუტს. დანარჩენი, ანუ გასროლა ჯგუფის სხვა წევრებს — გია და ბადრი საგინაძეებს, გოჩა სიამაშვილს, ჯამბულ გუჩმანიძეს და ედუარდ მსხალაძეს ჰქონდა დავალებული. უშიშროების სამინისტროს ინფორმაციით, კილერები ბათუმიდან, კონკრეტულად, ასლან აბაშიძის ცოლისძმისგან — უშიშროების მინისტრ სოსო გოგიტიძისგან იღებდნენ დირექტივებს. როგორ მოახერხა უშიშროების სამინისტრომ ამ პირთა განეიტრალება და აყვანა, ოპერატიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, არ ხმაურდება. თუმცა, ცნობილია, რომ პრეზიდენტზე თავდასხმის გეგმაში მხოლოდ „თბილისური სცენარი“ არ ყოფილა გათვალისწინებული — შესაძლოა, სააკაშვილისთვის წალენჯიხაში ან რომელიმე სხვა რეგიონში ესროლათ. ერთ-ერთმა დაკავებულმა — ედუარდ მსხალაძემ აღიარა, რომ სოსო გოგიტიძემ იგი საგანგებოდ გამოიყვანა ციხიდან, სადაც უდანაშაულოდ იხდიდა სასჯელს და თავისუფლების სამაგიეროდ ტერაქტის განხორციელება შესთავაზა. „დავინტერესდი, რაზე იყო ლაპარაკი, — ამბობს ედუარდ მსხალაძე, — გოგიტიძემ ქაღალდზე დამიწერა: „სააკაშვილი“. მივხვდი, რომ პრეზიდენტის მოკვლას მთავაზობდნენ...“ მსხალაძეს თუ დავუჯერებთ, უარის თქმას და ციხეში დაბრუნებას, თანხმობა და შემდგომ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლებთან ჩაბარება ამჯობინა.

თბილისში გაკეთებული ეს სკანდალური განცხადება ბათუმში სასაცილოდ არ ჰყოფნით. იქაურების აზრით, ცენტრალური ხელისუფლება „კუდიანებზე ნადირობის“ სეზონს ხსნის და აჭარაში რეპრესიების დასაწყებად ნიადაგს ამზადებს.

სადავო საკითხების პოლიტიკური მოტივაციის გამო შეიძლება ვინმესთვის ძნელი გასარკვევი იყოს, მართლაც ნადირობდნენ პრეზიდენტზე თუ ეს სპეცსამსახურების ფანდია აბაშიძის საბოლოოდ დისკრედიტაციისთვის. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ბოლოდროინდელი მოვლენების ანალიზს — ლიანდაგების და ცისტერნების აფეთქება იქნება თუ აჭარის ქუჩებში აბაშიძის ბრძანებით სამხედრო ტექნიკის გამოჩენა — არასახარბიელო დასკვნებისკენ მივყავართ.

სპეცსამსახურების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ქვეყანაში მდგომარეობა შეიძლება კიდევ უფრო დაიძაბოს — ანუ არის ტერორიზმის საშიშროება. ამ საკითხთან დაკავშირებით „კვირის პალიტრა“ სპეცსამსახურების ექსპერტს, **მერაბ აბესაძეს** ესაუბრა: — ტერორიზმი რომ მართლაც დიდ საშიშროებას წარმოადგენს, დღეს აღარავისთვის არის საეჭვო. ამ სენით მთელი მსოფლიოა დაავადებული და გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად მოახერხებს ცენტრალური ხელისუფლება მდგომარეობის გაკონტროლებას, თორემ ტერორიზმის სავსებით აღმოფხვრა შეუძლებელია.

— **რას გულისხმობთ?**

— როცა დივერსიული აქტი სრულდება, ჯოხი კონტრდაზვერვასა თუ სხვა სამსახურებზე ტყდება. ერთი მხრივ, ეს ლოგიკურიცაა, მაგრამ პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ისეთი ქვეყნების სპეცსამსახურებიც კი ვერ ახერხებენ ტერორისტული აქტების შესახებ წინასწარი ინფორმაციის მოპოვებას, როგორიცაა ამერიკა, ინგლისი ან ისრაელი. ტერორისტები, როგორც წესი, ფანატიკოსები არიან და ზესაიდუმლო ვითარებაში გეგმავენ ასეთ აქტებს. ამიტომ მისი სრულიად აღმოფხვრა შეუძლებელია, მხოლოდ მის ლოკალიზაციაზე თუ შეიძლება ლაპარაკი.

— **რა უნდა გაკეთდეს საქართველოში, რომ ეს საფრთხე ავიცილოთ თავიდან?**

— გიმეორებთ, იმის თქმა, რომ ჩვენ ნებისმიერ ასეთ გეგმას გამოვააშკარავებთ და აღვკვეთთ, ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრაა. სამაგიეროდ, სპეცსამსახურებს შეუძლიათ ტერაქტების ლოკალიზება. თუმცა, უსახსრობისა და თანამედროვე აპარატურის უქონლობის გამო, ეს ძნელია. დიდი მნიშვნელობა აქვს ერთ ფაქტორსაც: ვიდრე ჩვენს ქვეყანას არ დაუბრუნდება დაკარგული ტერიტორიები და საფუძვლიანად არ გავაკონტროლებთ საზღვრებს, ტერორიზმის საფრთხე ყოველთვის დაგვემუქრება.

*(გაგრძელება იხ. გვ. 27)*

# „მისმა კაცმა შემომთავაზა, მოგების 93% მუმლაძისთვის დამეთმო“

# „პირველი ლედის ქუთაისელი მამობილი გამომინახეს საქმის ჩასაწყობად“

მას შემდეგ, რაც თბილისში მოვიძიე მასალა საქართველოს მრეწველობის ყოფილი ფლაგმანის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის შესახებ, დღის წესრიგში დასავლეთ საქართველოში ჩემი მივლინების საკითხი დადგა. გადაწყვეტილი მქონდა, საკუთარი თვალით მენახა ქარხანა, თანაც ქუთაისში კიდევ რამდენიმე რესპონდენტს შევხვედროდი. სანამ გავემგზავრებოდი, ფეროშენადნობთა ქარხნის თბილისის ოფისს დავუკავშირდი და მის თანამშრომლებს ქარხნის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და საწარმოში ექსკურსიის ორგანიზება ვთხოვე. მალე ოფისიდან გიორგი ბახტაძე დამიკავშირდა, თვის ბოლო დღეები მოიმიზეზა და შეხვედრა შემდგომი კვირისთვის გადამიდო. თავისთავად გამოირიცხა ქარხანაში ჩემი შესვლის შესაძლებლობა. თუმცა ამას ველოდი კიდეც, რადგან საქართველოს მეტალურგიის ინსტიტუტში გამაფრთხილეს, — „ზესტაფონის ფერო მისმა ხელმძღვანელობამ ჩაკეტილ ობიექტად აქცია — იქ ჟურნალისტს კი არა, ჩვენც, თეორეტიკოს-მეტალურგებსაც არ გვიშვებენ. ეშინიათ, ის დარღვევები არ დავაფიქსიროთ, რაც დღეს არის ფეროში. ასე რომ, უთუოდ რაღაცას მოიმიზეზებენ და შეხვედრაზე უარს გეტყვიან.“ მართლაც ასე მოხდა, მაგრამ იხტიბარი არ გავიტეხე, მაინც გავემგზავრე და ქუთაისში „შტაბი“ მოვიწყვე.

მეორე დღეს, დილით, ქუთაისის მერიის შენობასთან, რესპონდენტთან შეხვედრის ადგილზე ცოტა ნაადრევად გამოვცხადდი. მერიის წინ უამრავი ადგილობრივი და ჩემსავით თბილისიდან ჩამოსული ჟურნალისტი შეკრებილიყო. იერზე ეტყობოდათ, რომ სენსაციის მოლოდინში იყვნენ და ერთმანეთს საიდუმლოდ ეჩურჩულებოდნენ. გავფაციცდი, აშკარად რაღაც ხდებოდა. რამდენიმე ნაცნობ ჟურნალისტს ვთხოვე, ჩემთვისაც გაემხილათ საიდუმლო. „თბილისიდან „სპეცნაზი“ ჩამოვიდა იმერეთის ახალი გუბერნატორის დასაპატიმრებლად. როგორც ამბობენ, მან ჩვენი პირველი ლედის ქუთაისელი მამობილის ბიზნესინტერესები უკანონოდ შელახა — ფირუზ კინწურაშვილის კუთვნილი მეორადი სილიკომანგანუმი დააკავა და თურმე შესთავაზა, ტვირთს გავათავისუფლებ, თუ წილში გამიყვანო. კინწურაშვილს პრეზიდენტთან უჩივლია და „სპეცნაზი“ უკვე ქუთაისშია“, მითხრეს ჟურნალისტებმა.

ფოტოაპარატი შევამოწმე და ათი ყური და ამდენივე თვალი გამოვისხი, რომ მუმლაძის დაპატიმრება არ გამომპარვოდა. ხონში ბავშვობაგატარებულს ქუთაისური ხუმრობა არაერთხელ მიგემია, მაგრამ ფაქტია, საპირველაპრილო ანკესზე მაინც წამოვეგე, ისევე როგორც სხვა ჟურნალისტები. ჩემმა კოლეგამ, ქუთაისელმა ჟურნალისტმა ფრიდონ კერვალიშვილმა კი ასეთი რამ მითხრა: „ჩვენ ვხუმრობთ, მაგრამ ბევრს უნდა ახალი გუბერნატორის იმერეთიდან მოშორება. ზოგი დღესაც თემურ შაშიაშვილს მისტირის და ალბათ იმ ხალხმა დაუყარეს ხმა. არც ის არის გამორიცხული, ამ ჭორის გავრცელების ერთ-ერთი ავტორი პირველი ლედის მამობილი ფირუზ კინწურაშვილი და მისი ძმაკაცები იყვნენ“. ეს რომ მოვისმინე, ბუნებრივია, ფირუზ კინწურაშვილთან შეხვედრა მოვითხოვე. რამდენიმე წუთში მერიის წინ კაფანდარა მამაკაცი შემხვდა, რომელიც ქუთაისელ ბიზნესმენად, **ფირუზ კინწურაშვილად** გამეცნო და მისალმების შემდეგ ჯიქურ ვკითხე:

— **სანდრას მამობილი როგორ გახდით?**

— ჩვენ შორის მამაშვილური დამოკიდებულება რამდენიმეწლიანი ურთიერთობის შემდეგ თავისთავად დამყარდა. ღმერთმა ქალიშვილი არ მომცა, მხოლოდ ორი ვაჟი მყავს და სანდრას ჩემს ქალიშვილად ვთვლი. ისიც მამობილს მიწოდებს.

— **სად და როდის გაიცანით?**

— 12 წლის წინ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი მქონდა. მოსკოვის გავლით ჰოლანდიიდან ჰუმანიტარული მისიით კულტურული მცენარეების თესლები ჩამოიტანეს საქართველოში. ჰოლანდიური ჰუმანიტარული ორგანიზაციის ჯგუფს სანდრაც ჩამოჰყვა. მათ სოხუმის აეროპორტში დავხვდით მანქანებით. ომის დაწყებამდე რამდენიმე კვირა იყო დარჩენილი, ჰაერში დენთის სუნი ტრიალებდა. სანდრა და მისი მეგობრები სასწრაფოდ ქუთაისში წამოვიყვანე. რამდენიმე კვირა იყვნენ ჩემს ოჯახში სტუმრად, ქალაქში ყაჩაღები და მხედრიონელები დათარეშობდნენ და ამიტომ სხვაგან ვერ დავაბინავებდი. როდესაც საქმეს მოვრჩით, გადავწყვიტე მათთვის საქართველო დამეთვალიერებინა. მოვიარეთ იმერეთი, რაჭა და ლეჩხუმი. სწორედ მაშინ შეუყვარდა სანდრას საქართველო და ქართველები. ასე ნელ-ნელა დავუახლოვდით ერთმანეთს. თვითონაც ბევრს მიამბობდა თავის და ჰოლანდიის ამბებს. ძალიან დაუახლოვდა ჩემს მეუღლესაც — სანდრა ისეთია, შეუძლებელია მის მიმართ სიმპათიით არ განიმსჭვალო. მერე კოპიტნარის აეროპორტიდან გავამგზავრე. აი, ეს ფოტოც მაშინ არის გადაღებული. შემდეგ ხშირად ვწერდით ერთმანეთს. ერთხელაც, სტრასბურგში სწავლისას, მომწერა, ქართველი ბიჭი გავიცანი, მიშა სააკაშვილიო. გავიდა ხანი და ქორწილშიც დამპატიჟა, მაგრამ სამწუხაროდ ვერ წავედი. გათხოვების შემდეგ უფრო დავახლოვდით, ხშირად ჩამოდიოდა ქუთაისში. მისი მშობლებიც, ბატონი ედვარდი და ქალბატონი მაგდაც გავიცანით.

— **გავიგე, პრობლემები გაგჩენიათ იმერეთის ახალ გუბერნატორთან...**

— ამჟამად მე ერთ-ერთი ფრანგული კომპანიის წარმომადგენელი ვარ. ეს კომპანია საფრანგეთში კია დაარსებული, მაგრამ თურქეთში საქმიანობს. საქართველოში მეორადი სილიკომანგანუმის ნარჩენების შესყიდვა მევალება. მოგეხსენებათ, საბჭოთა პერიოდში მეორად ნარჩენებს გზების დასაგებად ხმარობდნენ ან ყრიდნენ. ზესტაფონელებმა ნარჩენების მოპოვება დაიწყეს და სილიკომანგანუმის უამრავი მიმღები პუნქტი გაიხსნა. სწორედ მათგან ვყიდულობ მეორად ნარჩენებს და საფრანგეთში, ჩემს კომპანიას ვუგზავნი. შარშან, წლის ბოლოს, შპს „მელოდიამ“ ფრანგულ კომპანიასთან გააფორმა ხელშეკრულება 1.000 ტონა სილიკომანგანუმის ნარჩენის მიწოდების თაობაზე. დაახლოებით ერთი თვის წინ „მელოდიამ“ 400 ტონა საქონელი ფოთში, გემში ჩატვირთა. ის იყო, დანარჩენი 600 ტონაც უნდა გადაგვეტვირთა, რომ იმერეთის გუბერნატორის ბრძანებით საქონელი უკანონოდ დააკავეს. ჩვენ უკანონო ბიზნესი არ გვაქვს. მეორადი სილიკომანგანუმის საქართველოდან გატანა, ასევე მისი მოპოვება, კანონით დაშვებულია. გვაქვს მისი წარმოშობის სერტიფიკატიც და მოპოვების ლიცენზიაც. მიუხედავად ამისა, გუბერნატორის მითითებით ტვირთი საფრანგეთში არ გაუშვეს. მეტიც, 400 ტონა სილიკომანგანუმი სახელმწიფო ხარჯით უკან გადმოტვირთეს და გემი ცარიელი გაუშვეს. ამით ქვეყანამ დაახლოებით 40 ათასი დოლარი იზარალა.

ამ საქმეს 20 დღის განმავლობაში იძიებდა ქუთაისის ტრანსპორტის პროკურატურა, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს და მოსაკვლევად ზესტაფონის საქალაქო პროკურატურას გადაუგზავნეს. რამდენიმე დღე ჰქონდა პროკურორს საქმე და როგორც მან მითხრა, გადაუგზავნა ახალშექმნილ ფინანსურ პოლიციას.

— **რატომ გიშლიან ხელს, აკი ამბობთ, კანონს არ ვარღვევთო?**

— გუბერნატორს მეორადი სილიკომანგანუმის საექსპორტო ბიზნესის ხელში ჩაგდება უნდა. ადრე შევარდნაძეების კლანი აკონტროლებდა არა მარტო მეორადი სილიკომანგანუმის გატანას, არამედ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას, მანგანუმის შენადნობთა წარმოებასა და გაყიდვას საზღვარგარეთ. თუ კანონიერი პრეტენზია ჰქონდა მუმლაძეს ან სამართალდამცავ ორგანოებს, ან თუნდაც საგადასახადო ინსპექციას, დაედოთ ჩვენს ანგარიშზე ყადაღა და ტვირთი არ გაეჩერებინათ. ნურც ჩვენ გვაზარალებდა და ნურც სახელმწიფოს იმ 40 ათას დოლარს, რომელიც ტვირთის გადმოტვირთაში დაიხარჯა.

— **პირადად თუ შეხვდით მუმლაძეს?**

— პირადად არა, მე ვერც ფულს მომთხოვდა და ვერც წილში ჩაჯდომას, მაგრამ მისმა კაცმა შემომთავაზა, მოგების 93% მუმლაძისთვის დამეთმო. გამოდის, მე მხოლოდ 10 დოლარს მიტოვებდა თითოეული ტონა მეორადი სილიკომანგანუმის ექსპორტიდან, თვითონ კი 140 დოლარი უნდა დარჩენოდა. ე.ი. სავარაუდოდ, საფრანგეთში გასატანი 1000 ტონა ტვირთიდან 140 ათას დოლარს მოიგებდა. ძარცვაა ეს, აბა, რა არის?!

— **თქვენს შვილობილს თუ შეატყობინეთ ამის შესახებ?**

— სანდრა ჩემი ახლობელია და არ მინდა გული ვატკინო. არც პრეზიდენტის შეწუხება მინდოდა, მაგრამ სხვა გზას აღარ მიტოვებს იმერეთის გუბერნატორი. მანამდე კი წერილიც მივწერე შესაბამის სამსახურს, თუმცა ჩანს, იგი პრეზიდენტამდე არ მიიტანეს...

ფირუზ კინწურაშვილს კიდევ რამდენიმე კითხვით მივმართე ბიზნესთან დაკავშირებით და, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი პასუხები მივიღე. მაგალითად, მან ვერ დამისახელა იმ ფრანგული კომპანიის სრული სახელწოდება, რომლის შუამავლადაც თავი წარმომიდგინა. არც ის იცის, რამდენად ყიდულობს მოსახლეობისგან მეორად სილიკომანგანუმს შპს „მელოდია“ და თვითონ ფეროშენადნობთა ქარხანა. ერთი სიტყვით, ბევრმა რამემ დამაეჭვა და ვითარებაში გასარკვევად შპს „მელოდიას“ დავუკავშირდი ადგილობრივი ჟურნალისტის მეშვეობით. ბევრი ყოყმანის შემდეგ, ერთ-ერთმა თანამშრომელმა მიამბო: „სილიკომანგანუმის ბიზნესში მხოლოდ იმ ხალხს შეუძლია მონაწილეობა, ვინც ხელისუფლებასთან არის დაახლოებული. ადრე ჩემი ფირმის ხელმძღვანელობა იმერეთის ყოფილი ხელისუფლების ზოგიერთ მაღალჩინოსანთან იოლად პოულობდა საერთო ენას, ახლა სიტუაცია შეიცვალა. ჯერჯერობით, მუმლაძესთან შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ და როგორც ჩანს, ვერც მოვრიგდებით. მაგრამ სხვა გზებს ვეძებთ“.

ჩვენ პრეზიდენტის რწმუნებულს იმერეთის მხარეში **დავით მუმლაძეს** აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ. მისი განცხადებით: — შევარდნაძის ხელისუფლებამ ისეთი საკანონმდებლო ბაზა შექმნა, რომ მეორადი სილიკომანგანუმის საქართველოდან ექსპორტის ბიზნესი (და არა მარტო ამ საქონლის) დამნაშავეების ხელში აღმოჩნდა.

— **რატომ არ მიეცით ფოთში ჩატვირთული მეორადი სილიკომანგანუმის ექსპორტის უფლება?**

— როგორც გითხარით, ეს ბიზნესი საეჭვო პირების და ფირმების ხელშია იმერეთში. ისინი, მათ შორის შპს „მელოდია“, ძირითადად, ყალბი აქტივებით არიან დაკავებულები — ფულის გასათეთრებლად და ყალბი აქტივებისთვის სჭირდებათ ეს ბიზნესი. სხვათა შორის, ამ საქმიანობაში საქართველოს საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლებიც არიან გარეულები — ჩათვლების მექანიზმის გამოყენებით ქმნიდნენ ყალბ აქტივებს და იმერეთში არსებულ ქარხნებს იოლად ყიდულობდნენ.

— **შპს „მელოდიასა“ და ფრანგულ ფირმას შორის შუამავალი, კინწურაშვილი თქვენ გადანაშაულებთ ამ ბიზნესის არაკანონიერად ბლოკირებაში.**

— ფირუზ კინწურაშვილმა, რომელიც თავს ამ ფირმის წარმომადგენლად ასაღებს, სცადა მეორადი სილიკომანგანუმის საზღვარგარეთ გატანა. იგი შპს „მელოდიას“ ეკუთვნოდა და მის ფინანსურ საქმიანობას ახლა ვიკვლევთ. ყალბი აქტივების საქმეზე უკვე დაკავებულია ერთი პირიც. ისინი ცდილობენ ჩემზე ზეწოლა მოახდინონ. თავდაპირველად, იმაზე მეტი თანხა შემომთავაზეს, ვიდრე გასატანი ნედლეული ღირდა, ანუ 100 ათასი დოლარი. სამაგიეროდ, ხელი არ უნდა შემეშალა მეორადი სილიკომანგანუმის ექსპორტისათვის. როდესაც ვერაფერს გახდნენ, სხვა ხერხს მიმართეს — საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელს, ვინმე ლიპარტელიანს დაარეკვინეს ჩემთან. როდესაც ამანაც არ გაჭრა, პირველი ლედის ქუთაისელი მამობილი გამომინახეს საქმის ჩასაწყობად. ამ კაცს ფული შესთავაზეს იმის სანაცვლოდ, რომ ჩემთან საქმე ჩაეწყო. ეგონათ, პრეზიდენტის ოჯახთან დაახლოებულ პირს უარს ვერ ვეტყოდი, მაგრამ ხელი მოეცარათ. გაიგოს ყველამ, რომ კანონი ყველასათვის ერთია და აღებმიცემობის დრო საქართველოში წარსულს ჩაჰბარდა. ფინანსური პოლიცია აგრძელებს გამოძიებას და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ უახლოეს ხანში კიდევ რამდენიმე პირს დააკავებენ. კინწურაშვილის განცხადება უბრალოდ ცილისწამებაა. არ გამოვრიცხავ, მისი პასუხისმგებლობის საკითხიც დავაყენო შესაბამის ორგანოში.

— **ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საქმიანობაზე რას გვეტყოდით?**

— დღეს საწარმო შევარდნაძეების კლანის ხელშია... ამიტომ საქართველოს ხელისუფლებას საწარმოში სხვადასხვა რადიკალური ღონისძიების გატარება აქვს გადაწყვეტილი.

P.S. ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში ამ სტატიის გაგრძელებას შემოგთავაზებთ. მკითხველისთვის უთუოდ საინტერესო იქნება იმის გაგება, რა ხდებოდა და რა ხდება დღეს საქართველოს მრეწველობის ყოფილი ფლაგმანის საამქროებში; რას აპირებენ ცენტრალური ხელისუფლება და იმერეთის გუბერნატორი დავით მუმლაძე ზესტაფონში? იმედია, თავის სიტყვას არც ზესტაფონის ფეროშენადნობთა თბილისის ოფისის წარმომადგენელი უღალატებს და შემდგომ სტატიამდე ქარხნის ხელმძღვანელობასთან შეგვახვედრებს და ქარხანასაც დაგვათვალიერებინებს.

P.P.S. ქუთაისიდან ინფორმაციებითა და სხვადასხვა მასალით დატვირთული გამოვემგზავრე. თბილისის გზა ზესტაფონში პირდაპირ ფეროშენადნობთა ქარხნის გვერდით გადის. ქარხნის რამდენიმე საამქრო ყვითელ კვამლში იყო გახვეული, რაც იმას ნიშნავდა, რომ მანგანუმის შენადნობი „იხარშებოდა“. ვისთვის? სახელმწიფო ბიუჯეტისათვის თუ... ამას მომავალში შევიტყობთ.

***ზვიად ჩაკვეტაძე***



2003 წლის ზაფხული, შოვი. სანდრა შვილთან, დედასთან (ცენტრში) და მამობილთან ერთად



კოპიტნარის აეროპორტი, 1992 წელი. სანდრა (ცენტრში) მამობილთან და მეგობრებთან ერთად, სამშობლოში გამგზავრებამდე

> ეს ბიზნესი საეჭვო პირების და ფირმების ხელშია იმერეთში. ისინი, მათ შორის შპს „მელოდია“, ძირითადად, ყალბი აქტივებით არიან დაკავებულები — ფულის გასათეთრებლად და ყალბი აქტივებისთვის სჭირდებათ ეს ბიზნესი. სხვათა შორის, ამ საქმიანობაში საქართველოს საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლებიც არიან გარეულები...

> ჩვენ უკანონო ბიზნესი არ გვაქვს. მეორადი სილიკომანგანუმის საქართველოდან გატანა, ასევე მისი მოპოვება, კანონით დაშვებულია. გვაქვს მისი წარმოშობის სერტიფიკატიც და მოპოვების ლიცენზიაც. მიუხედავად ამისა, გუბერნატორის მითითებით ტვირთი საფრანგეთში არ გაუშვეს. მეტიც, 400 ტონა სილიკომანგანუმი სახელმწიფო ხარჯით უკან გადმოტვირთეს და გემი ცარიელი გაუშვეს.

# „დავუხრიალე თვალები და სახლში გავუშვი“

## „არც გულს გავიტეხ, არც ხელს ჩავიქნევ და არც სამშობლოს გავებუტები...“



ნათელაშვილს ჯერ შევარდნაძე ექცა ბედისწერად და მერე სააკაშვილი. მშრომელთა პარტიას უკვე მესამედ გაუცრუვდა პარლამენტში მოხვედრის იმედი. დამსხვრეულმა ოცნებებმა ლეიბორისტებს ერთხანს ქუჩის აქციების მოწყობა და ცესკოს წინ შიმშილობაც კი აფიქრებინა, მაგრამ შალვა ნათელაშვილი უმალვე მიხვდა, რომ ამ გზით სააკაშვილთან ვერაფერს გახდებოდა და ისევ ნაცად ხერხს მიმართა — სასამართლოში სარჩელები აფრინა. ასე რომ, ნათელაშვილი სააკაშვილთან შერკინებას საერთაშორისო რინგზე აპირებს და მომავალი გვიჩვენებს, რა გამოვა ამ საქმიდან.

როგორ გუნებაზეა და რას ფიქრობს **შალვა ნათელაშვილი**, „კვირის პალიტრამ“ ამის გარკვევა სცადა და იმედოვნებს, რომ მკითხველის ცნობისმოყვარეობაც დააკმაყოფილა.

— **ბატონო შალვა, ლეიბორისტები ამჯერად რატომ ვეღარ მოხვდით პარლამენტში?**

— რატომ არ მოხვდა გამარჯვებული ლეიბორისტული პარტია პარლამენტში 1999 წელს? იმიტომ, რომ არ შეუშვეს. რატომ არ მოხვდა გამარჯვებული პარტია 2003 წლის ნოემბერში პარლამენტში? იმიტომ, რომ არ შეუშვეს. რატომ ვერ მოვხვდით პარლამენტში 28 მარტის არჩევნების შემდეგ? მიზეზი იგივეა — არ შეგვიშვეს. იმიტომ გვებრძვიან, რომ ჩვენ მათ ინტერესებს კი არა, ხალხის ინტერესებს ვიცავთ. ამის გამო შეგვრაცხეს მტრებად...

არჩევნებამდე ორი დღით ადრე 15 ათასი თბილისელი მოვიდა სპორტის სასახლეში ჩვენს მხარდასაჭერად. თითო კაცის უკან სულ მცირე 5 კაცი (ოჯახის წევრი, ნათესავი და საყვარელი) ხომ მაინც იგულისხმებოდა? ეს ჯამში 75 ათასი კაცია, არჩევნებზე კი თბილისში მხოლოდ 30 ათასი ხმა დაგვიწერეს. მცხეთაში, ჩემს სამშობლოში, 2 ათასი ხმა მიგვილია თურმე, მაშინ, როდესაც მხოლოდ სოფელ მისაქციელში ავიღებდი 2 ათას ხმას. დუშეთიდან 4 ათასი ხმა წამოუღია სააკაშვილს, როცა ვიცი, რომ ორი კაციც არ მისცემს იქ ხმას. ეს იყო არჩევნების ურცხვი, უზნეო გაყალბება. ამათ, ფაქტობრივად, ლეიბორისტული პარტია და შალვა ნათელაშვილი კი არ დატოვეს პარლამენტგარეთ, არამედ ათიათასობით ჩვენი მხარდამჭერი.

რუსთაველის გამზირზე მიტინგი დროებით შევწყვიტეთ, სასამართლო ინსტანციებში ვაპირებთ ხელისუფლების მხილებას, არც ევროპის სასამართლოში ჩივილს მოვერიდებით. მინდა მათ შევახსენო, — შევარდნაძის დაღმასვლა 1999 წელს დაიწყო, როდესაც არჩევნები გაგვიყალბა და ეს მთელ მსოფლიოს გავაგებინეთ. ამის შემდეგ უთხრეს შევარდნაძეს ევროპელებმაც და ამერიკელებმაც — ახლა გვერდზე გადექიო. მე, შალვა ნათელაშვილი და ლეიბორისტული პარტია მალე იმ ეკალსაც მოვაცილებთ, რომელიც სააკაშვილის ვარდის ყლორტს გამოუვიდა.

— **რატომ შეწყვიტეთ აქცია?**

— ჩვენი პარტიის წევრები, ბავშვები შიმშილობდნენ. ვეუბნებოდი, ღამე მაინც შეჭამეთმეთქი რამე, არ დამიჯერეს და ცუდად გახდნენ. ამიტომ დავუბრიალე თვალები და სახლში გავუშვი, აბა, ხომ არ დავხოცავდი.

— **თქვენს მოწოდებებს — აქციაზე მოდითო, ბევრი არ გამოხმაურებია, ცესკოს წინ არცთუ დიდი ხალხმრავლობა იყო.**

— დიდი აქციის მოწყობა არც გვქონია მიზნად. გამაფრთხილებელი გამოსვლები დავგეგმეთ. 1.500 კაცი კი იდგა აქციაზე და ამაზე მეტის გამოყვანა თავად არ მოვინდომეთ. დიდი ფორმატის აქციები სამომავლოდ გაიმართება და მათ მთელი მსოფლიო იხილავს. სამართლებრივადაც ვიბრძოლებთ და პოლიტიკურადაც, რათა ქართველი ერი არ გადასანსლონ ამ ბაყბაყდევებმა. მთავრობა, რომელსაც ხელფასს თაღლითი მილიარდერი სოროსი უხდის, მთავრობა, რომელიც 2-ათასიან ხელფასს ინიშნავს, მაშინ როდესაც ხალხს 17 ლარი აქვს პენსია, მთავრობა კი არა, ქვეყნის მტერია.

— **ასეთი მაღალი ხელფასების დანიშვნასაც ხომ ჰქონდა ახსნა — თუ ჩინოვნიკებს მაღალი ხელფასი ექნებათ, ბიუჯეტს აღარ მოჰპარავენო.**

— ფუჭი არგუმენტია. ადამიანს თუ ზნეობა არ აქვს, მილიონი დოლარიც რომ დაუნიშნო ყოველთვიურად, მაინც გააყოლებს ხელს რაღაცას. მაღალი ხელფასი ქრთამის აღების შემაკავებელი არ არის. 70-იან წლებში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ აგნიუსს 200 ათასი დოლარი ჰქონდა ხელფასი და მექრთამეობისთვის გადააყენეს, იაპონიის პრემიერ-მინისტრი კი კომპანია „ბოინგისგან“ ქრთამის აღებას შეეწირა. ამ მთავრობას და მათ მინისტრებს რომ მექრთამეობას ვერ მოაშლევინებ, ეს ისე კარგად ვიცი, როგორც ის, რომ დედამიწა მზის სისტემის პლანეტაა.

— **რატომ ამბობთ, სააკაშვილმა პარლამენტში არ შეგვიშვაო, იქნებ...**

— მას მხოლოდ ჩვენი პარლამენტს გარეთ დატოვება კი არა, ლეიბორისტული პარტიის დაშლა აქვს განზრახული. ლეიბორისტული პარტია მას „მოქალაქეთა კავშირი“ ჰგონია, რომელიც პატარა სარჩოს გაყოფის გამოც შეიძლება დაიშალოს. მისი პარტია ჯერ პარლამენტში არ შესულა და უკვე 4 ფრაქციად არის დაყოფილი. ეტყობა, ფიქრობს, რომ ერთმანეთთან ჩვენც ანგარებიანი მიზნები გვაკავშირებს. ქვეყნის პრეზიდენტი იქამდეც კი მივიდა, რომ ჩემი პარტიის წევრებს კორტეჟს უგზავნის შინ, კაბინეტში იძახებს და ეუბნება — გამოდით მაგ პარტიიდან და რასაც მთხოვთ, გაგიკეთებთო. ერთი-ორს, ვინც სული ეშმაკს მიჰყიდა, აუსრულა კიდეც დანაპირები.

— **2 ნოემბრის არჩევნებშიც და ბოლოდროინდელ რეიტინგებშიც „მემარჯვენე ოპოზიციას“ და ლეიბორისტულ პარტიას ერთმანეთთან მიახლოებული რეიტინგი ჰქონდათ, მაგრამ პარლამენტში ისინი მოხვდნენ, ამას რით ხსნით?**

— ბიზნესმენის გამოჭერა და შეშინება ძალზე ადვილია — დაუბაკუნებენ ფეხს და გააჩერებენ. თუ არ გაჩერდებიან, შეუგზავნიან რევიზიას, ბიუჯეტში ფული არ გაქვს გადახდილიო და ამით გააჩერებენ. აბა, მე რით შემაშინებენ? ბიზნესი მე არ მაქვს, გრანტი და კრედიტი არ წამიღია, 25-მანქანიანი კორტეჟი და „ჯიპები“ მე არ მყავს და რაზე უნდა მომედავონ? მემარჯვენე ოპოზიცია ხელისუფლებისთვის უსაფრთხო ძალაა...

მოვუწოდებ ამ გაყალბებული პარლამენტის წევრებს, ნუ ჩადგამენ ცოდვაში ფეხს და პარლამენტის პირველივე სხდომაზე უარი თქვან საკუთარი უფლებამოსილების ცნობაზე. ამით საკუთარ თავს და მომავალსაც გადაირჩენენ და მსოფლიოსაც დაანახვებენ, რომ საქართველოში ოპოზიცია კუჭზე ზემოთ დგას. შემოდგომაზე დანიშნონ საპარლამენტო არჩევნები, მაშინ, როდესაც ამომრჩეველთა სიებიც მოწესრიგებული იქნება და არც კომისიაში ეყოლება სააკაშვილს 8 კაცი.

ჩვენ ვაპირებთ სახალხო პარლამენტის შექმნას, რომელიც ამ ახალდანიშნული პარლამენტის პარალელურად რუსთაველის გამზირზე გამართავს სხდომებს. მაინტერესებს, როგორ გამოვლენ დეპუტატები და პრეზიდენტი გარეთ...

— **ბატონო შალვა, დღეს ზედმეტად მშვიდი მეჩვენებით, თითქოს არაფერი მომხდარიყოს...**

— მთამ მომცა ასეთი ძალა და ამტანობა. ჩემი გატეხა შეუძლებელია. მთელი მსოფლიო რომ ეცადოს, ვერაფერს დამაკლებენ, თუ ვიცი, რომ მართალი ვარ. პარლამენტგარეთ დარჩენის გამო არც გულს გავიტეხ, არც ხელს ჩავიქნევ და არც სამშობლოს გავებუტები იმიტომ, რომ ზოგიერთმა შეცდომაში შეყვანილმა ჩემმა სისხლმა და ხორცმა ხმა არ მომცა. ვიცი, ბევრს, რომელთაც ხმა მიშას მისცეს, არ ვძულვარ. ერთი ეგ არის, ხმას არ მაძლევენ (იცინის). სააკაშვილმა მოახერხა ჩვენ შორის ძაფის გაწყვეტა, მაგრამ ის აუცილებლად გამრთელდება.

ლეიბორისტული პარტია ყველა უბანზე ბიულეტენების ხელახალ გადათვლას ითხოვს, რადგან ჩვენი ათიათასობით ბიულეტენი ნაციონალების პაკეტშია გადადებული. საკრებულოს არჩევნების დროს სააკაშვილმა ხომ გაახსნევინა ყველა საარჩევნო უბანი და მოითხოვა ხმების ხელახალი გადათვლა, — ლეიბორისტული პარტია რატომ გავიდა პირველ ადგილზეო, ახლა ჩვენ ვითხოვთ ამის გაკეთებას. ჩვენი მოთხოვნა უკვე ვაცნობეთ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს, ეუთოს, ყველა სასამართლოს (80 სასამართლოშია სარჩელი შეტანილი) — სანამ დროა, გაიხსნას ყველა უბანი და გადაითვალოს, ვინ რამდენი ხმა მიიღო სინამდვილეში — თეთრი და შავი ასე გამოჩნდება.

— **აშშ და ეუთო თუ ეთანხმებიან თქვენს მოთხოვნას?**

— ამ ხელისუფლების უცხოელი მოკავშირეები ძალზე შეშფოთებულნი არიან პრეზიდენტის მოულოდნელი და სპონტანური მოქმედებების გამო. თავის დროზე, როცა მათ ვეუბნებოდი, — ცდებით, ამ კაცზე რომ ამყარებთ იმედსმეთქი, ფიქრობდნენ, რომ პოლიტიკური კონკურენცია მალაპარაკებდა. ახლა მეუბნებიან, — მართალი ყოფილხარო. აქედან გამომდინარე, ველი მათგან მხარდაჭერას.

***მარი ზანდუკელი***

# „არავის აქვს უფლება, კანონი, თუნდაც კარგი მიზნით, დაარღვიოს“

## „რეალურად, ბიუჯეტი ოქრუაშვილმა შეასრულა“



*როგორც მოსალოდნელი იყო, სახელისუფლებო გუნდმა პარლამენტში უმრავლესობა მოიპოვა. მოსახლეობამ სააკაშვილის პარტიას ნდობა ისევ გამოუცხადა, მხარდაჭერა და საკუთარი ხმა ისევ არ დაამადლა (თუმც მავანნი ამბობენ, ხელისუფლებას ხმების მოპოვების არც სხვა მეთოდებზე უთქვამს უარიო). ერთადერთი ოპოზიციური ძალა, რომელმაც სააკაშვილის პარლამენტში შესვლა შეძლო, მემარჯვენე ოპოზიციაა — „მრეწველები“ და „ახლები“, თავიანთი მაჟორიტარი დეპუტატებიანად, ოცზე მეტნი არიან.*

*მართალია, პრეზიდენტი გვარწმუნებს, მაჟორიტარების უმრავლესობა ხელისუფლების ოპოზიციონერიაო, მაგრამ რეალურად რომ ასე არ არის, თვითონაც კარგად უნდა იცოდეს.*

*უცნაური ისაა, რომ სააკაშვილს ოპოზიციაში დღეს საკუთარი მეგობარი და თანაგუნდელი* ***კობა დავითაშვილი*** *ჩაუდგა, რომელმაც მაჟორიტარებისთვის ჩვეულ სტილზე — ხელისუფლების უსიტყვო მორჩილებაზე უარი თქვა. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი და კობა დავითაშვილი ახლახან შერიგდნენ, დეპუტატი ჯიუტად აცხადებს, ხელისუფლების კრიტიკაზე ხელს არ ავიღებო, დანარჩენს კი ინტერვიუდან შეიტყობთ:*

— **ბატონო კობა, ახალი ჭორი თუ გაიგეთ — ამბობენ, სააკაშვილი ახალარჩეულ პარლამენტს 6 თვეში დაითხოვსო.**

— გაუგებარია, პრეზიდენტმა რატომ უნდა დაითხოვოს ის პარლამენტი, რომლის სიაც თვითონ შეადგინა. ეს ვარიანტი მხოლოდ შეთქმულებისთვის თუ გამოდგება, თუმც არ მგონია, რეალური საფუძველი ჰქონდეს.

— **აბა, რისთვის შეიტანეს საკონსტიტუციო ცვლილებებში პუნქტი, 6 თვეში პრეზიდენტს ახალი პარლამენტის დათხოვის უფლება აქვსო?**

— საამისოდ არანაირი პოლიტიკური ინტერესი არ ჰქონია და ამიტომაც ვარ გაგიჟებული, სწორედ ამაზე მოგვივიდა უსიამოვნება. ხომ ისედაც ცხადი იყო, რომ მისი პარტია უმრავლესობით გაიმარჯვებდა და სრულიად არ სჭირდებოდა პარლამენტთან ურთიერთობისთვის დამატებითი ბერკეტი და მისი დათხოვის უფლება.

— **ამჟამად რა სტადიაზეა თქვენი და პრეზიდენტის ურთიერთობა?**

— თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, უკვე გენერალურ პროკურორადაც მნიშნავს... ეს აბსოლუტური სისულელეა, ამაზე ლაპარაკიც არ ყოფილა. თუმც არ დაგიმალავთ, რომ პრეზიდენტს შევხვდი.

— **რით მოუბრუნეთ გული სააკაშვილს?**

— როდესაც მიშა აჭარაში არ შეუშვეს, ჩემი პოზიცია გამოვხატე. სწორედ ამ საკითხზე შეგვახვედრა საერთო მეგობარმა, რომლის ვინაობასაც არ გავამხელ. პრეზიდენტის პოლიტიკა აჭარასთან დაკავშირებით სავსებით სწორია და მას შეუძლია ჩემი მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს. ვინც უნდა ჩაიდინოს დანაშაული, იქნება იგი ავტონომიის ხელმძღვანელი თუ პრეზიდენტი, კანონის წინაშე პასუხი უნდა აგოს. ასლან აბაშიძემ შეიარაღებული ამბოხება მოაწყო — 25-ე ბრიგადის ნაწილები, სასაზღვრო ნაწილის გემი და უკანონო შეიარაღებული ფორმირებები დაუპირისპირა პრეზიდენტს. ეს სახელმწიფოს ღალატია და სავსებით სამართლიანად მოვითხოვე მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. გასაგებია, ამის გაკეთება პოლიტიკურად რთულია, მაგრამ პატიოსნება, სამართალი და კანონი საუკეთესო პოლიტიკა რომ არის, არც ეს უნდა დავივიწყოთ. ისიც ცხადია, რომ ქართული სახელმწიფო ჯერ კიდევ საამისოდ სუსტია, რომ კანონი განუხრელად დაიცვას და არც აბაშიძეა ჩვეულებრივი დამნაშავე.

— **სხვათა შორის, ოპოზიცია სწორედ ასეთი პოზიციის გამო აკრიტიკებს ხელისუფლებას — თუ აბაშიძე დამნაშავეა, რატომღა აშანტაჟებენ და ევაჭრებიან, — თუ არ შეგვეპუები, შენს წინააღმდეგ საქმეს აღვძრავთ, ხოლო თუ ჭკვიანად მოიქცევი, ხელს არ გახლებთო.**

— ასეთივე აზრის ვიყავი მეც, მაგრამ ხელისუფლების ქმედებას შანტაჟსა და ვაჭრობას მაინც ვერ დავარქმევ. მას არ ჰყავს საკმარისი ძალები საიმისოდ, რომ აბაშიძეს კანონის წინაშე პასუხი აგებინოს, მაგრამ სამართლებრივი შეფასების გაკეთებაში რაღა უშლის ხელს? იმან, რომ აბაშიძეს სპეცრაზმი ჰყავს, იარაღს არიგებს და მშვიდობიან მოსახლეობას ფარად იყენებს, არ უნდა შეგვაშინოს. ხელისუფლება სამოქალაქო დაპირისპირებასა და სისხლის ღვრას ერიდება, მაგრამ აბაშიძის პასუხისგებაში მიცემა მშვიდობიანად შეიძლებოდა. ის ხშირად დაბრძანდება საზღვარგარეთის ქვეყნებში — გამოცხადდეს საერთაშორისო ძებნა და ნებისმიერი ქვეყანა ვალდებული იქნება აბაშიძე დააკავოს.

— **ისევ თქვენსა და პრეზიდენტის ურთიერთობებს მივუბრუნდეთ. ყველა პრობლემა ამოიწურა თქვენი დიალოგით?**

— პრობლემები ისევ რჩება, რადგან არ მომწონს არც საკონსტიტუციო ცვლილებები, არც პრემიერ-მინისტრისთვის უფლებების გაზრდა და არც ის კაცი, რომელსაც ეს პოსტი უჭირავს. ასევე არ მომწონს მთავრობის პოლიტიკა ზოგიერთ საკითხში. პრეზიდენტთან დიალოგი ამჯერად სავსებით კორექტულად წარიმართა, რადგან ისეთ საკითხებზე ვისაუბრეთ, რომლებზეც რადიკალური აზრთა სხვადასხვაობა არ გვქონდა.

— **კულუარებში ამბობენ — მალე გლდანი მაჟორიტარი დეპუტატის გარეშე დარჩებაო. რომელ პოსტზე გიპირებენ გადაყვანას?**

— კონკრეტული წინადადებით არ მოუმართავთ. ჭორის მიზეზი პრეზიდენტთან ჩემი შეხვედრა გახდა. შეხვედრის დასრულებისთანავე მკითხეს — კონტროლის პალატის თავმჯდომარედ ხომ არ გნიშნავენო. ვიუარე და ამის შემდეგ დაასკვნეს, — ალბათ გენპროკურორად გადაჰყავთო. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა ოფიციალურად უარვყო ეს. ჩვენ გვყავს გენპროკურორი, რომელიც თავის მოვალეობას ასრულებს, შესაძლოა მის მიმართ შენიშვნები მქონდეს კიდეც, მაგრამ ვერ ვიტყვი, — მე უკეთ ვიმუშავებ-მეთქი.

ამას წინათ, ჟვანიამ და ნოღაიდელმა დიდი ზარ-ზეიმით გვამცნეს, — ბიუჯეტი მთავრობის ბრძნული ფისკალური პოლიტიკის შედეგად შესრულდაო. არადა რეალურად ბიუჯეტი ოქრუაშვილმა შეასრულა, ისინი არაფერ შუაში არიან. ვიცი, ხალხს მოსწონს, კორუმპირებულებს რომ იჭერენ, მაგრამ მეთოდს, რომელსაც ამჟამად მიმართავენ (დამნაშავეებისთვის ფულის გადახდევინება და ციხიდან გაშვება) სამართლებრივი საფუძველი არ აქვს (არ თავსდება კანონით გათვალისწინებულ არც გირაოს ინსტიტუტში, არც დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და არც სამართალდამცველებთან საპროცედურო გარიგების ცნებაში). დღეს მსჯავრდადებულებს აღმკვეთ ღონისძიებას უცვლიან, ჩამოართმევენ გაუსვლელობის ხელწერილს და ამის სანაცვლოდ პირი ფულს იხდის. თუმცა არავინ იცის, რა ჰქვია ამ ფულს. გამოდის, ეს საზოგადოების გულის მოსაგებად გადადგმული ნაბიჯია, რაც სინამდვილეში სახელმწიფო რეკეტია — აჰყავთ ესა თუ ის პირი მძევლად, ხდება ფულის გამოძალვა და ის ფული პროკურატურის ნაცვლად, სახელმწიფოს ბიუჯეტში მიდის. სახელმწიფო, რომელიც სხვებს ედავება კანონის დარღვევის გამო, არ შეიძლება თავად არღვევდეს კანონს. რაც უნდა კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდეს, არ შეიძლება გენერალური პროკურატურა თვითონ იყოს დაკავებული უკანონო საქმიანობით. პროკურატურას აქვს ყველა სამართლებრივი მექანიზმი საიმისოდ, რომ განახორციელოს დამნაშავეებზე სისხლისსამართლებრივი დევნა და ქონების კონფისკაცია, მაგრამ ეს ხანგრძლივი პროცედურაა, მეტ მტკიცებულებებს, სასამართლო პროცესის ჩატარებასა და მეტ მუშაობას მოითხოვს. ეს გრძელი გზაა, მაგრამ კანონიერი. ამიტომაც მასზე უარი თქვეს და იოლი გზა აირჩიეს. აგერ, დაიჭერ ჩხაიძეს, ცოტა ხნით ჩასვამ, მოიტანს ფულს და გაუშვებ. აღარც სასამართლო პროცესი გჭირდება და აღარც განაჩენი. გენპროკურორისთვის ძნელია ერთდროულად რეფორმის ჩატარება და დამნაშავეებთან ბრძოლაც. ისიც ვიცი, რომ პროკურატურის ბევრი თანამშრომელი სანდო არ არის — ხშირად ინფორმაცია გაყიდულა, მაგრამ ეს არანორმალური ვითარება უნდა შეიცვალოს — კანონი ყველგან უნდა კანონობდეს. ჩემი აზრით, პროკურატურის გამოყენება არამიზნობრივად ხდება. არასწორი იყო, რომ პროკურატურა სასამართლო ხელისუფლებიდან აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაიყვანეს. პროკურატურამ საგადასახადო სამსახურის ფუნქცია შეითავსა და ბიუჯეტის შევსებას ემსახურება. მისი ამოცანაა ქვეყანაში კანონიერების დამკვიდრება, კანონის წინაშე ყველანი თანასწორები ვართ — ავს, კარგს, წესიერს, უწესოს, პროკურორს თუ გამომძიებელს არ აქვს უფლება, კანონი, თუნდაც კარგი მიზნით, დაარღვიოს.

როდესაც შევარდნაძის მინისტრს იჭერ, არ იცი, რომ ის პრეზიდენტის გარეშე ვერაფერს გააკეთებდა? არ ვითხოვ შევარდნაძის დასჯას და ციხეში ჩასმას, მაგრამ სასამართლო უსათუოდ უნდა შედგეს. უნდა დადგინდეს, მის გამო რამხელა ზარალი მიადგა ქვეყანას. ამის ნაცვლად, ათასნაირი ვარიანტი მუშავდება — რომ ყოფილი პრეზიდენტი ხელშეუხებელი უნდა იყოს, არ ისჯებოდეს და ა. შ. გავიგე, 14 ათასი ლარიც გამოუყვიათ მისთვის ყოველთვიურად(!).

***(გაგრძელება იხ. გვ. 27)***

CMYK

# ბრიგადა, რომელიც არმიაზე მეტია

12 წლის მე-11 ბრიგადა პრეზიდენტ სააკაშვილის მთავარი სამხედრო-პოლიტიკური ბერკეტი ხდება



1-ელ აპრილს საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-11 მოტომსროლელ ბრიგადას დაარსებიდან 12 წელი შეუსრულდა. იმ დღეს ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე გაშლილი ამ ბრიგადის პირადი შემადგენლობა და საშტატო შეიარაღება ბევრად უფრო შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, ვიდრე დედაქალაქში გამართულ აღლუმზე ჩანდა ხოლმე.

მე-11 ბრიგადა ხდება პრეზიდენტ სააკაშვილის მთავარი დასაყრდენი ძალა, რაც ნათლად გამოიკვეთა ბრიგადის პირადი შემადგენლობისადმი საკმაოდ ემოციურ მიმართვაში.

ეს იყო პრეზიდენტ სააკაშვილის მესამე სტუმრობა ქართული არმიის ერთადერთ რეალურ ბრძოლისუნარიან სამხედრო შენაერთთან ბოლო სამი თვის განმავლობაში. ასე ხშირი სტუმრობით განებივრებას ბევრი ქვეყნის მსოფლიოში ცნობილი ელიტარული სამხედრო ნაწილებიც ვერ დაიკვეხნიან თავიანთი უმაღლესი მთავარსარდლებისგან.

ყოველივე ეს და ის უხვი დაპირებაც, რაც პრეზიდენტმა ველზე გაშლილ ბრიგადის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს მისცა, უფრო იმაზე მიუთითებს, რომ ამ ბრიგადის დიდი იმედი აქვს საქართველოს ახალ ხელისუფლებას.

იმას, რომ ძალით დაკარგული ტერიტორიების აღდგენას ძლიერი არმია სჭირდება, თავად ხელისუფლება ისედაც ყოველდღე გვახსენებს, მაგრამ მანამდე იქმნება შთაბეჭდილება, რომ არმიას და, პირველ რიგში, მე-11 მოტომსროლელ ბრიგადას ურჩი აბაშიძის რეჟიმის მოსათვინიერებლად გამოიყენებენ.

თუმცა აჭარა არც ცხინვალის რეგიონია და არც აფხაზეთი, რადგან იქ ქართველები ცხოვრობენ.

სხვა თუ არაფერი, იმავე მე-11 ბრიგადაში არაერთი იმ კუთხის წარმომადგენელი სამხედრო მსახურობს, რომლებსაც აჭარაში ოჯახები და დიდი სანათესავო ჰყავთ.

გასაგებია, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს აბაშიძის რეჟიმის საბოლოო განეიტრალება სურს, მაგრამ აჭარაში საბრძოლო ოპერაციის წამოწყებით საქართველოს უამრავი პრობლემა გაუჩნდება. ჩოლოქის გადალახვა თუ ბათუმში საზღვაო და საჰაერო დესანტის გადასხმა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს აბაშიძის რეჟიმის ჩამოგდებას. ასეთი ოპერაციები უმსხვერპლოდ არასოდეს მთავრდება და, სამწუხაროდ, მას მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლიც მოსდევს. უდანაშაულოდ დაღუპულთა ახლობლები კი იწყებენ შურისძიებას, რაც პარტიზანული ომის ერთ-ერთი წინაპირობა ხდება.

ყოველივე ამის შემდეგ კი კარტ-ბლანში ეძლევა ამ რეგიონში დისლოცირებულ რუსულ მე-12 სამხედრო ბაზას, რომელსაც ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის სამშვიდობო მისიით ჩადგომისა და, შესაბამისად, საქართველოში გაურკვეველი ვადით დარჩენის საუკეთესო საშუალება ეძლევა.

ისევე, როგორც პრეზიდენტ შევარდნაძეს სჯეროდა პრეზიდენტ ელცინის ნათქვამისა (ან ვითომდა სჯეროდა!), პრეზიდენტი სააკაშვილიც აცხადებს, პრეზიდენტი პუტინი ჩაურევლობას შემპირდა და მე-12 რუსული სამხედრო ბაზაც თითს არ გაანძრევსო. მაგრამ 12 წლის წინ, 1992 წლის ზაფხულში, ახალციხის მე-10 კადრირებული დივიზიის შეიარაღების საქართველოსთვის გადმოცემის დროსაც ხომ ამშვიდებდა რუსეთი ოფიციალურ თბილისს, რეალურად კი აფხაზეთში ომის დაწყების პირველსავე დღეს მარტო გუდაუთის საზენიტო-სარაკეტო პოლკიდან აფხაზებს ათასზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღი მისცა!

აბაშიძის რეჟიმის გაუვნებლებაში საქართველოს ახალ პრეზიდენტს აჩქარება არ გამოადგება, ხოლო თუკი სააკაშვილს მაინცდამაინც ერთი „პატარა ომის“ მოგება სურს რეიტინგის ასამაღლებლად, მაშინ იქნებ სჯობდეს ჯერ ცხინვალის რეგიონიდან და აფხაზეთიდან იმ არაქართული საქმის გამკეთებელი რუსი ე.წ სამშვიდობო ძალების გაყვანა მოსთხოვოს რუს კოლეგას?!

# მორიგი ტერაქტის მცდელობა თუ უშიშროების მორიგი პიარი?!

## პრეზიდენტების ტერაქტებით დაშინების სპეცსამსახურებრივი მეთოდიკა გრძელდება

საქართველოს უშიშროების სამინისტროს მიერ 2 აპრილს გაკეთებულ განცხადებას საპირველაპრილო ხუმრობად ძნელად მიიღებს კაცი, რადგან ამ სპეცსამსახურის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაქვეყნა ინფორმაცია სახელმწიფოს პირველი პირის წინააღმდეგ ტერაქტის მზადების გახსნის თაობაზე.

აქამდე თურმე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას სურდა, შეცდომაში შეეყვანა უშიშროების სამინისტრო, როდესაც საგანგებოდ გაავრცელა ხმა, თითქოსდა მზადდებოდა აბაშიძის ოპოზიციის ლიდერების ფიზიკური ლიკვიდირება.

რეალურად კი, აბაშიძის გარემოცვის მიერ შერჩეულ კილერებს თავად პრეზიდენტ სააკაშვილზე თავდასხმა ჰქონიათ დაგეგმილი, — აცხადებენ უშიშროების სამინისტროში.

პრეზიდენტ შევარდნაძეზე იმდენი ტერაქტი განხორციელდა თუ დაიგეგმა, რომ კაცს ანგარიში აერეოდა. რაღა დასამალია და, რეალურად ორჯერ ტერაქტგამოვლილ მხცოვან პრეზიდენტს მაშინდელი სპეცსამსახურების ხელმძღვანელები უფრო ხშირად აშინებდნენ, — მორიგი ტერაქტი მზადდებაო და მის წინაშე თავს იწონებდნენ თავისივე გამოგონილი ტერაქტების გახსნით.

პოტენციური კილერების 6-კაციანი ჯგუფიდან 4 დაკავებულია, ორიც იძებნება. უშიშროების სამინისტრო, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, თავს იკავებს ამ საქმის დეტალების გამჟღავნებისგან, მაგრამ ძალზე არასერიოზულად მოჩანს ის დეტალები, რის საფუძველზეც დააკავეს ეჭვმიტანილები.

23 მარტს დაკავებული მოქალაქე ლერი ბერიძე დაკავებამდე ორი კვირის მანძილზე იმყოფებოდა თბილისში და სწავლობდა პრეზიდენტის მიმოსვლის მარშრუტებს. მის დასახმარებლად აბასთუმნიდან ჩამოდიოდნენ ბადრი და გია საგინაძეები (ისინი უშიშროებამ 1-ელ აპრილს დააკავა). 2 აპრილს დაკავებული ედუარდ მსხალაძე კი, 28 მარტს გურიაში ყოფილა, რადგან იქ პრეზიდენტის ვიზიტი იგეგმებოდა, ხოლო ამჟამად ძებნაში მყოფი გოჩა სიამაშვილი და ჯამბულ გუჩმანიძე პრეზიდენტის წალენჯიხაში ყოფნისას სამეგრელოს სწვევიან...

უშიშროების სამინისტროს არგუმენტებით თუ ვისარგებლებთ, უნდა ვერიდოთ პრეზიდენტ სააკაშვილის სტუმრობისას მის ახლომახლო გამოჩენას, რომ რაიმე არ დაგვაბრალონ.

სააკაშვილს თავისი წინამორბედისგან საკმაოდ ორგანიზებული დაცვის სამსახური დარჩა, რომელსაც, მართალია, 100%-იანი გარანტიების მიცემა არ შეუძლია (ასეთ გარანტიას ვერც ერთი ქვეყნის დაცვის სამსახური ვერ უზრუნველყოფს), მაგრამ იმას კი მოახერხებს, რომ პრეზიდენტი საფრთხეში არ ჩააგდოს.

ამიტომაც ცოტა დაუჯერებელია, რომ ზემონახსენები პიროვნებები იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც პრეზიდენტის წინააღმდეგ ამზადებდნენ ტერაქტს.

ამას უფრო სხვაგვარი სუნი ასდის — გრძელდება ტრადიცია, როდესაც სპეცსამსახურები ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას ერთგულებას უმტკიცებენ არარსებული ტერაქტების გახსნით და ამით ცდილობენ თავისი არაპროფესიონალიზმის დაფარვას. სპეცსამსახურებს არმაზთან სარკინიგზო ხაზისა და ნავთლუღში ცისტერნის აფეთქებების საქმეები რომ გაეხსნა, საეჭვო და სალაპარაკო აღარაფერი იქნებოდა...

აბაშიძის რეჟიმს იმდენი დანაშაული მიუძღვის საქართველოს სახელმწიფო ინტერესების ხელყოფის საქმეში, რომ გამოგონილი საქმეების დაბრალება არც არის საჭირო...


აირზენა

# სააკაშვილს თევზაძე NATO-ში არ მიჰყავს

## გახდება თუ არა გენერალი თევზაძე საქართველოს ელჩი NATO-ში?!

ორ თვეში სტამბოლში NATO-ს მორიგი სამიტი გაიმართება. მანამდე კი საქართველოს ახალი პრეზიდენტი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შტაბბინაში აპირებს ოფიციალურად სტუმრობას. თუმცა 6-7 აპრილს დანიშნულ ამ სტუმრობის პროტოკოლში, ჩვენი ინფორმაციით, არ კიდევ ოფიციალურად არდანიშნული ელჩი NATO-ში, გენერალი თევზაძეც ზემოხსენებული ელჩების დღეშია.

ჩნდება ეჭვი, რომ ყოფილი თავდაცვის მინისტრი შეიძლება აღარც გაიგზავნოს საქართველოს წარმომადგენლად NATO-ში. ამ ეჭვს აძლიერებს შემდეგი გარემოებაც — წლის



აუსრულებს თუ არა დანაპირებს პრეზიდენტი სააკაშვილი ყოფილ თავდაცვის მინისტრს?

არის შეტანილი საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის, გენერალ-ლეიტენანტ დავით თევზაძის გვარი. არადა, თავად პრეზიდენტმა ჯერ კიდევ ორი თვის წინ განაცხადა, რომ იგი გენერალ თევზაძეს ბრიუსელში, NATO-ში საქართველოს ელჩად დანიშნავდა, მაგრამ გენერალი თევზაძე ჯერ არ შესდგომია თავისი მოვალეობის შესრულებას. 6-7 აპრილს ოფიციალური ვიზიტი საუკეთესო საშუალება იქნებოდა, რომ NATO-ში საქართველოს ახალი ელჩი თავად საქართველოს პრეზიდენტს წარედგინა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ მოხდება. უფრო მეტიც, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის დანიშვნის შემდეგ, ყველა ელჩმა, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებშია მიღებული, დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ, რათა ახალმა მინისტრმა თავად გააკეთოს არჩევანი. საქართველოს ჯერ დასაწყისში, ჯერ კიდევ პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატი სააკაშვილი თავდაცვის მინისტრ თევზაძეს გენერალური შტაბის უფროსის სკამს ჰპირდებოდა. სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ თევზაძისთვის შეპირებული გენშტაბის უფროსობა NATO-ში ელჩების დაპირებით შეიცვალა.

რამდენიმე დღის წინ კი პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წარმომადგენლები ღიად აცხადებენ იმ 100 მლნ ლარის (!) დანაკლისის შესახებ, რაც თევზაძის მინისტრობის დროს გაფლანგულა და ამის შესახებ მოკვლევის დოკუმენტებს მთავარ სამხედრო პროკურატურაში აგზავნიან.

ყოველივე ამის შემდეგ რჩება შთაბეჭდილება, რომ გენერალ-ლეიტენანტ დავით თევზაძეს NATO-ში ელჩობაზეც უარი უთხრან და მის წინააღმდეგ პროკურატურამ გამოძიებაც კი დაიწყოს.

# ქართულ-რუსული სამხედრო უწყებები თანამშრომლობას იწყებენ... 6-წლიანი „შესვენების“ შემდეგ

იმ 6 წლის მანძილზე, ვიდრე დავით თევზაძე თავდაცვის მინისტრი იყო, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ნორმალურ და, მით უმეტეს, მეგობრულ თანამშრომლობაზე ლაპარაკიც არ ღირდა.

დღეს ქართული მხარე ცდილობს, აღადგინოს დაკარგული ურთიერთობები. ახალი თავდაცვის მინისტრი გელა ბეჟუაშვილი მოსკოვში თავის კოლეგას, სერგეი ივანოვს ეწვია ოფიციალური ვიზიტით.

დღეს ასე პოპულარულ საერთაშორისო ტერორიზმთან, ნარკოტიკებთან და იარაღით უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლა — ბუნებრივია, განხილვის მთავარი თემა გახლდათ, თუმცა საუბარი ასევე შეეხო ქართველი ოფიცრების მომზადების გაგრძელებასაც რუსეთის სამხედრო სასწავლებლებსა და აკადემიებში.

ეს საქმე მინისტრ ნადიბაიძის დროს დაიწყო, თევზაძის მინისტრობისას კი ნელ-ნელა ჩაკვდა. სამაგიეროდ, დაგვრჩა ვალი — არ გვაქვს გადახდილი წინა წლებში ქართველი ოფიცრების მომზადების ფული. საქართველოს მთავარი სამხედრო უწყება რუს კოლეგებს დაჰპირდა, დავალიანების თანხების დაზუსტების შემდეგ ვალს გაგისტუმრებთო და თან სთხოვა, — ჩვენს ოფიცრებს შეღავათიანი პირობები მიეცითო.

მთავარი თემა, ყოველ შემთხვევაში, ქართველი მხარისთვის მაინც, რასაც მოსკოვში, მოლაპარაკებების დროს შეეხნენ, სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა გახლდათ, მაგრამ რუს სამხედროებს საქართველოსთვის იარაღის მიყიდვას უკრძალავს დუმის 1992 წლის დადგენილება, რომელიც რუსმა დეპუტატებმა აფხაზეთის ომის დაწყებისთანავე მიიღეს. ამიტომ ამ სახის თანამშრომლობის დაწყებამდე ჯერ ეს დადგენილება უნდა გაუქმდეს.

და უმთავრესი, რასაც საქართველოს პრეზიდენტი ელოდა — რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ქართველ კოლეგას ისევე, როგორც პრეზიდენტმა პუტინმა პრეზიდენტ სააკაშვილს, აღუთქვა, რომ რუსული სამხედრო ბაზები არ ჩაერევიან საქართველოს საშინაო საქმეებში და შეინარჩუნებენ ნეიტრალიტეტს.

# დასავლეთი რუსეთის საზღვარს მიადგა

გასული კვირა ძალზე მნიშვნელოვანი გახლდათ ევროპისთვის, რადგან NATO-ს წევრი ქვეყნების რიცხვი 26-მდე გაიზარდა და, რაც მთავარია, ჩრდილოატლანტიკური ბლოკი უშუალოდ მიადგა რუსეთის საზღვრებს.

15 წლის წინ, როდესაც აღმოსავლეთ ევროპაში ვარშავის პაქტის მონაწილე ქვეყნების ერთიანობა ირღვეოდა, დასავლეთი არწმუნებდა მაშინდელი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას, რომ პოსტსაბჭოური წყობის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები არ გახდებოდნენ NATO-ს წევრები.

მაგრამ, როგორც ხედავთ, პოლიტიკური შეპირებები დროსთან ერთად იცვლება. NATO-ში გაწევრებული შვიდი ქვეყნიდან — ბულგარეთი, რუმინეთი, სლოვენია, სლოვაკია, ესტონეთი, ლიტვა და ლატვია — რუსეთის შეშფოთება სწორედ ბალტიის ქვეყნების ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლამ გამოიწვია.

მოსკოვი იმაზეც შფოთავს, რომ ბალტიის ეს სამი პოსტსაბჭოური ქვეყანა არ არის მიერთებული ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებას და შესაბამისად, მათზე არ ვრცელდება ჩვეულებრივი შეიარაღების კვოტები. ანუ თუკი საქართველოს, ამ ხელშეკრულების თანახმად, ეკრძალება, ჰქონდეს შეიარაღებაში იმაზე მეტი, ვიდრე არის 220 ტანკი, 220 ჯავშანმანქანა, 285 ერთეული 100 მმ კალიბრზე მსხვილი საარტილერიო სისტემა, 100 საბრძოლო თვითმფრინავი და 50 დამრტყმელი შვეულმფრენი, ბალტიისპირეთის ქვეყნებში ეს შეზღუდვები არ არსებობს.

შესაბამისად, კრემლში უფრთხიან, რომ NATO თავისი ახალი წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე შეუზღუდავი რაოდენობით განათავსებს შეიარაღებას და მძიმე ტექნიკას.

ლიტვა, ლატვია და ესტონეთი პირველი პოსტსაბჭოური ქვეყნები არიან, რომლებიც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სრულუფლებიანი წევრები გახდნენ.

ჩვენი მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნება იმის გაგება, რომ სამივე ამ ქვეყანას ერთად ბევრად ნაკლები შეიარაღება აქვს, ვიდრე მარტო საქართველოს! სამაგიეროდ, მათი სამხედრო ბიუჯეტები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს აღემატება!

***ჩვენი დოსიე:*** *2,3 მლნ-იანი ლატვია თავის 5-ათასიან რეგულარულ არმიას 198 მლნ დოლარს ახარჯებს (2003 წლის მონაცემებით). თანაც მას მხოლოდ სამი T-55 ტიპის ტანკი ჰყავს და ისიც სასწავლო მიზნებისთვის.*

*ლიტვაში 3,7 მლნ ადამიანი ცხოვრობს. რეგულარულ არმიაში 12,7 ათასი კაცია, ხოლო სამხედრო ბიუჯეტმა შარშან 359 მლნ დოლარი შეადგინა. ლიტვის არმიას არც ერთი ტანკი არ ჰყავს, ხოლო 137 ჯავშანტრანსპორტიორიდან უმეტესობა მოძველებული საბჭოთა БТР-60ПБ და ამერიკული M113-ია.*

*ესტონეთში სულ 1,4 მლნ ადამიანია და, შესაბამისად, არმიაც 5,5 ათასამდეა, სამაგიეროდ, 2003 წელს სამხედრო ბიუჯეტში 158 მლნ დოლარი ჰქონდა, რაც 18-ათასკაციანი ქართული არმიის სამხედრო ბიუჯეტზე თითქმის 5-ჯერ მეტია. ესტონეთის არმიაში ტანკების კი არა, ნორმალური ჯავშანტრანსპორტიორის ჭაჭანებაც არ არის.*

როგორც მკითხველი დარწმუნდებოდა, მთავარია, არა მარტო შეიარაღების რაოდენობა, არამედ სამხედრო ძალების სისტემის ორგანიზება და რეალური სამხედრო ბიუჯეტის გამოყოფა, რაც აღებს კარს NATO-ში შესასვლელად.

ბალტიის ქვეყნების ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლით დადგა სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნების NATO-ში გაწევრების დრო. ამ ალიანსის კანდიდატები შემდგომ ეტაპზე არიან ხორვატია, ალბანეთი და მაკედონია. სავარაუდოდ, რამდენიმე წელიწადში NATO-ში უკრაინა, საქართველო და შესაძლოა აზერბაიჯანიც შევიდნენ. საამისოდ კი საქართველო უფრო ინტენსიურად უნდა შეუდგეს NATO-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის შესრულებას, რაც „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის შემდგომი ეტაპი გახლავთ.

# გაერო და ეუთო „სტრელებსა“ და „სტინგერებს“ უფრთხიან

ეს მეტრნახევრიანი მილი მსოფლიოს მაღალჩინოსნებს სადავიდარაბოდ ექცათ, რადგან გადასატანი მცირეგაბარიტიანი მობილური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები საერთაშორისო ტერორისტების ხელში ნამდვილად იდეალური იარაღია.

ამ ტიპის საზენიტო იარაღიდან გაშვებული რაკეტა დაგეშილი მწევარივით მიჰყვება საფრენი აპარატის ძრავის საქშენიდან გამოსულ სიმხურვალეს. მისი შექმნის (გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისი) დღიდან ტერორისტებმა იგი 40-ჯერ გამოიყენეს, რასაც 600 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

გასულ თვეში ვენაში გაიმართა ეუთოსა და გაეროს ანტიტერორისტული სამსახურების ერთობლივი თათბირი, რომელზეც იმსჯელეს გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების სრულ აღრიცხვასა და ზედმეტი კომპლექსების განადგურებაზე.

ანტიტერორისტული ორგანიზაციები შეთანხმდნენ, რომ ამგვარი საზენიტო კომპლექსების მარკირება შემდგომში ისევე განხორციელდება, როგორც ეს ასაფეთქებელი ნივთიერებების აღრიცხვის დროსაა მიღებული.

NATO-ს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში უკვე გამოიყო 10 მლნ ევრო, რომელიც მოხმარდება ზედმეტი „სტრელასა“ თუ „იგლას“ განადგურებას. მაგალითად, ყაზახეთმა უკვე სთხოვა NATO-ს შესაბამის სამსახურებს, ზედმეტი და ვადაგასული „სტრელების“ ლიკვიდაციაში დახმარება.

საგულისხმოა, რომ შარშან რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ქართველი კოლეგებისგან დაჟინებით მოითხოვდა ქართული არმიის შეიარაღებაში არსებული ყველა „სტრელასა“ და „იგლას“ საქარხნო ნომრის შეტყობინებას.

ჩვენი მონაცემებით, ქართულმა მხარემ რუს სამხედროებს ეს მოთხოვნა არ შეუსრულა, თუმცა შეიძლება არც ღირდა, რადგან იმ ასიოდე „სტრელადან“ უმეტესობა 10 წელზე მეტი ხნისაა, ზოგი კი ორ ათეულ წელზე მეტისაც და შენახვის ზღვრული ვადის გასვლის გამო მათი ეფექტიანად გამოყენება მეტად საეჭვოა.

არსენალი

# „კალიკო“ — უცნაურია, მაგრამ მოხერხებული

უცნაური კონფიგურაციის იარაღი ყოველთვის იპყრობს ყურადღებას. მინიპისტოლეტ-ტყვიამფრქვევმა M-960A Calico-მ თვით რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინიც კი დააინტერესა მაშინ, როდესაც რუსეთის სპეცსამსახურებმა მათ არსენალში არსებული იარაღის საიდუმლო გამოფენა საგანგებოდ მოუწყვეს ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას.

იქ გადაღებულმა ერთ-ერთმა სურათმა, რომელზეც „კალიკოთი“ ხელში პრეზიდენტი ელცინია გამოსახული, მთელი მსოფლიო მოიარა და ყველაზე მეტად „კალიკოს“ შემქმნელი ამერიკელი კონსტრუქტორები გააოცა, რადგან ამ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის ძალზე მცირე პარტია გამოუშვეს და თუკი ის რუსი მზვერავების ხელში მოხვდებოდა, ნამდვილად ვერ იფიქრებდნენ.

მრავალრიცხოვანი თანამოძმისგან „კალიკო“ დიდად განსხვავდება — მას ცილინდრის ფორმის ვაზნების მჭიდი ზემოდან უყენია. ეს კონსტრუქციული მიგნება აღარ ზღუდავს მჭიდის გაბარიტებს და ამიტომაც „კალიკოს“ ორი ტიპის მჭიდში 50 ან 100 ვაზნა ეტევა. ვაზნების ასეთ მარაგზე კი ქალაქის ქუჩებსა თუ შენობებში მებრძოლი ნებისმიერი ანტიტერორისტული ჯგუფის წევრი იოცნებებდა.



სასროლად გამოიყენება 9 მმ კალიბრის „პარაბელუმის“ ვაზნა. პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის სიგრძე გაშლილი კონდახით 83,5 სმ-ია, ხოლო დაკეცილი — 65 სმ-მდეა, აქედან ლულა 33 სმ-ია. ვაზნების გარეშე „კალიკო“ 2,17 კგ-ს იწონის, ხოლო სროლის ტემპი წუთში 756 გასროლას უტოლდება.

„კალიკოს“ წარმოება 1990 წლიდან დაიწყეს და იგი 17 ქვეყნის პოლიციისა და ანტიტერორისტული დანაყოფის შეიარაღებაშია.

სამხედრო კალეიდოსკოპი

# პაკისტანმა „ალ-ქაიდა“ ამერიკელებს „მიჰყიდა“

ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე გამძაფრდა საბრძოლო მოქმედებები, რომლებშიც უფრო აქტიურად ჩაერთვნენ პაკისტანის შეიარაღებული ძალები. აქამდე „ალ-ქაიდას“ და „თალიბანის“ მოძრაობის მებრძოლები, რომელთაც ამერიკული დანაყოფები აღმოაჩენდნენ და განადგურებას დაუპირებდნენ, თავს პაკისტანის ტერიტორიას აფარებდნენ. ოფიციალური ისლამაბადი კი თითს არ ანძრევდა უსამა ბინ ლადენის მოსაძებნად.

გასულ კვირას, მას შემდეგ, რაც აშშ-მა პაკისტანი ამ რეგიონში თავის მთავარ მოკავშირედ გამოაცხადა, სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. ეს ალბათ სულაც არ ეამა ინდოეთს, მაგრამ თეთრმა სახლმა რეალურად მიიღო დახმარება პაკისტანის არმიის დანაყოფებისგან, რომლებიც აღმოსავლეთიდან კეტავენ საზღვარს და ალყაში აქცევენ „ალ-ქაიდასა“ და „თალიბანის“ დღემდე გადარჩენილ მებრძოლებს, მათ შორის შეიძლება თავად მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტი უსამა ბინ ლადენიც კი იყოს. მეორედ გაპრეზიდენტებაზე მეოცნებე ბუშისთვის ამაზე სანატრელი არაფერია! სამაგიეროდ, „თალიბების“ ხელმძღვანელები არ მალავენ, რომ ყველა ზომას იხმარენ ავღანეთში საპრეზიდენტო არჩევნების ჩასაშლელად და ამასთან შურს იძიებენ გამყიდველ პაკისტანზეც.

# ჩეჩნეთში 70 ათასი რუსი სამხედროა

ამ დღეებში მოსკოვი ჩეჩნეთიდან შინაგანი ჯარების 3 ათასამდე მებრძოლის გაყვანას აპირებს, მაგრამ ჩეჩნეთში მაინც რჩება უზარმაზარი რუსული სამხედრო კონტინგენტი — 70 ათას კაცამდე.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩეჩნეთზე ბევრად დიდ ერაყის ტერიტორიაზე ამერიკელებს, როტაციის შემდეგ, მხოლოდ 110 ათასი კაცი დარჩებათ, ადვილი მისახვედრია, თუ რა დონითაა გაჯერებული რუსი სამხედროებით ჩეჩნეთის ტერიტორია.

მიუხედავად ჯარების ასეთი კონცენტრაციისა, ჩეჩნეთში არ წყდება დივერსიული აქტები რუსი სამხედროების მიმართ და მოსკოვს დღემდე არ დაუჭერია ასლან მასხადოვი და შამილ ბასაევი.

# სომეხი გენერალი საქართველოს პრეზიდენტს შენატრის...

„ნახეთ, როგორ ხვდებიან საზღვარგარეთ საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილს და როგორ — სომხეთის ოფიციალურ წარმომადგენლებს?! სომხეთში აუცილებელია განხორციელდეს დემოკრატიული რევოლუცია“, — განაცხადა სომხეთის თავდაცვის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ გეგამ არუთინიანმა.

მისივე თქმით, თუკი ამგვარი რევოლუცია მოხდება, მაშინ სომხეთი კვლავ გახდება პირველი სახელმწიფო რეგიონში და უკან ჩამოიტოვებს საქართველოს.

# სად გაქრა უკრაინული რაკეტები?

უკრაინაში არ ცხრება სკანდალი იმ სამასიოდე რაკეტის თაობაზე, რომლებიც ახალმა თავდაცვის მინისტრმა ევგენი მარჩუკმა ვერაფრით ვერ აღმოაჩინა, თუმცა ორჯერ ჩაატარა თავის სამინისტროში შემოწმება.

კიევი არ ამხელს, რა ტიპის რაკეტები გაქრა მისი შეიარაღებიდან, მაგრამ დასძენს, — შეიძლება ისინი დიდი ხნის წინ ჩამოწერეს და გაანადგურეს კიდეცო. მაგრამ მაშინ უნდა არსებობდეს დოკუმენტები, რომელშიც აღრიცხული იქნებოდა საბრძოლო რაკეტების უტილიზაციის შედეგად დარჩენილი ძვირფასი მეტალები.

დასავლეთი ამ ფაქტმა იმიტომ შეაშფოთა, რომ საბოლოოდ არ გამორიცხავს ამ უკრაინული რაკეტების მოხვედრას საერთაშორისო ტერორისტების ხელში; მით უმეტეს, რომ უკრაინის დღევანდელი პრეზიდენტი ადრეც იყო ეჭვმიტანილი საჰაერო თავდაცვის საშუალების ერაყის დიქტატორის, სადამ ჰუსეინისთვის მიყიდვის მცდელობაში.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

სულ იმ მატრაკვეცა ზაირას ბრალი იყო ყველაფერი, თორემ აგერ მერამდენე წელია, სტამბოლში დადის თალიკო და ჯერ ასე არავინ მოჰქცევია. მერე რა, რომ ავტობუსი უმეტესად ფეხმსუბუქი ქალებითაა სავსე. ნაწილს გზადაგზა, დიდ გაჩერებებზე აკითხავენ თურქი საყვარლები. არის ერთი ჭორაობა და სიცილ-ტკარცალი, ოღონდ საკუთარ თავზე არაფერს ჰყვებიან, სხვა მხრივ კი ენაზე არაფერი ადგებათ ამ ქალებს. ვიდრე სარფიდან სტამბოლში ჩახვალთ, ათ-ათჯერ მაინც მოგიწევთ თითოეულის ბიოგრაფიის მოსმენა. უეჭველად შეიტყობთ, ვის რა ოჯახური მდგომარეობა აქვს აქეთ, საქართველოში და ვინ რა მიზანს ისახავს სამომავლოდ. თალიკო ამ ქაოსში არ ერეოდა. მართალია, განუწყვეტლივ გზაში ხეტიალის გამო მეუღლეს გაშორდა, მაგრამ მშიერი ბავშვების ცქერას მაინც ეს ამჯობინა და არც რეზოზე დასცდენია აუგი. მერე რა, რომ ამ არეულ დროში კაცს ხელი მოეცარა და ოჯახში ველარაფერი შემოჰქონდა. რით გინდა დააჯერო თავმოყვარე კაცი, რომ შენც ზაირასავით დროს სატარებლად არ მიბრძანდები თურქეთში. ადგა და წავიდა, თალიკომ კი, ვიდრე ბოსფორს აქეთ წამოსვლას გადაწყვეტდა, კარატეს ისეთი სკოლა გაიარა, ერთდროულად ორი-სამი კაცის გალახვა შეეძლო. მთელი რვა თვე არ მოუხსნია მკლავებსა და წვივებზე შებმული ორ-ორკილოგრამიანი სიმძიმეები და ისე ვარჯიშობდა. ახლა ნამდვილად აღარ ჰქონდა აბეზარი მამაკაცების შიში. თუმცა აქამდე ერთხელაც არ დასჭირვებია ასე საგულდაგულოდ დახვეწილი ილეთების გამოყენება. დღეს კი ამ ქარაფშუტა ზაირამ ხან თვალი ჩაუკრა ვიღაცას, ხან ენა გამოუყო, მერე კი თითქმის მოიშიშვლა მკერდი და ბაზრის წინ მოხეტიალე ორ თურქთაგან ერთ-ერთმა ისე გაბედულად წაატანა მკლავში ხელი, როგორც იმსახურებდა, მაგრამ მეორე კი მოტყუვდა. თალიკოც იმნაირად ჩათვალა და ის იყო, მასაც მისწვდა, რომ ქალი ერთბაშად მაღლა ავარდა, დატრიალდა და ფეხი ისე გამეტებით შემოსცხო საფეთქელში, მოცელილივით დავარდა თურქი. დარეტიანებულმა თალიკოს ერთი კი შეხედა, ჩოხ-მადამო — წაილუღლუღა და ისევ ასფალტს მიესვენა. ამის შემხედვარე ზაირას კავალერმა არც აცია, არც აცხელა, ქუჩა გადაირბინა და ტაქსიში დურთა თავი. გამვლელებმა სიცილი დააყარეს „დონ ჟუანებს“ და თალიკოსაც საბრძოლო ილეთი შეუქეს. ეს იყო და ეს, უცხო მიწაზე ამის შემდეგ აღარასოდეს დასჭირვებია თავის დაცვა. სამაგიეროდ, სხვების მიშველება ხშირად უწევდა, მაგრამ არა კარატეს ილეთებით. თალიკო ნადარაია (გვარ-სახელები აქაც და შემდგომაც შეცვლილია) ექიმი იყო და თბილისიდან სტამბოლამდე ხანგრძლივი მგზავრობით გაწამებულ მგზავრებს ხშირად სჭირდებოდათ მისი ყურადღება.

როგორც ექიმი, თბილისში არავის ვჭირდები, სამაგიეროდ, ავტობუსში გავდივარ საექიმო პრაქტიკასო, ხუმრობდა ხშირად და მგზავრები იმედიანად იყვნენ, როცა თალიკო ექიმს თავის სიახლოვეს დაიგულებდნენ. წლების განმავლობაში იმდენი მოახერხა, რომ თავისივე ბინის მახლობლად პატარა მაღაზია გახსნა და თურქეთიდან ჩამოტანილ საქონელს ახლა ლილოს ბაზრობაზე კი აღარ დაარბენინებდა, მაღაზიაში ასაღებდა და ამ საქმეში მისივე და მანანა ეხმარებოდა. ერთხანს თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ...

## ღამის სტუმრები

ქურდი და მამაძაღლი გივი ტრაპაიძე თბილისს მას მერე ეწვია, როცა დასავლეთ საქართველოში საკბილო შემოელია და რაკი იცოდა მარტოხელობით თავს ვერ გაიტანდა, კიდევ ოთხი მეზობელი იახლა თან. თავდაპირველად, პატარ-პატარა ჯიხურებსა და მაღაზიებს აყაჩაღებდნენ და ერთ საღამოს, უფრო სწორად, გვიან ღამით, დების მაღაზიასაც მიადგნენ. შენობის უკან, მოფარებულში, გივიმ და მისმა ძმაკაცებმა ჩვეულებისამებრ ჯერ იარაღი ამოალაგეს ჩანთიდან, მერე სახეზე ნიღბები ჩამოიცვეს და ის იყო, საქმეს უნდა შესდგომოდნენ, რომ მაღაზიის წინ მკვეთრად, მაგრამ უხმაუროდ დაამუხრუჭა „ბმვ“-მ და სამი იარაღიანი ახალგაზრდა ისე სწრაფად შევარდა მაღაზიაში, სადაც ამ დროს ნაგვიანებ კლიენტებს მარტოდმარტო ელოდებოდა მანანა ნადარაია, რომ გივიმ და მისიანებმა იფიქრეს, ალბათ როგორღაც გაგვშიფრეს და ეს ხალხიც ჩვენს დასაჭერად მოსული პოლიციელები არიანო. უკან დაბრუნება დააპირეს, მაგრამ თითქოს მათ ჯიბრზე (იმ დროს, როცა ნახევარი ქალაქი სიბნელეს მოეცვა) მაღაზიის ირგვლივ ყველაფერი განათებული იყო. ეს ერთადერთი ბნელი ადგილიც რომ დაეტოვებინათ, უეჭველად თავს დაიღუპავდნენ, თუნდაც ვეებერთელა ჩანთის გამო. ამიტომაც იარაღი უხმაუროდ გადატენეს და თავის დასაცავად მოემზადდნენ. კიდევ ცოტაც და სამეულმა გივიზე უფრო დიდი ორ-ორი ჩანთით ხელში დატოვა მაღაზია. ჩანთები რის ვაივაგლახით მანქანაში ჩატენეს და უხმაუროდ გაეცალნენ იქაურობას.

— ერიჰაა, ესენი მგონი ჩვენზე უარესი ყაჩაღები არიან. თქვენ აქ იდექით, ერთი ვნახავ, რა მოხდა იქ, შიგნით, — გივი ტრაპაიძემ სახიდან ნიღაბი ჩამოიხსნა, ავტომატი გვერდით მდგომს გადასცა და შენობას შემოუარა. მაღაზიაში მწარედ მოთქვამდა დახლზე დამხობილი მანანა და თითქოს გივის დანახვას ელოდაო, მისი შესვლა ისე შეიცხადა, როგორც ჭირის დღეს სამძიმარზე მისული ყველაზე ახლო ნათესავის დანახვაზე იციან ხოლმე ჩვენებურებმა. ალბათ გამწარებულმა ქალმა კაცი თავის უბნელად ან გულშემატკივრად მიიღო და შესჩივლა: — რაღა პირით დავხვდე თალიკოს. აქ რომ ყოფილიყო, ვნახავდი,

# ყბამოტეხილ ყაჩაღს მთელი დასავლეთ საქართველო ეძებდა...



**ყაჩაღების თავკაცმა ავტომატის კონდახი რამდენჯერმე ჩაარტყა საქარე მინას, მაგრამ ამაოდ. ავტობუსი ვერ გააჩერეს. გივი ტრაპაიძემ უკან, შლაგბაუმის მეორე მხარეს დაიხია და პირდაპირ მძღოლის მიმართულებით გახსნა ცეცხლი. პირველი ტყვია ასცდა, მეორემ კი მხარი გაუნგრია მძღოლს, მაგრამ მანქანა არ გაჩერებულა. თუმცა სწრაფად ვეღარ მიდიოდა — ტყვიებისგან დახვრეტილი საბურავები ამის საშუალებას აღარ იძლეოდა.**

რასაც წაიღებდნენ, მაგრამ ის ახლა სტამბოლშია, საქონელს დაათრევს და მასში უკანასკნელ კაპიკებს იხდის. აქ კი მოვლენ ვიღაც გარეწრები და ერთიანად გაგასუფთავებენ. კი ვფიქრობდი, გვიანაა, ბარემ დავკეტავ-მეთქი, მაგრამ სურსათის კლიენტი გვიანაც მოდის ხოლმე. ვიფიქრე, დას გავახარებ, ზედმეტ ნავაჭრს დავახვედრებ-მეთქი და აი, რა მომივიდა...

დახლები ერთიანად დაეცარიელებინათ. გივიმ გულდათუთქული ჭირისუფალივით ჰკითხა ატირებულ ქალს — როგორ, ნავაჭრიც წაიღეს?

— არა, ნავაჭრი საღამოს ბინაში ამაქვს, მაგრამ თუ რამე გვეწყო მაღაზიაში, ყველაფერი წაიღეს და რა შელავათია! გივის მზაკვრულმა აზრმა გაუელვა თავში. ბოლოს და ბოლოს, ყაჩაღი იყო და თავისი საფიქრალი ჰქონდა.

— რამდენი დღეა, რაც შენი და წასულია? — ჰკითხა მანანას და იმავე წამს ინატრა, ნეტავი მეტყოდეს, დღეს ან გუშინ წავიდაო, მაგრამ მისი სურვილის საწინააღმდეგოდ უპასუხეს, თალიკო თითქმის ორი კვირაა წასული და მხოლოდ სამი დღის შემდეგ ჩამოვაო. რა იცოდა მანანამ, რომ ამით უფრო მკაცრ განაჩენს მოაწერა ხელი, ვიდრე ამაღამინდელი ყაჩაღობა იყო. გივის ერთდროულად ეწყინა და გაუხარდა კიდეც. ეწყინა იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ მოუწევდა ამ მშვენიერი ქალის ატირება. გაუხარდა კი იმიტომ, რომ წამშივე გადაიანგარიშა მაღაზიის ორკვირიანი ნავაჭრი და მაშინვე გადაწყვიტა, დების ბინა დღეს თუ არა ხვალ მაინც უნდა დაეყაჩაღებინათ ან გაექურდათ.

— გეხვეწები, ბინის კარამდე მიმაცილე, თორემ გარეთ გასვლის მეშინია, — შესთხოვა მანანამ კაცს და გასასვლელად მოემზადა. ქალი ერთიანად კანკალებდა. გივის კი სწორედ ეს უნდოდა. ამაღამ არა, მაგრამ ახლა ბინის ადგილმდებარეობას ზუსტად დაადგენს, ხვალ კი მოვა თავისი ბიჭებით და იმ ნავაჭრ ფულს წაიღებს. ახლა მადლიერიც კი იყო იმ სამეულისა, მაღაზიის დაყაჩაღება რომ დაასწრეს. რა თქმა უნდა, ფული ერჩია ჭინჭებით სავსე ჩანთებს, რადგან საქონლის გასაღებაც რისკთან იყო დაკავშირებული...

— აი, მოვედით. აქ ვცხოვრობთ მე, ჩემი და და მისი ორი ბავშვი, რომლებსაც ახლა სძინავთ. ორივენი ფრიადოსნები არიან. მოუკვდეთ დეიდა, რა ვუთხრა დილით, თქვენი ლუკმა გარეწრებს გავატანე-მეთქი? დიდი მადლობა. თქვენც რომ არ გამოჩენილიყავით, უფრო გამიჭირდებოდა.

გივი კიბეზე დაეშვა. ახლა მან ზუსტად იცოდა, რომელ ბინაზე იყო ლაპარაკი და ისიც, რომ კარს ერთადერთი, თანაც ძალზე უბრალო გასაღები ჰქონდა.

— ხვალ დილით ბავშვები სკოლაში წავლენ. თვითონ კი მაღაზიაში იქნება და ამ დროს უნდა შევიდეთ ბინაში. განა რა ისეთი სამალავი ექნებათ, რომ ფულს ვერ მივაგნოთ. ზუსტად ათ საათზე სადარბაზოში შევიკრიბოთ, — გივიმ ორ თანამოსაქმეს გადახედა, — შენ, კოკორია, გარეთ დადგები და თუ საეჭვო რამეს დაინახავ, ხველას ატეხ. ჩვენ მეორე სართულზე ვიქნებით და გავიგებთ. ერთადერთი საფიქრალი ის გვაქვს, რომ სადარბაზო პირდაპირ მაღაზიის მხარეს გადის, მაგრამ ბინიდანაც სათითაოდ გამოვძვრეთ. ერთი სიტყვით, შევთანხმდით. ამაღამ კარგად გამოიძინეთ.

## დილის კოშმარი

დილით, ისე, რომ მაღაზიიდან მანანას არ შეენიშნა, სათითაოდ შეძვრნენ სადარბაზოში გივი ტრაპაიძე და მისი ორი მეგობარი. უკვე იცოდნენ, რომ ბავშვები ამ დროს სკოლაში იყვნენ. ადრიანად მისულმა კოკორიამ დაინახა, როგორ გააცილა ქალმა სკოლაში მიმავალი დისშვილები. ბინის კარი უხმაუროდ გააღეს. ამ საქმის ოსტატი გენო იყო, ღლონტი, ტრაპაიძის მეზობელი და მეჯვარე. ხმაურს ერიდებოდნენ, მაგრამ ფულის ძებნაში მთელი ბინა ისე ააყირავეს, პატრონიც რომ ველარ იცნობდა. თუმცა ფულს მაინც ვერ მიაგნეს. ამის დაჯერება არაფრით უნდოდა გივი ტრაპაიძეს. ამასობაში კი დრო გადიოდა და მანანას რომ ბინაში დაბრუნება გადაეწყვიტა, კოკორიას ხველა საქმეს ველარ უშველიდა, ზედ კიბეზე შეეჩეხებოდნენ მასპინძელს. ის კი, სხვას თუ არა, გივის მაინც იცნობდა და მაშინ?..

**ტურებივით გასუნსულდნენ ორნი სიმინდის ყანაში და ნახევრად მძინარე მეისრეს ჯიხურში წაადგნენ თავს. ავტომატების დანახვაზე მეისრეს ენა ისედაც ჩაუვარდა, ესენი კი აძალებდნენ, იატაკზე ეგდე და ხმა არ ამოიღოო. მერე, ყოველი შემთხვევისთვის, ხელ-ფეხი გაუკრეს და პირიც აუხვიეს. გენო იტყობინებოდა, ორ-სამ წუთში ავტობუსი გადასასვლელთან იქნება და შლაგბაუმი ჩაკეტეთო. მართლაც, ავტომატები აიღეს და შლაგბაუმთან დადგნენ.**

რამდენიმე წვრილმანი ნივთი მაინც ჩაიტენეს ჯიბეებში და ის იყო, ბინა უნდა დაეტოვებინათ, კოკორიას ჩაბჟირებული ხველა რომ შემოესმათ. ფანჯარასთან ახლოს მყოფმა ღლონტმა გაოცებისგან პირი გააღო და ერთადერთი სიტყვა ამოღერღა: „და-ვი-ღუპეთ!“ მაღაზიის წინ პოლიციის საპატრულო მანქანა და ერთიც „ბმვ“ იდგა. ჩანდა, წუხანდელი ყაჩაღები დაეკავებინათ და ახლა ნაყაჩაღარით შემთხვევის ადგილზე მოიყვანეს. გამომძიებელი ადგილმდებარეობის სქემას ხაზავდა, დანარჩენები მაღაზიაში და მის წინ ირეოდნენ. გივიმ დაინახა, როგორ მოვიდა პოლიციის ათკაციანი „უაზ“-ი, საიდანაც ღამის სტუმრები გადმოაბრძანეს და მაღაზიაში შერეკეს. იგრძნო, ძარღვებში სისხლი ეყინებოდა. არც სხვები იყვნენ უკეთეს დღეში. კოკორია სადღაც დათესილიყო.

— სადარბაზოდან ვერ გავალთ. უკანა ფანჯრიდან უნდა გადავხტეთ, სხვა გზა არ არის, — გამოაცხადა ჯგუფის ლიდერმა და პირველი გაემართა ფანჯრისკენ. მაღალი კი იყო, მაგრამ ციხეში წასვლას მაინც ამ სიმაღლიდან გადახტომა არჩიეს და სამივენი ერთმანეთის მიყოლებით გადაეშვნენ სახლის უკანა მხარეს. არავის შეუნიშნავს, მხოლოდ მაწანწალა ძაღლები ქექავდნენ კედელთან მიყრილ ნაგვის გროვას. გადარჩნენ, მაგრამ დიდი შიში ჭამეს და გივიმაც ახალი იდეა წამოაყენა:

— თბილისში არ გვიმართლებს. რაღაც კარგად მომხვდა ყურში წუხელ იმ გოგოს ნათქვამი — ჩემი და სტამბოლში დადისო. ფულიანი ხალხით სავსე ავტობუსები იქ, დასავლეთში, ჩვენი სახლების წინ დაქრიან, ჩვენ კი აქ წამოვედით საყაჩაღოდ. ამ პატარ-პატარა ჯიხურებში ძრომიალს, არ აჯობებს, კვარტალში რომ ერთი ავტობუსი დავაყაჩაღოთ? დიდ ფულსაც ვიშოვით და ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, კანონი ერთნაირად სჯის — გინდა ჯიხური დაგიყაჩაღებია და გინდა — მატარებელი.

## შამათი სამ სვლაში

ავტობუსი საღამოს ათ საათზე დაიძრა სპორტის სასახლის ტერიტორიიდან. მგზავრების უმრავლესობა ერთმანეთის ნაცნობები, სწორედ ის ხალხი იყო, წლების განმავლობაში თურქეთიდან რომ ეზიდებოდნენ სავაჭრო საქონელს. ამიტომაც მათი საუბარი, ძირითადად, წაგება-მოგების თემით შემოიფარგლებოდა. თალიკოს არ უყვარდა ამაზე ლაპარაკი და მით უმეტეს ახლა, ვისთვის უნდა შეეჩივლა თავისი დარდი, ყველას თავისი სატკივარი აწუხებდა. მას შემდეგ, რაც პირველად შემოდგა ფეხი ამ ავტობუსში, ერთი წუთითაც არ განელებია შეურაცხყოფის გრძნობა, მაგრამ იძულებული იყო, კვლავ და კვლავ ემოგზაურა. ამ საღამოს კიდევ უფრო დამცირებულად გრძნობდა თავს თბილისში მომხდარის გამო. მართალია, მაღაზიის საქონელი დაუბრუნეს, არც ბინიდან იყო ბევრი რამე წაღებული, მაგრამ ეს არ იყო მთავარი — შელახულ ღირსებაზე დარდობდა ქალი. ავტობუსში ძველებთან ერთად რამდენიმე ახალბედა მგზავრიც ერია, მალიმალ ისვამდნენ ხელს ჯიბეებზე, რომელშიც მეზობლებისგან ნასესხები დოლარები ეწყოთ. ავტობუსს მაღაზია „მორკინალთან“ ლურჯი „ჟიგული“ აედევნა და აღარ მოშორებია. ეს გენო ღლონტი გახლდათ — იგი თავისი შეფის დავალებას ასრულებდა:

— ავტობუსში ოცდარვა მგზავრია. ათ საათზე გამოვედით. ცოტა ხანში მცხეთაში ვიქნებით. ერთ საათში კიდევ დაგირეკავთ... — მობილური ტელეფონით უპატაკა გენომ გივი ტრაპაიძეს. ნაშუაღამევის სამი საათი იქნებოდა, გენომ რომ გადასცა, სამტრედიაში ვართო და რკინიგზის გადასასვლელთან ჩასაფრებულმა ტრაპაიძემაც ოპერაციის დაწყების ნიშანი მისცა თანამოძმეებს. ტურებივით გასუნსულდნენ ორნი სიმინდის ყანაში და ნახევრად მძინარე მეისრეს ჯიხურში წაადგნენ თავს. ავტომატების დანახვაზე მეისრეს ენა ისედაც ჩაუვარდა, ესენი კი აძალებდნენ, იატაკზე ეგდე და ხმა არ ამოიღოო. მერე, ყოველი შემთხვევისთვის, ხელ-ფეხი გაუკრეს და პირიც აუხვიეს. გენო იტყობინებოდა, ორ-სამ წუთში ავტობუსი გადასასვლელთან იქნება და შლაგბაუმი ჩაკეტეთო. მართლაც, ავტომატები აიღეს და შლაგბაუმთან დადგნენ. ავტობუსების მძღოლმა უმალვე შეაფასა სიტუაცია. თავდაპირველად, გაჩერება დააპირა, მაგრამ მერე ნელ-ნელა მიაწვა შლაგბაუმს, ჯერ ერთი მხარე გაანგრია, შემდეგ — მეორე და ლიანდაგიც გადაკვეთა. ყაჩაღების თავკაცმა ავტომატის კონდახი რამდენჯერმე ჩაარტყა საქარე მინას, მაგრამ ამაოდ. ავტობუსი ვერ გააჩერეს. გივი ტრაპაიძემ უკან, შლაგბაუმის მეორე მხარეს დაიხია და პირდაპირ მძღოლის მიმართულებით გახსნა ცეცხლი. პირველი ტყვია ასცდა, მეორემ კი მხარი გაუნგრია მძღოლს, მაგრამ მანქანა არ გაჩერებულა. თუმცა სწრაფად ველარ მიდიოდა — ტყვიებისგან დახვრეტილი საბურავები ამის საშუალებას აღარ იძლეოდა. ავტომატიანებმა ადგილები გაცვალეს. ის ორი კაცი, მარჯვენა მხრიდან რომ ისროდა, ახლა რატომღაც მარცხნიდან მოექცა ავტობუსს, ტრაპაიძე კი მათ ადგილზე გადავიდა და წინა კარიდან ცდილობდა კუს ნაბიჯით მიმავალი მინაჩამსხვრეული მანქანის სალონში შეღწევას. პანიკაში ჩავარდნილი მგზავრები, რომელთა შორის რამდენიმე დაჭრილიც იყო, შველას ითხოვდნენ, მაგრამ სად იყო მშველელი ამ უდროო დროს. ტრაპაიძე კვლავ მანქანის წინა კარს ჩაჰფრენოდა და იქნებ გაეღო კიდეც, მაგრამ მანამდე ვიღაცამ შიგნიდან გააღო კარი. გაავებულმა ბანდის შეფმა სიამოვნებისაგან ჩაიღიმა — მის წინ ლამაზი ქალი იდგა. გივიმ იგი თანამზრახველად მიიჩნია და ის იყო, მადლობის გადახდა დააპირა, რომ ქალი უცნაურად დაბზრიალდა, მარცხენა ფეხი შემართა და ისე მძლავრად ატაკა სახეში, რომ ბანდიტს ავტომატი გაუვარდა ხელიდან და ყბაგატეხილმა გზის იქით, სიმინდის ყანაში მოადინა ზღართანი. თავკაცის მისაშველებლად გაქანდნენ ბიჭები. გივის ლაპარაკი აღარ შეეძლო, მაგრამ იმდენი კი მოახერხა, თავისიანებისთვის ენიშნებინა, სანამ პოლიცია თავზე დაგვადგება, აქაურობას გავეცალოთო.

თალიკო ნადარაია დილამდე პატრონობდა დაჭრილებს, ყველას დაუმუშავა ჭრილობები, დილით კი სასწრაფოს გადააბარა შეჭირვებული ხალხი. მეორე დღეს მთელი დასავლეთ საქართველოს პოლიცია ეძებდა ყბამოტეხილ ყაჩაღს და ერთ-ერთი სოფლის ამბულატორიაში მიაგნეს კიდეც. ამის შემდეგ აღარც დანარჩენების აყვანა გასჭირვებიათ.

სასამართლოზე, სადაც ტრაპაიძესა და მის ბანდას ჩადენილი დანაშაულის შესაბამისად ერგოთ სასჯელი, ვიღაცამ იხუმრა:

— გამოდის, თალიკომ ზუსტად სამი სვლით დააშამათა ეს გარეწრები.

— როგორ? — იკითხა მეორემ.

— პირველად მაღაზია ვერ „წაიღეს“ და ხახამშრალი დარჩნენ, მეორედ — ბინის გაქურდვისას მოეცარათ ხელი, მესამედ კი მათ თავკაცს ყბა მოსტეხა და საბრალდებო სკამზეც დასვა. შამათი არაა, ვითომ?

**ვაჟა გავაშელი**

# რა ღირს საქართველოში „კაშკაშა ვარსკვლავობა“?

*ბოლო რამდენიმე წელია, ქართული საზოგადოების ნაწილი შეშფოთებას გამოთქვამს შოუ-ბიზნესში მიმდინარე არაჯანსაღი ტენდენციის გამო. ლაპარაკია იმ განუკითხაობაზე, რასაც ადგილი აქვს „ვარსკვლავომანიით“ შეპყრობილ ქართულ შოუბიზნესში. ასე მაგალითად, საკმარისია ამა თუ იმ მომღერალმა რომელიმე საკონცერტო დარბაზში სოლო კონცერტი გამართოს, მეორე დღიდან ამ გაუგებრობას საუკეთესო შოუკონცერტად აღიარებენ და მასზე მთელი წელი ილაპარაკებენ. დღეს ახალგაზრდებს თითქმის აღარც აინტერესებთ ცოცხლად შესრულებული სიმღერა, რადგან, როგორც თავად მიაჩნიათ, ფონოგრამიანი მუსიკა თურმე გაცილებით კარგი მოსასმენია(?!).*

*საინტერესოა ის ფაქტიც, რომ დღეს შესაძლებელია რომელიმე ე.წ. „ვარსკვლავი“, ანუ ის „მომღერალი“, რომელსაც ცოცხლად, ფონოგრამის გარეშე საქართველოში არც ერთი კონცერტიც არ გაუმართავს, გაემგზავროს საზღვარგარეთ და იქიდან დაბრუნებულმა გამართოს პრესკონფერენცია, რომელზეც ამაყად განაცხადებს, რომ მონაწილეობდა მუსიკალურ ფესტივალში და საქართველოს პირველი ადგილითა და გრან-პრით დაუბრუნდა.*

*ერთ-ერთ ასეთ პრესკონფერენციაზე (მომღერლის ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებ) მომღერლის „კეთილის მოსურნე მეგობარმა“ მითხრა, — იმდენს ლაპარაკობენ ამ გრან-პრისა და პირველ ადგილზე, რომ „სიაფანდ“ მომღერალს მგონი, თავადაც სჯერა საკუთარი „გამარჯვებაო“. ცხადია, დავინტერესდი და ვთხოვე, ანონიმურობის გარანტიით, ემბნა, რა იცოდა ამ პირველ პრემიასა თუ გრან-პრიზე.*

— მართლა ძალიან მიკვირს, როცა ასე ხმამაღლა საუბრობენ. თითქოს მომღერალმა ეს უმაღლესი ჯილდო დიდი შრომით დამსახურებულად მოიპოვა.

— **მაგრამ მომღერალმა ხომ ჟურნალისტებს დიპლომი და თასი გვიჩვენა, ასე რომ, შენი ბრალდება მგონი, უსაფუძვლოა...**

— (იცინის) ნუთუ მართლა ასე გულუბრყვილო ხარ? შემიძლია წაგიყვანო მეგობარ „კომპიუტერშჩიკთან“, და 10 წუთში ისეთ დიპლომს დაგიმზადებს, როგორსაც მოისურვებ. რაც შეეხება თასს, ასეთი რამდენიც გნებავს, იმდენი იყიდება მაღაზიებში.

— **ანუ საზღვარგარეთ ამ მომღერალს არავითარ კონკურსში არ მიუღია მონაწილეობა?**

— რასაც ახლა ვიტყვი, მხოლოდ ერთ მომღერალს არ ეხება. ასე უსინდისოდ დღეს ბევრი იტყუება. ნუთუ საინტერესო არ არის, რომ არც ერთ მომღერალს არ უჩვენებია საზოგადოებისთვის თუ ჟურნალისტებისთვის თავად ფესტივალზე გადაღებული ფოტოები ან ვიდეომასალა? 2 წლის წინ, ერთმა მომღერალმა, იურმალას ფესტივალზე რომ პირველი ადგილი აიღო, იქიდან დაბრუნებულმა, დიპლომთან ერთად, ფესტივალის ამსახველი ფოტოები და ვიდეომასალაც ჩამოიტანა. რა, სხვას ფოტოებისა და ვიდეომასალის გადაღების საშუალება არ მისცეს?

*ვერაფერს იტყვი, მით უფრო, როცა ყველა მშვენივრად ვხვდებით, ვინ რა დონის და როგორი ვოკალური მონაცემების მომღერალია. დღეს ნიჭიერი თუ უნიჭო სცენაზე პირველობისათვის წესების გარეშე იბრძვის. ჩაწერენ, ერთ უგემოვნო სიმღერას და საკუთარ თავს „ვარსკვლავებს“ უწოდებენ. ასეთი ე.წ. „ვარსკვლავები“ ქართულ სცენაზე სოკოებივით მომრავლდა, თუმცა რატომღაც ამის ხმამაღლა აღიარებას ყველა ვერიდებოდით.*

*პროფესიონალი მომღერლისთვის, თურმე, არც მუსიკალური განათლებაა საჭირო. ასე თვლიან ჩვენი „ვარსკვლავები“, მაგრამ სულ სხვას ფიქრობს სახელმწიფო კონსერვატორიის ერთ-ერთი ლექტორი, რომელმაც რატომღაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა:*

— ამ თემაზე საუბარი საერთოდ არ მსურდა, მაგრამ ვინმემ ხომ უნდა ამოიღოს ხმა, ვინმემ ხომ უნდა აღიაროს, რომ ჭეშმარიტი ქართული მუსიკა დაღუპვის პირასაა, რადგან სიმღერა დღეს მხოლოდ იმ ადამიანთა პრეროგატივად იქცა, ვის მამიკოებსაც ან საყვარლებსაც ფულით აქვთ გასქელებული ჯიბეები. მიზანსწრაფულმა უსმენოებმა და უნიჭოებმა ფეხი შედგეს ქართულ ესტრადაზე და რაოდენ სასაცილოდაც არ უნდა ჟღერდეს, უკვე ხმამაღლა აცხადებენ, რომ მათ საკუთარი ადგილი დაიმკვიდრეს, თავიანთი სათქმელიც თქვეს.

— **იმათზე რა აზრის ბრძანდებით, ვინც დღევანდელ ე.წ. მომღერლებს სიმღერებს უწერს?**

— ამას წინათ, ერთ-ერთ ჟურნალში წავიკითხე, დღესდღეობით, საკმაოდ „ცნობილი“ ე.წ. კომპოზიტორის ინტერვიუ, სადაც ეს ქალბატონი აცხადებს, რომ თურმე მას, როგორც კომპოზიტორს, კონსერვატორიაში სწავლამ საერთოდ არაფერი მისცა. სასაცილოა, არა? ცხადია, მეც გამეცინა. სწორედ ამიტომ არ შემრცხვება იმის თქმა, რასაც ახლა გეტყვით: დღევანდელ ე.წ მომღერლებს სიმღერებს უქმნიან კომპოზიტორისა და პოეტის სახელს ამოფარებული ადამიანები. სასაცილოა, რომ ეს ვაიავტორები ხშირად ერთმანეთს სიმღერების ქურდობასაც აბრალებენ, მაშინ, როცა თავად იგივე სიმღერები სხვებისგან (ხშირ შემთხვევაში კი, უცხოელებისგან) აქვთ მოპარული. აბა, რა მნიშვნელობა აქვს, პირველი ვინ მოიპარავს. ისე, ქურდის ქურდი ცხონდაო, — გაგიგიათ ალბათ.

*ამ სიტყვებზე გამახსენდა ერთი ქართველი მომღერლის საკმაოდ ცნობილი სიმღერა, რომელიც ასე მთავრდება: „დაასხი, თუმცაღა ცხოვრება გავიდა, მე ისევ ვარდებით დავიწყებ თავიდან“. ამას წინათ, ზუსტად ეს სიტყვები, „დაასხი“-სა და „ვარდების“ გამოკლებით, ერთ-ერთი „კაშკაშა ვარსკვლავის“ სიმღერაშიც შეგვხვდა, აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ სიტყვები: „წვიმა“, „თოვა“, „სიყვარული, „მონატრება“, „განშორება“ და ა.შ. დღეს, თითქმის ყველა სიმღერაში დაუსრულებლად მეორდება.*

*ქართულ ესტრადაში მეტ-ნაკლებად რომ გავერკვიე, ვიფიქრე, მეც ხომ არ მეცადა ბედი და „ვარსკვლავად“ გახდომის შანსები ხომ არ მომესინჯა-მეთქი. მართალია, ხმით და სმენით ვერ დავიტრაბახებ, მაგრამ ეს ხომ აუცილებელი სულაც არ არის... გადაწყვეტილება მივიღე და... ცნობილ ხმის ჩამწერ სტუდიას მივადექი. ვითხოვე, დაეწერათ ჩემთვის სიმღერა და ტექსტი, ჩაეწერათ ამავე სტუდიაში, გაესწორებინათ, გაეკეთილშობილებინათ და... რაც მთავარია, დავინტერესდი, რა დამიჯდებოდა ეს სიამოვნება.*

— იცი, რაშია საქმე? — მიხსნის ჩვენებურ ჟურნალ-გაზეთებში კომპოზიტორად არა, მაგრამ მუსიკოსად კი ხშირად მოხსენიებული „პოპულარული“ ახალგაზრდა, — დაგიწერ მუსიკას, ეს 400 დოლარი ღირს, ამ მუსიკაზე ტექსტის შექმნა 50 დოლარი დაგიჯდება, ჩაწერა — 600 დოლარი. გარანტიას მოგცემ, რომ თუ კარგ კლიპს გადაიღებ და კარგ „რასკრუტკას“ გაუკეთებ, სიმღერა „ძაან მაგარ“ ჰიტად იქცევა.

— **კლიპი რომ არ გადავიღო?**

— თუ კლიპს არ გადაიღებ, მაშინ ალბათ რადიოში მიიტან. ჰოდა, თავდაპირველად, ვიდრე მსმენელი აიტაცებდეს, დაარეკვინე ახლობლებს და მოათხოვნინე შენი სიმღერა. სხვათა შორის, SMS-ებითაც შეიძლება სიმღერის მოთხოვნა, მერე უკვე მსმენელიც მიეჩვევა, დაიმახსოვრებს და პრობლემა აღარ არის, თუმცა მაინც გირჩევ, კლიპი გადაიღო.

— **რა ღირს კლიპის გადაღება?**

— გააჩნია, რომელ რეჟისორთან გადაიღებ. ისე 5.000 დოლარად კარგი კლიპის გაკეთება შეიძლება.

*გადავწყვიტე, მიღებული ინფორმაცია გადამემოწმებინა და იქვე, ბახტრიონის №13-ში მდებარე სტუდია „საუნდს“ მივაშურე. მისი მფლობელი უკვე დაშლილ ჯგუფ „საუნდის“ ერთ-ერთი წევრი,* **თემო ხვიბლიანი** *გახლავთ.*

— **არ გაგიკვირდეთ, მაგრამ მომღერლობა გადავწყვიტე და მაინტერესებს, რა დამიჯდება საქართველოში ვარსკვლავობა?** — ვკითხე მას.

— საქართველოში „ვარსკვლავობა“, მინიმუმ 100.000 დოლარი ჯდება, ოღონდ საკითხავია, რამდენი ხნით იქნებით ე.წ ვარსკვლავი. თუ ნიჭიერი ხართ, შეიძლება შედარებით იაფადაც მოახერხოთ გავარსკვლავება.

— **და, თუ უნიჭო ვარ?**

— საკუთარ თავზე ამბობთ?

— **ასე გამოდის. თუმც შეიძლება მთლად უნიჭოც არ ვიყო. უბრალოდ, ხმა და სმენა არ მაქვს, მაგრამ ძალიან მინდა მომღერლობა.**

— ნამუსი გაქვთ?

— **???**

— თავხედობისთვის მაპატიეთ, მაგრამ თუ ნამუსი გაქვთ, არაფერი გამოგივათ, სცენაზე ასვლის დღიდან გადადეთ ნამუსი გვერდზე, ყოველ შემთხვევაში, ცოტა ხნით მაინც და თუ ასე მოიქცევით, თქვენზე ძლიერი მომღერალი არავინ გეგონებათ დედამიწის ზურგზე. ეს გავარსკვლავებაში ძალიან დაგეხმარებათ.

## „ნამუსი გააქვთ?!“


დავით ოქიტაშვილი: — დღევანდელი ქართველი ვარსკვლავების 80% ფულით არის „გაქაჩული“

**(გაგრძელება იხ. გვ. 27)**





ღია კარის დღე ამერიკულ აკადემიაში

14 აპრილს, 17 საათზე ამერიკულ აკადემიაში ჩატარდება ღია კარის დღე 2004-2005 სასწავლო წელს მე-9 კლასში სწავლის გაგრძელების მსურველებისა და მათი მშობლებისათვის.

მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. 37ა (ახალი ეკლესიის უკან). დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელ: 22 74 41; 22 78 89




„პროსტატ-ჰელსი“:

არა მარტო ჯანმრთელობა...

- ტკივილი
- პროსტატიტი
- იმპოტენცია...




პრობლემები, რომლებზეც არ საუბრობენ, მაგრამ ყოველთვის ახსოვთ!

მამაკაცური პრობლემების მარტივი გადაწყვეტა — პრეპარატი „პროსტატ-ჰელსი“

„პროსტატ-ჰელსი“ — მამაკაცებისთვის, ვისაც ცხოვრებისგან მეტის მიღება სურს

GMP ხარისხის გარანტია – GMP-ის საერთაშორისო სერტიფიკატი

„ჯეოვიტი“ — თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი!

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“

Schiff 60

ჯეოვიტი GEOVIT

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ), ☎ 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56

www.schiffvitamins.com

# ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე მე?

## ბზობიდან — აღდგომამდე

*...ბზობა დღეს უფალი მოწაფეებთან ერთად შევიდა იერუსალიმში, რათა ებრაელთა პასექში მიეღო მონაწილეობა.*

*იესო 33 წლისა იყო...*

### კვირა
### ბზობა ანუ ბაიობა

დაინახა უფალმა იერუსალიმი და ატირდა — იცოდა, სწორედ ეს ქალაქი გაწირავდა და ამისთვის დაისჯებოდა ქალაქი.

იერუსალიმი ემზადებოდა იესოს ჯვარცმისთვის... თუმცა იმ დღეს ქრისტეს სიხარულით შეხვდა. ნაზარეველ წინასწარმეტყველს ხალხი სამოსს, პალმისა და ზეთისხილის რტოებს უფენდა ფეხქვეშ, მოდიოდნენ ავადმყოფები და ილებდნენ კურნებას... ბავშვები უგალობდნენ „ოსანას“.

იმ საღამოს უფალი ღამის გასათევად ბეთანიაში წავიდა.

### ორშაბათი, სამშაბათი

დილით იერუსალიმში დაბრუნდა. შევიდა ტაძარში. მოვაჭრეებს დახლები გაემართათ. განრისხდა უფალი, თავისი ხელით აყარა დახლები — ეს სახლია უფლისა, აქ ხალხმა უნდა ილოცოსო. ხალხი კი მას მონუსხულივით უსმენდა.

იმ დღეს იესო კვლავ ესაუბრა მოწაფეებს თავის აღსასრულზე — შეძრწუნდა სული ჩემი ვიდრე სიკვდილამდეო... და მაშინვე დაამატა: მაგრამ მე ხომ სწორედ ამისთვის მოვედი, მამაო, აღასრულე ნება შენი... ამ დროს მოისმა ზეციდან ხმა. იესო მიუბრუნდა შეკრებილთ: — ეს ხმა ჩემთვის არა, თქვენს გასაგონად იყო. როცა მე ავმაღლდები, თქვენც აღგამაღლებთ, გწამდეთ ნათელი და თქვენც ნათელი გახდებითო...

ხომ ამდენი სასწაული ტრიალებდა უფლის გარშემო, იუდეველებმა მაინც არ ირწმუნეს, ვერ დაიჯერეს, რომ ის ძე იყო უფლისა.... იესომ იუდეველებს უთხრა: — ვინც არ მიწამებს, მას არ განვსჯი, რადგან განსასჯელად კი არა, ხსნისთვის მოვედი, მაგრამ ვინც არ დაიჯერებს ჩემს სიტყვებს, თვით ეს სიტყვები განსჯის, რადგან ჩემი სახელით მამალმერთი ლაპარაკობსო...

სამშაბათსაც იმდენი ხალხი ეხვეოდა, რომ უხუცესებმა და მღვდელმთავრებმა ხელის ხლება ვერ გაუბედეს. გადაწყვიტეს, მისთვის რაიმე აუგი წამოეცდენინებინათ და შეეპყროთ. მიუგზავნეს მოწაფეები, რომლებმაც ქრისტეს აჩვენეს მონეტაზე გამოსახული კეისარი და ჰკითხეს: უფალო, თუ ღვთის წინაშე თანასწორნი ვართ, მაშინ ხარკი კეისარს რატომ უნდა მივცეთო. იესომ მიუგო: მიეცით ყველას ის, რაც ეკუთვნის, — კეისარს კეისრისა, ღმერთს — ღვთისა. ამ დღეს ასწავლა უფალმა მოწაფეებს: გიყვარდეს უფალი შენი სულით და გულით და გიყვარდეს მოყვასი შენი, როგორც თავი შენი — ეს ყოველგვარ შესაწირზე უმთავრესია... ხოლო მაშინ, როცა ქვა ქვაზეც აღარ დარჩება, მოვალ და განვსჯი, ასე ვინ იცხოვრაო. — როდის იქნება ეგ, უფალო, ჰკითხეს მოციქულებმა. — ეგ არავინ იცის, გარდა მამისა: ადამიანები ჩვეულებრივი ცხოვრებით იცხოვრებენ, მაგრამ ერთ დღესაც მოვა აღსასრული. მანამდე კი ბევრი მოვა ჩემი სახელით და გაცდუნებენ. არ დაუჯეროთ. როცა არ მელით, მაშინ გამოვჩნდები. იმ დღეს ციდან ვარსკვლავები ჩამოცვივიან, მზე დაბნელდება, მთვარე აღარ გამოსცემს ნათელს... აი, ასე მოვალ და შევიწყნარებ იმათ, ვინც ჩემი სახელით ჩემი ძმა შემოსა, დააპურა, წყალი დალევინა... დანარჩენებს კი ვეტყვი: წადით ჩემგან, რადგან მშიოდა და არ მომეცით საჭმელი, მწყუროდა და წყალი არ მასვით, სნეული ვიყავ და არ მომხედეთ..



ათონის მთის ხატი: „ნუ მტირ მე, დედაო“

### ოთხშაბათი

ჩაუსახლდა იუდას სულში სატანა. ჰკითხა მღვდელმთავრებს, — თუკი ჩაგაბარებთ იესოს, რას მომცემთო... მიუწონეს 30 ვერცხლი.

იმავე დღეს იესომ პეტრეს და იოანეს დაავალა საპასექო სუფრის მომზადება...

### ხუთშაბათი

იესომ საიდუმლოდ შეკრიბა მოწაფეები. ადგა სუფრიდან, მოიხსნა მოსასხამი და ფეხები დაბანა თორმეტსავე მოციქულს. მათ შორის იუდასაც. გაკვირვებულმა პეტრემ ჰკითხა: „უფალო, ფეხებს შენ მბან?“ მე მაგალითი მოგეცით, თქვენც ამგვარად უნდა მოიქცეთ... — უფალმა თავმდაბლობის მაგალითი მისცა მოციქულებს (ეს ტრადიცია მართმადიდებელ ეკლესიაში დღესაც გრძელდება. დიდ ხუთშაბათს საქართველოს პატრიარქი ფეხებს ბანს 12 მღვდელს). მერე ჩაფიქრდა და თქვა: — ერთმა თქვენგანმა გამცა მე. ვინ არის, უფალო, — ჰკითხეს მოციქულებმა, იუდას კი წარბიც არ შეხრია. მოციქულთაგან ვერც ერთმა ვერ იცნო გამცემი. იესომ იუდა სხვა მოწაფეებთან ერთად აზიარა. აიღო სასმისი და თქვა: აიღეთ და დალიეთ, ეს არის სისხლი ჩემი... მისატევებელად ცოდვათა... აკურთხა პური და წარმოთქვა: აჰა, ჭამეთ, ეს არის ხორცი ჩემი, რომელიც ჩემს მოსახსენებლად მოგეცით. ამით იუდას უფალმა მონანიების საშუალება მისცა და თუნდაც მაშინ, გამცემს ზიარება რომ მადლიერებით მიეღო, საშინელი სასჯელი ასცდებოდა, მაგრამ იუდა ადგა და გავიდა. ქრისტემ მოწაფეებს მიმართა, — კიდევ ცოტა ხანს ვიქნები თქვენთან, მერე კი წავალ, ნუღარ მომძებნით. საით მიხვალ, უფალო, — ჰკითხა პეტრემ. სადაც მე მივალ, ამჟამად შენ ვერ გამომყვებიო... არათუ გამოგყვებით, სულსაც დავდებთ შენთვისო, — მიუგო პეტრემ. უფალმა უპასუხა: პეტრე, როდესაც მწყემსი იკარგება, ცხვრებიც იფანტებიან, ხვალ მამლის ყივილამდე შენ სამჯერ გამცემ, მაგრამ მე შენთვის ვილოცებ... ამის შემდეგ იესომ ილოცა თავისთვის, თავისი მოწაფეებისთვის და ყველასთვის, ვისაც იგი სწამს, შემდეგ სთხოვა მათ, — გეთსამანიის ბაღში წამყევითო — არ უნდოდა მარტო დარჩენა, სამჯერ სთხოვა მოწაფეებს, არ ჩაგეძინოთო, მაგრამ მაინც დაეძინათ. ლოცვისას უფლის განცდები ისე ძლიერი იყო, ოფლთან ერთად სისხლიც გამოსდინდა და მიწას შეერთო. ევედრებოდა მამას, — თუ შეგიძლია, ეს მწარე სასმისი ამაცილეო... როცა მესამედ დაასრულა ლოცვა, მოწაფეები გააღვიძა: — ადექით, წავიდეთ, მოახლოვდა ჩემი გამცემიო...

პარასკევი თენდებოდა...

### პარასკევი

იუდამ იცოდა, სად იქნებოდა ქრისტე. წაიყვანა რაზმი და მივიდნენ ბაღში. გამოვიდა იესო: ვის ეძებთო. ქრისტესო, — უპასუხეს. მე ვარო. შიშით დაემხნენ მის წინაშე... იუდამ თანმხლებთ მიმართა — ვისაც მე ვეამბორები, ის შეიპყარითო. მივიდა და ეამბორა იესოს. იესომ ჰკითხა: — მაშ ამბორით გასცემ?

მიუყვანეს ქალაქის მთავარს, პილატეს. მაშინღა შეწუხდა იუდა, თუმცა ეს იყო მხოლოდ მწუხარება და არა ჭეშმარიტი სინანული. მივიდა მღვდელმთავრებთან: შევცოდეო და 30 ვერცხლი ტაძარში დაყარა... მერე წავიდა და თავი ჩამოიხრჩო. თვით მღვდელმთავრებმაც არ მოჰკიდეს ხელი ამ ვერცხლს — სისხლიანიაო. ითათბირეს, თუ რა ექნათ ამ ფულისთვის და გადაწყვიტეს, მიწა ეყიდათ ისრაელში უპატრონო მიცვალებულებისათვის. მას დღესაც „სისხლიანი მიწა“ ეწოდება...

პილატემ ვერ უპოვა ქრისტეს დანაშაული და იუდეველებს მიმართა, — ბრალს ვერაფერში ვდებო. პილატეს ნება ჰქონდა, პასექის დღესასწაულზე ერთი ტუსაღი გაეთავისუფლებინა. ჰკითხა ხალხს: რომელი გავათავისუფლო — იესო თუ ბარაბა! ბარაბა, — უპასუხა ხალხმა და იესოზე მიუთითა: — ჯუარს აცუ ეგე!

ასე გაცვალეს უფალი ყაჩაღზე. პილატემ წყალი მოითხოვა და ხელები დაიბანა ხალხის წინაშე — მე უბრალო ვარ ამ სისხლიან საქმეშიო. ჯარისკაცებმა იესოს ტანთ გახადეს, თავზე ეკლის გვირგვინი დაადგეს, ჯვარი აჰკიდეს და გოლგოთის გზას გაუყენეს, წყალი ითხოვა მესიამ და ძმარი ასვეს.

ნაგვემი და შეურაცხყოფილი იესო ორ ავაზაკთან ერთად გააკრეს ჯვარზე. ერთმა დასცინა: თუ მართლა უფალი ხარ, შენი თავიც იხსენი და ჩვენცო, მეორემ უთხრა პირველს: ღმერთის არ გეშინია, ამ უდანაშაულო კაცს რომ დასცინიო და სთხოვა იესოს: — უფალო, სასუფეველში მომიხსენეო. იესომ მიუგო: დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეშიო.

...იესოს კვართზე წილი იყარეს, სამოსი წესისამებრ გაიყვეს ჯარისკაცებმა...

...მარიამი უყურებდა შვილის წამებას. შეეცოდა დედა ქრისტეს და იქვე მდგომ მოწაფეზე მიუთითა: — აჰა, დედაო, ძე შენი. მოწაფეს კი უთხრა, — აჰა, დედა შენიო...

იოანემ ღვთისმშობელი იქაურობას განარიდა. ეს ბოლო წამი იყო. როცა ტკივილი გაუსაძლისი გახდა, იესომ უფალს შეღაღადა:

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე მე?

წმინდა მამები ამბობენ, რომ ეს იყო ღვთისგან განმდგარი კაცობრიობის ძახილიც, რომელიც მამა ღმერთს საშველად უხმობს... ქრისტეს ოთხი წმინდა სამსჭვალიდან ორი, იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა მირიან ქართველთა მეფეს გამოუგზავნა. მათგან ერთი, თბილისში, სიონის ტაძარში ინახება, ხოლო მეორე — ეგზარქოსობის დროს, რუსეთში წაიღეს.

### შაბათი

იოსებ არიმათიელმა სთხოვა პილატეს, ნება მიეცა გარდამოეხსნა ქრისტე... მან და ნიკოდემოსმა ქრისტეს სხეული განბანეს, ნელსაცხებლით გააპატიოსნეს, დაასვენეს სამარეში, რომელიც მღვდელმთავრებმა ლოდით დაბეჭდეს. სამარეს დარაჯი დაუყენეს, რათა ცხედარი არავის მოეპარა, არ ეთქვათ, — ქრისტე აღსდგაო...

### აღდგომა

კვირა დილით მენელსაცხებლე დედებს ლოდი გადაგორებული დახვდათ... მათ ანგელოზები გამოეცხადნენ: რატომ დაეძებთ მიცვალებულთა შორის ცოცხალს?.. ის აქ აღარ არის, აღსდგაო!

აღსრულდა ქრისტეს მოსვლის მისია — ღმერთი განკაცდა... და კაცი განღვრთოო...

***

*ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილისა სიკვდილით დამთრგუნველი და საფლავებს შინა ცხოვრების მიმანიჭებელი!*

***ეთერ ერაძე***


## გამოვიდა „კვირის პალიტრის“ დამატება ჟურნალი „კარიბჭე“, აპრილის ნომერი



ჟურნალთან ერთად მიიღებთ ლოცვანს და იერუსალიმის წმინდა მიწაზე ჩამოქნილ, მადლმოსილ ცეცხლზე თავმომწვარ სააღდგომო სანთელს

„კვირის პალიტრაში“ კი ტრადიციული სააღდგომო საჩუქარი მომდევნო ნომერში იქნება




## რას გვეტყვი, მამაო?

**— წელს ვნების კვირას დაემთხვა ხარების დიდი დღესასწაული. ამის გამო, ხარება მარხვით ხომ არ არის?**

— არა. როგორც წესი, ხარების დიდი დღესასწაული წელსაც ხსნილია.

**— როცა ტრანსპორტში ვზივარ და ეკლესიას ჩავუვლი, თანამგზავრები პირჯვარს იწერენ. მე ამას ვერ ვაკეთებ, უხერხულობის გრძნობა მიპყრობს, ნუთუ გაქანებულ „მარშრუტკაში“ პირჯვრის გადაწერა უფლის პატივისცემაა?**

— ეკლესია უფლის სახლია. ეკლესიასთან ჩავლის დროს, მართლმადიდებელი პირჯვრის გადაწერით არა მარტო ესალმება და შემწეობას სთხოვს უფალს, არამედ აღიარებს მამის, ძისა და სულიწმიდის არსებობას. თუკი უფალს ყოველი განსაცდელისა და სიხარულის დროს ვთხოვთ, ჩვენთან იყოს და დაგვიცვას, რატომ უნდა გვეუხერხულებოდეს, რომ მისი სიყვარული ხალხით სავსე „მარშრუტკაში“ გამოვხატოთ. უფლის თაყვანისცემა ყოველ ადგილას შეიძლება. ქრისტესთვის წამებულები თვით უწმინდურ ადგილებშიც იწერდნენ პირჯვარს, რომ თავისი რწმენა დაედასტურებინათ. თქვენც ნუ გეუხერხულებათ, გარდაისახეთ პირჯვარი და დაადასტურეთ თქვენი რწმენა. ოღონდ გახსოვდეთ, სხვები რომ არ გააღიზიანოთ, პირჯვრის გადაწერას პომპეზური ხასიათი არ უნდა ჰქონდეს. პირჯვარი მოკრძალებით უნდა გარდაისახებოდეს და თქვენს სულიერ მდგომარეობას შეესაბამებოდეს. უფალი ამბობს, ვისაც შერცხვება ჩემი აღიარება კაცთა წინაშე, მეც შემრცხვება მისი აღიარებაო.

**— მქვია რამაზი. ჩემი სახელი მოხსენიებულია 100 000 ქართველ მოწამეთა და 9 კოლაელ ძმათა სახელებში. რომელი რამაზია ჩემი მფარველი?**

— ადამიანი, რომელიც თქვენს სახელს ატარებდა, ქრისტესთვის ეწამა და ზეციურ დასში მოხვდა, შეიძლება არა ერთი, არამედ რამდენიმეც იყოს (მაგალითად, არსებობს რამდენიმე წმინდა ელენე, წმინდა სოფიო, წმინდა იოანე და ა.შ.). ყველა მათგანი თქვენს მფარველ წმინდანად ითვლება და ნებისმიერ დღეს შეგიძლიათ მეოხება შესთხოვოთ. მთავარია, რწმენით შეევედროთ. ისე კი, მათი მოხსენიების დღეებში თქვენს ლოცვას უფრო დიდი მადლი ექნება, რადგან ასეთ დროს, მათთვის თქვენთან ერთად მართლმადიდებლური ეკლესიებიც ლოცულობენ. კონკრეტულად კი ის წმინდა რამაზი ჩათვალეთ თქვენს მფარველად, რომელიც თქვენს დაბადების დღესთან მიახლოებით მოიხსენიება.

**— რატომ არ შეიძლება ვიმკურნალო პარაფსიქოლოგიური მედიცინის წარმომადგენლებთან, თუ ამ მკურნალობის დადებითი შედეგები ვნახე.**

— ეკლესიას ზოგადად, მედიცინის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. პირიქით, ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში მედიცინა ეკლესიის განუყოფელი ნაწილი იყო და მონასტრებშიც ამზადებდნენ წამალს; მაგრამ პარაფსიქოლოგიური მედიცინა არ მიეკუთვნება ისეთ მოვლენას, რომელიც ეკლესიას საკურნებელ საშუალებად მიაჩნია. საქმე იმაშია, რომ ძალა, რომლითაც პარაფსიქოლოგები ავადმყოფებზე მოქმედებენ, ღვთისაგან არ მოდის (ამას თვითონაც აღიარებენ). ამ ძალით, განკურნებას დროებით იღებს მხოლოდ სხეული, მოკლე ხანში კი დაავადებული სული სხეულის ავადმყოფობას უფრო აძლიერებს. ეკლესიას რწმენით ზიარება მიაჩნია სულისა და ხორცის საკურნებლად და თითოეულ ავადმყოფს ლოცვით ეხმარება გამოჯანმრთელებაში.

**— ხანდახან ზიარების წინა ლოცვების წაკითხვას შინ ვერ ვასწრებ. შეიძლება თუ არა ეს ლოცვები საზოგადოებრივ ტრანსპორტში ყოფნისას წავიკითხო?**

— ეკლესიურ ცხოვრებას თავისი ეთიკა აქვს — ქუჩაში ან მეტროში, სადაც ადამიანის სული გარემო პირობების გავლენაშია, მართებული არ იქნება ზიარების წინა ლოცვები წაიკითხოთ. ამ ლოცვებს სინანულითა და რწმენით სჭირდება კითხვა, რათა ცოდვები შევინანოთ და ზიარების მადლის ღირსი გავხდეთ. ეს ლოცვები უნდა წაიკითხოთ შინ, მშვიდ გარემოში ან ტაძარში, როცა გაქვთ საკუთარ სულში ჩახედვის საშუალება. გარდა ამისა, ლოცვები თავმდაბლობით უნდა აღევლინოს. ხოლო თავმდაბლობა განმარტოებით მოიპოვება.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

# „უცხოეთის ინკუბატორებიდან ორცენტიან „ნაგავს" ეზიდებიან"

## რომელი კვერცხი შევღებოთ სააღდგომოდ?



აღდგომა დგება და ჩვენს უამრავ საზრუნავს კიდევ ერთი ემატება — რამდენად სანდო და ხარისხიანი შეიძლება იყოს სარეალიზაციო ქსელში სააღდგომოდ შეძენილი კვერცხი! ქათმის კვერცხში პარაზიტ ასკარიდას აღმოჩენის შესახებ დაბეჭდილი სტატიის შემდეგ „კვირის პალიტრაში" უხარისხო კვერცხის ყიდვით განაწყენებულმა უამრავმა მომხმარებელმა დარეკა. მათი გულისწყრომის ძირითადი მიზეზი ლაყე კვერცხები იყო. ზოგი მათგანი კი გვეკითხებოდა: კვერცხმა მომწამლა და ვის ავანაზღაურებინო მკურნალობის ხარჯები ან მორალური ზარალიო. წინასააღდგომო დღეებში გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ გაგვერკვია, რა სიტუაციაა ქათმის კვერცხის სარეალიზაციო ქსელში და სწორია თუ არა ზოგიერთი მომხმარებლის პრეტენზია იმის შესახებ, რომ სავაჭრო ობიექტებში იყიდება კუს, ნიანგის, გველის და ზოგიერთი აკრძალული ქვეყნიდან შემოტანილი ქათმის კვერცხი. მოკვლევა ძირითადად დედაქალაქში ჩავატარეთ, ამ ეტაპზე რეპტილიების არა, მაგრამ საეჭვო წარმოშობის ქათმის კვერცხს დიდი რაოდენობით წავაწყდით. მათი გამორჩევა სულაც არ ყოფილა პრობლემა. კონტრაბანდულ და ფალსიფიცირებულ პროდუქციას ან არანაირი სავაჭრო მარკირება არ აქვს, ან კიდევ გაურკვეველი „იეროგლიფებით" არის აჭრელებული, რაც აშკარად ღაღადებს, რომ იგი ნამდვილად არ არის ქართული ნაწარმი და შეიძლება ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნებელიც აღმოჩნდეს. ყველაზე საინტერესო სურათი დეზერტირების ბაზრისა და ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიებზე დაგვხვდა. ადგილობრივი წარმოების პროდუქციასთან ერთად (ამის სანდოობაზე ქვემოთ მოგახსენებთ), ვაჭრებს დახლზე უცხოური კვერცხიც ეწყოთ, რომელსაც იაფად სთავაზობდნენ მყიდველს. ვისაც კი შევეკითხე, ეს უმარკო კვერცხი ვისია-მეთქი, ყველამ მომიგო — „სამგორისააო". ერთს საუბარში მივყევი, თავი მოხმარებლად გავაცანი და ვთხოვე მიესწავლებინა „სამგორის" მეფრინველეობის ფაბრიკა — წინასააღდგომოდ რამდენიმე პარტიას ავიღებ და ორ კაპიკს გავაკეთებ-მეთქი. ჩვენ შორის დაახლოებით ასეთ დიალოგი გაიმართა:

— ვაა, შენ ვაჭრობა გნდომია, ეგრე გეთქვა, რა სამგორი, რის სამგორი, სომხური კვერცხია, ვისაც ეზარება, მარკირებას არ უკეთებს და „სამგორისააო" ასე ასაღებს.

— **სომხების მაცივარი სად არის?** — ჩავაცივდი.

— მაცივარზე რა მოგახსენოთ, მაგრამ პატარა საწყობები რომ აქვთ ორჯონიკიძის ქუჩაზე, ეგ ნამდვილად ვიცი.

ეს კვერცხი ძირითადად აქაურ სომხებს შემოაქვთ. იძახიან, სომხურიაო, დიდი ნაწილი კი ირანულია. ბაზრის ტერიტორიებზე მოვაჭრეებს, საქონელს მანქანით თვითონ მოგვართმევენ ხოლმე.

— **თუ მარკირების გაკეთება არ გეზარება, ბეჭედი სად უნდა იშოვო?**

— რა პრობლემაა, კვერცხთან ერთად ბეჭდებიც „ოპტომ" მოაქვთ. ის იყო კარგი, ქართული ფირმების ბეჭდებს რომ გვაძლევდნენ, ახლა აზრი აღარ აქვს იმათ გამოყენებას. ქართველებმა, რაღაც აპარატი ჩამოიტანეს, იმით ბეჭდავენ კვერცხებს. ხალხმა გაიგო და აზრი აღარ აქვს მოტყუებას. თუმცა, ვინც რეგიონებში ვაჭრობს, იმათ ჯერ კიდევ გამოუდით ეგ საქმე. აქ ან უცხოური მარკირება უნდა გაუკეთო, ან არაფერი.

— **ამდენი ადგილობრივი კვერცხის გვერდით გეყიდებათ უცხოური პროდუქცია?**

— რას ჰქვია გვეყიდება, ადგილობრივი კვერცხი ფასის გამო უმეტესად ჩაწოლილია, თურქული, ირანული, სომხური და სხვა გრიალით იყიდება. ფასი, ფასია მთავარი! მყიდველისთვის ორი თეთრის ეკონომიასაც მნიშვნელობა აქვს. ჩვენც ამაზე უფრო მეტი გვრჩება, ვიდრე ქართულ კვერცხზე.

ერთ-ორ ვაჭარს, როგორც მყიდველმა, ვკითხე — ამ კვერცხებს რომ ყიდით, სერტიფიკატები თუ გაქვთ-მეთქი. ისე გაიკვირვეს, ციდან ჩამოვარდნილი მეგონა თავი. მერე კარგა ხანს ვეძებდი სომხური, თურქული, ირანული თუ სხვა წარმომავლობის კვერცხის საწყობებს, მაგრამ ამაოდ, ვერსად მივაგენი. იძულებული გავხდი, გეზი იმ სამსახურებისაკენ ამეღო, რომელთაც არა მარტო თბილისის, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით ევალებათ პროდუქციის შემოტანასა და ვაჭრობაზე ვეტერინარული კონტროლი. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსის მისაღებში პიროვნებამ, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, მიპასუხა: — კვერცხის და ქათმის გამოცანას უფრო მალე გასცემენ პასუხს, ვიდრე საქართველოში კონტრაბანდული კვერცხის რეალიზაციის პრობლემას მოაგვარებენო. ჩემი რესპონდენტის მტკიცებით, თურქეთში, ირანში და სხვა ქვეყნებში ჩასული ბიზნესმენები საქართველოში ხშირად გადასაყრელად გამზადებულ კვერცხს ეზიდებიან.(!) როგორც მან ამიხსნა (რაც შემდეგ გადავამოწმე კიდეც), მეფრინველეობის ფაბრიკებში, ინკუბატორებში, საინკუბაციო კვერცხს სამი დღე-ღამის განმავლობაში აჩერებენ +32-დან +40 გრადუს ტემპერატურაზე, შემდეგ კი ამოწმებენ, რომელიც ვარგისია საინკუბაციოდ, ტოვებენ, რომელიც არა, წესით, უნდა გადაყარონ. მაგრამ „ჩასაფრებული" ქართველი ვაიბიზნესმენები თურმე სწორედ ასეთ კვერცხს მოარბენინებენ (თითქმის მუქთად) საქართველოში — „თავიდან აქედან ჩასულები ეძებდნენ ინკუბატორებს თურქეთსა და ირანში, მერე კი იმათ აქეთ დაუწყეს ძებნა საქართველოში კვერცხის რეალიზატორებს. წარმოიდგინეთ, 2 ცენტად ყიდულობენ „ნაგავს". ეს კვერცხი მწარმოებელმა რომ გაანადგუროს, ადგილზე უფრო ძვირი დაუჯდება. საქართველოდან ჩასულ ბოროტმოქმედებთან ურთიერთობით კი ორივე მხარე მოგებული რჩება და არა მარტო ისინი: მოგებული რჩება გადამყიდველიც. ყველა მათგანის წყალობით კი, ზარალდება მომხმარებელი, საფრთხე ემუქრება ადამიანის ჯანმრთელობას. — დაასრულა მძიმე მონოლოგი ჩემმა მოსაუბრემ.

ნახულითა და მოსმენილით გაოგნებული შევედი ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსთან, **ირაკლი ტყემალაძესთან.**

— **ბატონო ირაკლი, როგორ ადგენთ, ღირს თუ არა ამა თუ იმ ქვეყნიდან კვერცხის ექსპორტი?**

— ჩვენ საერთაშორისო ეპიზოოტიური ბიუროს წევრები ვართ და როგორც ნებისმიერ ამ ორგანიზაციაში გაწევრებულ ქვეყანას, გვაქვს იმ ქვეყნების ნუსხა, რომლებიც არაკეთილსაიმედოდ ითვლებიან, მათთან პროდუქციის იმპორტზე კი უარს ვამბობთ. აი, მაგალითად, ახლა ირანში ქათმის დაავადების გამო ეპიზოოტიური ბიუროს მონაცემების საფუძველზე აიკრძალა ირანიდან პროდუქტის შემოტანა. მისი საკვებად გამოყენება არ შეიძლება.

— **რამდენად დაცულია საბაჟო, რომ არ შემოაპარონ აკრძალული ტვირთი?**

— აკრძალულს სერტიფიკატი არ ექნება და ვერც შემოაპარებენ.

— **ამბობენ, სომხურად ასაღებენ და ირანული კვერცხი შემოაქვთო.**

— მოდით, მე აგიხსნით შემოსვლის მექანიზმს, დასკვნა თვითონ გააკეთეთ. აი, მაგალითად, სომხეთიდან მოდის კვერცხი, მოჰყვება იქაური სერტიფიკატი, თანხმობა სომხეთის ვეტდეპარტამენტიდან, რადგან სომხეთი არ არის არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხაში, მე ვალდებული ვარ ვენდო იმ დოკუმენტს. საბაჟოზე დგას ჩემი ვეტექიმი, რომელიც ნახავს ტვირთს, თუ ის დაეჭვდება ვარგისიანობაში, შეუძლია ტვირთი შეაჩეროს და შესაბამისი მოკვლევა ჩაატაროს.

— **თუ ყოფილა შემთხვევა, რომ უვარგისი ტვირთი დაუკავებიათ და უკან გაუშვიათ?**

— დიახ. იყო ასეთი შემთხვევებიც. ჩვენც შვილები, ოჯახები, ნათესავები გვყავს, ჯერ ერთი, ორი თავი არავის აქვს და ყველას ეშინია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის, მერე კიდევ არავის მოწამვლა არ გვინდა.

— **მაგრამ ხომ შეიძლება, ერთი შეხედვით ვარგისი, აკრძალული ირანული კვერცხი შემოგვაპარონ სომხური სერტიფიკატით?**

— სამწუხაროდ, სომხეთში კვერცხის წარმოების პირობების და სერტიფიკატის შემოწმების საშუალება ჩემს კომპეტენციას სცილდება. ნამდვილად ვერ დავადგენ, სად დაიდო, როგორმა ქათამმა დადო და რა ხნისაა შემოტანილი კვერცხი. კვერცხის თემა საკმაოდ რთულია. მე შეიძლება წინააღმდეგიც ვიყო კვერცხის შემოტანის, მაგრამ ვერავის ავუკრძალავ. ჩვენს სამსახურებს გვირჩევნია კვერცხიც ადგილობრივი იყოს, კონსერვიც, ხორციც და ა.შ. უფრო მეტი კონტროლის საშუალება გვექნება... პრობლემები არის, თუმცა არ მინდა მათზე საუბარი, რადგან ბევრი რამ ჩემს კომპეტენციას სცილდება.

ამავე მიზეზით ოფიციალური პირები პრობლემების არსზე და მისი მოგვარების მეთოდებზე დიქტოფონის თანხლებით საუბარს სიკვდილივით უფრთხიან. ისე კი, კვერცხის კონტრაბანდის საკითხს მომაკვდინებელს უწოდებენ, რეალურად არ არსებობს არა მარტო კონტრაბანდული, არამედ ადგილობრივი, უხარისხო კვერცხისგან დამცავი მექანიზმი.

***(გაგრძელება იხ. გვ. 27)***



# რა დარჩენია მოსკოვს ბათუმში

თბილისი-ბათუმის დაპირისპირებაში მოსკოვმა ფაქტობრივად აჭარის ხელისუფალთა მხარე დაიჭირა. მას საქართველოს ამ ავტონომიისა და მისი ხელმძღვანელის სიყვარული კი არ ამოძრავებს, არამედ რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობის გამო იქცევა ასე. აჭარის დაკარგვა თბილისს შავ ზღვასთან გასასვლელს და თურქეთთან კავშირის შესაძლებლობას მოუსპობს. მოსკოვი აჭარის ლიდერთან კეთილი დამოკიდებულებით, თბილისზე ზემოქმედების მძლავრ ბერკეტს მიიღებს. როგორც ეტყობა, აჭარას გადამწყვეტი როლი აქვს იმ კონტრთამაშში, რომლის წამოწყებასაც აპირებს რუსეთი ამ რეგიონში აშშ-ის გავლენის ზრდის წინააღმდეგ.




**ამერიკული თამაში.** გაისად, წლის ბოლოსთვის უნდა დამთავრდეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა, რომელსაც ვაშინგტონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ რეგიონში თავისი სტრატეგიის გასატარებლად. ნავთობსადენი აშშ-ის მიერ აწყობილი სამხედრო სტრატეგიული კონსტრუქციების თავისებური ღერძი უნდა გახდეს, რომელიც ცენტრალურ აზიას, აზერბაიჯანსა და საქართველოს მოიცავს.

ცენტრალური აზიის ზოგიერთმა რესპუბლიკამ უკვე გამოყო ტერიტორიები აშშ-ის სამხედრო ბაზებისთვის. საქართველოში ამერიკელები ჯერ არ აპირებენ ბაზების აშენებას, ამის აუცილებლობა არც არის, რადგან აშშ-ს თავისი სამხედრო ძალების საჭიროებისთვის ისედაც შეუძლია საქართველოს ტერიტორიის გამოყენება — ამისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა და საკანონმდებლო ბაზა უკვე არსებობს. ასეთივე სქემის დაკანონებაზე აწარმოებს ახლა მოლაპარაკებებს აშშ აზერბაიჯანთან. რეგიონში ამერიკის სამხედრო ძალების ყოფნა კი აქ რუსეთის არსებობას შეასუსტებს. სტამბოლის ხელშეკრულების თანახმად, მოსკოვმა უკვე გაიყვანა თავისი ორი ბაზა საქართველოდან, ახალქალაქისა და ბათუმის ბაზების გაყვანის შესახებ კი რფ-ის პრეზიდენტს წარამარა ახსენებენ დასავლელი პარტნიორები და საქართველოს ხელისუფლება. თუ ეს პროცესი ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა, მაშინ ამიერკავკასიაში რუსეთის მთავარი (უფრო სწორად, ბოლო) მოკავშირე, სომხეთი რუსეთისგან მოწყვეტილი აღმოჩნდება, ხოლო მის ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის ბაზები არა მარტო სამხედრო მნიშვნელობას, არამედ ყოველგვარ აზრს დაკარგავენ. ამ სიტუაციაში მოსკოვს უთუოდ უნდა წამოეწყო რაიმე კონტრთამაში და წამოიწყო კიდეც!

**რუსული კონტრთამაში.** თბილისსა და ბათუმს შორის დაპირისპირების დროს აჭარის დედაქალაქში იური ლუჟკოვი ჩავიდა. მოსკოვის მერის გარემოცვამ ეს უეცარი ვიზიტი ასე ახსნა: იური მიხაილოვიჩი აჭარაში მოსკოველი მშენებლების მიერ დაწყებული სამუშაოების შესამოწმებლად ჩავიდაო. ამ სიტყვების გულწრფელობამ ბევრი დააეჭვა, თუმცა სულ ტყუილად. სხვა ობიექტებთან ერთად, მოსკოველ მშენებლებს ავტომაგისტრალ ბათუმი-ახალქალაქი-გიუმრის აშენებაც აქვთ გადაწყვეტილი. როგორც ეტყობა, სწორედ ეს იქნება იმ კონსტრუქციის ღერძი, რომლის შექმნასაც მოსკოვი აპირებს ამერიკელთა საპირისპიროდ. ეს მაგისტრალი არა მარტო ხელს შეუშლის რუსეთისგან სომხეთის მოწყვეტას და რუსეთის მოკავშირეს ზღვისკენ გასვლის საშუალებას მისცემს, არამედ თვითონაც გადაჰკვეთს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ტრასას და ამით მასზე კონტროლის საშუალებას მიიღებს.

ამჟამად მაგისტრალის ყველა გადამწყვეტ წერტილში — ბათუმში, ახალქალაქსა და გიუმრიში რუსეთის სამხედრო ბაზებია. ბათუმისა და გიუმრის ხელისუფლება ლოიალურია მოსკოვისადმი. ჯავახეთში უმეტესად სომხები სახლობენ. ახალქალაქზე კი დიდი გავლენა აქვს რუსეთის მოკავშირე სომხეთს. ბათუმი-ახალქალაქი-გიუმრის სტრატეგიული მნიშვნელობა რუსეთისთვის ყოველგვარ აზრს დაკარგავს, თუკი აჭარა თბილისის სრული კონტროლის ქვეშ მოექცევა.

ამიტომ ბათუმისთვის ბრძოლა მოსკოვისთვის (ისევე, როგორც ამერიკისთვის) პრინციპული საქმეა მაგრამ, იმდენად მნიშვნელოვანი არა, რომ რუსეთის და აშშ-ის ახალი კონფრონტაცია გამოიწვიოს. აჭარაზე აშშ-ის კონტროლი ამ უკანასკნელის რეგიონში კარგა ხნით დარჩენას და საქმიანობას გულისხმობს, რუსეთი კი მხოლოდ ამ საქმიანობაში მონაწილეობას უნდა დასჯერდეს.

***კომერსანტი №55***

# ტანკები სანაპიროზე



საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილემ გიგი უგულავამ სენსაციური განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ დაკავებულია აჭარიდან შემოგზავნილ კილერთა ჯგუფი, რომელიც თავს უნდა დასხმოდა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. აჭარის ლიდერმა ასლან აბაშიძემ ამ ბრალდებას აბსურდული უწოდა და თავის მხრივ, პრეზიდენტი დაადანაშაულა ავტონომიის ლიდერზე თავდასხმის მომზადებაში.

თბილისსა და ბათუმს შორის ბრალდებების გაცვლა-გამოცვლამდე ცენტრალურმა ხელისუფლებამ მკაცრი ზომები გაატარა აჯანყებული პროვინციის დასაშოშმინებლად. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ თანამდებობიდან გაათავისუფლა აჭარაში დისლოცირებული 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის პოლკოვნიკი რომან დუმბაძე — მარტის დასაწყისში მისი ბრძანებით, აჭარაში მიმავალ პრეზიდენტს სწორედ მისმა ჯარისკაცებმა გადაუკეტეს გზა, რასაც სააკაშვილმა სამშობლოს ღალატი უწოდა. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ყველა უკანონო შეიარაღებული ფორმირება, რომელიც თავდაცვის სამინისტროსა და უმაღლეს მთავარსარდალს არ ემორჩილება, განიარაღდება. მსგავს ფორმირებებს მან „ბანდიტური" უწოდა. ეს ნათქვამი შეუნიღბავი მუქარა იყო რომან დუმბაძის მიმართ. აჭარის ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ბრიგადის ასე მოხსენიება სერიოზულად მიიღო ბათუმმა. ასლან აბაშიძე არ გამორიცხავს ავტონომიაში საგანგებო მდგომარეობის აღდგენის საჭიროებას. ბათუმის ცენტრში, სამთავრობო შენობების გარშემო, ბარიკადები აღიმართა, სანაპიროზე კი ტანკები გამოჩნდა, რომელთა ლულები ზღვისკენაა მიმართული.

ანალიტიკოსთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ კრიზისის გამწვავების მიზეზი ეკონომიკაში იმალება. ცენტრალური ხელისუფლება დიდი ხანია უშედეგოდ ცდილობს კონტროლის დაწესებას აჭარის კეთილდღეობის მთავარ წყაროზე — ბათუმის პორტსა და სარფის საბაჟოზე. ამის შესახებ თითქოსდა მოილაპარაკეს სააკაშვილმა და აბაშიძემ, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ აბაშიძემ თავისი წარმომადგენლების დაშვება მოითხოვა ფოთის პორტსა და ახალციხის საბაჟოზე. ეს მოთხოვნა კი აჭარის ლიდერის და საქართველოს პრეზიდენტის სტატუსის გათანაბრების აღიარებას ნიშნავდა, რაზეც თბილისი არასოდეს დასთანხმდება. დაპირისპირების შედეგად ცენტრალურ ხელისუფლებას სერიოზული სიძნელეები შეექმნა ბიუჯეტის ფორმირების საქმეში. როგორც აბაშიძემ განაცხადა, თბილისი „სამხედრო თამაშებითაა დაკავებული", რადგან „ვერ ახერხებს ბიუჯეტის შევსებას და პენსიების გასტუმრებას". ამასთან, ბევრი დამკვირვებელი იმასაც აღნიშნავს, რომ აჭარის სიტუაცია ძირეულად განსხვავდება სხვა ამბოხებული პროვინციების — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისგან. ბათუმთან შეიარაღებული შეტაკება აღიქმებოდა, როგორც ქართველის ქართველთან ომი და პოლიტიკური თვითმკვლელობა იქნებოდა პრეზიდენტ სააკაშვილისთვის. აქედან გამომდინარე, კონფლიქტის განვითარების შესაძლო ვარიანტი აჭარის მთავრობაზე პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლა იქნება. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა საკურორტო სეზონის დაწყება — აჭარელთა ოჯახური ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი წყარო. საქართველოს მოქალაქეთა ნაწილი უკვე აღარ აპირებს ზაფხულში აჭარაში წასვლას... თუმცა მეორე ვარიანტიც არსებობს. როგორც არჩევნებმა აჩვენა, ასლან აბაშიძე უკვე აღარ სარგებლობს აჭარელთა უწინდებური მხარდაჭერით. რესპუბლიკაში გავლენიანი ოპოზიცია შეიქმნა. გამორიცხული არ არის, რომ თბილისი „ვარდების რევოლუციის" სცენარის განმეორებას მოინდომებს და ძალისმიერ აქციებამდე საქმე არ მივა.

***რუსული პრესის მიხედვით***

***მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***





ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გენიოსობენ

დედამ 3 წლის **ნინო დოგრაშვილს** უთხრა:

— დაწექი, მე ზოიას გავაცილებო.

— არ წახვიდე, თვითონ გაცილდებაო, — მიუგო გოგონამ.

***

ორწლინახევრის **ანა თათელაშვილმა** იმდენ ხანს უყურა სატელევიზიო წინასაარჩევნო რეკლამებს, რომ 28 მარტს განაცხადა:

— დედიკო, მეც მოვდივარ არჩევნებზე. ჟუჟუნა ბებოს უნდა მივცე ხმა!

***

შინ დაბრუნებულ ვაჟა ბაბუს 2 წლის **მარიამ გუჯაბიძე** ხელებგაშლილი შეეგება.

— მარიკუნა, დასაბანი ვარ, მერე მოგეფერები.

— ბაბუ, დედა გყავს? — ეკითხება მარიამი.

— არა, ბაბუ, არ მყავს.

— მაშ, ვინ უნდა გაბანაოს?

***

4 წლის **მადონამ** დილით გაიღვიძა და თავის დაიკოს, 5 წლის ხატიას ეჩხუბება:

— გოგო, რა გინდოდა სიზმარში, რას მეუბნებოდი. ხმამაღლა ვერ მითხარი? ვერ გავიგე.

— მე შენს სიზმარში სულაც არ ვყოფილვარ, მე მამიკოს სიზმარში ვიყავი და ბუშთაიდის ბაღში წამიყვანა, — პასუხობს ნაწყენი ხატია.



შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: ***„შინაური ფრინველია, აქვს მას ერთი ჩვეულება: წყლის ყოველი დალევის დროს, ზევით, ცისკენ იყურება.“***






**რომელი ნივთებია საჭირო ბაღში სამუშაოდ?**

## იუდა ღალატობს უფალს

ბიბლიური მოთხრობა

პასექის დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე იესომ თორმეტ მოციქულს უთხრა: „ჩვენ ახლა იერუსალიმში მივდივართ. იქ ერთ-ერთი თქვენგანი გამცემს მე, შემდეგ სიკვდილს მომისჯიან და რომაელებს ჩამაბარებენ. რომაელები დამცინებენ, შემომაფურთხებენ, მცემენ და მომკლავენ. მაგრამ სამი დღის შემდეგ აღვდგები“. როდესაც ისინი ქალაქს მიუახლოვდნენ, იესომ წინასწარ გაგზავნა ორი მოწაფე: „წადით სოფელში. იქ ჩოჩორს დაინახავთ, რომელზედაც ჯერ არავინ მჯდარა. ახსენით იგი და მომგვარეთ. თუ ვინმე შეგეკითხებათ: რას აკეთებთ? უთხარით: უფალს სჭირდება და მალე დააბრუნებს-თქო.“ ორი მოციქული სოფელში წავიდა და მათ იესოს მოჰგვარეს ჩოჩორი.

სახედარზე შემჯდარი იესო იერუსალიმში შევიდა. ხალხი, რომელიც მასთან ერთად მოდიოდა, ხალიჩასავით უფენდა ტანსაცმელს წინ, ტეხდნენ მწვანე ტოტებს და გზაზე უწყობდნენ. ბევრი, იესოს თანმხლებთაგან, ხმამაღლა ამბობდა: „კურთხეულია იგი, ვინც მოდის ღმერთის სახელით. კურთხეულია ჩვენი მამის დავითის სამეფო. ახლა ეს უკვე სინამდვილეა.!“

პასექის დღესასწაულამდე ორი დღით ადრე, შეიკრიბნენ მღვდელმთავრები და მწიგნობრები. ისინი ეძებდნენ შემთხვევას, რათა მოტყუებით ხელში ჩაეგდოთ იესო და მოეკლათ. ისინი ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „ეს არ უნდა მოხდეს დღესასწაულის დროს, თორემ შეიძლება ხალხი აჯანყდეს!“ ერთ-ერთი თორმეტ მოციქულთაგანი, იუდა ისკარიოტელი, მივიდა მღვდლებთან და უთხრა: „მზად ვარ, იესო ჩაგაბაროთ“. ეს რომ გაიგეს, გაიხარეს და მას ჯილდოს შეჰპირდნენ — ოცდაათ ვერცხლს. ამის შემდეგ იუდა ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდა, რათა იესო გაეცა.

**II** **ჩასვი გამოტოვებულ ადგილებში ზემოთ მოცემული სურათის ფრაგმენტები და გამოიცანი, რომლებია ზედმეტი?**



## III ანა, გამოიცანი

**1) რომელი გამოთქმა ნიშნავს „ამოიჩემა“?**

ა) კბილი მოუსინჯა; ბ) კბილი დაასო; გ) კბილს ილესავდა; დ) კბილი მოჭრა.

**2) ამათგან რომელია სახელდახელოდ შეთხზული ლექსი, მუსიკალური ნაწარმოები ან მოუმზადებლად წარმოთქმული სიტყვა?**

ა) ექსპონატი; ბ) ექსპერტი; გ) ექსპრომტი; დ) ექსპოზიცია.

**3) ვინ არის ავტორი ცნობილი ფერწერული ტილოსი „საიდუმლო სერობა“?**

ა) ლეონარდო და ვინჩი; ბ) რაფაელი; გ) ბოტიჩელი; დ) გოია.

**4) რომელმა მეფემ გაიმარჯვა ბასიანის ბრძოლაში?**

ა) დავით აღმაშენებელმა; ბ) დემეტრე II-მ; გ) თამარმა; დ) გიორგი V-მ.

**5) რომელია ზედმეტი?**

ა) ჩია; ბ) წერწეტა; გ) კაფანდარა; დ) მხარბეჭიანი.

**6) რომელი ძაღლი გამოირჩევა ხუჭუჭი ბეწვით?**

ა) პუდელი; ბ) პოინტერი; გ) დოგი; დ) დობერმანი.

**7) რომელ ბერძენ მეცნიერს უწოდებენ „მედიცინის მამას“?**

ა) პითაგორას; ბ) არქიმედეს; გ) არისტოტელეს; დ) ჰიპოკრატეს.

**8) ვინ შეუმშრალა თავისი თმით ფეხები იესოს და სცხო ნელსაცხებელი?**

ა) მარიამმა; ბ) მართამ; გ) ელისაბედმა; დ) ნინომ.

**იპოვე 10 განსხვავება**



**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

***გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა***

„კვირის პალიტრის“ „ზღაპრების სახლმა“ უკვე 50 ქართული და უცხოური ზღაპარი გამოსცა. შეამოწმეთ, არის თუ არა ყველა ზღაპარი თქვენს კოლექციაში. ის ზღაპრები, რომლებიც წაკითხული გაქვთ, აღნიშნეთ ასე: — ⊕ და სია აჩვენეთ მშობლებს

1. ○ მელია და მწყერჩიტა
2. ○ ქალთევზა
3. ○ ნაცარქექია
4. ○ მძინარე მზეთუნახავი
5. ○ კომბლე
6. ○ ირმისა
7. ○ ჩიპოლინო
8. ○ წითელქუდა
9. ○ ფიფქია და შვიდი ჯუჯა
10. ○ ხუთკუნჭულა
11. ○ მაკნატუნა
12. ○ თოვლის დედოფალი
13. ○ ბრემენელი მუსიკოსები
14. ○ ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი
15. ○ სამი გოჭი
16. ○ თორმეტი თვე
17. ○ სიზმარა
18. ○ მაუგლი
19. ○ ჩექმებიანი კატა
20. ○ მგელი და შვიდი თიკანი
21. ○ ნამცეცა
22. ○ ნახევარქათამა
23. ○ სამი ფორთოხალი
24. ○ გოგონა და ურჩხული
25. ○ წიქარა
26. ○ ალადინი
27. ○ ღორების მწყემსი
28. ○ მძლეთამძლე
29. ○ ქოჩორა რიკე
30. ○ უფლისწული ბაყაყი
31. ○ ბულბული
32. ○ რიკი-ტიკი-ტავი
33. ○ კონკია
34. ○ მახინჯი იხვის ჭუკი
35. ○ კატა, მამალი და მელა
36. ○ ცეროდენა
37. ○ გაუცინარი პრინცესა
38. ○ ველური გედები
39. ○ გაქვავებული სამეფო
40. ○ გოგონა და სამი დათვი
41. ○ წითელი ფეხსაცმლები
42. ○ მოჯადოებული კატა
43. ○ მეჩონგურე
44. ○ თხისყურებიანი მეფე
45. ○ ბურატინოს თავგადასავალი
46. ○ ლომი და კურდღელი
47. ○ ნაცარქექია
48. ○ მოჯადოებული ტყე
49. ○ არვიციას ამბავი
50. ○ ჯიუტი სპილუკა

ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

# მამულ-დედული



## სამუშაოები აპრილში

*დადგა აპრილი, წელიწადის უმშვენიერესი თვე, გაიღვიძა ბუნებამ. ეს ის დროა, როცა მამულის პატრონს მუხლჩაუხრელი შრომა მართებს. ახლაა საჭირო ბაღში, ვენახსა და ბოსტანში შესაბამისი სამუშაოების ჩატარება, თორემ მერე გვიან იქნება.*

**ვენახი:** თუ ვაზი დღემდე არ გაგისხლავთ, ნუღარ გადადებთ. სხვლის დროს, გარდა იმისა, რომ თითოეული ძირი ვაზი შეძლებისდაგვარად უნდა დატვირთოთ, სხვაც ბევრია გასათვალისწინებელი. პირველ რიგში, ყველა ფორმის ვაზს (შპალერს, ხეივანს, ჭიგოზე მიბმულს) დაუტოვეთ სამამულე — 2 კვირტზე გასხლული და სანაყოფე რქები: ხეივანზე 3-4-კვირტიანი, შპალერზე 5-7-კვირტიანი და ჭიგოზე მიბმულს 7-9-კვირტიანი. სანაყოფე რქებისა და მათზე კვირტების რაოდენობა დამოკიდებულია ვაზის სიძლიერეზე. თუ მაგალითად, შპალერზე გაშვებულ ვაზს ძლიერი, კარგად განვითარებული რქები აქვს, შეგიძლიათ 3-4 რქაც დაუტოვოთ, 5-7-კვირტიანი 2-3 რქის დატოვება ჭიგომიდგმულ ვაზზეც შეიძლება. თუ გადასაწვენად ან ძირითადი მხარის გამოსაყვანად არ გჭირდებათ, შტამბზე ამოსული ყველა რქა მოაჭერით. მნიშვნელობა აქვს რქაზე მიყენებული ჭრილობის დახრილობას და მიმართულებას, ადრე გაზაფხულზე ნასხლავი შეიძლება ჰორიზონტალური იყოს, ხოლო მოგვიანებით, როცა წვენთა დენა, ანუ ვაზის ტირილი დაწყებულია, ნასხლავი დახრილი უნდა იყოს, რომ გადმოსული წვენი კვირტზე არ დაედინოს, თორემ აუცილებლად დააზიანებს. გასხვლის შემდეგ იწყებთ შეყელვას. შეყელვის დანიშნულება არა მხოლოდ რქებისა და მრავალწლიანი ნაწილების მავთულზე ან ჭიგოზე მიბმაა, არამედ შესაყელი რქების ფრთხილად მოღუნვა, ისე, რომ თითქმის მართი კუთხე შეიქმნას. ამას ისე ვერ გააკეთებთ, თუ რქას ნელ-ნელა გადაწევით, ხელისგულებს შორის არ დაარბილებთ. მისაბმელ ადგილას აკეთებთ კანაფის მარყუჟს და რქის წვერს აბამთ მავთულზე. ამ პროცედურის ძირითადი მიზანი ის გახლავთ, რომ ვაზის რქას ახასიათებს კენწეროსკენ „გაქცევა“ ანუ პოლარობა. შეყელვისას ხელოვნურად ვაზიანებთ ჭურჭელ-ბოჭკოვან კონებს და ვაფერხებთ წვენის კენწეროსკენ გაქცევას, რაც იმის საწინდარია, რომ ახალი ყლორტები თანაბარი სიძლიერისა გაიზარდოს. თუ გადასაწვენად რქა გაქვთ დატოვებული, გათხარეთ მიწა ერთი ბარის პირზე, ჩააწვინეთ შიგ რქა, რომელსაც ჩასაწვენ ნაწილზე წინასწარააჭრით კვირტებს, დაამაგრეთ ფსკერზე ორკაპებით და იმ ადგილას, სადაც აპირებთ ვაზის გახარებას, მკვეთრად მოღუნეთ და ისიც დაამაგრეთ, შემდეგ კი დაუსვით ჭიგო, ზედ მიაკარით და 2-3 კვირტზე გადაჭერით. ბოლოს მიწით შეავსეთ და დატკეპნეთ. ამ წესით შეგიძლიათ გადაწიდნოთ ჟოლო, უეკლო მაყვალი, მოცხარი და ა.შ.

**ბაღი:** თუ ბაღში ხეხილის სხვლა დღემდე ვერ მოახერხეთ, ყვავილობის დამთავრებისთანავე ხმელი ტოტები მაინც შეაჭერით, ძირები ამოუბარეთ, თუ ნაკელი გაქვთ, ნაცარიც შეურიეთ და ჩაბარეთ. თუ თქვენს ბაღს მორწყვა ესაჭიროება, ჯერ სასუქი ჩაუბარეთ. ხეხილის შესათეთრებლად კირს დაასხით 2-3%-იანი შაბიამნის წყალხსნარი, შეურიეთ იმდენი თიხამიწა, რომ შესქელდეს და წინასწარ ჩამოფხეკილ შტამბებზე კარგად წაუსვით. ამ დღეებში შეგიძლიათ ყველა სახის ხეხილი და კენკროვანი ბუჩქი დარგოთ. ასევე შესაძლებელია ხენდროს (კულტურული მარწყვის) დარგვაც, როგორც რიგთაშორისებში (40 სმ-ის დაშორებით), ასევე მცენარეთა შორის (25 სმ-იანი დაშორებით). თუ საშუალება გაქვთ და ორმოებში მცირეოდენ ნაკელსაც ჩააყოლებთ, ჩათვალეთ, რომ გაისად მარწყვის კარგი მოსავალი გექნებათ!

**ბოსტანი:** თუ ზამთარში ან ადრე გაზაფხულზე ნიადაგი დაბარულ-დამუშავებული გაქვთ, ახლა ისღა დაგრჩენიათ, კვლები მოამზადოთ. რაც კი რამ ხელის შემშლელი შეგხვდებათ — ქვა-ღორღი, მსხვილი ფესვები და ა.შ. გამოიტანეთ ფოცხით და დათესეთ ნებისმიერი ბოსტნეული თუ ბაღჩეული კულტურა (გოგრა, ნესვი, საზამთრო, ყაბაყი)... უმჯობესია, თუ ჩათესვის წინ კვლებზე ჯოხით სწორხაზოვან ღარებს გააკეთებთ, ჩათესავთ და შემდეგ დაფოცხავთ. თესლის ჩათესვის სიღრმე შემდეგია: სტაფილო, ოხრახუში — 1-2 სმ; თვის ბოლოკი — 1,5-2 სმ; ჭარხალი — 2-3 სმ; ლობიო 3-5 სმ (თესლთა შორის მანძილი 5 სმ); მწვანე ხახვი 1-1,5 სმ; კიტრი 1,5-2 სმ; თვის პირველი რიცხვებიდან ითესება: პამიდორი, ბადრიჯანი, წიწაკა, 10-დან 20 აპრილამდე — კიტრი, გოგრა, ყაბაყი, ნესვი და საზამთრო.

## ჯიხვი



ზოგისთვის ჯიხვი, მით უმეტეს, თოვლიან მწვერვალზე ამაყად გადმომდგარი, ბუნების მშვენებაა, ზოგისთვის მხოლოდ სამწვადე ხორცი და ყანწებია... არადა, მართლაც ულამაზესი სანახავია ჯიხვის არვე, რომელსაც მწვერვალზე შემდგარი უშველებელი ვაცი დარაჯობს. ჯიხვები კავკასიაში ბინადრობენ. უთვალავი იყო ლაგოდეხის ნაკრძალში, ფშავ-ხევსურეთში, შედარებით მცირერიცხოვანი სვანეთსა და აფხაზეთში. მას შემდეგ, რაც შვეულმფრენებით დაიწყეს ჯიხვებზე ნადირობა, ალბათ თითებზე ჩამოსათვლელნი დარჩნენ.

ვაცის სხეულის სიგრძე 160 სმ-ია, წონა 140-160 კგ. შუნის — შედარებით ნაკლები. რქები ორივეს აქვს. ვაცის რქების სიგრძე 100-120 სმ-ია, გარშემოწერილობა 25-30 სმ. ძირითადად ჯიხვის საბინადრო ალპური და სუბალპური მდელოებია. იკვებება ნაირგვარი მცენარეულობით. დაახლოებით 100-მდე სახეობის მცენარეს მიირთმევს. მდედრი სქესობრივ სიმწიფეს 2 წლის ასაკში აღწევს, ხარჯიხვი — 3-4 წლისა.

იძლევა ხორცს, ტყავს, რქებს და თივთიკს. თავისუფლად ეჯვარება თხას. მაღალპროდუქტიული ჰიბრიდი — ჯიხვთხა ზომა-წონით ბევრად ჭარბობს მშობლებს. ადვილად შინაურდება. ჯიხვთხის რძე ცხიმიანი და სასარგებლოა.

## წიწიბურა



ძვირფასი საბურღლულე მცენარეა. მისი მარცვალი შეიცავს 10% ცილას, 2%-მდე ცხიმს, 71% სახამებელს. მარცვლის გადამუშავების შედეგად მიღებული ანარჩენი საუკეთესო საკვებია პირუტყვისათვის. მეცხოველეობაში საკვებად ვარგისია აგრეთვე წიწიბურას ნამჯა.

წიწიბურა თაფლოვანი მცენარეა, ხელსაყრელ პირობებში 1 ჰა ნათესი 70-90 კგ თაფლს იძლევა. მცენარე სწრაფად იზრდება, ივითარებს ფართო ფოთლებს, რომლებიც ნიადაგის ზედაპირს ფარავენ და ახშობენ სარეველებს. მისი ფოთლებისა და ყვავილებისგან ამზადებენ სამკურნალო პრეპარატ რუტინს, რომელიც ჰიპერტონიისა და სკლეროზის სამკურნალოდაც გამოიყენება. წიწიბურას მოკლე სავეგეტაციო პერიოდი აქვს — 65-90 დღე, ამის გამო მას თესენ სანაწვერალო კულტურად და წელიწადში ორ მოსავალს იღებენ. იგი ერთგვარ „სადაზღვევო“ კულტურადაც ითვლება. ნათესების რაიმე მიზეზით დაღუპვის შემთხვევაში შეიძლება ნიადაგის სასწრაფოდ დამუშავება და წიწიბურათი გადათესვა. თესლი გაღივებას იწყებს 7-8 გრადუს ტემპერატურაზე, მაგრამ ნორმალური აღმოცენებისთვის საუკეთესოა 20 გრადუსი სითბო. ტენის მოყვარე მცენარეა. განსაკუთრებით ბევრ წყალს მოითხოვს ყვავილობის ფაზაში. მაღალ მოსავალს იძლევა თბილსა და ზომიერად ტენიანი ამინდის პირობებში. კარგად ეგუება თითქმის ყველანაირ ნიადაგს, ტორფიანსაც და ქვიანსაც. მოჰყავთ როგორც შავნიადაგიან, ისე არაშავნიადაგიან ზოლშიც. ნიადაგის დამუშავება წიწიბურასათვის წარმოებს შემოდგომაზე. ადრე გაზაფხულზე კი ხნული იფარება ტენის შენარჩუნების მიზნით. ითესება შედარებით გვიან, ამის გამო გაზაფხულზე საჭიროა 2-3-ჯერ კულტივაცია. ქვიშნარ და მწირ ნიადაგზე საუკეთესო სასუქია ნაკელი. მსხვილი თესლი თანაბარ, ძლიერ აღმონაცენს იძლევა. თესლის დახარისხების ყველაზე მარტივი წესია ამონიუმის გვარჯილის 10-15%-იან ხსნარში მისი მოთავსება. მძიმე თესლი იძირება, მსუბუქი კი ზედაპირზე რჩება. განცალკევების შემდგომ მძიმე თესლი გაირეცხება, გაშრება, გამზეურდება და ითესება.

როგორც კი ჰაერის ტემპერატურა 12-15 გრადუსს მიაღწევს, იწყებენ თესვას. თესვის სიღრმე 5-8 სმ-ია, მწკრივთაშორისი მანძილი 15-25 სმ. კარგ შედეგს იძლევა დათესვისთანავე ნიადაგის მოტკეპნა. წვიმიან წლებში მიმართავენ მიწის ოდნავ შემოყრასაც, რაც ხელს უწყობს დამატებითი ფესვებისა და სანაყოფე ღეროების გამოტანას.

წიწიბურას მოსავალი თანაბრად არ შემოდის, ამიტომ როცა ნაყოფის 2/3 გამუქდება, ჭრიან, მწკრივებად შლიან, 3-4 დღის შემდეგ, როგორც კი შეშრება — ლეწავენ.

საქართველოში წიწიბურას წარმოების დიდი პრაქტიკა არასოდეს ყოფილა, მაგრამ ვფიქრობ, შესაძლებელია ჩვენშიც, მცირე ფართობებზე მისი მოყვანა.

## მოზაიკა

* * *

*ჭიანჭველაჭამიას შეუძლია ენა ნახევარი მეტრის სიგრძეზე გამოყოს. ამ „პროცედურას“ იგი ასრულებს ჭიანჭველების ბუდესთან. როგორც კი ენას მრავლად დაესევიან საცოდავი ჭიანჭველები, მტაცებელი ენას შეყოფს და...*

* * *

*ყვავილოვანი კომბოსტოს სამშობლოდ კრეტა და კვიპროსი ითვლება. მისი შესატყვისი „კალნაბი“ ქართულ წყაროებში X საუკუნეში იხსენიება, როგორც საუკეთესო სამწნილე ბოსტნეული.*

* * *

*კბილებისა და ღრძილების სამკურნალოდ, ტყემლისა და ატმის ტოტებს თხლად აათალეთ მერქანი, ისე როგორც ჩიჩილაკის გაკეთების დროს თლიან. ჩაყარეთ 0,5 ლ ძმარში, დაუმატეთ თითო ჩაის კოვზი მარილი და შაბი, ნარევი გადაიტანეთ ემალის ქვაბში, ადუღეთ განახევრებამდე, გააგრილეთ და გაწურეთ მარლაში. ნაყენი ხუთი წუთის განმავლობაში პირში გაიჩერეთ, აუცილებლად მოგიხდებათ.*

## ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

### საოცარი ქათამი



**— ამბობენ, ავსტრალიაში ძალიან პატარა, საოცარი ქათმები ჰყავთო. იქნებ თქვენ მოგვითხროთ მათ შესახებ.**

***თინა ხაჩიძე, სურამი***

— მართლაც, საოცარი ფრინველია მეგაპოდი (რაც დიდფეხებას ნიშნავს). იგი ავსტრალიაში ბუდობს. ქათმისებრთა ოჯახის მცირე ზომის ფრინველი (რომელსაც ნაგვის ქათამსაც უწოდებენ) კვერცხების დასადებად უზარმაზარ ბორცვს „აშენებს“ მიწის, ქვიშის, ნეშომპალის, ფოთლების გროვით. ორგანული ნივთიერების ლპობისას წარმოიქმნება სითბო, რომელსაც მეგაპოდი ელოდება. როგორც კი ტემპერატურა დაახლოებით 33 გრადუსს მიაღწევს — ფრინველი გროვაში შეძვრება და კვერცხს დებს. ინკუბაციის პერიოდში ფრინველები ბუდესთან ტრიალებენ, გადამწვარ ორგანულ მასას აცილებენ და ახლით ცვლიან. ახალგამოჩეკილი წიწილები მაშინვე ტოვებენ ბუდეს.

ამ გვარის მეორე წარმომადგენელი — ლეიპოა „ინკუბატორს“ აშენებს მარტოდმარტო (თანაც მხოლოდ მამალი), მთელი 10 თვის განმავლობაში.

აგვისტო-სექტემბერში მის მიერ აგებულ „ინკუპატორში“ მამალი ლეიპოა დედალს კვერცხის დადების „ნებას რთავს“...

ასეთი ქათმები რომ მოგვცა, ჩვენს ნაკვეთებს კომპოსტი არ მოაკლდებოდა.

### ქვევრში რომ ღვინომ არ გაქონოს

**— „მამულ-დედულის“ გვერდში წავიკითხე ქართული ქვევრის შესახებ. გთხოვთ განგვიმარტოთ, როგორ ხდება ქვევრის დამუშავება, რომ მან ღვინო არ გაატაროს.**

***რამაზ გამყრელიძე***

— გაჟონვის საწინააღმდეგოდ ქვევრის შიდაზედაპირი უნდა დამუშავდეს ცვილით, კუპრით ან საქონლის ქონით, შეიძლება თხის ქონის გამოყენებაც. საუკეთესო საშუალებაა სპეციალური მარკის — XC-558 ემალი. თუ ქვევრი მიწაშია ჩადგმული, აუცილებლად სპეციალისტს დაამუშავებინეთ, ახალი ქვევრი კი თავადვე შეგიძლიათ დაამუშაოთ. ქვევრში შედგით ელექტროღუმელი და გააცხელეთ 70-80 გრადუსამდე, აადუღეთ ქონი და ცვილი, ჩაასხით ქვევრში და ხელთათმანიანი ხელით აგორავეთ მანამ, სანამ საჟღენთი მასალა ყველგან არ მოეცხება. ქვევრი წინასწარ დალაგებულ ფიცრებზე დააპირქვავეთ, რომ ზედმეტი მასა ჩამოილვაროს, რის შემდეგაც, სწრაფი გაცივების მიზნით, გარედან დაასხით ცივი წყალი.

## მკითხველის ფოტო



ამ ზაფხულსაც ზღვაზე წავალთ...

***გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ***

**რედაქციისაგან:**

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.

გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).

წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.

CMYK

# მიჭირს სოლოლაკში იმ სახლის ნახვა, სადაც დავიბადე...



მხატვარ **დიმიტრი ერისთავს** თავის სახელოსნოში ვეწვიე. როცა მხატვარი დუმს, მისი ნახატები მეტყველებენ... ბოლო ნახატები ცოტა სევდიან განწყობას გიტოვებს. ამას ბევრი რამ განაპირობებს. დრო გადის, მაგრამ ქართველებს მთავარი ტკივილი ტკივილად გვრჩება. ბატონმა დიმიტრიმ საუბარში სხვათა შორის თქვა:

— ერთი საოცარი რამ მოხდა. კინოფილმ „ყვარყვარეს“ ესკიზებს რომ ვაკეთებდი, იმერეთი უნდა მეჩვენებინა. მოვიშველიე დავით კაკაბაძის იმერული პეიზაჟები. ქვემო იმერეთში რომ ჩავედი, ვეძებე ასეთი პეიზაჟი, ავედით ზემოში — ყველგან ერთნაირი, ბუჩქნარით დაფარული ფერდობი იყო. მერე მივხვდი, როცა დავით კაკაბაძე ხატავდა, მაშინ გლეხი მიწის ყოველ გოჯს ამუშავებდა. რომ ამბობენ, ქართველი გლეხი ზარმაცი იყოო, არ არის მართალი — სადაც ხვნა-თესვა კი არა, სიარული ჭირდა, იქ მოჰყავდა მოსავალი....

ან ნაზი ერი ვართ, ან ძალიან დაღლილი. ჩვენ ადვილად მოგვერივნენ, ვიდრე მეზობელ ერებს, რომ არაფერი ვთქვათ ბალტიისპირელებზე. იქ თანამედროვე ამერიკულ ფილმსაც კი არ უყურებდნენ, თუ რუსულად იყო თარგმნილი. ჩვენ? შევხედოთ ჩვენს თავს. ყველგან ინგლისური წარწერებია... იგივეა რა...

სევდის მომგვრელია დღევანდელობა, მაგრამ ბატონმა დიმიტრიმ ყველაზე უკეთ იცის, „რა ცეცხლში გვივლია“. მის მონათხრობს შემოგთავაზებთ, როგორც ამბებს, რომლებიც წამალივით უნდა მიიღოს დღევანდელმა საზოგადოებამ, რომ „სისუსტისაგან“ განიკურნოს...

## მამის ბიბლიოთეკა

ძალიან მიხარია, რომ მამაჩემის, ვახტანგ ერისთავის ნათარგმნი „მწი-



„იების გამყიდველი“

რი“ ინგლისურ ენაზე სულ ახლახან დაისტამბა ამერიკაში. მამაჩემმაც სამხატვრო აკადემია დაამთავრა პროფესორ შარლემანთან. სამხატვრო აკადემიაში გვიან შევიდა. მანამ პოეტობდა, თარგმნიდა, ჭადრაკს თამაშობდა. თბილისში ჭადრაკის პირველი პირველობის ჩემპიონი გახდა კიდეც. მე 1956 წელს დავამთავრე აკადემია. იმ პერიოდში მამამ კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ თარგმნა ინგლისურად. ბავშვობიდან ასწავლიდნენ ოჯახში უცხო ენებს. წიგნი ძალიან ჰყვარებია. მამა რომ ჰკითხავდა თურმე, რა გაჩუქოო, წიგნიო. წიგნებით გავსებული კარადა დარჩა. მეტირება, რომ ვხედავ, აღარავის გვჭირდება შექსპირის, გოეთეს და სხვა დიდი მწერლების ინგლისურ და გერმანულენოვანი გამოცემები...

მამა უცნაური კაცი იყო, პენსნეთი დადიოდა... ჩემს მეხსიერებაში გარეთ გასული არც მახსოვს. იცოდა, ქუჩაშივე დაიჭერდნენ, ამიტომაც შინ იყო ჩაკეტილი.

**1983 წელს ოთარ იოსელიანის ფილმზე, „მთვარის ფავორიტებზე“ ვმუშაობდი პარიზში. მერი შერვაშიძე მაშინ გავიცანი. მშვენიერი, დიდებული ქალბატონი 93 წლის გახლდათ იმ დროს მისი მეუღლე, ოფიცერი გიგუშა ერისთავი ნიკოლოზ მეორის მეგობარი იყო. მერი თურმე ბებიაჩემს, ნინო დადიანს იცნობდა. ის პარიზის მახლობლად, „რუსი არისტოკრატების მოხუცებულთა სახლში“ ცხოვრობდა.**

## დიმიტრი ერისთავი და რუსი გენერალი

ბაბუაჩემი, დიმიტრი ერისთავი ექიმი იყო. კიევში ჰქონდა განათლება მიღებული. თავისი მხარის, გურიის დიდი პატრიოტი იყო. მენშევიკების დროს თბილისში საავადმყოფოს დირექტორობა შესთავაზეს. ჩემს ხალხს ვერ დავტოვებო, განაცხადა. ჩოხატაურში ცხოვრობდა, გორაბერეჟოულში. მაშინ იქ მალარია მძვინვარებდა და ექიმი საჭირო იყო. უკვე ასაკოვანი ბაბუაჩემი იქვე გარდაიცვალა მალარიით. ჩვენს სახლში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი იყო გახსნილი. ახლა არ ვიცი, რა არის... მამას დახატულიც ჰქონდა ეს სახლი... ოზურგეთის მუზეუმში პატარა კუთხე არის დიმიტრი ერისთავისა.



ვახტანგ ერისთავი

მე გული არ მიმიწევს გურიაში. ერთხელ ვიყავი. მივედით გორა-ბერეჟოულამდე, ჩემი ცოლ-შვილი ავიდა სახლის სანახავად, მე — მანქანაში დავრჩი — ვერ შევძელი... ასევე მიჭირს სოლოლაკში იმ სახლის ნახვა, სადაც დავიბადე... ერთი-ორჯერ მეზობლის პანაშვიდზე მომიწია მისვლა ჩემს ყოფილ ეზოში. თავდახრილი შევედი...

ბაბუა ამაყი კაცი იყო. ერთხელ თურმე ქუთაისში ჩამოსულა რუსი გენერალი. თავად-აზნაურობა და ინტელიგენცია თეატრში შეხვდა მას. გენერალი ყველას ხელის ჩამორთმევით ესალმებოდა. ბაბუაჩემს ხელი არ გაუწოდებია — Я черносотинцам руки не подаю-ო. ამ ამბის შემდეგ ქუთაისში ჩასვლა აუკრძალავთ მისთვის. პროფესორ დიმიტრი გედევანიშვილს მამამისის არქივში უნახავს ბაბუაჩემის წერილი — გუბერნატორს სწერს: იმის გამო, რომ მართლა Черносотин-ს ხელი არ ჩამოვართვი, ქუთაისში არ მიშვებენ, არადა წამლები მჭირდებაო.

## ზეტუსალი

მამა არც ჩემს მეგობრებს ხვდებოდა ხოლმე, როცა სტუმრად გვეწვეოდნენ. მოწაფეები ჰყავდა, ინგლისურს ასწავლიდა და ოჯახს ასე არჩენდა. გერმანულიც ბრწყინვალედ იცოდა, მაგრამ არასოდეს აუყვანია მოსწავლე გერმანულში მოსამზადებლად. დღევანდელებისაგან განსხვავებით, ამბობდა, ეს ენა ისე არ ვიცი, რომ მოწაფეებს ვასწავლოო. ინგლისური სულ სხვა იყო... მამა ინგლისურად ლექსებსაც წერდა, ლამის ინგლისურად ფიქრობდა კიდეც... ბაირონი, შელი, ედგარ პო უყვარდა ძალიან. მილტონის „დაკარგული სამოთხე“ გვაქვს ინგლისურად, ყოველ გვერდზე ამ ურთულეს ტექსტში მინაწერები აქვს ინგლისურადვე გაკეთებული. საერთოდ, ძალიან სიტყვაძვირი, თითქმის უენო კაცი იყო. არ მახსოვს, ჩემი შვილისთვის ან წყლის მოტანა ეთხოვა, ან კარის გაღება. თავად აკეთებდა ყველაფერს და ამ მაგალითით ზრდიდა ბავშვსაც.

მამა ინგლისურს გვასწავლიდა. ყოველ საღამოს ხმამაღლა გვიკითხავდა შექსპირს, დიკენსს...

ომის დროს მართლაც ვშიმშილობდით... ხმელა პურს ვჭამდით. მაშინ არავის სჭირდებოდა უცხო ენა! წიგნებს კი აფორმებდა, მაგრამ კაპიკებს უხდიდნენ. ომი რომ დამთავრდა, მერელა ვჭამეთ ხორცი... შიმშილმა სიმაღლეში ზრდაც კი დამიმუხრუჭა.

მამა ამ გაჭირვებასაც უძლებდა. გადაურჩა რეპრესიას. მისი ხომ არავის არაფერი შურდა — არც ბინა, არც ცოლი, არც მდგომარეობა. ხშირად ამბობდა: არსებობს რომაელი ავტორის წიგნი — „როგორ გადარჩე ტირანის კარზე“. ხშირად ტირანების ბავშვებს ცნობილი ადამიანები ასწავლიდნენ. როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, რომ გადარჩენილიყვნენ, სწორედ იმ წიგნში ეწერა. გალაკტიონს ნაღდად შესწავლილი ჰქონდა ეს წიგნი. თავისი ხმითაც კი არ ლაპარაკობდაო. მამა იხსენებდა, — ერთხელ ირაკლი აბაშიძემ მიამბო, — მე და გალაკტიონი წავკამათდით. ისე შემომიტია, წამით გონება დამებინდა. უცებ მესმის ხავერდოვანი ხმა: — ირაკლი, ძამიკო, როგორ ხარ? ეს იყო გალაკტიონის ნამდვილი ხმაო. სვამდა, როგორ არა, მაგრამ თავიდან თურმე არაყს ივლებდა პირში, რომ მარტო სუნი ჰქონოდა და ყველას მთვრალი ჰგონებოდაო...

მამა წიგნმა გადაარჩინა, წიგნის სამყაროს შეაფარა თავი.

ჩვენი თაობიდან პირველი თამაზ ჭილაძე წავიდა ინგლისში. ჩამომიტანა „ჩესტერფილდის“ ერთი კოლოფი და ელიოტის დიდი ტომი. მამაჩემს სთხოვა, რამდენიმე ლექსის ბწკარედი გვითარგმნეო. უთარგმნა მამამ...

ერთხელ არჩილ სულაკაური მესტუმრა, მამა გამოვიდა რატომღაც. არჩილმა შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანი წაიკითხა. მამას გაეხარდა. გადმოიღო ინგლისური შექსპირი. ის ინგლისურად კითხულობდა, არჩილი — ქართულად. არაჩვეულებრივი საღამო იყო.

მამას ჩემთან არასოდეს უსაუბრია „საფრთხილო“ თემებზე, მაგრამ თავისი ცხოვრებით მეუბნებოდა ყველაფერს.

## შიშთან ზიარი

დედა ნერვიული ქალი იყო. სოლოლაკში, სადაც ვცხოვრობდით, ადრე მთელი სახლი ჩვენ გვეკუთვნოდა. მერე ჩამოგვართვეს. ეზოს მხარეს ორი ოთახი და სამზარეულო დაგვიტოვეს. ძველი თბილისური აივანი გვქონდა. მეზობლებს ამ აივანზე ჩვენს ფანჯრებთან უნდა გაევლოთ. ყოველი ნაბიჯის ხმაზე დედა ცუდად ხდებოდა. ვფიქრობდი, 1937 წელს ჩვენგან არავინ დაუჭერიათ, რატომ არის ასე დაშინებული-მეთქი. რომ წამოვიზარდე, მამამ მითხრა, 1923 წელს დაუჭერიათ დედა. მას დამთავრებული ჰქონდა წმ. ნინოს სასწავლებელი, მერე პეტერბურგსა და ჟენევაში სწავლობდა. და ეს უნაზესი ქალიშვილი ბოლშევიკების ციხეში მოხვდა. იქიდან ნერვიული ავადმყოფი გამოვიდა.



დიმიტრი ერისთავი



მიხეილ ქართველიშვილი

დედაჩემის ძმა ცნობილი ავიატორი — ალექსანდრე ქართველიშვილი პეტერბურგის ოფიცერთა სკოლაში სწავლობდა. მენშევიკების დროს წავიდა სასწავლებლად საფრანგეთში. მერე ამერიკაში გადავიდა. ომამდე ფულსაც გვიგზავნიდა. მერე დედამ შეუთვალა უარი — შეეშინდა. თანაც ის რომ 2 000 დოლარს გამოგზავნიდა, აქ მხოლოდ ერთი კილოგრამი პურის ფულს გვაძლევდნენ.

საფრანგეთში ქართველმა ემიგრანტმა ვიქტორ ხომერიკმა მითხრა, — ბიძაშენს ერთი ქართველი ქალი უყვარდა, ის კი ცოლად სხვას გაჰყვაო. ასეთი მეცნიერი არც გვინახავს. მანჟეტებზეც კი ფორმულებს იწერდაო. ალექსანდრე უკვე ამერიკაში ცხოვრობდა, როცა მისი ყოფილი სატრფო დაქვრივდა. ქართველებმა სცადეს, ერთმანეთისთვის შეეხვედრებინათ, მაგრამ უარი უთქვამს... ამერიკაში ცოლად შეირთო ქალი, რომელიც გფბ-ის აგენტი აღმოჩნდა. შვილი არ დარჩენია.

ერთი კაცი გავიცანი, გვარად გიორგობიანი. მითხრა, — 15 წელიწადი ვიცხოვრე ამერიკაში ბიძაშენთან. ის მარჩენდაო. ძალიან მადლიერი იყო...

ბოლოს, უამრავი მცველი ეხვია თურმე თავს. არავის ჰქონია მასთან მიკარების უფლებაც კი, რადგან, მოგეხსენებათ, ყველა სამხედრო თვითმფრინავის კონსტრუქტორი იყო. ყოველ წელს სისწრაფის რეკორდს ხსნიდა მისი თვითმფრინავი.

ბოლო დეპეშა სამძიმრისა მივიღეთ მისგან — ვწუხვარ ჩემი დის გარდაცვალების გამო, მაგრამ ის მაინც ბედნიერია, საქართველოში დაიკრძალაო!

## მიხეილ ქართველიშვილი — „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟი

დედამ კარგად იცოდა ინგლისური და ფრანგული. ჩვენს პირდაპირ ცხოვრობდნენ ნიკო ნიკოლაძე და მისი ქალიშვილი რუსუდანი. კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდათ. წელიწადში ორჯერ გამგზავნიდა მათთან, გამატანდა წიგნებს, ჩავაბარებდი ქალბატონ რუსუდანს და ახალს წამოვიღებდი.

არც დედაჩემი გადიოდა გარეთ. ოჯახში კარგად იყო, მაგრამ ქუჩაში ცუდად ხდებოდა. ერთხელ გავიდა და იქვე ჩაიკეცა. მას მერე აღარც გაუდგამს ფეხი.

ერთხელ ნიკო ნიკოლაძეს ბაბუაჩემისთვის, მიხეილ ქართველიშვილისთვის პარიზიდან ამბავი ჩამოუტანია — ნიჭიერი და დიდი შვილი გყავთო. ფრანგები შოვინისტები არიან, გასაქანს არ მისცემდნენ, მაგრამ მათაც კი აღიარეს მისი ნიჭი. ახალგაზრდა ქართველმა დაამთავრა მათემატიკის ფაკულტეტი და კათედრის გამგედ დანიშნესო.

მიხეილ ქართველიშვილი ცნობილი ვექილი იყო. ჭაბუა ამირეჯიბის პორტრეტს ვხატავდი. მაშინ მითხრა ჭაბუამ: დათა თუთაშხიას ქალაქში რომ იურისტი დაჰყვება და საზოგადოებაში გაჰყავს, ბაბუაშენის პროტოტიპიაო. მე ვიცნობდი ბაბუაშენს, მამაჩემთან მეგობრობდაო.

## მერი

1983 წელს ოთარ იოსელიანის ფილმზე, „მთვარის ფავორიტებზე“ ვმუშაობდი პარიზში. მერი შერვაშიძე მაშინ გავიცანი. მშვენიერი, დიდებული ქალბატონი 93 წლის გახლდათ იმ დროს. მისი მეუღლე, ოფიცერი გიგუშა ერისთავი, ნიკოლოზ მეორის მეგობარი ყოფილა. მერი თურმე ბებიაჩემს, ნინო დადიანს, იცნობდა. ის მაშინ პარიზის მახლობლად, „რუსი არისტოკრატების მოხუცებულთა სახლში“ ცხოვრობდა და რენტით ირჩენდა თავს. მასთან მიმყვა ქართველთა სათვისტომოს უფროსი, ვიქტორ ხომერიკი და მერის მაზლიშვილი გლებ ერისტოვი (ერისთავი)...

ფილმის ესკიზებზე მუშაობის დასრულების შემდეგ, ყოველ საღამოს, ოთარ იოსელიანის მეგობრები გვეპატიჟებოდნენ. ოთარს უნდოდა, გამეცნო პარიზის ცხოვრება. ძალიან მეუცხოვა ერთი რამ: ფრანგებთან სტუმრად რომ მივიდოდით, არაფერს გვთავაზობდნენ — მიირთვითო... სუფრას შლიდნენ და ეგ იყო. ოთარს ვუთხარი, — მშიერი ვრჩები, არავინ არაფერს გვთავაზობს-მეთქი. კაცო, ქაჯი ხომ არა ხარ, — მითხრა ოთარმა, — დაგიძახეს — სვი და ჭამეო! მერი შერვაშიძესთან სულ სხვაგვარად იყო. მისი მსგავსი დიდებული ქალბატონები პარიზში უკვე აღარც იყვნენ. უნდა გენახათ, როგორ გვმასპინძლობდა. ყველას აქცევდა ყურადღებას, კერძებს გვთავაზობდა, გვესაუბრებოდა. ეს მარტო ქართული წესი კი არ არის. სტუმართან, საერთოდ, ყველა ასე უნდა მოიქცეს. შინ დაბრუნებულმა ოთარს ვკითხე: ახლა მე ვარ ქაჯი, თუ შენი მეგობრები-მეთქი!

ქალბატონმა მერიმ მაჩუქა გიგუშა ერისთავისა და ნიკოლოზ მეორის ფოტო. ორივეს ჩოხა აცვია. სურათზე თავისი ხელით წამიწერა რუსულად, თან ბოდიში მომიხადა — ქართული მესმის, მაგრამ რუსულად და ფრანგულად ვწერო. ეს ფოტო მერე სანდრო მამასახლისს ვათხოვე და, საუბედუროდ, მის სტუდიაში დაიწვა...

მერი შერვაშიძემ საუბრისას გალაკტიონის „მერიც“ ახსენა — საკვირველია, მე ხომ გალაკტიონს არ ვიცნობდიო! ვუთხარით: ქალბატონო მერი, თქვენ ქართველი ქალის სილამაზის ეტალონი იყავით ყოველთვის და, ბუნებრივია, რომ ლექსი თქვენ გეძღვნებათო.

არასოდეს დამავიწყდება, როგორი იყო მერი შერვაშიძე. ბალში რუსი არისტოკრატი ქალები სეირნობდნენ. უცებ გამოჩნდა მაღალი, ყელმოღერებული თეთრი ქალი. ყველა დაჩრდილა. მთვარესავით შემოანათა...

***ლელა ჯიყაშვილი***

CMYK

# „მე მამკლავს ძმისა მამკლავი...“

„ნუ მოჰკლავთ ბეღურას, მას თქვენთვის არა დაუშავებია რა; ნუ დაუბნელებთ მზეს უმანკო არსებას, ის ხომ ჯერ ავ-კარგის ბაიბურშიც არ არის; ნუ ესვრით კაიყმას, ვისაც თავისუფლება სიცოცხლეზე მეტად ულირს“... — ასე იწყებდა მოთხრობას ინკოგნიტო ავტორი, რომელიც ერთი ნიჭიერი კაცის ტრაგიკულ თავგადასავალს აღწერდა და მის გამოქვეყნებას მთხოვდა. თუმცა პერსონაჟებს სხვა სახელები ერქვათ, სიუჟეტი მაინც მეცნაურა. ადრესატი დიდხანს ვძებნე, როცა მივაგენი, ოთხმოცს იყო გადაცილებული. წამდაუწუმ აჟრჟოლებდა. ლენინგრადის ბლოკადა გამოევლო. ქუჩაში დაყრილ გვამებს ხალხი რომ შეესეოდა და გლეჯდა, ზარავდა თურმე. ხადას მთებში გაზრდილმა ვაჟკაცმა ყველაფერს გაუძლო. მაგრამ მის გახსენებაზე კი ჟრჟოლა დასჩემდა. დროთა სვლამ სულში ჩარჩენილი შემზარავი ნაკვალევი ვერა და ვერ წაშალა...

— ჩემი გმირი საქვეყნოდაა განთქმული, ზოგისთვის მისაღები, ზოგისთვის მიუღებელი. ახლა ყველაფერი ჩავლილია, არ მინდა საფლავში წავიღო, რაც საკუთარი თვალით მინახავს და რისი მომსწრეც ვარ, — გაბზარული ხმით დაიწყო ჩემმა რესპონდენტმა. — თერთმეტი-თორმეტი წლისა ვიქნებოდი. ჩვენი სოფლის მახლობლად ერთი პატარა ეკლესია იყო. მიყვარდა იქ სიარული. მღვდელმსახურებას დაყუდებული ბერი ეწეოდა, მოსანათლიშვილი იყო გვარად. სახეზე სულ ნათელი ედგა. ისეთი ტკბილი ლაპარაკი იცოდა, გეგონებოდათ, ბულბული ვარდს შესჭიკჭიკებსო. შევეჩვიე. შვილივით მიმიღო. წერა-კითხვას და საგალობლებს მასწავლიდა. ერთხელ ლეგაჩოხიანი ვაჟკაცი გვესტუმრა. უფროსებმა დიდხანს ისაუბრეს. მე ბევრი არაფერი გამეგებოდა საეკლესიო წესებისა, მაგრამ როცა უცნობმა ჩოხა დიაკვნის ანაფორაზე გაცვალა, მაშინ ვიფიქრე, რომ აქ მხოლოდ ღირსეულთა ადგილი იყო. მალე გავშინაურდით. თანდათან ვგრძნობდი, ახალმოსულ კაცს რა ღრმად ედგა ფესვები მიწაში. ჯან-ღონით სავსე იყო, ამაყი და მოუხელთებელი, მაგრამ ენძელებსა და ფურისულებს ისე სათუთად აცილებდა ტყის ნეშოს, თვალწინ ვაჟას მინდია წარმომიდგებოდა. ხშირად იჯდა განმარტოებით გადაჭრილი წიფლის „მაგიდასთან“ და წერდა. იმ უდაბურ ტყეში იბადებოდა მადლიანი სტრიქონები, რომელსაც დღეს მთელი საქართველო მღერის:

„ლექსო, ამოგთქომ, ოხერო“, „ჩემი წარსული ცხოვრება“ და სხვა. ჰო, იმის თქმა მინდოდა, რომ ფშავის ეს ერთი ციცქნა ეკლესია მალე ქვეყნის გულშემატკივართა თავშესაყარად იქცა. ჩვენმა დიაკვანმაც მაშინ ისევ გაიხადა ანაფორა, შეფიცულებს შეუერთდა...

მეთერთმეტე არმიის შემოსვლა შუაღამისას თოფის გავარდნას ჰგავდა. ბევრმა მთიელმა შეალეწა მომხდურებს მკერდი. გადაბირებულები ძმათა სისხლს ღვრიდნენ. ისიც ხომ მოგეხსენებათ, „ქართველი რომ ქართველს ესვრის, ტყვია მიზანს არ ასცდება“. შეთქმულები ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმს შეუერთდნენ. მე ერთადერთი ვიყავ იმათგან, ვინც მათი გზა-ბილიკები იცოდა. გუდით ვუზიდავდი შინიდან ერბოხაჭოს, ფურნის პურსა და თაფლს. ძალამ ალმართი მაინც მოხნა. ტყის ძმები გაიფანტნენ. ზოგი ახალ ხელისუფლებას ჩაჰბარდა, ზოგმა გარიდება ამჯობინა...

ის ბურუსიანი დღე გუშინდელივით მახსოვს. ქაქუცას იარაღი აესხა, ნაბადი მოეხვია და რაღაცას დაჟინებით უმტკიცებდა ჩვენს „ნადიაკვნარს“. ის თავდახრილი იდგა, ფერდაკარგული, წიფლის ტოტებშუა დაკიდებულ ცას შესცქეროდა. მე შვინდის გათლილი ჯოხი მეჭირა, მიწას ვჩიჩქნიდი. მიწიდან თავბრუდამხვევი ოშხივარი ამოდიოდა, სულს ეფოფინებოდა.

— შენ აქ არ დაგედგომება, უნდა წამოხვიდე, ეგებ იქ მაინც ეწიო ბედს, დღესვე უნდა გადაწყვიტო, მერე გვიან იქნება, მიხავ, იცოდე.

— მიდიან, სულ მიდიან, სადღაც მიდიან — გამიელვა და გამწარებულმა ისე მოვიქნიე ჯოხი, აყვავებულ არჯაკელს ტოტები ავასხიპე. ნადიაკვნარი კარგა ხანს დუმდა. მერე ჯანღმოდებულ მთებს გახედა, ფეხი მოინაცვლა და ძირს დახრილი თოფის ლულა ხარისძირას ყვითელ ყვავილებს მოარიდა. მივხვდი, არსად წამსვლელი არ იყო, გული მომეცა. არადა რა სიმწარე ჰქონდა გადატანილი: ამბობდნენ, დედამისს წამებით ამოხადეს სული, შვილის ადგილსამყოფელი მაინც არ გათქვაო. დედა ყველაზე მეტად უყვარდა. მის ერთ სტროფს რომ ვიხსენებ, გულს ახლაც მიკაწრავს რაღაც: „სხვას კი არავის რა უშავ, შენ მებრალები, ბეჩაო“. წითელრაზმელები ჭირისუფლებში გაერივნენ თურმე. ყველას თავისი ადგილი და ნიშანი ჰქონდა. იცოდნენ, დედის დასაფლავებაზე უცილებლად მოვიდოდა და იქ აიყვანდნენ.

...მთებს შეასკდა ცხენის თქარათქური. დადუმდნენ მოტირალი დედაკაცები. მხედარი ხეთქებით შემოიჭრა ხალხში. ჭირისუფლებმა იცნეს და უგანეს. ჩამოქვეითდა, კუბოსთან ჩაიმუხლა. დაუკოცნა დედას ნაჯაფი ხელები, საუკუნოდ გაყინული სახე, თვალები. უხმოდ, კაცურად აქვითინდა — ცრემლგამშრალი, შუბლდაღრუბლული. ბოლშევიკებმა ერთმანეთს რაღაც ანიშნეს, მაგრამ ვერავინ გაბედა თოფ-იარაღში ჩამჯდარ „ყაჩაღთან“ მიახლოება. ის კი ისე მოულოდნელად მოახტა ცხენს და ტყეს მისცა თავი, გონს მოსვლა ვერც მტერმა მოასწრო და ვერც მოყვარემ...

არსად არ წავიდა. აქ დარჩა, მაგრამ შინ არა, ტყეში. მე კიდევ დიდხანს დავდიოდი მის საიდუმლო საფარში. წადიო, — მეტყოდა ხოლმე, — შენი გზით წადი, თავს ნუ წაიხდენ. ჩემი ბედი ამ უკულმართ წუთისოფელში დასრულდება. ან ბრმა ტყვია შემათამაშებს, ან მამკლავს ძმისა მამკლავიო. მაინც მივდიოდი. ერთხელ კვალს ველარ მივაგენ, ბინაზე სისხლის ტბორი იდგა. მაცნე მოვიდა დუშეთიდან — „შეფიცულები“ მოესყიდათ... ტყვიით დანაძოძებული „ყაჩაღის“ სხეული დიდხანს ეგდო ქალაქის მოედანზე...

გულცარიელი დავბორიალებდი ჩარგლის ბილიკებზე. ზარი შემომესმა. დიაცი ვინმე მოთქვამდა. ბანს არ აძლევდნენ დედანი. მივაყურადე, ვიცანი. ტყე-ტყე მოდიოდა ზურგზე ხურჯინაკიდებული მიხას და — პელაგია. ძმას დასტიროდა ეგრე უბედურად დაღუპულს, ნათრევ-ნაწამებ „ხალხის მტერს“. ფეხაკრეფით ავედევნე. ტყის სიღრმეში, ღია საფლავთან მოიხსნა ხურჯინი. ამოალაგა კაცის ნაწილები. სათუთად ჩააწყო შინიდან მალულად ამოტანილ სამზეითვო სკივრში, დაემხო და... ცრემლით დაალბო მთელი კვირის ნაჩიჩქნი აყალო მიწა.

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას მერე, მისი ხმა გონებიდან მაინც არ გამოდის. ბრალი ყოფილა ძმის მარტოკა დატირება. მზეს ეხვეწებოდა, — ჯერ ნუ ჩახვალო, ნუ დამაშორებ ჩემს თვალხატულა ძმასაო, მხრებზე რომ შევისვამდი და დავაქროლებდიო. ახლაც ისე ამოვიყვანე დუშეთიდან ჩარგალამდე, ეს დასამიწებელი მუხლი ერთხელაც არ ჩამიხრიაო... ლევანს ვენაცვლე, მოყვარესაო, იმან აკრიფა მალულ შენი გულზე დაკრეფილი მკლავებიო, ნაწილ-ნაწილ ჩამაბარაო...

ვიდექი მოშორებით. ვუთვალთვალებდი. ყელში ბურთივით რაღაც მქონდა გაჩხერილი. თავს ვაძალებდი, რომ არ მეღრიალა. ახლა მე არ გამეხეთქა გული უბედური ქალისთვის. პელაგიამ სკივრი ჩამარეში ჩადგა, მიწა დააყარა, წელათრეული წავიდა...

დიდხანს ვიდექი გარინდებული. მერე მივედი ბორცვთან. იქ იწვა ადამიანი, რომელმაც მთის კაცის ყველა ღირსება წაიყოლა. მაგრამ ის აღარსად იყო. მერეც ბევრჯერ გამივლია იმ ადგილას. ბორცვი თანდათან ჩაიქცა. ბალახმა გადაუარა. ომიდან რომ დავბრუნდი, გულმა ისევ იქით გამიწია. იმ ადგილას არჯაკელი ამოსულიყო და გადარეული ყვაოდა...

*ავტორისაგან:* იმ საფლავში ცნობილი სახალხო მთქმელი მიხა ხელაშვილი განისვენებს. ამბავი კი ლექსო გაბიდაურმა ჩამაწერინა...

ლექსმა კი, რომელსაც ახლა გთავაზობთ, მართლაც უკვდავყო მისი ავტორი...

### ლექსო, ამოგთქომ...

*ლექსო, ამოგთქომ, ოხერო,*
*თორო იქნება ვკვდებოდე,*
*და შენ კი ჩემად სახსოვრად*
*სააქაოსა რჩებოდე,*
*გიმღერდენ ჩემებრ სწორები,*
*ფანდურის ხმაზე ჰყვებოდე,*
*ქვეყანა მხიარულობდეს*
*და მე საფლავში ვლპებოდე.*
*ნეტავი, ჩემო სახელო,*
*დიდხანამც იხსენებოდე,*
*ჩემო ნათქვამო სიტყვაო,*
*შენამც კი გაჰქვეყნდებოდე.*
*შენ, ჩემო საფლავის კარო,*
*შენამც კი აჰყვავდებოდე,*
*სახლო, არ დაიშლებოდე,*
*ცოლო, არ გათხოვდებოდე.*
*ერთ ეგეც უნდა ვიკითხო,*
*ჩემ სიკვდილს ვინ იტირებსა,*
*ვინ ჩამააბნევს ცრემლებსა,*
*საქმეს ვინ გაიჭირვებსა,*
*ამასა ვფიქრობ და გულიც*
*ამასვე ანამდვილებსა,*
*დედის მეტს ჩემი სიკვდილი*
*არავის აატირებსა.*
*თუმც ნათესავნი, და-ძმანი*
*აღარც აისხმენ ღილებსა,*
*ცოლიც ძალიან მიტირებს,*
*ქვეყანას გააკვირვებსა,*
*ცოტა ხნის შემდეგ ისიცა*
*სხვისსა ჭირს გაალხინებსა,*
*სულ ყველას დავავიწყდები,*
*ყველას სხვა დაათირებსა.*
*მე დედის გულში ვიქნები,*
*ძილსაც ვერ დაიძინებსა,*
*ვენაცვლე ძუძუ გამზრდელსა,*
*გულით ეგ დამიტირებსა,*
*დედას ვუყვარვართ შვილები,*
*დედა არ გვახსოვს შვილებსა,*
*იმითა გვტანჯავს გამჩენი*
*სულ მუდამ გვაცოდვილებსა.*

**ეთერ თარიმანი**

# მდიდარი ქვრივისა და მეთევზე დათას „შვილობილები“...

ერთიანად შავებში ჩაცმული შუახნის ქალბატონი დაჩოქილი უვლიდა ტაძარს. ანთებული სანთლით ხელში და ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა, მიწას ახლიდა თავს და ზოგჯერ თავზეც იყრიდა...

ასეთი რამ სადღაც წამიკითხავს, მაგრამ თვალით არასოდეს მინახავს. ვკითხე, იმ ეკლესიის მსახურ ქალს, რა სჭირს, რა ცოდვა არ ასვენებს-მეთქი?!

— უცნაური ქალია, თვეში რამდენჯერმე მოდის და ასეთ დღეშია, არავის კითხვებს არ პასუხობს, მათხოვრებს ფულს დაურიგებს და წავა, უკანაც არ მოიხედავსო! — მივიღე პასუხად...

...მე მაინც ვცადე მასთან გამოლაპარაკება, უკან გავყევი — ქალბატონო, თუ შეიძლება რაღაც მსურს გკითხოთ-მეთქი...

მომხედა, ამოიოხრა, შეტრიალდა და წავიდა, არ გამიჩერდა...

მოგვიანებით მაინც შევძელი დამედგინა, რომ იგი მარტოხელაა, არასოდეს ყოფილა გათხოვილი. რამდენიმე წლის წინ მოხუცი დედა გარდაეცვალა, ამის შემდეგ პროფესიით ექიმმა-გინეკოლოგმა მუშაობას თავი დაანება და შინ ჩაიკეტა.

ცნობისმოყვარეობით „გაგიჟებული“ მეორედაც დავხვდი წინ, დაკვირვებით შემომხედა: — ფრთხილად იყავიო! მითხრა და ზურგი მაქცია.





მივხვდი, კონტაქტს არ ისურვებდა და ვცადე, დამევიწყებინა. ასეც მოხდა და, რომ არა კიდევ ერთი უცნაური შემთხვევა, ალბათ არც არასოდეს გამახსენდებოდა...

ორიოდე კვირის წინ მეზობელი კორპუსის წინ ატეხილმა ჩოჩქოლმა მიიპყრო ჩემი ყურადღება.

დილით ადრე გამოსულ მეთევზე დათას ფეხებში დაუდევრად დაგდებული სპორტული ჩანთა წამოდებოდა და როცა წაქცევას ძლივს გადაურჩა, მამაპაპურად შეიკურთხა. ის იყო ჩანთის გახსნა დააპირა, შიშმა შეაჩერა — ვინ იცის, ყუმბარაა შიგ ტერორისტის დატოვებულიო!...

— გვერდის ავლა და წასვლა დავაპირე, მაგრამ მოვბრუნდი, ვინ იცის, ვინ გახდებოდა გაუგებრობის მსხვერპლიო! — ამბობდა მოგვიანებით გაოგნებული. უკან მობრუნებულმა კი ჩანთანსთან ჩაცუცქული უპატრონო ძაღლი დაინახა თავისი ლეკვებით, რომელიც გაუთავებლად წკმუტუნებდა და ისეთი საწყალი თვალებით უყურებდა კაცს, თითქოს შველას სთხოვდა, თან ჩანთას თათს ურტყამდა...

ყველაზე „გაბედულმა“ ტაქსის მძღოლმა ჟორამ გახსნა ჩანთა: რა ბომბი, რის ბომბი, დაოსებული ჩვილი ტირისო!.. პატარა, უსუსური ბავშვი გაეხვიათ თბილ საბანში, ჩანთაში ჩაეწვინათ და გულზე წერილი დაედოთ: „ნესტან კანდელაკს, ღმერთის საჩუქარი, აიყვანე და გაზარდე, თუ გინდა სიცოცხლეს აზრი ჰქონდეს!..“

ნესტან კანდელაკი მესამე სართულზე ცხოვრობდა, მდიდარი ქვრივი, რომელსაც შვილები არ დარჩენოდა და ორ ძაღლს ზრდიდა — „ბალონკა“ კესოს და „ავჩარკა“ ბესოს, მზარეულიც დაუქირავა და პირადი ვეტერინარიც, ეგ კი არა, პარიკმახერიც დადიოდა მასთან თვეში ორჯერ ძაღლებისთვის...

დაუძახეს, ჩვილი აჩვენეს, ხელში წერილი შეაჩეჩეს...

ცხვირი აიბზუა და ისე გაბრუნდა უკან, ბავშვს არც დახედა.

— შენი ქალობა რა ვთქვიო! — ჩუმად შეუკურთხა ჟორამ, დათამ მუშტი დაიბრახუნა მკერდზე: — რატო ეგ ძაღლები არ შეგჭამენო!..

ექთანმა მზიამ ბავშვი ხელში აიყვანა — „ორიოდე დღისაც არაა, მოვლა და ექიმი უნდა, თორემ მოკვდება!..“

მეთევზე დათამ ანკესები გვერდზე მიაწყო: „მე ვიპოვე და მე უნდა ვუპატრონოო! — მარილებით დახუთულ ცოლს გასძახა: „გამოიხედე, სტუმარი გვყავს!..“

დათას და ლიას ორი ქალიშვილი ჰყავდათ. კარგა ხანია თავიანთი ბუდეები გაიჩინეს და ხშირად ჩიოდა კაცი — ღმერთმა ვაჟი არ მომცა, ოჯახი გადამიშენაო!..

ეჩხუბებოდნენ — ანგელოზივით შვილიშვილები გეზრდება, ღმერთს ნუ სცოდავო!..

— ეგ ანგელოზები სხვის გვარს ამრავლებენ, მაგით მე რაო?! — არ იშლიდა წუწუნს...

სასწრაფოს გამოუძახეს. ექიმმა ახალშობილს დახედა და პატრონი მოიკითხა. ვიღაცამ თქმა დააპირა — მოგდებულიაო! მაგრამ დათამ თვალები დაუბრიალა: მე ვარ პატრონიო!..

როცა ექიმი ბავშვს საბანს ხსნიდა, თვალები დახუჭა და ღმერთს შეეხვეწა: ნეტამც ბიჭი იყოსო!..

ბიჭი აღმოჩნდა.

— შენ გენაცვალეო! — თვალები გაუბრწყინდა...

სანამ დაიშლებოდნენ, კიდევ ერთხელ გაჭორეს ქალებმა ნესტან კანდელაკი და ქოქოლა დააყარეს მის ძაღლებს.

— იმ დღესაც მოვესწრები, ჩემი ნათესავივით, ეკლესიას დაჩოქილი უვლიდეს და თავზე მიწას იყრიდეს, მაგრამ დროს ველარ მოატრიალებსო!..

ყური ვცქვიტე — იმ ქალზე ხომ არ ამბობთ-მეთქი?!

— სწორედ იმაზე, დეიდად მერგება. მამისგან შეძლებული ოჯახი დარჩა, მაგრამ თავადაც ბევრი ქონება დააგროვა, ჩინებული გინეკოლოგი იყო. ვერ გათხოვდა თუ არ ინდომა, ისე დაბერდა, კაცს მისკენ არ მიუხედავს. ერთხელაც კართან ჩვილი დაუსვეს — სწორედ ისე, როგორც ნესტანს... თავი გაიგიჟა და ახლოს არ გაიკარა — ეს როგორ გავზარდოო. ბავშვი ჩვილ ბავშვთა სახლში გაამწესა, არადა რამდენი ეხვეწა დედამისი — დავიტოვოთო. ისე მოკვდა, შვილს აღარ დალაპარაკებია... მარტო დარჩენილს რა მოელანდა, არ ვიცი, მაგრამ სრულ ჭკუაზე მყოფს აღარ ჰგავს, არავის არაფერს ეუბნება, მაგრამ რომ ნანობს, აშკარააო.

...ცოტა ხანში კი დავინახე, როგორ გამოიყვანა ლამაზი ეტლით სასეირნოდ ჩვილი მეთევზე დათამ, მისმა ცოლმა პატარა პერანგები გამოფინა...

— ბევრი იწვალა, მაგრამ თავისი გაიტანა, ბიჭი არავის დაანება დათამო, — მითხრეს...

სული გამითბა...

სხვათა შორის, პატარა სკვერში ქალბატონ ნესტანსაც ხშირად ვხედავ თავის ძაღლებთან ერთად. მეთევზე დათას და მის შვილობილს ერთხელაც არ მიხედავს, თითქოს ვერც ამჩნევთ... ბედნიერი ჩანს ქალი და რატომღაც არ მესმის მისი ბედნიერების...

დათას ბედნიერებისა კი თეთრი შურით მშურს და მიხარია მის გამო...

მაინც მაგრები ვართ ჩვენ, ქართველები!..

**ინგა ჯაყელი**





1. „ტარტარენის თავგადასავლის“ ავტორი
2. კინოფესტივალის ჯილდო
3. „რომეო და ჯულიეტა“ (ქალაქი)
4. რ. ჩხეიძის ფილმი „ჩვენი ...“
5. ვიტამინების სასაქონლო ფორმა
6. მდინარე ევროპაში
7. ინტელექტი ბერძნულად
8. შესაფუთი მასალა
9. მთის მასივი აზიაში
10. ტაჯ-მაჰალი (ქალაქი)
11. იგივეა, რაც ღვთისმშობელი
12. ... ხანა
13. მზისა და მთვარისა (... ელიავა)
14. ფრანგი იმპრესიონისტი
15. გდრ-ის კინოსტუდია
16. ხშირი და ხუჭუჭი თმა
17. ფრანგული ფილმი „კუზი“ (მსახიობი)
18. იგივეა, რაც ვაჟი (ძველად)
19. ... კაპონე
20. ფინური აბანო
21. უკრაინის პარლამენტი
22. ფრანგი ისტორიკოსი
23. თბილისის ძველი უბანი
24. სტალონეს კინოგმირი
25. „.... ქუჩა“
26. ესერთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი
27. ძველი ფრანგული სიგრძის ერთეული
28. ახლომხედველი
29. ... ჭავჭავაძე
30. ხალხი გაბონში
31. დიდი ცხოველის თათი
32. წყლიანი ორმო
33. დიდი კალი
34. ესპანელი მხატვარი
35. „რომას“ საუკეთესო ფეხბურთელი
36. პირბადე
37. ქვეყნის მანდატი
38. ... მაკაი
39. „თავგადასავლების მაძიებელნი“ (... ვენტურა)
40. დასარგავად განკუთვნილი ნორჩი მცენარე
41. ... ქიაჩელი
42. ვან გოგის ძმა
43. ყვავილი
44. ლანგარი
45. მუშაობის ერთეული
46. საერთ. ლიტ. გაერთ. ... კლუბი
47. თანხმობა ესპანურად
48. ოტელოს მტერი
49. ინგლისელი პოეტესა
50. ... მაკფერსონი
51. საოჯახო ხელსაწყო
52. საჭად. ფიგურა
53. პატივყრილი სამურაი
54. ემბრიოლოგიის ფუძემდებელი
55. ავსტრალიური ველური ძაღლი
56. საბრალო, შესაბრალისი
57. ესპანეთის ფაშისტური პარტია
58. ხის სვეტი მოაჯირში
59. სამოთხე
60. შვარცენეგერი ფილმში
61. ლ. ტოლსტოის რომანის გმირი
62. საფეხბურთო მოედანი
63. ცნობილი კომპოზიტორი და გიტარისტი







**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ტუნისი; 2. ფილიპეპი; 3. პარიკი; 4. შაპიტო; 5. მაშო; 6. მარინა; 7. პეპი; 8. პანსა; 9. ფარული; 10. ხისტი; 11. სი; 12. ანკესი; 13. სუკრე; 14. ვისკი; 15. ანკარა; 16. ნური; 17. ურნა; 18. რა; 19. რაგუ; 20. კუ; 21. მანსარდა; 22. გიგია; 23. ბალი; 24. ბალი; 25. ხუნტა; 26. შეიხი; 27. ასანა; 28. ელიტა; 29. ვარია; 30. რენტა; 31. ტანკი; 32. ტრიადა; 33. არენა; 34. სანატორიუმი; 35. სინოდი; 36. სიო; 37. „მაზდა“; 38. ონო; 39. ერა; 40. კონერი; 41. კაა; 42. საღორია; 43. სე; 44. ლა; 45. ალა; 46. ფიგუ; 47. დო; 48. ბეარი; 49. სუსხი; 50. დიანა; 51. იანგი; 52. იანა; 53. ლეი; 54. ჯაბახანა; 55. „ჯუმანჯი“; 56. ურანია; 57. ხანა; 58. ჯვარი.

1. ოჯახის სიხარული; 2. შამპანური სადღაა; 3. უკვე ათნი ვართ მზის სისტემაში; 4. ჯუჯა ღორი მინიპიგი; 5. შარლიზ ტერონი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნომერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები**

**შეადგინა რამაზ ალანიამ**

## საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი

### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
### საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

### აცხადებს კონკურსს ვაკანტურ თანამდებობებზე

საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის ფარგლებში განახორციელოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების რეფორმა. რეფორმის არსი მდგომარეობს უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამოცდების უნიფიცირებული, ობიექტური შეფასების სისტემის შექმნასა და დანერგვაში. ამ ამოცანის განსახორციელებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოელის შესაბამისისი კვალიფიკაციის პირების განცხადებებს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:

**საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელი**
**საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის წევრები (4 ვაკანსია)**

#### საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელი

**პასუხისმგებლობა და მოვალეობები:**
- უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდებისთვის კომპიუტერული სისტემის პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელმძღვანელობა;
- უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდებისთვის კომპიუტერული სისტემის პროექტირების ხელმძღვანელობა;
- სისტემასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზების სტრუქტურის ჩამოყალიბების და ოპტიმიზაციის ხელმძღვანელობა;
- სისტემისთვის ტექნიკური ამოცანის ჩამოყალიბების ხელმძღვანელობა;
- მოწვეული სპეციალისტების და ექსპერტების მუშაობის წარმართვა;
- უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდებისთვის კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირების და თანამშრომელთა საქმიანობის მონიტორინგის განხორციელება.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება;
- ორგანიზაციული მართვის გამოცდილების მინიმუმ ხუთწლიანი გამოცდილება;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური პროექტების წაყვანისა და შეფასების მინიმუმ ხუთწლიანი გამოცდილება;
- თანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიური მეთოდების ცოდნა;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემების ექსპლუატაციის გამოცდილება;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- კომპიუტერის კარგი ცოდნა.

**ანგარიშვალდებულება**:
საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის უფროსი ანგარიშვალდებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის წინაშე.

**ხელშეკრულების ხანგრძლივობა:**
აღნიშნული თანამდებობა სრულგანაკვეთიანია.
თავდაპირველად ხელშეკრულება დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

#### საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის წევრი – სისტემური ანალიტიკოსი (1 ადგილი)

**ძირითადი მოვალეობები:**
- უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდებისთვის კომპიუტერული სისტემის პოლიტიკის ჩამოყალიბება;
- უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდებისთვის კომპიუტერული სისტემის პროექტირება;
- მისაღები გამოცდების ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირება;
- მისაღები გამოცდების ინფორმაციული გარემოს ფორმირება (დოკუმენტების სახის, კლასიფიკატორების და სისტემის შესაბამისი ინსტრუქციების ჩამოყალიბება);
- მისაღები გამოცდების ტექნოლოგიური ამოცანების ჩამოყალიბება;
- სისტემასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზების სტრუქტურის ჩამოყალიბება და ოპტიმიზაცია;
- პროგრამული უზრუნველყოფის სტრუქტურისა და ტექნიკური ამოცანის ჩამოყალიბება.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება (სასურველია სამეცნიერო ხარისხი);
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური პროექტების წაყვანის მინიმუმ ხუთწლიანი გამოცდილება;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური პროექტების შემუშავების გამოცდილება;
- თანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიური მეთოდების ცოდნა;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- უმაღლესი სასწავლებლების მისაღებ გამოცდებზე მუშაობის გამოცდილება;
- კომპიუტერთან მუშაობის ჩვევები.

#### საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის წევრი – კომპიუტერული სისტემების სპეციალისტი (1 ადგილი)

**პასუხისმგებლობა და მოვალეობები:**
- კომპიუტერების, კომპიუტერული ტექნიკის და საოფისე სისტემების გამართული მუშაობა;
- კომპიუტერების, საბეჭდი მოწყობილობების და კომპიუტერული ტექნიკის მომსახურება და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის და განახლებების ინსტალირება;
- კომპიუტერების და გარე მოწყობილობების პერიოდული ტესტირება და პროფილაქტიკა;
- კომპიუტერებში არსებული მონაცემების შენახვა-არქივირება;
- კომპიუტერებში არსებული მონაცემების შემოწმება ანტივირუსული პროგრამებით და ანტივირუსული პროგრამების პერიოდული განახლება;
- ცენტრის თანამშრომლების და ოპერატორებისთვის დოკუმენტების ნიმუშების მომზადებაში დახმარების გაწევა;
- დასაბეჭდად გადასაცემი მონაცემების მომზადებაში მონაწილეობას მიღება.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური მიმართულებით მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება;
- თანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიური მეთოდების ცოდნა;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- კომპიუტერულ ტექნიკასთან და საოფისე პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება.

#### საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის წევრი – მონაცემთა ბაზების სპეციალისტი (1 ადგილი)

**პასუხისმგებლობა და მოვალეობები:**
- უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდებისთვის კომპიუტერული სისტემის პროექტირებაში მონაწილეობა;
- კლასიფიკატორების ჩამოყალიბებაში მონაწილეობა;
- სისტემასთან დაკავშირებული მონაცემთაბაზების სტრუქტურის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა;
- სისტემისათვის ტექნიკური ამოცანის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა;
- მონაცემთა ბაზების აქტუალიზაციის და შენახვა-არქივირების წარმართვა;

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური მიმართულებით მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება;
- თანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიური მეთოდების და მონაცემთა ბაზებთან მუშაობის გამოცდილება;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- კომპიუტერულ ტექნიკასთან და საოფისე პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება.

#### საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის წევრი – ოპერატორი (1 ადგილი)

**პასუხისმგებლობა და მოვალეობები:**
- საოფისე სისტემების და სპეცპროგრამების საშუალებით მონაცემების შეყვანა, შემოწმება და რედაქტირება;
- კომპიუტერებში არსებული მონაცემების შენახვა-არქივირება;
- კომპიუტერებში არსებული მონაცემების შემოწმება ანტივირუსული პროგრამებით;
- მონაცემების სწრაფად შეყვანა.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება;
- კომპიუტერებთან, საბეჭდ მოწყობილობებთან და კომპიუტერულ ტექნიკასთან მუშაობის მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება;
- გუნდური მუშაობის უნარი.

**ანგარიშვალდებულება:**
საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის წევრები ანგარიშვალდებულნი არიან საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელის წინაშე.

**ხელშეკრულების ხანგრძლივობა:**
თავდაპირველად ხელშეკრულებები დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია). წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა №60, მე-2 სართული, ოთახი №1.**
**ტელეფონები: 95-98-25; 96-80-78.**
**საკონტაქტო პირები: ალექსანდრე ბალავაძე, მერაბ თოფურია**
**განაცხადებების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 19 აპრილი**

**შენიშვნა:**
საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:
ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;
ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.

## საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი

### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
### საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

### აცხადებს კონკურსს ვაკანტურ თანამდებობებზე

საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის ფარგლებში განახორციელოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების რეფორმა. რეფორმის არსი მდგომარეობს უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამოცდების უნიფიცირებული, ობიექტური შეფასების სისტემის შექმნასა და დანერგვაში. ამ პროექტის ერთ-ერთი პრიორიტეტია აბიტურიენტთა ზოგადი უნარების შეფასება.

აბიტურიენტთა ზოგადი უნარების ობიექტური შეფასების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს პროფესიონალ ექსპერტთა ჯგუფის შერჩევა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ზოგადი უნარების ტესტის მომზადებაზე. ამ ჯგუფის ამოცანაა, შეიმუშაოს სანდო და ეფექტური მექანიზმები აბიტურიენტთა ზოგადი უნარების შესაფასებლად. ზოგადი უნარების ექსპერტთა ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს პროექტის განხორციელებაში მონაწილე ყველა ორგანიზაციისა და დაინტერესებული პირებისათვის – მთავრობა, სკოლები, მასწავლებლები, მშობლები და აბიტურიენტები – უნარების ტესტის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება.

ზოგადი უნარების შეფასების ჯგუფი დაკომპლექტდება ფსიქოლოგებითა და განათლების სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებით. ზოგადი უნარების ჯგუფის პერსონალი მიიღებს აუცილებელ ცოდნას და გამოცდილებას, რომელსაც უზრუნველყოფენ გამოცდებისა და შეფასების საერთაშორისო კონსულტანტები. მათ ასევე საშუალება ექნებათ, დაამყარონ კონტაქტები ამ სფეროში მომუშავე საერთაშორისო ინსტიტუტებთან.

იმისათვის, რომ ზოგადი უნარების ჯგუფი უზრუნველყოფილი იყოს კვალიფიციური პერსონალით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კონკურსის წესით იწვევს სპეციალისტებს შემდეგ თანამდებობებზე:

**ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელი**
**ზოგადი უნარების ჯგუფის წევრები (7 ვაკანსია)**

#### ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელი

ტესტირების წამყვანი სპეციალისტი, რომელსაც შესწევს უნარი, სათანადოდ გაუძღვეს ზოგადი უნარების ექსპერტთა ჯგუფის მუშაობას. ჯგუფის ხელმძღვანელი კოორდინაციას გაუწევს ჯგუფის საქმიანობას და ანგარიშვალდებული იქნება გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის წინაშე.

**ფუნქციები და პასუხისმგებლობები:**
- ზოგადი უნარების ტესტის შემქმნელთა ჯგუფის საერთო ხელმძღვანელობა (ჯგუფის მუშაობის დაგეგმვა, ზოგადი უნარების ტესტის ჯგუფის მუშაობის კოორდინაცია და მონიტორინგი);
- ჯგუფისათვის გრძელვადიანი სტრატეგიის და სამუშაო გეგმების შემუშავება;
- გადაწყვეტილებების მიღება ტესტების საბოლოო ფორმასთან დაკავშირებით (ზოგადი უნარების ტესტის დიზაინისა და ფორმატის განსაზღვრა);
- უნარების ტესტის კითხვების მონაცემთა ბაზის შექმნის ხელმძღვანელობა;
- ტესტების მასალების რევიზია, მათი მომზადება გამოცდისათვის (Try out, პილოტირება);
- ტესტის კითხვების გამოცდისა და პილოტირების დაგეგმვა და კოორდინაცია;
- ფსიქომეტრიული ანალიზის შედეგების გათვალიწინება და ტესტის საბოლოო ფორმატის მომზადება;
- ჯგუფის მიერ შემუშავებული მასალების გავრცელებაზე კონტროლი;
- სამუშაო სემინარების გამართვა;
- ტესტის ნიმუშების მომზადება და გავრცელება.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება ფსიქოლოგიაში (სასურველია სამეცნიერო ხარისხი);
- ტესტის თეორიის სრულყოფილი ცოდნა (ტესტების შემუშავების პრინციპების ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება);
- ზოგადი უნარების თეორიული მოდელების სრულყოფილი ცოდნა;
- უნარების ტესტებით მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება;
- ფსიქომეტრიკის ძირითადი მახასიათებლების ცოდნა;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- კომუნიკაციის მაღალი უნარი;
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები;
- საუკეთესო ორგანიზაციული უნარები.

**ხელშეკრულების ხანგრძლივობა:**
აღნიშნული თანამდებობა სრულგანაკვეთიანია.
თავდაპირველად ხელშეკრულება დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

#### ზოგადი უნარების ჯგუფის წევრები (2 ვაკანსია)

ტესტირების სპეციალისტები, რომელთაც შესწევთ უნარი, სათანადოდ გაუძღვნენ ზოგადი უნარების ტესტის ვერბალური ნაწილის (ანალოგიები, წინადადების დასრულება) მომზადებას და უნარების Mტესტის ვერბალური ნაწილისათვის (ანალოგიები, წინადადების დასრულება) შექმნან კითხვების მონაცემთა ბაზა.

#### ზოგადი უნარების ჯგუფის წევრი (1 ვაკანსია)

ტესტირების სპეციალისტი, რომელსაც შესწევს უნარი, სათანადოდ გაუძღვეს ზოგადი უნარების ტესტის ვერბალური ნაწილის (ლოგიკური დასკვნები) მომზადებას და უნარების Mტესტის ვერბალური ნაწილისათვის (ლოგიკური დასკვნები) შექმნას კითხვების მონაცემთა ბაზა.

#### ზოგადი უნარების ჯგუფის წევრები (2 ვაკანსია)

ტესტირების სპეციალისტები, რომელთაც შესწევთ უნარი სათანადოდ გაუძღვნენ ზოგადი უნარების ჯგუფში ტესტის ვერბალური ნაწილის (წაკითხულის გააზრება) მომზადებას და უნარების ტესტის ვერბალური ნაწილისათვის (წაკითხულის გააზრება) ტესტური კითხვების სახით შექმნან მონაცემთა ბაზა.

#### ზოგადი უნარების ჯგუფის წევრები (2 ვაკანსია)

ტესტირების სპეციალისტები, რომელთაც შესწევთ უნარი, სათანადოდ გაუძღვნენ ზოგადი უნარების ჯგუფში ტესტის მათემატიკური ნაწილის მომზადებას და უნარების ტესტის მათემატიკური (რაოდენობრივი) ნაწილისათვის ტესტური კითხვების სახით შექმნან მონაცემთა ბაზა.

**ფუნქციები და პასუხისმგებლობები:**
- ტესტის ვერბალური ნაწილის რევიზია მათი გამოცდისათვის;
- ტესტის კითხვების გამოცდა (Try out) და პილოტირება;
- ფსიქომეტრული ანალიზის შედეგების გათვალისწინება და ტესტის ვერბალური ნაწილის საბოლოო ფორმატის მომზადება;
- ჯგუფის მიერ შემუშავებული მასალების გავრცელებაზე კონტროლი;
- სამუშაო სემინარებში მონაწილეობა;
- ტესტის ნიმუშების მომზადება და გავრცელება.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

**1, მე-3 და მე-5 წევრები**
- უმაღლესი განათლება ფსიქოლოგიაში;
- ტესტის თეორიის სრულყოფილი ცოდნა (ტესტების შემუშავების პრინციპების ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება);
- ზოგადი უნარების თეორიული მოდელების ცოდნა;
- ფსიქომეტრიკის ძირითადი მახასიათებლების ცოდნა.

**მე-2 და მე-4 წევრები**
- უმაღლესი ფილოლოგიური განათლება (ქართული ენა და ლიტერატურა);
- ტესტის თეორიის სრულყოფილი ცოდნა (ტესტების შემუშავების პრინციპების ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება);
- პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;
- სასურველია ზოგადი უნარების თეორიული მოდელების ცოდნა;
- სასურველია ფსიქომეტრიკის ძირითადი მახასიათებლების ცოდნა.

**მე-6 და მე-7 წევრები**
- უმაღლესი განათლება მათემატიკაში;
- ტესტის თეორიის სრულყოფილი ცოდნა (ტესტების შემუშავების პრინციპების ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება);
- პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;
- სასურველია ზოგადი უნარების თეორიული მოდელების ცოდნა;
- სასურველია ფსიქომეტრიკის ძირითადი მახასიათებლების ცოდნა.

ჯგუფის წევრებს უნდა ჰქონდეთ:
- გუნდური მუშაობის უნარი;
- კომუნიკაციის მაღალი უნარი;
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები

**ანგარიშვალდებულება:**
ზოგადი უნარების ჯგუფის წევრები ანგარიშვალდებულნი არიან ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელის წინაშე.

**ხელშეკრულების ხანგრძლივობა:**
თავდაპირველად ხელშეკრულებები დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია). წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა №60, მე-2 სართული, ოთახი №1.**
**ტელეფონები: 95-98-25; 96-80-78.**
**საკონტაქტო პირები: ალექსანდრე ბალავაძე, მერაბ თოფურია**
**განაცხადებების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 19 აპრილი**

**შენიშვნა:**
საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:
ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;
ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.

CMYK

# ამბავი ჩერქეზი ქალისა



მშვენიერი ეთერ ძიძარია დედის ლანდი იყოო, — ამბობდნენ მისი მნახველები....

ამას წინათ ნინო მიმინოშვილმა თავისი ულამაზესი დიდედის, ჩერქეზი თავადის ასულის — ჩაკვა შერემეტიევას ამბავი მიამბო. ნინოს ბებია ეთერისგან, ნათესავ-ნაცნობებისგან ბევრი რამ გაეგონა უმშვენიერეს ჩერქეზ ქალზე. გული მხოლოდ ერთ რამეზე სწყდება — ჩაკვას ფოტო ავბედითი აფხაზეთის ომის დროს, სვანეთის უღელტეხილის ფეხით გადავლისას დაჰკარგვია მის ქალიშვილს...

ახლა კი უკან დავიხიოთ:

ჩერქეზი თავადი ედრის შერემეტიევი აფხაზეთში მეცხრამეტე საუკუნეში გადმოსახლებულა. აფხაზეთის მთავარს, მიხეილ შარვაშიძეს, თავადობის დამადასტურებელი სიგელი მოუთხოვია. მასაც წარუდგენია, რის შემდეგაც ადგილ-მამული უბოძებია მისთვის მთავარს. ედრისი ოჩამჩირის მახლობლად, სოფელ ჯგერდაში დასახლებულა და ცოლად ელისო აძნბა შეურთავს. მათ ოჯახში დაბადებულა 1906 წელს ჩაკვა — ნაბოლარა, მერვე შვილი.

ედრისს სახელი მალე გაუთქვამს სიმდიდრით, კეთილი საქმეებით, ვაჟკაცობით, სტუმართმასპინძლობით.

...გადიოდა დრო, იზრდებოდა და უფრო და უფრო მშვენდებოდა ჩაკვა. ბევრ ვაჟკაცს თეთრად გაუთენებია ღამე მასზე ფიქრსა და ოცნებაში, მრავალს ნდომებია მისი მოტაცება...



ბესარიონ ძიძარია

ჩაკვას სილამაზე მთელ აფხაზეთში იყო განთქმული. დღეობებსა და თავყრილობებზე საიდან არ მოდიოდნენ, რომ შორიდან მაინც მოეკრათ თვალი მისთვის.

ჩერქეზი თავადის ქალის ქება ბესარიონ ძიძარიას ყურსაც მისწვდა თურმე და ერთ ჯარიანობას მის სანახავად წასულა.

ბესარიონ ძიძარია მერხეულის მახლობელ სოფელ ღურზულიდან იყო. მისი წინაპრები მე-18 საუკუნის ბოლოს მომხდარი მიწისძვრისას აყრილან მარტვილიდან და აფხაზეთს გადასულან. ღურზულის ბუნებას, ანკარა წყაროებს ისე მოუხიბლავთ ძიძარიები, რომ იქვე დასახლებულან. ბესარიონის მამას, ისლამ ძიძარიას, იქაური ქალი, პელაგია ახალაია შეურთავს ცოლად. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ისლამს ტიფი შეჰყრია და გარდაცვლილა. დარჩენილა ოთხი უსუსური ბავშვის ამარა პელაგია.

მოხდენილი, ლამაზი, მარჯვე და ჭკვიანი ვაჟკაცი დამდგარა ბესარიონი. გლეხის კვალობაზე მდიდარი ოჯახიც ჰქონდა.

...იმ ჯარიანობაზე ქალებში პატიოსანი თვალივით ბრწყინავდა ჩაკვა, ვაჟებში გამოირჩეოდა ბესარიონ ძიძარია.

მარულაში თავი გამოუჩენია ბესარიონს, ყველას მისი სახელი ეკერა თურმე პირზე.

ერთი ნახვით ჩავარდნიათ გულში ერთმანეთი ჩაკვას და ბესარიონს. მეხივით გავარდნილა ხმა — გლეხ ძიძარიას თავადის ქალი შეჰყვარებიაო.

ედრის შერემეტიევი მეზობელ თავად ტატაშ მარშანიასთან მეგობრობდა. მარშანია ხშირად იხდიდა წვეულებებს. ერთ ლხინში ბესარიონიც მოხვედრილა. როგორც ჩანს, ის ედრისის თხოვნით მოუწვევია ტატაშს — მინდა ვნახო, ვისზე შეუვარდა გული ჩემს ქალსო. თუმცა, ბესარიონის სტუმრობა თავადთა ოჯახში უცხო არ ყოფილა, რადგან დარბაისლური ქცევითა და სიტყვა-პასუხით, ვაჟკაცობითა და წიგნიერებით ტოლს არ უდებდა წარჩინებულებს.

ძალიან მოსწონებია ედრისს ბესარიონი. თუკი მის გაცნობამდე გული ეთანაღრებოდა — გლეხს როგორ გავატანო ქალიო, წვეულების შემდეგ წინააღმდეგი აღარ წასულა.

ცას სწვდებოდა აფხაზური და მეგრული მაყრული, „ვარადა“ და „კუჩხი ბედინერი“. უმშვენიერესი ნეფე-პატარძლისთვის მღვდელ დიმიტრი ჩხაპელიას დაუწერია ჯვარი.

დიდი სიყვარულით მიუღია პელაგიას რძალი. ჩაკვას მეგრული არ სცოდნია თავდაპირველად, თუმცა მოსიყვარულე რძალ-დედამთილი ისედაც უსიტყვოდ უგებდა ერთმანეთს. ფუფუნებაში გაზრდილ ქალს მულები და დედამთილი ცივ ნიავს არ აკარებდნენ...

წლისთავზე ვაჟი შეეძინათ, თარასხანი. ერთი წლის მერე, 1932 წელს კი, გოგონა. ჩაკვას მილია დაურქმევია მისთვის, მაგრამ პელაგია ბებია ეთერს ეძახდა შვილიშვილს.

სიხარულითა და სიყვარულით სავსე დღეები დიდხანს არ გაგრძელებულა... თითქოს ასე დაუწესებია არსთა გამრიგეს, გამორჩეულსა და მშვენიერს მხოლოდ მცირე ხნით გაანებივრებს. ძიძარიების ოჯახში სიხარული ცრემლმა შეცვალა... ახლობლის ქორწილიდან წამოსული ცოლ-ქმარი ზღვულა წვიმაში მოყოლილან. ბესარიონი ავად გამხდარა. არანაირმა მკურნალობამ არ გაჭრა. ბოლოს, ვიღაცას ურჩევია, ამა და ამ სოფელში საუკეთესო ექიმბაში ცხოვრობს და ეგებ მისმა წამალმა არგოსო. გათენებისთვის არ დაუცდია ჩაკვას, მოახტა თურმე ცხენს და წყვდიადში გაუჩინარდა. უკან მობრუნებული სახლს რომ მიუახლოვდა, მოთქმა-კივილი შემოესმა. ცხენიდან ჩამოქვეითებულა და თავზარდაცემული იქვე ჩაკეცილა.

26 წლისა გარდაიცვალა ბესარიონი. სულთმობრძავი ჩაკვას სახელს ახსენებდა თურმე...

პელაგია ძლიერი ქალი ყოფილა. შვილმკვდარი დედა, თვითონაც ადრე დაქვრივებული, იქით ამხნევებდა სასოწარკვეთილ რძალს...

აფხაზების ჩვეულებით, წლისთავზე დაქვრივებულ ქალიშვილს მშობლები შინ აბრუნებენ, რადგან დიდ სირცხვილად ითვლება უკაცო ოჯახში ქალის დარჩენა. ედრისმა ქალიშვილთან ერთად თარასხანი და ეთერიც წაიყვანა.

პელაგიას მისი გამოზრდილი შვილიშვილების მოცილება ვერ გადაუტანია და დარდისაგან ლოგინად ჩავარდნილა. ეს ჩაკვას გაუგია, შეჰბრალებია საყვარელი ადამიანის დედა და თავისი ხელით მიუყვანია ბავშვები მისთვის. თვითონ კი კვლავ მშობლებთან დაბრუნებულა. შვილების უნახავად დიდხანს ვერ ძლებდა. ცხენზე ამხედრებული, რამდენიმე მხლებლით ხშირად აკითხავდა შვილებს, მოესიყვარულებოდა, დატკბებოდა მათი ყურებით და გაბრუნდებოდა. თითქოს საგზლად გაიყოლებდა ბავშვების სითბოს, რომელიც ერთი დღეც არ ჰყოფნიდა. ერჩივნა, თავად გატანჯულიყო, ვიდრე ქმრის დედისთვის ეტკინა გული, თანაც ამგვარი საქციელით ბესარიონის სულს ამშვიდებდა, მის სიყვარულს სცემდა პატივს.

1937 წელს შერემეტიევების ყველა მამაკაცი გადაასახლეს და ოჯახს ქონებაც ჩამოართვეს. ჩაკვას ბედ-იღბალი სასწორზე დადებულა, ალბათ ამიტომაც გათხოვდა მეორედ. 1938 წელს ცოლად გაჰყოლია გააფხაზებულ სარდიონ ლოგუას. ამ ამბავმა ყველა გააოგნა, მეტადრე ბავშვები. შვილებმა ვერ იგუეს მამინაცვალი, ის კი არა, დედასაც ზურგი შეაქციეს.

ჩაკვას არც მეორე ქმართან ეწერა ბედი. ორი შვილი შეეძინა ლოგუასთან, მესამეს ელოდა, როცა ომი დაიწყო. იმავე კვირაში წაუყვანიათ სარდიონი ფრონტზე და მას შემდეგ არავის უნახავს.

პელაგიამ რძალყოფილი მოინახულა თურმე და უთხრა: ბევრი დარდი გაქვს გამოვლილი, ვიცი, შვილების გარეშე ძალიან გიჭირს, მოდი ხოლმე, ბავშვები აღარ შეგხვდებიან ცივადო. თუმცა ჩაკვამ სირცხვილსა თუ სიამაყეს ვერ სძლია და ძიძარიების ოჯახს აღარ გაჰკარებია. მეორედ დაქვრივებულს ძალიან უჭირდა სამი შვილის აღზრდა.

1949 წელს 17 წლისა გათხოვდა ეთერ ძიძარია. შემთხვევით შეხვედრილ ნაცნობს ჩაკვასთვის შვილის გაბედნიერება მიულოცავს. გული წასვლია ბედშავს. ვინ იცის, რას ფიქრობდა მაშინ? რამდენი დღე, თვე და წელიწადი იცხოვრა შვილებისგან შორს, რამდენი მძიმე წუთი, ავადმყოფობა თუ განსაცდელი დედის გარეშე გადაუტანიათ მის ქალ-ვაჟს, ახლა კი ქალიშვილი უმისოდ გაბედნიერდა. ერთი წლის მერე, აფხაზი ბიძაშვილის საგლოვარში შეხვედრიან ერთმანეთს ჩაკვა და ეთერი. მას მერე აღმდგარა მათი ურთიერთობა.

1985 წელს, 79 წლისა გარდაიცვალა ჩაკვა. კაბის შიდაჯიბიდან მოქარგული ულამაზესი ცხვირსახოცი ამოუღო ეთერმა დედას, გაშალა... ბესარიონის გაცრეცილი სურათი ნახა...

***რუბრიკა მოამზადა მარინა ბაბუნაშვილმა***

## გამოხმაურება მე მათ კარგად ვიცნობდი

### „ნამდვილი გრძნობა უკურნებელ სენს ჰგავს“



რედაქციაში სტუმრად მოსულმა ქალბატონმა მიამბო:

— კარგად ვიცნობდი მარის და ზურას — მეც ბელგიაში ვიყავი იმ დროს. თავდაპირველად ყველას ცოლ-ქმარი გვეგონა, თუმცა, ღვთის წინაშე ასეც იყო — ჯვარდაწერილები იყვნენ. ვიცოდით, რომ ოთხი შვილი ჰყავდათ, რომლებიც მშობლებს დაუტოვეს.

ერთხელ, ზურა შინ არ იყო. მარი აცრემლებული დამხვდა. გამიკვირდა, რადგან ცოლ-ქმარს ძალიან უყვარდა ერთმანეთი, თან სამუშაო მალევე იშოვეს და ოჯახშიც გზავნიდნენ მცირეოდენ თანხას. ხომ მშვიდობაა, რატომ ტირი-მეთქი? ეტყობა, უნდოდა გულის გადაშლა და მიამბო, ადრე რომ უყვარდათ მას და ზურას ერთმანეთი, მერე დაშორდნენ. მარიმაც და ზურამაც ცალ-ცალკე შექმნეს ოჯახი, თუმცა ქალმა დიდხანს ვერ გაძლო ქმართან და გაშორდა. მას ორი შვილი ჰყავდა, ზურასაც — ორი. ბედმა მათი გზები კვლავ გადაკვეთა და რახან კაცმა ვერ შეძლო ოჯახის დანგრევა, ასეთი გამოსავალი იპოვა: ქალს შესთავაზა უცხო ქვეყანაში სამუშაოდ წასვლა — იქ ხომ ვერავინ დაგვიშლის ერთად ყოფნასო. წასვლის წინ ჯვარი დაიწერეს.

მარის ცრემლების მიზეზი კი ის იყო, რომ ბავშვს ელოდა ზურასგან. მან კი დაუშალა — აქ ხომ ფულის საშოვნელად ვართ წამოსული, თან 40 წლის ასაკში რაღა დროს ჩვენი ბავშვიაო. „ფულის საშოვნელად“, — აი, რამ ატკინა გული მარის. სამუშაო და ფული ხომ საბაბი იყო მხოლოდ უცხო ქვეყანაში მათი გადმოკარგვისა, ამას გარდა, მარის უჭირდა ბავშვის მოცილება. მას ძალიან უნდოდა ზურა ყოფილიყო მისი შვილის მამა.

მაპატიოს ნინომ (ზურას მეუღლემ), თუკი ჩემი გულახდილობა ცოტათი მაინც გულს ატკენს, მაგრამ ბევრისგან გამიგონია, რომ იგი უაღრესად კეთილშობილი ქალია და ამ სევდიან სიმართლესაც გაუძლებს.

მარიმ იმდენად განიცადა ზურას უტაქტოდ ნათქვამი, რომ დარდით ჭამაც შეწყვიტა. ზურა შავ დღეში ჩავარდა. მას მართლა ძალიან უყვარდა მარი. ბოლოს, პატიება სთხოვა და ღიმილით დასძინა: მეხუთე შვილის მამა ვხდებიო (მე ამის მომსწრე ვარ. იგი მარის შვილებსაც თავისად თვლიდა, თუმცა არც ერთმა არ იცოდა, თბილისში დაბრუნებულები რა გზას დაადგებოდა). ღმერთს პატიებას ვთხოვ, ამას რომ ვამბობ, მაგრამ აჯობებდა, არ გაეჩინა ბავშვი მარის, დღეს მის შვილებს დედა ეყოლებოდათ, მის მშობლებს — შვილი.

ბოლო თვეში მარის სახე და ხელ-ფეხი დაუსივდა, მაგრამ სიხარულით ელოდა ბავშვის დაბადებას. ზურა შიშობდა — მაგას რომ რამე მოუვიდეს, თავი ცოცხალი რად მინდაო. მოსახდენი მაინც მოხდა. მარი მშობიარობას გადაჰყვა. ზურას პირველ ხანებში ბავშვის დანახვა არ შეეძლო. საღამოობით მარის სურათთან დაჯდებოდა და თვალმოუშორებლად უყურებდა. მის შემხედვარეს ტირილი მინდოდა...

ზურა და ბავშვი მე და ჩემმა დამ გამოვაცილეთ. რამდენიმე თვის შემდეგ ჩვენც ჩამოვედით, ზურამ გვინახულა. გვითხრა, იშვიათი ცოლი მყავს, როგორ შეიძლება ნინოსნაირ ადამიანს არ აღმერთებდეს კაცი, თუმცა მარი ჩემი დიდი სიყვარული იყო. სულ მეშინოდა, რომ რაიმე არ მევნო მისთვის, იმდენად მიყვარდა და აკი, გამართლდა კიდეც ჩემი შიშიო.

თქვენი პუბლიკაციის წაკითხვის შემდეგ ვერ შევძელი ჩუმად ყოფნა, როგორც მარის და ზურას ახლობელი, ისე შეგეხმიანეთ...

## საპირველაპრილო ხუმრობები

**მეგონა, წლევანდელ პირველ აპრილს მოუტყუებლად გადავურჩებოდი. შევცდი. დილით, დაახლოებით 10 საათზე, მობილურ ტელეფონზე დამირეკეს. მონიტორზე ნომერი არ დაფიქსირებულა. ახალგაზრდა ქალის ხმამ შემატყობინა, სატელეფონო კომპანიის ოფისიდან გაწუხებთ — გათამაშებაში თქვენმა ნომერმა პრიზი მოიგო და მისაღებად მობრძანდითო. დავიბენი, ვიფიქრე, თაღლითები რომ იყვნენ, მაშინ მეტყოდნენ — მონობარათი იყიდეთ, მერე იმის კოდი გვითხარით და თქვენს ანგარიშზე მოგებული თანხა გადმოირიცხებაო და ა.შ. რახან ამგვარი სისულელე არ მითხრეს, მეც პირველი აპრილი აღარ გამხსენებია. კომპანიის ოფისში სასწრაფოდ გამოვცხადდი და მოგებული პრიზი მოვითხოვე. ერთი გენახათ, რა გაოცებულებმა შემომხედეს, მერე ერთმა გამახსენა — დაგავიწყდათ, დღეს რომ პირველი აპრილია? მოგვიანებით გავიგე ხუმარა მეგობრის ვინაობა და სამაგიეროც გადავუხადე. დავინტერესდი, ვინ უფრო იოლად ტყუვდება, მამაკაცი თუ ქალი?**

**ნატა (38 წლის):** — ძალიან მიმნდობი ვარ და ჩემი მოტყუება იოლია. არც წყენის გულში ჩადება ვიცი. მაგრამ ჩემი ქმრის უგუნური საპირველაპრილო ხუმრობის გამო, შარშან გაზაფხულზე კინაღამ ოჯახი დამენგრა. ვოვას თანამზრახველებთან — ჩემს „ბოროტ“ დასთან და სიძესთან ერთად გადაეწყვიტა, პირველ აპრილს ოინი მოეწყო. 31 მარტს საღამოს დამირეკა — ამაღამ სამსახურის გამო შინ ვერ მოვალ, დილით კი მიზეზს აგიხსნიო. დილით დამირეკა, — მოდი, საღამოს პირდაპირ რესტორანში შევხვდეთ ერთმანეთსო. მეც, გახარებული, დანიშნულ დროს პაემანზე გამოვცხადდი. ვოვა მანანასა და კახასთან ერთად მოვიდა. უცნაური სახეები ჰქონდათ. თითქოს ნაძალადევად იღიმებოდნენ. რა მოხდა-მეთქი. ვოვამ დაიწყო — ნატა, ასე თვალთმაცქურად ცხოვრებას ველარ გავაგრძელებ. მე სხვა მიყვარს, უნდა დავცილდეთ. მანანას და კახას უკვე ავუხსენი ჩემი მდგომარეობა და ამ საკითხის გადასაწყვეტად ვთხოვე, ჩვენს შეხვედრას დასწრებოდნენო. გავხედე დას და სიძეს — თავჩაღუნულები ისხდნენ.

უცებ გაიარა თვალწინ ჩვენმა თხუთმეტწლიანმა ცხოვრებამ და გული წამივიდა. გონს საავადმყოფოში მოვეგე. ვოვა თავთან მეჯდა — მაპატიე, ეს ხუმრობა იყო, ყველაფერი სხვანაირად მქონდა დაგეგმილი, საჩუქარიც კი მქონდა ნაყიდიო, — მითხრა და ძვირფასი ბეჭედი გამომიწოდა. მეორედ დავკარგე გონება. ერთი თვე დასჭირდა ჩემს შესარიგებლად.

**ზურა (42 წლის):** — კაცს გიჟი მეგობრები თუ გყავს, ცუდად გაქვს საქმე, როდის რა მოუვათ თავში, არავინ იცის. პირველ აპრილს მაგათი ოინებისგან სიცოცხლე მაქვს გამწარებული. ამხელა კაცმა ვერ ვისწავლე, რომ პირველში მათგან „თავდასხმას“ უნდა ველოდო და არ ვინერვიულო. წელსაც წამოვეგე ანკესს. დილით მანქანის გამოსაყვანად მისულს გარაჟი ღია დამხვდა. ჩემს „მაზდას“ კი არც ერთი „ფეხსაცმელი“ არ ეცვა. კინაღამ გავაფრინე, შინ ღრიალით ავვარდი, აღარ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი. დავურეკე ერთ-ერთ მეგობარს — არიქა, ბაზრობაზე გამყევი, ვიღაცამ საბურავები მომპარა და ახლები უნდა ვიყიდო-მეთქი. ახლავე მანდ გავჩნდებიო. მართლაც უცებ მოვიდა. წავედით, ვიყიდე ოთხი საბურავი სულ ქურდების ლანძღვა-გინებით. მივედით გარაჟში და რას ვხედავ: ჩემი „ტურფა“ ჩაცმულ-დახურული დგას და ჩემი სამი ძმაკაცი იქვე სიცილით იხევა. ის კი, რომელიც ბაზრობაზე მახლდა, თავისი მანქანის საბარგულთან ჩამჯდარიყო და ცდილობდა, ვერ დამენახა მისი ბედნიერი სახე. ყველაფერს მივხვდი, მაგრამ გვიანღა იყო. ასე შემრჩა ოთხი სათადარიგო საბურავი პირველ აპრილს.



**მარი (30 წლის):** — შარშან, პირველ აპრილს, ჩემმა უახლოესმა მეგობარმა ჩვენს მეგობრებს შეატყობინა, მარი გათხოვდაო. მეც დილიდან ვიღებდი მილოცვებს. ეს ამბავი დაახლოებით დღის ოთხი საათისთვის მისწვდა ჩემს შეყვარებულს, რომელმაც გულგახეთქილმა დამირეკა — რა ხდებაო? არაფერი, საპირველაპრილო ხუმრობაა-მეთქი. იმანაც — მოდი, ხუმრობა სინამდვილედ ვაქციოთო და... საღამოს გენახათ ტყუილის თაოსნების სახეები — როცა მიხვდნენ, რომ თავად დარჩნენ მოტყუებულნი.

**დავითი (36 წლის):** — ერთ ამბავს მოგიყვებით (დავითი ხელისუფლების წარმომადგენელია, — ე.ლ.), რა თქმა უნდა, კულუარულს და, რამდენად გამართლდება, ამას ორივე ერთად ვნახავთ. ნაციონალებმა გადაწყვიტეს მრეწველები-ახლების ოპოზიციის გაუვნებლება და დავით გამყრელიძეს პრემიერ-მინისტრობას შესთავაზებენ. სხვათა შორის, ხმები დადის, ბატონ ზურაბს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურობას უპირებენო...

***ეკა ლომიძე***

CMYK

# „თუ ცოტა ხნის წინ ნახევარი საქართველო შევაშინე, ახლა ნახევარ საქართველოს ავატირებ...



*ამას წინათ პოლიციელმა თემურ მღებრიშვილმა მითხრა, სხვა ცოლიან კაცებს თუ საყვარლები ჰყავთ, ჩემი საყვარელი სამსახური და მანქანააო. მაშინ ვიფიქრე, თემური ალბათ ერთადერთია, ვისაც ასე ფანატიკურად უყვარს თავისი პროფესია-მეთქი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყოფილა კიდევ ერთი, ამ მხრივ ძალიან ორიგინალური კაცი, რომლისთვისაც ოჯახი თეატრია. საყვარელი კი — ტელევიზია.* ***ავთო ვარსიმაშვილმა,*** *რომელსაც ვფიქრობ, სულაც არ სჭირდება საგანგებო წარდგენა, ახლახან დიდი ლიახვის ხეობაში, კონფლიქტური სიტუაციის განმავლობაში პირველად, ქართული სპექტაკლი უჩვენა იქაურ მაყურებელს და ამით კიდევ უფრო გაამყარა იმ ხალხის იმედი, ვისაც სჯერა, რომ საქართველოს ამ ძირძველ მიწაზე წლების წინათ გაჩენილი უნდობლობის ყინული სულ მალე ბოლომდე გალღვება და...*

— „კომედიანტები“ რომ ჩავიტანეთ თამარაშენში, მაყურებელს ბოდიში მოვუხადე იმის გამო, რომ ამდენ ხანს მიტოვებული გვყავდა. ეს არის ჩვენი სირცხვილი. გაცილებით ადრე შეიძლებოდა ამის გაკეთება და იქ თაობა ისე არ გაიზრდებოდა, რომ სპექტაკლი რაა, ისიც კი არ სცოდნოდა. მართალია, თამარაშენში გვქონდა სპექტაკლი, მაგრამ მთელი რეგიონის ქართული მოსახლეობა მოვიდა და ამდენი ნათელი სახე დიდი ხანია არ მინახავს. გვთხოვეს, რომ ეს არ ყოფილიყო ერთჯერადი აქცია და სულ მალე ვაპირებთ ახალი სპექტაკლის ჩატანას.

— **მაინცდამაინც „კომედიანტები“ რატომ შეარჩიეთ?**

— იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი თეატრის ყველაზე წარმატებული სპექტაკლი. საერთოდ „კომედიანტებით“ გაიხსნა თავისუფალი თეატრი, უკვე 250-ჯერ ვითამაშეთ და სრული ანშლაგით წარიმართა ყველა სპექტაკლი. მასში ნათქვამია, რა დღეშია ჩვენი ქვეყანა, ხალხი. როგორ გადავიტანეთ ქართულ-ოსური ომი თბილისში დარჩენილებმა, როგორია ხელოვანის როლი დღევანდელ სამყაროში. ვაპირებთ ცხინვალშიც ჩავიტანოთ სპექტაკლები. ასევე ვაპირებთ სოხუმში ჩასვლას და იქაურებისთვის გასაგებ ენაზე საუბარს. უნდა ვაგრძნობინოთ, რომ ვიყავით და ვიქნებით ერთად და ვერავინ დაგვიშლის ამისკენ სწრაფვას. ასე უნდა დავიწყოთ კულტურული ექსპანსია. სოხუმში ჩასვლა უფრო ძნელი იქნება, მაგრამ აუცილებლად ჩავალთ. მანამდე კი თამარაშენს საბავშვო სპექტაკლით ვესტუმრებით.

— **კონფლიქტურ რეგიონებში კულტურული ექსპანსიის იდეა რამ შთაგაგონათ, ახალ ხელისუფლებასთან დამეგობრებამ ხომ არა?**

— ეს სტერეოტიპი რომ არ ჩამოყალიბებულიყო, ამიტომ ინაუგურაციამდე, 7 იანვარს დავდგი „პროვოკაცია-2“, სადაც ვთქვი, რომ მიხეილ სააკაშვილთან ჩემი მეგობრული დამოკიდებულების მიუხედავად, თავისუფალი თეატრი საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის ხელისუფლების ოპოზიციაში იქნება. თეატრს სხვა ალტერნატივა არა აქვს. სხვაგვარად, ის კარგი ვერ გახდება, მოკვდება.

— **თქვენ პროვოკაციული სპექტაკლებით უპირისპირდებოდით ხელისუფლებას. შესაძლებელია თუ არა ეს დიქტატორული რეჟიმის დროს, ანუ ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ შევარდნაძეს დიქტატორული რეჟიმი ჰქონდა?**

— შევარდნაძე არ იყო დიქტატორი. თუნდაც ის ფაქტი, რომ არსებობდა თქვენი გაზეთი და ჩვენი თეატრი, უკვე იმის მთქმელია, რომ საქართველოში დიქტატურა არ იყო. რასაც აქ ვაკეთებდით და ვაკეთებთ, ამის უფლებას არ მოგვცემენ დემოკრატიულ აშშ-შიც. თეთრი სახლის ყურისძირში შეუძლებელია ვინმემ სპექტაკლში ისე ილაპარაკოს ხელისუფლებაზე, როგორც ვამბობთ ჩვენს „პროვოკაციაში“. გახსოვთ „პროვოკაცია I“-ში შევარდნაძე იყო მუთაქა, რომელსაც აქეთ-იქით ვისროდით. შეიძლება, აშშ-ში ეს გაპატიონ ცენზორებმა ერთ სპექტაკლში, შეიძლება, მეორედაც დახუჭონ თვალი, მაგრამ მესამედ მოვა ვიღაც და გაგაფრთხილებს. მეოთხედ კი სასამართლოში გიჩივლებენ პრეზიდენტის შეურაცხყოფისათვის და თეატრს დახურავენ, ან ისეთ საჯარიმო სანქციებს დაუწესებენ, საიდანაც თავს ვერასოდეს დაიხსნის.

— **პროვოკაციების სერიათა გაგრძელებას აპირებთ?**

— რა თქმა უნდა. ნებისმიერ სპექტაკლს ესაჭიროება პროვოკაციის გარკვეული ელემენტი. თუ საზოგადოებას რაღაც თემით არ „წამოიკიდებ“, კარგი თეატრალური აქტი ვერ შედგება.

— **როდის დაიწყებთ ახალი ტელესერიალის — „ღამის პეპლების“ გადაღებას და თუ ექნება მას რაიმე საერთო სერიალთან „სახლი ძველ უბანში“?**

— გადაღებებს მალე დავიწყებ. ეს იქნება ფილმი მეძავებზე, სადაც არ იქნება არათუ ეროტიკა, არამედ ერთი კოცნაც კი. მინდა ვისაუბრო იმ სოციალურ გარემოზე, რის გამოც და რომელშიც მეძავებს უხდებათ ამ გზის არჩევა. ვაპირებ კლასიკური მელოდრამის გაკეთებას და თუ წინა სერიალში ნახევარი საქართველო შევაშინე, ახლა ნახევარ საქართველოს ავატირებ.

— **ეროტიკაზე კატეგორიულად თქვით უარი თუ ესეც პროვოკაციაა?**

— არ ვაკრიტიკებ არავის, მაგრამ ბოლოდროინდელ ქართულ ტელესერიალებში ეროტიკული კადრების ჩვენება გაუმართლებლად მიმაჩნია, რადგან ტელესერიალი არის საოჯახო კინო და იქ სექსი, გინება და უხამსობა არ უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ მას დიდებთან ერთად ბავშვებიც უყურებენ. „პროვოკაციაშიც“ არის შიშველი ქალი, მაგრამ მას სიმბოლური დატვირთვა აქვს და არა ეროტიკული. ტელესერიალი ზღაპარივით უნდა იყოს, რომ ჩაგითრიოს და სხვა არხზე ვერ გადართო. „სახლი ძველ უბანში“ საშიში ფილმი იყო, უამრავი მინუსი ჰქონდა, მაგრამ ჩაითრია მაყურებელი. ახლაც იმავეს ვაპირებ. ვიღებ ზღაპარს იმედზე, ანუ იმედი არის ერთადერთი, რისი საშუალებითაც შეიძლება ადამიანი გადარჩეს. მთავარ როლში ითამაშებს ნიკო გომელაური, ნიკოს შეუყვარდება მეძავი და...

— **მეძავებს ახლოს იცნობთ?**

— ძალიან. 12 წლის წინ დავწერე სცენარი და მანამდე შევხვდი უამრავ მეძავს. თითოეულს მოვაყოლე ამბავი მათი ცხოვრების შესახებ, ანუ როგორ დაიწყეს ეს საქმე, ზუსტად 65 ინტერვიუ მაქვს მეძავებთან გაკეთებული. დამეთანხმებით, ეს უმძიმესი სამუშაოა. იქიდან ექვსი ისტორია შედის ფილმში.

— **ერთხელ თქვით, რეჟისორი მაშინ ხდები, როცა შენ გარდა სხვებიც ხვდებიან, რომ რეჟისორი ხართ. გრძნობთ, რომ რეჟისორობას მიგიხვდნენ, ან საერთოდ, როგორი ხართ მსახიობებთან?**

— ცალსახად შეუძლებელია ვთქვა, როგორი რეჟისორი ვარ. ტირანი, მყვირალა ნამდვილად არა ვარ, მაგრამ ტოტალური რეჟისურის მომხრე ვარ და მსახიობმა იცის, რომ მას შეუძლია იფიქროს, როგორც სურს, მაგრამ უნდა აკეთოს ისე, როგორც მე მსურს. მისი მთავარი ამოცანაა, ჩემს რეჟისორულ ჩარჩოებში ჩაჯდეს.

ამას წინათ გიგა ლორთქიფანიძემ „კომედიანტების“ ნახვის შემდეგ მითხრა, შენი მსახიობები კარგად გაწვრთნილ ძაღლებს ჰგვანან, ორგანულებიც არიან და შენს რეჟისორულ დიქტატსაც ემორჩილებიანო. ეს იყო ჩემთვის კომპლიმენტი. როცა თეატრში დიქტატურაა, არსებობს თეატრის დაშლის საშიშროებაც, მაგრამ თუ არ არის დიქტატურა, თეატრი აუცილებლად დაგეშლება. თითქოს ურთიერთგამომრიცხავი მსჯელობაა, მაგრამ ასეა. თეატრი სახელმწიფოს პატარა მოდელიცაა. მაგრამ სახელმწიფოში კანონის დიქტატურა უნდა იყოს და არა ვიღაცის ხუშტური, როგორც ეს თეატრშია.

— **თქვენთან მუშაობს მსახიობი რამაზ იოსელიანი, ბევრისთვის საყვარელი და ამავე დროს თავისებური პიროვნება, რომელიც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს რეჟისორისთვის ჭირვეული მსახიობი უნდა იყოს.**

— რამაზი ძალიან მიყვარს. ის რთული პიროვნებაა, დიდი სამსახიობო დიაპაზონის მქონე, ექსპანსიურია. შეუძლია, რაღაცაზე უცებ აჯიჯღინდეს, აყვირდეს, მეორე წუთში კი მოგეფეროს. მასთან მუშაობა არ არის იოლი, მაგრამ შევძელით, გაგვეგო ერთმანეთისთვის. ის მიხეილ თუმანიშვილის აღზრდილია. თვალებში გიყურებს, ჩანაფიქრი რომ გამოიცნოს და შეასრულოს. თუმანიშვილიც დიქტატორი იყო.

— **პრეზიდენტის ინაუგურაციის სცენარი მეფეთა კურთხევის ცერემონიალებიდან ხომ არ გადმოიღეთ?**

— მინდოდა, ისეთი რაღაც გამეკეთებინა, რაც ჩვენს ღირსებას წარმოაჩენდა როგორც ჩვენი, ისე მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში. საერთოდ, როცა რაღაცას ვაკეთებ, სამუშაოს არსს დეტალურად უნდა ჩავწვდე და გავაცნობიერო. ასე იყო ინაუგურაციაზე მუშაობის დროსაც. არ ვმალავ, მეფედ კურთხევის ცერემონიალის შესახებ ყველა ინფორმაცია შევისწავლე.

— **ხომ არ გახდა საჭირო, სცენარში გაგეთვალისწინებინათ დაცვის სამსახურების შენიშვნები?**

— მითხრეს, როგორ მოვექცეთ ბატონ პაულს და დანარჩენ უცხოელებს, როგორ დავიცვათ სტუმრები გელათში, ეს ხომ ძალიან გაჭირდებაო. მეც ვუპასუხე, ნუ ჩამოვლენ მეთქი. ეს ხომ რიტუალი იყო, სააკაშვილი ფიცს დებდა ქართველი ხალხის წინაშე და მგონია, რომ საპატიო სტუმრების იქ ყოფნა სულაც არ იყო აუცილებელი.

***ეკა ლომიძე***

## საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი

### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
### საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
### აცხადებს კონკურსს ვაკანტურ თანამდებობებზე

საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის ფარგლებში განახორციელოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების რეფორმა. რეფორმის არსი მდგომარეობს უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამოცდების უნიფიცირებული, ობიექტური შეფასების სისტემის შექმნასა და დანერგვაში.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოელის შესაბამისისი კვალიფიკაციის პირების განცხადებებს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:

**გამოცდების ორგანიზატორი და ადმინისტრატორი I (1 ვაკანსია)**

***ძირითადი მოვალეობები:***

1. სახელმწიფო გამოცდების ორგანიზაციული უზრუნველყოფა.
   - საგამოცდო ტესტების ბეჭდვისათვის აუცილებელი სახარჯი მასალების მობილიზაცია;
   - პერსონალის შერჩევა ბეჭდვის შემდგომი პროცედურების წარსამართავად;
   - დისტრიბუციის სქემის შემუშავება და პროცესის სატრანსპორტო უზრუნველყოფა;
   - ბეჭდვისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპის ზოგადი კონტროლი.
2. მეთვალყურეთა და დამკვირვებელთა შერჩევა გამოცდების მონიტორინგის უზრუნველსაყოფად.
   - კონტაქტების დამყარება შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
   - ცალკეული პირების შერჩევა და მათი ინსტრუქტაჟი.
3. გამსწორებელთა საგნობრივი კომისიების წევრთა ტრენინგის ორგანიზაცია.
4. მიმდინარე საკითხების ორგანიზაციული გადაწყვეტა.

**გამოცდების ორგანიზატორი და ადმინისტრატორი II (1 ვაკანსია)**

***ძირითადი მოვალეობები:***

1. სახელმწიფო გამოცდების ორგანიზაციული უზრუნველყოფა.
   - ინფორმაციების შეგროვება რესპუბლიკის სკოლებიდან გამოსაცდელთა კონტინგენტის შესახებ;
   - საგამოცდო ტესტების ბეჭდვისა და დისტრიბუციის ორგანიზაცია;
   - საგამოცდო ტესტების კონფინდეციალობის უზრუნველყოფა მათი მოძრაობის ყველა ეტაპზე;
   - კონტინგენტის განსაზღვრა საშემოდგომო გამოცდებისათვის. შესაბამისი რაოდენობის ტესტების ბეჭდვისა და დისტრიბუციის ორგანიზაცია.
2. საგამოცდო ტესტური კითხვების პილოტირების ორგანიზაცია რესპუბლიკის სკოლებში.
   - შესაბამისი მასალების ბეჭდვის ორგანიზაცია;
   - სკოლების შერჩევა;
   - განრიგის შემუშავება დისციპლინების მიხედვით;
   - კონსულტანტების მგზავრობის უზრუნველყოფა დანიშნულების ადგილებზე;
3. სემინარების, კონფერენციების, საქმიანი შეხვედრების და სხვ. ორგანიზაცია.
4. მიმდინარე საკითხების ორგანიზაციული გადაწყვეტა.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლების დიპლომი (უპირატესობა ენიჭება ბიზნესის ადმინისტრატორის სპეციალობას);
- ადმინისტრაციული საქმიანობის გამოცდილება;
- ორგანიზატორული ნიჭი;
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება;
- კომუნიკაბელობა.

***ანგარიშვალდებულება:***

გამოცდების ორგანიზატორები და ადმინისტრატორები ანგარიშვალდებულნი არიან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის წინაშე.

***ხელშეკრულების ხანგრძლივობა:***

აღნიშნული თანამდებობები სრულ განაკვეთიანია.

თავდაპირველად ხელშეკრულებები დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია). წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა №60, მე-2 სართული, ოთახი №1.**
**ტელეფონები: 95-98-25; 96-80-78.**
**საკონტაქტო პირები: ალექსანდრე ბალავაძე, მერაბ თოფურია**
**განაცხადებების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 15 აპრილი**

**შენიშვნა:**

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;

ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.

ჭაბუა ამირეჯიბი
„გორა მბორგალი“
ჟურნალ რეიტინგის
ყოველ ნომერში (გაგრძელებით) იხილავთ ჭაბუა ამირეჯიბის რომანს „გორა მბორგალი“



რეიტინგი გამოდის ორშაბათობით

## ორშაბათი 5 აპრილი

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „პაპირუსის თავგადასავალი" 10.15 მხ. ფილმი „ლამაზი სერჟი„ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. ფილმი „ლიონი„ 15.15 მხ. ფილმი „რა იცოდა მეიზიმ" 16.45 რამპა 16.50 ჩემპიონი 17.20 საქართველო, დრო, მოვლენები 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი „ნვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 მრავალჟამიერ 19.25 „იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი „სოლედადი" 22.10 „სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" (მელანი გრიფიტი) 23.30 მხ. ფილმი „პრინცესა დი„

19.00 მულტსერიალი „შავი მეკობრე„ 19.35 კინოსეანსი „ფორსაიტების საგა" 13-14 ს. 20.55 პალიტრა 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.00 მხ. ფილმი „მოცეკვავე მანქანა„

07.00 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, …

… 18.05 კომედია „გამარჯობათ, მე თქვენი დეიდა ვარ!„ 1 ს. 19.30 დოკ. ფილმი 20.25 მხ. ფილმი „არდილთა წიგნი„ 22.00 „ხედვა„ 23.30 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 კომედია „ორმაგი სახე„ 03.00 ბოევიკი „თოვლით დაბრმავება„ 05.10 დოკ. ფილმი

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00. 16.00, 19.00 Новости 10.20 Детектив "УСНУВШИЙ ПАССАЖИР" 11.50 Док.детектив "Почем нынче власть" 12.20 "Ералаш" 12.40 "Следствие ведет Колобков" 13.20 Боевик "ВОЛЧЬЯ КРОВЬ" 15.00 Шоу "Город женщин" 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.25 "Шутка за шуткой" 20.00 Сериал "КЛОН" 21.00 "Жди меня" 22.00 "Время" 22.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 23.30 Э.Радзинский. "Загадка императора". Вечер 1-й 00.20 "Криминальная Россия". "Последнее дело Пушкина", 2 с. 00.50 "Фабрика звезд" 01.10 "Подорожник" 01.40 "Гении и злодеи". "Ядерный парадокс" 02.10 Фильм "ЛЕВ ЗИМОЙ" 04.20 Фильм "ПРОФЕССИОНАЛЫ"

РОССИЯ 06.00 "Доброе утро, Россия!" 09.45 Комедия "ДУРАКАМ ЗАКОН НЕ ПИСАН" 11.40 В Городке 11.50, 14.45, 17.30, 01.15 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20, 15.10, 17.40, 21.30 Местное время. Вести-Москва 12.50 "Что хочет женщина" 13.50 Вести недели 15.30 "Частная жизнь" 16.30 Детектив "ПУАРО АГАТЫ КРИСТИ" 18.10 Сериал "КРОТ" 19.05 Сериал "КОМИССАР РЕКС" 20.00 Сериал "ЗАКОН" 21.50 "Спокойной ночи, малыши!" 21.55 Сериал "НЕБО И ЗЕМЛЯ" 23.00 СЕРИАЛ "КЛЮЧИ ОТ БЕЗДНЫ. ОПЕРАЦИЯ "ГОЛЕМ" 00.00 "Вести+" 00.20 Док.фильм "Израиль - Палестина. Противостояние", 1 с. 01.30 Худ.фильм "КРИМИНАЛЬНЫЙ ОТДЕЛ" 02.45 Худ.фильм "42 УЛИЦА" 04.20 "Дорожный патруль"

## სამშაბათი 6 აპრილი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „პაპირუსის თავგადასავალი" 10.10 მხ. ფილმი „პრინცესა დი„ 11.45 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები„ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ლერერის შოუ 15.15 მხ. ფილმი „რისკით უნდა ვიცხოვრო" 16.45 დოკ. ფილმი „შავკანიანთა მუსიკის დიადი ისტორია„ 17.30 საქართველო და გარესამყარო 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი „ნვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 და არს მუსიკა 19.25 ტელეთამაში „იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი „სოლედადი" 22.15 ჩვენი ფეხბურთი 23.30 მხ. ფილმი „მდიდარი რომ ვიყო„

19.00 მულტსერიალი „შავი მეკობრე„ 19.35 კინოსეანსი „ფორსაიტების საგა" 15-16 ს. 20.55 ჟურნალის ისტორია 21.30 ისტორიანი 22.00 მხ. ფილმი „მახვილგონიერი"

07.00 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 სერიალი „ჯაშუში„ …

… თა ძახილი„ 16.20 მულტფილმი „მეფე ლომი„ 18.05 კომედია „გამარჯობათ, მე თქვენი დეიდა ვარ!„ 2 ს. 19.30 დოკ. ფილმი 20.25 კომედია „სიყვარულის ისტორია„ 22.40 „პოზიცია„ 00.40 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 01.00 საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე 01.20 დრამა „ქურდი„ 03.30 ბოევიკი „კრიმინალური საკითხავი„

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00. 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20, 20.00 Сериал "КЛОН" 12.20 Мультсериал "Кошки-мышки" 12.40 Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" 13.20 Фильм "У ТИХОЙ ПРИСТАНИ" 14.40 "Подорожник" 15.10 Шоу "Город женщин" 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.25 "Кумиры". В.Шарыкина 20.50 Детектив "ЕВЛАМПИЯ РОМАНОВА: СЛЕДСТВИЕ ВЕДЕТ ДИЛЕТАНТ" 22.00, 00.30 "Время" 23.40 Э.Радзинский. "Загадка императора". Вечер 2-й 00.50 "Фабрика звезд" 01.10 "На футболе" 01.40 "Сканер". "Суд присяжных" 02.10 "Паоло Коэльо. Беседы с Алхимиком" 02.40 Фильм "МОЛЛ ФЛЭНДЕРС" 05.00 Сериал "МЕРТВАЯ ЗОНА"

РОССИЯ 06.00 Доброе утро, Россия! 09.45, 21.55 Сериал "НЕБО И ЗЕМЛЯ" 10.50 "Короткое замыкание" 11.45, 14.50, 17.30, 01.15 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20, 15.10, 17.40, 21.30 Местное время. Вести-Москва 12.50 "Что хочет женщина" 13.50 Сериал "КЛЮЧИ ОТ БЕЗДНЫ. ОПЕРАЦИЯ "ГОЛЕМ" 15.30 "Частная жизнь" 16.30 Худ.фильм "ПУАРО АГАТЫ КРИСТИ" 18.10 Сериал "КРОТ" 19.05 Сериал "КОМИССАР РЕКС" 20.00 Сериал "ЗАКОН" 21.50 "Спокойной ночи, малыши!" 23.00 Сериал "КЛЮЧИ ОТ БЕЗДНЫ. ОПЕРАЦИЯ "ГОЛЕМ" 00.00 "Вести+" 00.20 Док.фильм "Израиль - Палестина. Противостояние", 2 серия 01.30 Худ.фильм "ИНСТИНКТ УБИЙСТВА" 03.15 "Синемания" 03.50 "Дорожный патруль" 04.00 "Агентство одиноких сердец" 04.25 Сериал "ВОЛНЫ ПЕРЕМЕН"

## ოთხშაბათი 7 აპრილი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „პაპირუსის თავგადასავალი" 10.10 მხ. ფილმი „მდიდარი რომ ვიყო„ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ქართული ენის გაკვეთილი 14.30 დოკ. ფილმი „დიზაინი„ 15.15 მხ. ფილმი „გალია ბოცვრებისათვის" 16.45 დოკ. ფილმი „შავკანიანთა მუსიკის დიადი ისტორია„ 17.20 საქართველო, დრო, მოვლენები 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი „ნვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 ენერგია 19.25 ტელეთამაში „იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი „სოლედადი" 22.15 დოკ. ფილმი 23.30 მხ. ფილმი „თიხის ქალის საიდუმლო"

19.00 მულტსერიალი „შავი მეკობრე„ 19.35 კინოსეანსი „ფორსაიტების საგა" 17-18 ს. 20.55 და არს მუსიკა 21.20 ჩვენი მისამართია 22.00 მხ. ფილმი „ოსტატის შეხება„

07.00 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან …

… „საბინა„ 19.30 დოკუმენტური ფილმი 20.20 თრილერი „მოქალაქის დამლა„ 22.00 „ხედვა„ 23.30 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 მხ. ფილმი „ქარიშხლის მოწმე„ 03.15 დოკ. ფილმი 04.00 ისტორიული ფილმი „ელისაბედი„

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00. 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20, 20.00 Сериал "КЛОН" 12.20 Мультсериал "Кошки-мышки" 12.40 Дисней-клуб: "Мышиный дом" 13.20 Фильм "О ВОЗВРАЩЕНИИ ЗАБЫТЬ" 14.50 "Сканер". "Суд присяжных" 15.10 Шоу "Город женщин" 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.25 "Смехопанорама" 20.50 Детектив "ЕВЛАМПИЯ РОМАНОВА: СЛЕДСТВИЕ ВЕДЕТ ДИЛЕТАНТ" 22.00, 00.30 "Время" 22.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 23.40 Э.Радзинский. "Загадка императора". Вечер 3-й 00.50 "Фабрика звезд" 01.10 "Новые чудеса света". "Австралия. Город-антипод" 01.40 "Крылья" 02.10 "Форганг" 02.40 Фильм "МЕСЬЕ N" 05.00 Сериал "МЕРТВАЯ ЗОНА"

РОССИЯ 06.00 Доброе утро, Россия! 09.45, 21.55 Сериал "НЕБО И ЗЕМЛЯ" 10.50 "Короткое замыкание" 11.45, 14.50, 17.30, 00.50 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20, 15.10, 17.40, 21.30 Местное время. Вести-Москва 12.50 "Что хочет женщина" 13.50 Сериал "КЛЮЧИ ОТ БЕЗДНЫ. ОПЕРАЦИЯ "ГОЛЕМ" 15.30 "Частная жизнь" 16.30 Худ.фильм "ПУАРО АГАТЫ КРИСТИ" 18.10 Сериал "КРОТ" 19.05 Сериал "КОМИССАР РЕКС" 20.00 Сериал "ЗАКОН" 21.50 "Спокойной ночи, малыши!" 23.00 Сериал "КЛЮЧИ ОТ БЕЗДНЫ. ОПЕРАЦИЯ "ГОЛЕМ" 00.00 "Вести+" 00.20 "Авторитет" 01.00 Футбол. Чемпионат России. "Зенит" (Санкт-Петербург) - "Рубин" (Казань) 03.00 "Горячая десятка" 04.00 "Дорожный патруль" 04.10 "Агентство одиноких сердец" 04.35 Сериал "ВОЛНЫ ПЕРЕМЕН"

## ხუთშაბათი 8 აპრილი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „პაპირუსის თავგადასავალი" 10.10 მხ. ფილმი „თიხის ქალის საიდუმლო" 12.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ინგლისური ენის გაკვეთილი 14.25 დოკ. ფილმი „მუსიკის ქალაქი" 15.00 კალათბურთი. თბილისის „მაკაბი„ - თსუ. შესვენებისას მოამბე. 16.40 რამპა 16.45 დოკ. ფილმი „სტამბოლი„ 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი „ნვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 ჯანმრთელობა 19.25 ტელეთამაში „იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი „სოლედადი" 22.10 დოკ. ფილმი 23.30 მხ. ფილმი „ლულუ სამუდამოდ„

19.00 მულტსერიალი „შავი მეკობრე„ 19.35 კინოსეანსი „ფორსაიტების საგა" 19-20 ს. 20.50 დოკ. ფილმი „საქართველოს ეკლესიის ისტორია" 1-ლი ნ. 22.00 მხ. ფილმი „რბოლები — ქვემეხის ყუმბარა„

07.00 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 სერიალი „სოპრანოს …

… „მოქალაქის დამლა „ 13.50, 15.45, 03.20 მუსიკა 14.05 თრილერი „მოქალაქის დამლა„ (გაგრძ.) 16.20 მულტფილმი „კუზიანი კვიცი„ 17.30 ფილმი-კატასტროფა „შტორმი„ 19.30 დოკ. ფილმი 20.20 მხ. ფილმი „პროფესია ქილერი„ 22.00 „ხედვა„ 23.20 „ექსკლუზივი„ 00.40 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 01.00 საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე 01.20 თრილერი „კერკეტი კაკალი 3„ 03.50 ისტორიული ფილმი „ჰენრი V„

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00. 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20, 20.00 Сериал "КЛОН" 12.20 Мультсериал "Кошки-мышки" 12.40 Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" 13.20 Фильм "КОНТРОЛЬНАЯ ПО СПЕЦИАЛЬНОСТИ" 14.40 "Новые чудеса света". "Австралия. Город-антипод" 15.10 Шоу "Город женщин" 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.25 Просто смех! 20.50 Детектив "ЕВЛАМПИЯ РОМАНОВА: СЛЕДСТВИЕ ВЕДЕТ ДИЛЕТАНТ" 22.00, 00.30 "Время" 23.40 "Человек и закон" 00.50 "Фабрика звезд" 01.10 "Теория невероятности". "Чудеса" 01.40 Док.фильм "Русская Аляска" 02.10 Док.фильм "Империя чужих", ч.6 02.40 Боевик "ТЕРРАКОТОВЫЙ ВОИН" 05.00 Сериал "МЕРТВАЯ ЗОНА"

РОССИЯ 06.00 Доброе утро, Россия! 09.45, 21.55 Сериал "НЕБО И ЗЕМЛЯ" 10.50 "Короткое замыкание" 11.45, 14.50, 17.30, 01.15 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20, 15.10, 17.40, 21.30 Местное время. Вести-Москва 12.50 "Что хочет женщина" 13.50, 23.00 Сериал "КЛЮЧИ ОТ БЕЗДНЫ. ОПЕРАЦИЯ "ГОЛЕМ" 15.30 Ток-шоу "Частная жизнь" 16.30 Детектив "ПУАРО АГАТЫ КРИСТИ" 18.10 Сериал "КРОТ" 19.05 Сериал "КОМИССАР РЕКС" 20.00 Сериал "ЗАКОН" 21.50 "Спокойной ночи, малыши!" 00.00 "Вести+" 00.20 "Исторические хроники". "1917. Ленин и Троцкий в октябре" 01.30 Худ.фильм "КУДА ПРИВОДЯТ МЕЧТЫ" 03.45 "Дорожный патруль" 03.55 "Агентство одиноких сердец" 04.20 Сериал "ВОЛНЫ ПЕРЕМЕН" 05.05 Сериал "НАВЕКИ ДЖУЛИЯ"

## პარასკევი 9 აპრილი

09.00 მოამბე 09.15 სატ. ფილმი „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები" 09.25 პირველად იყო სიტყვა 10.25 მხოლოდ კლასიკა 11.15 სახარება იოანესი 12.30 ტელესერიალი „სოლედადი" 13.15 სპექტაკლი „ასი წლის მერე„ 14.15 საკვირაო გამოფენა 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 15.15 ქართული ფილმი „გაზაფხული გადის" 16.50 ტელეფილმი „ჩვენ მშვიდობა" 17.20 ტელეფილმი „ჩვენ პირველი ევროპელები ვართ" 18.55 სერიალი „ნვრილვარსკვლავთა ღამე" 19.25 „იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი „სოლედადი" 22.10 კონცერტი 23.30 მხ. ფილმი „სე ლა ვი"

19.00 მულტსერიალი „შავი მეკობრე„ 19.30 დოკ. ფილმი „საქართველოს ეკლესიის ისტორია" მე-2 ნ. 19.50 დოკ. ფილმი „ტიტები" 21.00 ენერგია 21.20 აფხაზეთის ტვ. 22.00 მხ. ფილმი „იასამნისფერი ტაძარი„

07.00 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 სერიალი „სოპრანოს კლანი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.30 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი …

… 16.20 მულტფილმი „ხისლის ფარდა„ 18.05 დოკ. ფილმი 19.30 დოკ. ფილმი 20.10 მელოდრამა „სილვია„ 22.40 „პოზიცია„ 00.40 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 01.00 საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე 01.20 ბოევიკი „სამურაების ბრძოლა„ 03.30 კომედია „ალასკის საიდუმლო„ 05.25 დოკუმენტური ფილმი

07.00 Телеканал "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.15 Сериал "КЛОН" 12.20 Мультсериал "Кошки-мышки" 12.30 Мультсериал "Принцесса Сиси" 13.20 Фильм Виталия Мельникова "ВЫЙТИ ЗАМУЖ ЗА КАПИТАНА" 15.00 "Виталий Мельников - режиссер". Док. фильм 15.40 "Ералаш" 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 Док. детектив. "Спаси меня, брат" 20.00 "Основной инстинкт" 20.50 "Поле чудес" 22.00 Время 22.30 "Фабрика звезд" 23.50 Богуслав Линда в боевике "КАМО ГРЯДЕШИ" 02.50 Александр Абдулов в детективе "ЧЕРНАЯ ВУАЛЬ" 04.40 Тайна страны фараонов в фильме "РАБ МЕЧТЫ"

РОССИЯ 06.00 Доброе утро, Россия! 09.45 Сериал "НЕБО И ЗЕМЛЯ" 10.50 "Короткое замыкание" 11.45, 14.50, 17.30, 01.15 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20, 15.10, 17.40, 21.30 Местное время. Вести-Москва 12.50 Мусульмане. 13.00 Вся Россия. 13.15 Москва-Минск. 13.30 Колоссальное хозяйство. 13.50 Сериал "КЛЮЧИ ОТ БЕЗДНЫ. ОПЕРАЦИЯ "ГОЛЕМ" 15.30 Сериал "СЛЕДСТВИЕ ВЕДУТ ЗНАТОКИ" 16.55 "Городок". Дайджест 18.10 Сериал "КРОТ" 19.05 Сериал "КОМИССАР РЕКС" 20.00 Комната смеха. 21.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 Владимир Винокур и другие в бенефисе Наташи Королевой. 00.05 Кевин Костнер в фильме "ИДЕАЛЬНЫЙ МИР" 02.50 Жан-Поль Бельмондо в комедии "ВЕЛИКОЛЕПНЫЙ" 04.50 Дорожный патруль. 05.00 Агентство одиноких сердец. 05.25 Сериал "ВОЛНЫ ПЕРЕМЕН" 06.15 Сериал "НАВЕКИ ДЖУЛИЯ"

## შაბათი 10 აპრილი

08.00, 15.00, 20.00, 23.30 მოამბე 08.15 მხ. ფილმი „სე ლა ვი" 10.00 დილის პაემანი 11.00 მხიარული კარუსელი 11.25 მოგზაურობა სასიტყვეთში 11.55 გლობუსი 12.25 პოზიცია 13.10 სახარება მათესი 15.15 „იმღერე რამე" 16.00 ფეხბურთი. „თბილისი„-„ლოკომოტივი" 18.00 ვესტნიკი 18.45 თბილისის დროით 19.05 პროფათეული 19.35 ისტორიანი 20.35 ცაიტნოტი 21.45 ფორტუნა 22.25 ამბობენ 22.55 ტელეფილმი „პილიგრიმობა ევროპიდან იერუსალიმამდე" 00.00 აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

19.00 მულტსერიალი „შავი მეკობრე„ 19.30 ჯანმრთელობა 20.00 მხ. ფილმი „ძაღლი ებლის თამაშისას" 21.30 რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან 22.20 მხ. ფილმი „ვირთხების რბოლა„

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 11.00 ლუისი და კლარკი 12.20 „სიმფსონები" 12.50 მხ. ფილმი 15.20 ველური სამყაროს ამბები 16.10 მხ. ფილმი 17.05 „დისკავერი„ 18.00, 21.00, 01.00 კურიერი 18.20 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 19.00 დოკ. ფილმი 19.30 სერიალი „სერიული …

… ფურცლები„ 20.00 მელოდრამა „ცის დასალიერს„ 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.20 «Слово» 00.30 მხ. ფილმი „იესო„ 02.30 ისტორიული ფილმი „ბენ ჰური„

07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости 07.10 Сериал "Все путешествия команды Кусто" 07.30 Олег Стриженов в фильме "ГОСПОДИН ВЕЛИКИЙ НОВГОРОД" 09.20 Играй, гармонь любимая! 10.00 Слово пастыря 10.10 Здоровье 11.10 "Смак" 11.30 "Возвращение домой". Виктор Черномырдин. 12.00 "Пестрая лента" 13.10 История с географией. "Братья по крови: Идеальные творения" 14.10 Дог-шоу 15.00 Дисней-клуб: "Тимон и Пумба" 15.20 Умницы и умники 16.00 Спасатели. Экстренный вызов 16.30 "Тайны православных святынь". Док. фильм 17.00 Эрик Робертс в триллере "РЕБЕНОК" 18.50 Классика Уолта Диснея. Золотые годы Микки Мауса 19.15 Нонна Мордюкова в фильме "РУССКОЕ ПОЛЕ" 21.00 "Кто хочет стать миллионером?" 22.00 Время 22.20 Олег Янковский в фильме "БЕДНЫЙ, БЕДНЫЙ ПАВЕЛ" 00.20 Трансляция богослужения из Храма Христа Спасителя 03.00 Станислав Любшин в фильме "ДЫМЪ" 06.00 Вениамин Смехов в детективе "КЛЮЧ"

РОССИЯ 07.00 Фильм "СОБАЧЬЕ СЧАСТЬЕ" 08.10 "Том и Джерри". Мультсериал 08.45 Золотой ключ. 09.05 Русское лото. 09.45 "Большая перемена" 10.10 Утренняя почта. 10.45 Сам себе режиссер. 11.40 Звезды России в игре "Форт Боярд". 13.15 В поисках приключений. 14.15 Клуб сенаторов. 15.00, 21.00 Вести 15.20 Лидия Федосеева в фильме "СВЕРСТНИЦЫ" 16.50 Кино-истории Глеба Скороходова. 17.00 Футбол. Чемпионат России. "Сатурн" (Моск. обл.) - "Локомотив" (Москва). Прямая трансляция. 19.00 Премьера. "Шутки юмора-2004". 21.25 Зеркало. 21.50 "Честный детектив" 22.20 Марина Александрова в мелодраме "СЕВЕРНОЕ СИЯНИЕ" 00.20 Прямая трансляция Пасхального богослужения из Храма Христа Спасителя. 02.00 Людмила Гурченко в фильме "ПЯТЬ ВЕЧЕРОВ" 04.10 Олег Янковский в фильме-спектакле "ШУТ БАЛАКИРЕВ".

## კვირა 11 აპრილი

09.00, 15.00, 18.00, 20.00, 23.20 მოამბე 09.15 „საქართველოს ეკლესიის ისტორია" 10.00 დილის პაემანი 11.00 სპა 11.25 ტელოტო 12.05 საკვირაო გამოფენა 12.15 სახარება ლუკასი 13.20 მოსკოვი-თბილისი 13.50 დოკ. ფილმი „მეჭურჭლეთუხუცესი" 15.15 სპექტაკლი „ბაგრატიონები" 18.20 ფრაგმენტები სურათისათვის 18.50 „იმღერე რამე" 19.20 ჩვენი მისამართია 20.35 ტელეფილმი „გზა მაცხოვრისა" 21.25 საქართველო არის ესე 21.50 ჩემი მშვენიერი ლედი 22.10 კონცერტი 23.40 მხ. ფილმი „წინააღმდეგობა"

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 მხ. ფილმი „კეთილი კაცი„ 20.30 იერუსალიმი 21.30 მუს. ოქტაგონი 22.00 მხ. ფილმი „გაზაფხული გადის".

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 11.00 ლუისი და კლარკი 12.20 „სიმფსონები" 12.50 მხ. ფილმი 15.20 ველური სამყაროს ამბები 16.10 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 23.30 კურიერი 18.20 სერიალი „განდგომილი„ 18.45 მხ. ფილმი „ჩხვლეტა ქოლგით„. მთ. რ-ში: პიერ რიშარი, ჟაკ ვილერე მერესი. 21.45 „ჯეოსელის კინოკლუბი" - …

… «Слово» 16.20 მულტფილმი „სასწაულმოქმედი„ 17.45 სათავგად. ფილმი „ბურატინოს თავგადასავალი„ 2 ს. 19.30, 23.30, 02.50, 05.20 მუსიკა 19.50 მხ. ფილმი „ბარაბა„ 22.00 „ხედვა„ 00.40 მხ. ფილმი „რომაელი ცენტურიონისჯვარი„ 03.20 მელოდრამა „ყელსაბამის ისტორია„

07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости 07.10 Сериал "Все путешествия команды Кусто" 07.40 Борис Андреев в фильме "ИЛЬЯ МУРОМЕЦ" 09.20 Армейский магазин 09.50 Дисней-клуб: "Тимон и Пумба" 10.10 "В мире животных" 11.10 "Непутевые заметки" 11.30 Пока все дома 12.00 "Лошадиная энциклопедия" 12.30 "Угадай мелодию" 13.10 Елена Корикова в комедии "БАРЫШНЯ-КРЕСТЬЯНКА" 15.20 Дисней-клуб: "Тимон и Пумба" 15.40 Нарисованное кино "Принц Египта" 17.10 "КВН - 2004". Премьер - лига. Открытие сезона 19.00 Времена 20.00 "Кривое зеркало" 22.00 Время 22.45 Бокс. Владимир Кличко - Лаймон Брюстер 23.30 Валерий Гаркалин в комедии "ШИРЛИ-МЫРЛИ" 02.10 Олег Янковский в фильме "ДВА ГУСАРА" 04.30 Греко-римская борьба. Чемпионат Европы 05.00 Комедия "ПОВОДЫРЬ"

РОССИЯ 06.55 Андрей Абрикосов в детективе "ДЕЛО "ПЕСТРЫХ" 08.30 "Том и Джерри". Мультсериал 08.45 Мир на грани 09.10 "Военная программа" 09.30 Студия "Здоровье" 10.05 "ТВ Бинго шоу" 10.25 Местное время. Вести-Москва 11.05 "Городок". Дайджест 11.40 "Сто к одному". Телеигра. 12.30 Диалоги о животных. 13.20 Вокруг света. 14.15 Парламентский час. 15.00 Вести. 15.20 Татьяна Доронина в фильме "МАЧЕХА" 17.05 Премьера. "Космос. Возвращение домой". 18.00 Комната смеха. 19.00 "Песни XX века" 20.50 В Городке. 21.00 Вести недели. 22.00 Специальный корреспондент. 22.25 Том Хэнкс в фильме "ЗЕЛЕНАЯ МИЛЯ" 01.55 Харрисон Форд в фильме "СВИДЕТЕЛЬ" 04.15 Сериал "СЕМЬ ДНЕЙ"

ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზარდმა"

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**აფთიაქში ჰიპერტონიის სამკურნალო უამრავი პრეპარატი იყიდება. მე კი დაბალწნევიანი ვარ და მაწუხებს ძლიერი სისუსტე. მითხრეს, რომ ასეთ დროს კარგია ჟენშენის ან ელეუტეროკოკის ნაყენი. კიდევ რა პრეპარატები შეიძლება გამოვიყენოთ დაბალი წნევისას?**

**წინასწარ გიხდით მადლობას.**

***ნატო დიდებულიძე***

ვიდრე პრეპარატებზე ვისაუბრებდეთ, უნდა გითხრათ, რომ საჭიროა გაირკვეს, რა იწვევს ჰიპოტონიას (დაბალ წნევას). ხშირად ადამიანს დაქვეითებული აქვს ჰემოგლობინი და ამის გამო გრძნობს მუდმივ სისუსტეს, ასეთ შემთხვევაში საჭიროა ანემიის მკურნალობა.

თუ ადამიანს აქვს ჰიპოტონიური ტიპის ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონია, მისთვის კარგი იქნება კორდიამინის წვეთები. პრეპარატი უნდა მიიღოთ 10-15 წვეთი სამჯერ დღეში (განსაკუთრებით იმ დღეებში, როცა ატმოსფერული წნევის ცვალებადობაა მოსალოდნელი). მატონიზებელი ეფექტი აქვს ჩვეულებრივ შავ ჩაისაც, მხოლოდ მაგარ ნაყენს. მისი რეგულარული გამოყენებით შესაძლოა წამლის აუცილებლობასაც დააღწიოთ თავი.

**ვარ 33 წლის, გათხოვილი, მყავს შვილი. სახეზე გამუდმებით გამომდის გამონაყარი, ზუსტად ისეთი, როგორიც გარდატეხის ასაკში აქვთ ხოლმე მოზარდებს. დერმატოლოგმა დამინიშნა პრედნიზოლონის საცხი. ძალიან მომიხდა. სახის კანი გადამეწმინდა, გამონაყარი გაქრა, მაგრამ ერთი თვის შემდეგ ისევ გამიჩნდა. მაინტერესებს, შეიძლება თუ არა პერიოდულად პრედნიზოლონის საცხი გამოვიყენო?**

***ა. კუბლაშვილი, თბილისი***

პრედნიზოლონის საცხი ჰორმონულ პრეპარატებს მიეკუთვნება. თერაპევტები ჰორმონებს მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობაში ნიშნავენ. შესაძლოა ერთხელ, გამწვავების დროს დაგინიშნეს აღნიშნული საცხი და თქვენი მდგომარეობა გაუმჯობესდა — ეს ალბათ საუკეთესო გამოსავალი იყო რთული სიტუაციიდან, მაგრამ რეგულარულად ჰორმონული საცხის გამოყენება არ შეიძლება.

თქვენ უნდა გამოიკვლიოთ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ორგანოები: ღვიძლი, ნაწლავი, კუჭი, რადგან ხშირად კანის პრობლემები ამ ორგანოთა დაავადებებთან არის ხოლმე დაკავშირებული. გაიკეთეთ შინაგან ორგანოთა ექოსკოპიური გამოკვლევა, სისხლის ბიოქიმიური ანალიზი, განავლის გამოკვლევა დისბაქტერიოზზე. გამოკვლევათა შედეგებით მიმართეთ ექიმს. შესაძლოა დაგჭირდეთ იმუნოლოგის კონსულტაციაც.

**მართალია თუ არა, რომ ლუდი ყველა დაავადების დროს შეიძლება ვსვათ და არაფერს დაგვიშავებს — პირიქით, სასარგებლოც კია?**

***თქვენი ერთგული მკითხველი***

ჟურნალ-გაზეთებში ხშირად შეხვდებით მოსაზრებას, რომ ლუდი ლამის პანაცეაა ნებისმიერი დაავადების დროს, მაგრამ ასე არ გახლავთ: ლუდი, როგორც ალკოჰოლური სასმელი, რეგულარული მიღებისას, შეჩვევას იწვევს. გარდა ამისა, მისი მუდმივი სმა იწვევს ნივთიერებათა ცვლის დარღვევას (სიმსუქნეს, შარდკენჭოვან დაავადებას), ხელს უწყობს ჰიპერტონიული დაავადების განვითარებას და შაქრის დონის მატებას სისხლში. აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ორგანოთა ფუნქციის დარღვევას (გასტრიტი, პანკრეატიტი, ქოლეცისტიტი) და სხვა.

**ძალიან მაწუხებს ბოყინი. გთხოვთ მირჩიოთ რამე.**

***ერთგული მკითხველი***

ბოყინის შესახებ რჩევები შეგიძლიათ წაიკითხოთ ჟურნალ „ოჯახის მკურნალის“ ბოლო, მე-6 ნომერში.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## დიაბეტს ებრძვის დარიჩინი!

მხოლოდ ნახევარი ჩაის კოვზი დარიჩინი დღეში — მნიშვნელოვნად ამცირებს სისხლში შაქრის რაოდენობას. დარიჩინი არ კარგავს სამკურნალო თვისებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ერთ ფინჯან ჩაის დავუმატებთ.

ეს პროდუქტი ძალიან სასარგებლოა არა მარტო დიაბეტიანებისთვის, არამედ მათთვისაც, ვისაც დროდადრო ემატება შაქრის რაოდენობა სისხლში.

დარიჩინის აქტიური კომპონენტია ხსნადი პოლიფენოლი, რომელსაც შეუძლია ინსულინის იმიტირება და ტვინის რეცეპტორების გააქტიურება. გარდა ამისა, ის დაბლა სწევს ქოლესტერინს და ნეიტრალიზებას უკეთებს თავისუფალ რადიკალებს ანტიოქსიდანტების წყალობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ექიმები არ გვირჩევენ დარიჩინიანი ფუნთუშის და ვაშლის ღვეზლის მირთმევას — ისინი შეიცავენ ძალიან ბევრ შაქარს და ცხიმს. სჯობს დარიჩინი დაუმატოთ უფრო სასარგებლო პროდუქტებს, მაგალითად, ფაფეულს, ბოსტნეულის სალათებს...

***ოტდოხნი! №13***

## დიეტა — ასტროლოგის რჩევით

**უფრო რომ გავკოხტავდეთ, საჭიროა დიეტას მივმართოთ. არ იცით, რომელი დიეტა აირჩიოთ? მოსინჯეთ ასტრალური.**

**ვერძისთვის** მთავარია დაიცვას კვების რეჟიმი, ჭამოს აუჩქარებლად. მოერიდოს მწნილებს, სანელებლებს, კონსერვებს, ხორცეულს, სჯობს მიირთვას თევზეული, ზეთი, თაფლი. სასარგებლოა ფაფები, კომბოსტო, პომიდორი, კიტრი, გოგრა, მარცვლეული და მწვანილი, ვაშლი, ბანანი, ციტრუსები, საზამთრო, მარწყვი, თხილი, ჩაი და ყავა, ყველი, ხაჭო და რძე.



**კუროს,** რომ არ გასუქდეს და კუჭის დაავადება აიცილოს თავიდან, უნდა ჭამოს ნელა, კარგად დაღეჭოს საჭმელი. უპირატესობა მიანიჭოს ჭარხალს, სტაფილოს, ყვავილოვან კომბოსტოს, კიტრს. სასარგებლოა ისპანახი, სალათა, ნიახური, უცხიმო ძროხის ხორცი, ღვიძლი, ყველი, კვერცხი, ზღვის კომბოსტო და თევზი, ნიგოზი, სვას მეტი სითხე. კუროს საყვარელი ხილია: ქლიავი, კომში, ატამი, მარწყვი, ჟოლო.

**მარჩბივმა** ნებისმიერი საშუალებით უნდა დაიცვას ოთხჯერადი კვება, ტკბილეულზე, ცხიმიანზე და შემწვარზე საერთოდ უარი უნდა თქვას. არ მიეძალოს ბუტერბროდებს, ენერგია შეივსოს ნიგვზით, თხილით და მარცვლეულით, მიირთვას მაწონი, ყველი, კვერცხი, ყვავილოვანი კომბოსტო, სალათი, ყაბაყი. ცხოველური კერძი მიიღოს დღეში ერთხელ. შეზღუდოს ყავა, მწარე სანელებელი, სასარგებლოა ყურძენი, მსხალი, ატამი, ქლიავი, ლეღვი.

**კირჩხიბისთვის** სიმსუქნე უბედურებაა. უნდა ჭამოს მშვიდ გარემოში, ხშირად, ცოტ-ცოტა, მხოლოდ ახალდამზადებული ნაკლებცხიმიანი და ცხარე კერძები. ხორცი უმჯობესია თეთრი, თევზი — მოხარშული, შეიძლება ზღვის პროდუქტები, მიირთვას მაწონი, ყველი, კვერცხი, ბოლოკი, კომბოსტო და პომიდორი, ნესვი, საზამთრო.

**ლომმა** მკვეთრად უნდა შეამციროს ცხიმიანი საჭმელი და საკონდიტრო ნაწარმი. მიირთვას ხბოს, ცხვრის, ქათმის ხორცი, ღვიძლი, თევზი, რძის ნაწარმი, კარტოფილი, ყაბაყი, მარცვლეული, ზეთის ხილი, ნიორი, ნიახური, ჭვავის პური, ფაფები, ქიშმიში, ლეღვი, ციტრუსები, ატამი, ქოქოსი, ფინიკი, მსხალი. ნუში, კაკალი, მზესუმზირა, კაკაო.

**ქალწულს** მოუხდება ვეგეტარიანული კერძები. ორთქლზე დამზადებული ბოსტნეული, მაკარონისა და რძის ნაწარმი, ბურღულეული, კვერცხი, ხორცი — იშვიათად, ზეთი და თაფლი, პიტნა, დარიჩინი, კვლიავი, ციტრუსები, ნესვი, მსხალი, ნიგოზი, ნუში.

**სასწორის** საჭმელია ნაკლებმარილიანი კერძები, მარცვლეული, მაწონი, მოხარშული თევზი, ქათამი, პური, უცხიმო ყველი, უმი და მოხარშული ბოსტნეული, სიმინდი, პომიდორი, კიტრი, ბოლოკი, მწვანილი, საზამთრო, ვაშლი, ნიგოზი, ქიშმიში, ლეღვი, ხენდრო.

**ღრიანკალისთვის** მთავარია — ზომიერება ჭამა-სმაში. სჯობს ნივრით შენელებული მოხარშული კერძები, ქათმის ხორცი, თევზი და ზღვის პროდუქტი, ხაჭო, ყველი, სტაფილო, ჭარხალი, კომბოსტო, პომიდორი, ბოლოკი, შავი ქლიავი. მისთვის საუკეთესოა ის პროდუქტები, რომელთაც შეუძლიათ სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესება: ხორბლის ღერღილი და სხვა მარცვლოვანები, წიწიბურა, ძროხის ღვიძლი, რძე.

**მშვილდოსანმა** სასურველია მიირთვას ქათამი, მოხარშული თევზი, მეტი ბოსტნეული, მარცვლეული, შვრია, ბრინჯი, მაწონი, რძე, ვაშლი, მსხალი, ციტრუსები, მარწყვი, შავი ქლიავი და ლეღვი, არ გაიკაროს მარილიანი, კარაქი, ტკბილეული, შოკოლადი.

**თხის რქამ** უნდა მიირთვას უცხიმო ხორცი, თევზი, კვერცხი, კარტოფილი, მწვანილი, კომბოსტო, ისპანახი, სიმინდი, ბარდა. ოხრახუში, ნიახური, საზამთრო, ფორთოხალი, ქლიავი, ალუბალი, ბალი, მარწყვი, თხილი, ნუში, რაც შეიძლება მეტი ჩაი, მინერალური წყალი, ნაკლები — ტკბილეული, არ გაეკაროს კონსერვებს, შეზღუდოს მაკარონი, პური, ბრინჯი, მარილი.

**მერწყულმა** უნდა მიირთვას მაწონი, სოია, ნიგოზი, ლობიო, წიწიბურა, ხორბალი. კარაქი შეცვალოს ზეთით, შაქარი — თაფლით, მარილი — სურნელოვანი ბალახით. უმჯობესია თეთრი ხორცი, თევზი — უცხიმო. ისპანახი, ბოლოკი, სალათი, სიმინდი, ყაბაყი, ჭარხალი, სტაფილო, ტკბილი წიწაკა, პომიდორი, ბროწეული, მარწყვი, ატამი, ლეღვი, ფინიკი. ძალიან სასარგებლოა კაკაო.

**თევზებმა** უნდა მიირთვან შაქრის და ცხიმის ნაკლებშემცველი ახალი პროდუქტები, ღვიძლი, ცხვრის, წიწილის ხორცი, თევზი, ფაფეული, მზესუმზირა, ნიგოზი, რძის ნაწარმი, კვერცხი, ბოსტნეული, ისპანახი, ხახვი, სალათები, ყურძენი, ციტრუსები, ვაშლი, ბროწეული, კომში, ატამი.

## მშობიარობა ამაგრებს ჯანმრთელობას!

ცნობილია, რომ მშობიარობა აჯანსაღებს და ახალგაზრდავებს ქალის ორგანიზმს, განსაკუთრებით თუ პირველი ბავშვი 30 წლამდე გყავთ გაჩენილი. ეს კი იმიტომ, რომ პირველი მშობიარობა უფრო ძნელია და სჯობს ორგანიზმმა ეს დატვირთვა 30 წლამდე გადაიტანოს, ხოლო შემდეგ 40-45 წლამდე გააჩინოს მე-2 ან მე-3 შვილი. ნამშობიარებ ქალს ნაკლებად ემუქრება მკერდის კიბო და მეცნიერებმა ისიც დაამტკიცეს, რომ რისკი დაბლა იწევს ყოველი მშობიარობის დროს...

***ოჯი***



# ძილსაც ცოდნა უნდა

**ბრიტანელი ჰიპნოზიორი პოლ მაკენა გვირჩევს, როგორ ვებრძოლოთ, სტრესებსა და უძილობას.**



1. ეცადეთ, გაიღვიძოთ 20 წუთით ადრე, ვიდრე მიჩვეული ხართ და თქვენი შინაგანი საათი გადაერთვება ჯანმრთელ ტალღაზე;

2. დასაძინებლად დაწექით მხოლოდ მაშინ, როცა ძილი მოგერევათ. ბევრს ჰგონია, აუცილებლად უნდა დაწვნენ განსაზღვრულ დროს და ფიქრობენ, რომ რაც ადრე დაწვებიან, მით უფრო დიდხანს იძინებენ. მაგრამ შეუძლებელია აიძულო თავი დაიძინოს, ორგანიზმი თავად გიკარნახებთ შესაფერის დროს;

3. არავითარ შემთხვევაში საწოლში არ იკითხოთ, არ უყუროთ ტელევიზორს, არ ისაუბროთ ტელეფონზე. ლოგინი ძილისთვისაა განკუთვნილი და არა აქტიური შემოქმედებისთვის;

4. თუ 40 წუთის მანძილზე ვერ მოახერხეთ დაძინება, ადექით და დაიწყეთ რაიმე მოსაწყენი საქმის კეთება, რომ ამან მაინც მოგგვაროთ ძილი, შეგიძლიათ იგივე გააკეთოთ, თუ ღამით გაგეღვიძათ და ველარ იძინებთ;

5. ნუ დაისვენებთ დღის მანძილზე, თორემ ღამით ძილი გაგიტყდებათ;

6. ძილის წინ მოიშორეთ დღის განმავლობაში დაგროვილი უარყოფითი ემოციები. როგორ? იფიქრეთ მხოლოდ კარგზე, გააკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ.

კიდევ რამდენიმე რჩევა: საწოლი უნდა იყოს თბილი, ხოლო ჰაერი ოთახში — გრილი. საღამოს, ოღონდ არა ძილის წინ, წაივარჯიშეთ, ან ისეირნეთ სუფთა ჰაერზე. საღამოს არ მიეძალოთ საჭმელს, მოერიდეთ ყავას და სპირტიან სასმელებს.

***ჯენტე***

# მანდილოსნებო, მიეძალეთ ნუშს!

თუ არ გიყვართ კაკალი, თხილი, მიწის თხილი, მოგიწევთ გემოვნების გამოცვლა. ფრანგი დიეტოლოგები გვირჩევენ, რაციონში ხშირად ჩავრთოთ ზემოთ ჩამოთვლილი ნუგბარი. სამეცნიერო გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ყოველდღე კაკლისა და თხილის ჭამა ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს. გარდა ამისა, ერთი მუჭა თხილეული ძილის წინ დაგეხმარებათ, ებრძოლოთ უძილობას.

ახლა, რაც შეეხება ნუშს, — არც ერთმა მანდილოსანმა არ ანდა დაივიწყოს, ვინაიდან ის შეიცავს ქალის ორგანიზმისთვის აუცილებელ E ვიტამინს.

გაითვალისწინეთ! 40 გ ნუში შეიცავს E ვიტამინის დღიურ ნორმას.

***ჟენსკიე სეკრეტი №3***







სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"

სექსოპათოლოგიის კლინიკა

ტელ.: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

*პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.*

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11


# ყველაფერი ეპილეფსიის შესახებ

**როდის ისმება ეპილეფსიის დიაგნოზი? რა არის ამ დაავადების გამომწვევი მიზეზი? როგორ ამოვიცნოთ და როგორ მოვიქცეთ?**

*კ.კ.*

საქართველოში 16 000 ეპილეფსიით დაავადებული ადამიანია, თუმცა რეალური რიცხვი 25 000-ზე მეტია. აქედან ეპილეფსიის გენერალიზებული ფორმა, რომელიც კრუნჩხვებით მიმდინარეობს, ძალიან ცოტაა — 1000-1500.

ერთმანეთისგან მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს სამი რამ:

*კრუნჩხვითი მზაობა*, ანუ ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის თვისება, კრუნჩხვით უპასუხოს ზედმეტ გაღიზიანებას. კრუნჩხვითი მზაობა ადამიანის ბუნებრივი თვისებაა.

თუ ადამიანს კრუნჩხვა უვითარდება ალკოჰოლის მიღებაზე, თავის ტვინის ტრავმის შემდეგ, ემოციურ სტრესზე, მენსტრუალურ ციკლზე, ძილის დარღვევაზე და ა.შ. და ასეთი კრუნჩხვა 1-2-ჯერ განვითარდა, მაშინ ლაპარაკია *ეპილეფსიურ რეაქციაზე.* ეპილეფსიური რეაქციები მოსახლეობის 5%-ს, ანუ ყოველ მე-20-ს ცხოვრებაში ერთხელ მაინც აღენიშნება.

*ეპილეფსია*, როგორც დაავადება, მაშინ განიხილება, როდესაც გულყრები ყოველგვარი გამღიზიანებლის გარეშე, თავისთავად აღმოცენდება. ეპილეფსია თავის ტვინის ქრონიკული დაავადებაა, რომელიც განმეორებადი ეპილეფსიური კრუნჩხვითი ან არაკრუნჩხვითი გულყრით ვლინდება. ეპილეფსიაზე ლაპარაკობენ მაშინ, როდესაც 6 თვის მანძილზე ადამიანს 2 უმიზეზო გულყრა განუვითარდება.

ეპილეფსიის რიკს-ფაქტორია ნებისმიერი მოვლენა. ძლიერი კრუნჩხვა იმ შემთხვევაში განვითარდება, თუ ადამიანს საამისოდ გენეტიკური მზაობა აქვს. უმნიშვნელოვანესი რისკ-ფაქტორია ძილის დარღვევა, ასევე ემოციური სტრესი, ფიზიკური გადაღლა, ჭარბი განათება. განსაკუთრებით მაპროვოცირებელი თანამედროვე დისკოთეკებია, სადაც რამდენიმე გამღიზიანებელი ფაქტორი ერთდროულად მოქმედებს.

ეპილეფსიური კრუნჩხვის განვითარებას ასევე ხელს უწყობს მენსტრუალური ციკლის გარკვეული პერიოდები, ინფექციური დაავადებები, მაღალი ტემპერატურა, ენდოკრინული დაავადებები, კვებითი ინტოქსიკაციები, ნარკომანია, ზოგიერთი მედიკამენტი, ალკოჰოლი.

ზოგჯერ დაავადება მექანიკურად ვითარდება — ტვინის ქსოვილის სიმსივნის, ტრავმის, ორგანიზმში პარაზიტების არსებობის გამო, განსაკუთრებით სამშობიარო ტრავმის შემდეგ. მშობიარობის დროს თუ ბავშვი სამშობიარო არხში დიდხანს დაყოვნდა, შესაძლებელია, თავის ტვინის სტრუქტურების ზოგიერთი უბანი დაზიანდეს.

დაავადება უპირატესად ბავშვთა ასაკში ვლინდება. შემდეგი პიკი მოდის სქესობრივი მომწიფების პერიოდზე და შემდეგ, 40 წლის ასაკს გადაცილებულებში.

უმეტესად ეპილეფსიური გულყრა მცირე გამოვლინებით მიმდინარეობს. გამოვლინების სახე კი იმაზეა დამოკიდებული, ტვინის რა უბანია აღგზნებული. მაგ., თუ იგი მხედველობის ცენტრშია მოთავსებული, შეტევის დროს ადამიანი ფერებს ხედავს, ან სამყარო ფორმას იცვლის — გრძელდება, შორდება... ან საკუთარ თავს უყურებს, თითქოს გაორებულია.

დაავადება ყველა ასაკში ერთნაირად ვლინდება. მხოლოდ პატარებს უჭირთ აღქმა და მისი გადმოცემა. ამიტომ, ბავშვს ყურადღება მშობლებმა უნდა მიაქციონ.

*საეჭვო ნიშნები:*

— თუ ბავშვი უეცრად შეყოვნდა, გაჩერდება ან ცვლის საქმიანობის სტილს, რამდენიმე წამში (დაახლოებით 5 წამი) ისევ უბრუნდება დაწყებულ საქმეს, წყვეტს საუბარს, თითქოს უაზროდ იღიმება, რაც მერე არ ახსოვს;

— მზერის გაშეშება, თვალის ხამხამი, გვერდზე უაზროდ გახედვა, მზერის დაფიქსირება, ხელიდან საგნების გავარდნა, უმიზეზო წაქცევა, კრუნჩხვა;

— უაზრო მოძრაობები, რაც სიტუაციას არ შეესაბამება, შესაძლოა ბავშვი გაჩერდეს, თავი ჩაქინდროს, თითქოს გული მისდის და შემდეგ ჩვეულებრივ განაგრძოს საქმიანობა;

— უეცარი ფერის შეცვლა — გაწითლება, გაფითრება;

— შეკრთომა, — თუმცა შეკრთომა ჩაძინებისას ფიზიოლოგიურად დამახასიათებელია.

ყურადღება უნდა მიექცეს: ენაზე ნაკბენს, ბალიშზე ნერწყვის დიდ ლაქას — შეტევისას ძლიერდება ნერწყვის გამოყოფა, ენურეზს — ღამით შარდის შეუკავებლობას, ღამის შიშებს. ეს ნიშნები ხშირად სხვა დაავადებების გამო ვითარდება, მაგრამ იშვიათად ეპილეფსიაზეც მიუთითებს.

*შეტევისას:* არ არის საჭირო ჩქმეტა, შემოლაწუნება, კრიჭის გახსნა. ერთადერთი, კრუნჩხვის დროს ადამიანი გვერდზე უნდა გადააბრუნოთ, რათა არ გადასცდეს ნერწყვი.

ეპილეფსიური კრუნჩხვა 1-1,5 წუთი გრძელდება, უფრო მეტი ხანგრძლივობის შემთხვევაში საქმე ის-



ტერიულ და სხვა ტიპის გულყრასთან გვაქვს. ესაა ფებრალური გულყრა.

*ფებრალური გულყრა.* ბავშვს მაღალი ტემპერატურის დროს უვითარდება და შესაძლოა 20 წუთიც გაგრძელდეს. ამ დროს ბავშვი დედამ უნდა აიყვანოს, მიიხუტოს ზურგით, თავდაშვებულ მდგომარეობაში და დააკვირდეს კრუნჩხვის ხანგრძლივობას. ინფორმაცია, რა ცვლილებები აღენიშება ბავშვს, ექიმისთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

ფებრალური გულყრის თავიდან ასაცილებლად ბავშვის ტემპერატურა 38-38,5 გრადუსს არ უნდა ასცდეს. 5 ფებრალური გულყრა უკვე ეპილეფსიის რისკ-ფაქტორია.

ეპილეფსიის დიაგნოზს ექიმი პაციენტის საფუძვლიანი გამოკითხვის შემდეგ სვამს. დასაზუსტებლად კეთდება ელექტროენცეფალოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია.

*პროგნოზი და მკურნალობა:* განკურნება მკურნალობის პირობების დაცვის დროს საკმაოდ მაღალი — 80%-ია, დანარჩენი 20% ორგანულ დარღვევებზე მოდის (სიმსივნე, სისხლჩაქცევა და სხვა). მკურნალობის პროცესი ხანგრძლივია — 5 წელი, ზოგჯერ მთელი სიცოცხლე. ეპილეფსიის შეტევის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ცხოვრების რეჟიმის შეცვლა — მაქსიმალური ინტელექტუალური დატვირთვა, ძილის რეჟიმის დაცვა და სხვა.

***მაია მუხიგული***

# 12 ხერხი ცელულიტის წინააღმდეგ

**ცელულიტს რომ ვებრძოლოთ, სპეციალისტების აზრით, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგ რჩევები:**

**1.** ღორისა ხორცის ნაცვლად მიირთვით უცხიმო თევზი და ქათამი. მათ მოსამზადებლად არ გამოიყენოთ ცხოველური ცხიმი და არაჟანი. თეთრის ნაცვლად ჭამეთ დაღერღილი ხორბლის პური. ნამცხვრები, ტორტი და სხვა ტკბილეული შეცვალეთ ტკბილი ხილის ჩირით. დალიეთ დღეში 8 ჭიქა მინერალური წყალი ან ბალახეულის ჩაი. ასეთი კვების დროს მიიღებთ ყველა აუცილებელ ვიტამინსა და მინერალურ



ნივთიერებას, რომელიც ააქტიურებს საჭმლის მონელებას, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ეწინააღმდეგება ცხიმდაგროვებას;

**2.** დიეტით გაიწმინდეთ ორგანიზმი. კვირა დღეს, 2 საათის შემდეგ, ჭამეთ მხოლოდ ორთქლზე მოხარშული ბოსტნეული, კარტოფილი და სვიით გამწმენდი ჩაი და მინერალური წყალი;

**3.** კუჭ-ნაწლავის რეგულარულ მოქმედებას დიდი მნიშვნელობა აქვს ნივთიერებათა ცვლისათვის. არ დაუშვათ ყაბზობა. მიირთვით, რაც შეიძლება მეტი უჯრედისები, ხშირად ისეირნეთ, საჭიროების შემთხვევაში სვით სინამაქის ხისა და ხეჭრელის ნახარში;

**4.** დაემშვიდობეთ ვიწრო და მაღალქუსლიან ფეხსაცმელს, რაც ხელს უშლის პერიფერიული სისხლის მიმოქცევასა და ხელს უწყობს ცულულიტის წარმოქმნას;

**5.** ნებისმიერი სტრესი იწვევს კუნთებისა და საერთოდ მთელი სხეულის დაძაბვას, ამიტომ დაეუფლეთ რელაქსაციის ტექნიკას. მიატოვეთ სიგარეტის მოწევა, თუ გსურთ დაემშვიდობოთ ამ საზიზღარ „ფორთოხლისებრ კანს", ნიკოტინი ხელს უშლის უჯრედებისთვის ჟანგბადის მიწოდებას და ქსოვილებში ნივთიერებათა ცვლას;

**6.** ტანი დაიზილეთ ნეჭით (ქისით). ის აუმჯობესებს ორგანიზმში სისხლის მიმოქცევასა და ნივთიერებათა ცვლას. ასეთი მასაჟის შემდეგ აუცილებელია კონტრასტული შხაპი და შემდეგ ტანზე წაისვით დამატენიანებელი კრემი;

**7.** ყოველკვირა იარეთ აბანოში ან საუნაში. აქ უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა და მიკროცირკულაცია მთელ ორგანიზმში;

**8.** რეგულარული კონტრასტული შხაპი კანს ამკვრივებს და ხდის ელასტიკურს;

**9.** ცურვა ბრწყინვალე საშუალებაა კუნთების სავარჯიშოდ, მყესების დასაჭიმად;

**10.** აბაზანის შემდეგ პრობლემურ ზონებზე დაიდეთ ზღვის მცენარეები, შემოიხვიეთ ცელოფანი, ზევიდან — პლედი და 30 წუთით წამოწექით;

**11.** წყალს დაამატეთ 5-6 წვეთი ღვიის ზეთი და 10 წუთით ჩაწექით აბაზანაში. შემდეგ უხეში ნეჭით გაიკეთეთ მასაჟი და გადაივლეთ თბილი წყალი;

**12.** აირჩიეთ სპორტის ის სახეობა, რომელიც მოითხოვს ფეხების, ბარძაყებისა და მუცლის კუნთების დაძაბვას: ირბინეთ, იცურეთ, იარეთ ველოსიპედით, იცეკვეთ...

***ლიზა №13***

# დიდი მკერდი გონიერების ნიშანია...



ამერიკელი მეცნიერები შეეცადნენ კვლევით დაედგინათ, დამოკიდებული იყო თუ არა ინტელექტი სარძევე ჯირკვლების სიდიდეზე. აღმოჩნდა, რომ დამოკიდებულია! 3 ნომრისა და უფრო დიდი ზომის მკერდიანი ქალები გამოირჩევიან კარგი ინტელექტითა და მხედველობითი მეხსიერებით, გარდა ამისა — კარიერაშიც წარმატებულები არიან.

***მედიცინა №6***


ვმკურნალობთ

**ქრონიკულ პროსტატიტს**

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**

## მოკლედ

**უზბეკეთში** უსაფრთხოების გაძლიერებულ ზომებს იღებენ. მომხდარ ტერაქტებთან დაკავშირებით დაკავებულია რამდენიმე ადამიანი. ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, ტერაქტები საერთაშორისო ტერორისტების მიერ არის განხორციელებული. მათ სურთ დაშალონ აშშ-ის ხელმძღვანელობით შექმნილი „ალ-ქაიდასა“ და „თალიბების“ გასანადგურებლად გამიზნული ანტიტერორისტული კოალიცია. უზბეკეთში მომხდარ ტერაქტებში იგრძნობა „ალ-ქაიდას“ ხელწერა. აქაც თვითმკვლელი ქალები თავს იფეთქებენ ხალხმრავალ ადგილებში, რათა მსხვერპლის რაოდენობა, რაც შეიძლება, მეტი იყოს. ჩანს, შაჰიდ ქალებს ერთი და იგივე მასწავლებლები ჰყავთ. უზბეკეთში მომხდარმა ტერაქტებმა 19 ადამიანი შეიწირა, მათ შორის 4 ბავშვი.

**ფილიპინების** პრეზიდენტის გლორია აროიოს განცხადებით, ქვეყნის უშიშროების სამსახურმა აღკვეთა სამოქალაქო ობიექტების აფეთქების მცდელობა. სავარაუდოდ, შესაძლო ტერაქტი მადრიდის ტრაგედიის მასშტაბებისა იქნებოდა. უშიშროების სამსახურმა რამდენიმე ექვმიტანილი დააპატიმრა. ისინი ისლამისტური დაჯგუფების, „აბუ საიაფის“ წევრები არიან. „აბუ საიაფი“, რომელსაც აშშ „ალ-ქაიდას“ მოკავშირედ მიიჩნევს, მსოფლიო ტერორისტული ორგანიზაციების სიაშია შეყვანილი.

**ჰაიტის** დამხობილმა პრეზიდენტმა ჟან-ბერტრან არისტიდმა სარჩელი შეიტანა საფრანგეთის დიდმოხელეთა მისამართით, რომლებიც მას თითქოს მოტაცებას უპირებდნენ. საფრანგეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც ანტისაპრეზიდენტო შეიარაღებული აჯანყების დაწყებისთანავე არისტიდს ჰაიტის დატოვება შესთავაზა. ყოფილი პრეზიდენტის ადვოკატის თქმით, ამავე მიზეზით სარჩელი აღიძვრება ამერიკის დიდმოხელეთა მიმართაც. ამჟამად არისტიდი იამაიკაში იმყოფება.

**საფრანგეთის** მთავრობაში არ მოხდა ის ცვლილებები, რომელსაც ელოდნენ, უბრალოდ, მინისტრებმა პორტფელები გაცვალეს. სავარაუდოდ, პრემიერი უნდა გამხდარიყო საშინაო პოლიტიკური უწყების ყოფილი თავკაცი, პოპულარული პოლიტიკოსი ნიკოლ სარკოზი. პოლიტოლოგები მას პრეზიდენტობას უწინასწარმეტყველებენ. ბევრის ვარაუდი გამართლდა — შირაკმა არ მოინდომა ძლიერი კონკურენტის გაპრემიერება, იგი ფინანსთა მინისტრად დანიშნა და ეკონომიკური რეფორმების განხორციელება დაავალა. თუ რეფორმას წარმატება მოჰყვა, შირაკის პოპულარობას არაფერი დააკლდება, თუ არა და, ყველაფერი მის კონკურენტს დაჰბრალდება — შესაბამისად, სარკოზის გაპრეზიდენტების შანსი მნიშვნელოვნად შემცირდება.

**კიევში**, ყოფილი პრემიერის, ვიქტორ იუშჩენკოს მომხრეებმა, ხალხმრავალი მიტინგი გამართეს ახლანდელი პრემიერის, ვიქტორ იანუკოვიჩის პოლიტიკის წინააღმდეგ. მომიტინგეები ხალხისთვის „მოპარული მილიარდების“ დაბრუნებას ითხოვდნენ.

## ევროპის შვიდი ქვეყანა ნატოში შევიდა



ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კარი ღია იქნება მანამ, ვიდრე მთელი ევროპა არ გახდება ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი, — განაცხადა ჯორჯ ბუშმა რუმინეთის, ბულგარეთის, სლოვაკიის, სლოვენიის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით.

ტერორიზმის საფრთხესთან ბრძოლა ნატოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად მიაჩნია. აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, — ნატო ურთიერთობას ამყარებს სხვა ქვეყნებთანაც, რომლებიც ჯერ არ არიან ალიანსის წევრებიო.

ლიტვის პრემიერ-მინისტრმა ალგირდას ბრაზაუსკასმა ნატოში შესვლას „ისტორიული მოვლენა“ უწოდა და პრეზიდენტ ბუშსა და მთელ ამერიკელ ხალხს დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა. „საბჭოთა პერიოდში ნატოთი გვაშინებდნენ — აგრესორიაო. ახლა კი გვესმის, რომ ეს არის ორგანიზაცია, რომელიც მშვიდობისათვის იბრძვის“, — თქვა მან.

— მეამაყება, რომ დღეს ცივი ომი დასრულდა, — განაცხადა რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა ანდრეან ნესტასემ და შეკითხვას, — განთავსდება თუ არა ნატოს ბლოკის ბაზები რუმინეთში, უარყოფითად უპასუხა, მაგრამ დასძინა, — ჩემი ქვეყანა მზადაა, ტერიტორია შესთავაზოს ბლოკის ჯარსო. ნატოს ახალი წევრების ხელმძღვანელებს არ უთქვამთ, რა ფინანსურ დახმარებას მიიღებენ მათი ქვეყნები ბლოკის სამხედრო ბაზების ან ინფრასტრუქტურის შესაძლო განთავსების შემთხვევაში, მაგრამ ის კი განაცხადეს, რომ მზად არიან ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობისათვის.

*ნიუზუიქ*

## ბასაევი რუსეთს ქიმიური იარაღით ემუქრება

ჩეჩენ ტერორისტთა ლიდერი შამილ ბასაევი კვლავ ემუქრება რუსეთს. მის განცხადებაში, რომელსაც აბდალ შამილ აბუ იდრისი (ასე უწოდებს თავს ბასაევი) აწერს ხელს, ნათქვამია: „მოსკოვს მშვიდობა შევთავაზე, მაგრამ ყურად არ იღო, ჩვენ შევწყვეტდით დივერსიებს, თუ ფედერალური ჯარი საერთაშორისო სამართალს დაიცავდა — არ დასჯიდა ადამიანებს გაუსამართლებლად. რუსმა მზვერავებმა კატარში მოკლეს იჩქერიის ყოფილი პრეზიდენტი ზელიმხან იანდარბიევი. ჩვენ ახლა უფლება გვაქვს, იმავეთი ვუპასუხოთ რუსეთს და ბირთვულისა და ბექტერიოლოგიურის გარდა, ნებისმიერი სხვა იარაღი გამოვიყენოთ. ხელს არ ვახლებთ საბავშვო დაწესებულებებს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს, მეჩეთებს, სინაგოგებს, პაგოდებს, არც ერთ სალოცავს, გარდა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიებისა და მონასტრებისა (ტერორისტებს მიაჩნიათ, რომ რუსეთის უმაღლესი სასულიერო პირები სპეცსამსახურის თანამშრომლები არიან! — რედ.)“. რუსეთის წინააღმდეგ მომავალ ტერორზე პასუხისმგებლობას ბასაევი პუტინს აკისრებს, რადგან, მისი აზრით, სწორედ მან გასცა ზელიმხან იანდარბიევის მოკვლის ბრძანება.

*კომსომოლსკაია პრავდა №61*

## სადამ ჰუსეინს ადვოკატი გამოუჩნდა

ცნობილმა ფრანგმა ადვოკატმა ჟაკ ვერჟესმა სადამ ჰუსეინის დაცვა იკისრა. 79 წლის ადვოკატი ამ საქმით აპირებს თავისი 50-წლიანი კარიერის დამთავრებას. მის ანგარიშზეა ბევრი გახმაურებული საქმე — ის იცავდა ყოფილ ნაცისტ კლაუს ბარბიეს, ტერორისტ კარლოსს, აგრეთვე იუგოსლავიის ყოფილ პრეზიდენტს, სლობოდან მილოშევიჩს. ადვოკატის თქმით, მან მიიღო წერილი სადამ ჰუსეინის ძმისშვილის, ალი ბარზანისაგან. იგი ოფიციალურად სთხოვს ვერჟესს ერაყის ყოფილი პრეზიდენტის დაცვას. ადვოკატი ერაყის ყოფილი ვიცე-პრემიერის ტარიკ აზიზის დაცვასაც დათანხმდა. სადამ ჰუსეინის სასამართლო ალბათ ერაყში გაიმართება. ქვეყნის მმართველი საბჭო სამხედრო ტრიბუნალის პროექტზე მუშაობს, რომლის პირველი საქმე დიქტატორის გასამართლება გახდება. სადამ ჰუსეინს ბრალს წაუყენებენ გენოციდსა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულში.

დაზვერვის ცენტრალური სამმართველოსა და გამოძიების ფედერალური სამსახურის სპეციალისტებმა ჰუსეინისგან ჯერჯერობით ვერანაირი ფასეული ინფორმაცია ვერ მიიღეს.

*ლენტა რუ*

## ჯორჯ სოროსს მაიონეზი შეასხეს

ეს ამბავი მოხდა კიევში, სადაც ცნობილი ბიზნესმენი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფორუმში — „ადამიანის უფლებები არჩევნებში“ — მონაწილეობისთვის ჩავიდა. სასტუმრო „რუსის“ საკონფერენციო დარბაზში, სადაც ფორუმი მიმდინარეობდა, ორი ახალგაზრდა შევარდა ყვირილით — „სოროს, წაეთრიე უკრაინიდან, აქ არაფერი გამოგივა!“ მათ მაიონეზი შეასხეს ბიზნესმენს და წყალიც მიაყოლეს. წესრიგის დამრღვევები სასტუმროს დაცვამ დააკავა და კონფერენციის მუშაობა გაგრძელდა. აქციაზე პასუხისმგებლობა უკრაინის რადიკალურმა ორგანიზაცია „ძმობამ“ იკისრა. მისმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, — ამით გვინდოდა, პროტესტი გამოგვეცხადებინა უკრაინაში ქართული სცენარის დანერგვისათვისო. უკრაინაში უცხოელ სტუმარს პირველი უსიამოვნება ყირიმში შეხვდა. მას არ მისცეს დარბაზი, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს უნდა შეხვედროდა. თავად სოროსი ვარაუდობს, რომ ამაში უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ვიქტორ მედვედჩუკის ხელი ურევია. „მე ეს ძალიან მაკვირვებს, მაგრამ ხელისუფლების ორგანოებთან არ ჩამოვსულვარ სტუმრად, ამიტომ უიმათოდაც იოლად გავალ,“ — თქვა სოროსმა. ამ განცხადების მიუხედავად, ჯორჯ სოროსი ლეონიდ კუჩმას შეხვდა.



*კომერსანტი №58*

## მოკლედ

**მალაიზიის** დედაქალაქ კუალა-ლუმპურში, ავსტრალიის საელჩოს უცნობმა ტერორისტებმა მანქანიდან ბომბი ესროლეს. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. ქვეყანაში მოქმედ ტერორისტულ ორგანიზაციათაგან ჯერ არავის უკისრია აფეთქებაზე პასუხისმგებლობა. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ტერაქტები ძალიან გახშირდა. **ტაილანდის** ქალაქ სუნგეი-კოლოკში, რომელიც მალაიზიის საზღვართანაა. აფეთქება ხალხმრავალ ადგილზე მოხდა, დაშავდა 29 ადამიანი. მალაიზიის მეზობელი ტაილანდის სამხრეთში მცხოვრებ მუსლიმანებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა სურთ. ექსტრემისტები წვავენ სკოლებს, ადმინისტრაციულ შენობებს, ხოცავენ სახელმწიფო მოხელეებს, ბუდისტ მონაზვნებს.

**გაეროს** გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელობა დაადანაშაულა იმაში, რომ იგი ვერ ახერხებს ერაყში საერთაშორისო მისიის დაცვას. გაეროს კოორდინატორი უშიშროების საკითხებში ტუნ მიატი გადააყენეს. ანანის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ერაყში მომხდარი ტერაქტი — გაეროს შტაბბინის აფეთქებას 22 ადამიანი შეეწირა. დაშავებულთა შორის იყო ერაყში გაეროს საგანგებო წარმომადგენელი სერჟიო ვიერა დე მელუ.

**ისრაელის** პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა განაცხადა, — არაფატი ნებისმიერი პროგრესის წინააღმდეგია. მას და „ჰესბალას“ ლიდერს ჰასან ნასერელს სიმშვიდე არ ეღირსებათ, რადგან ნებისმიერი, ვინც კლავს ებრაელს, ან ხალხს გზავნის ებრაელის მოსაკლავად — ჩვენი სამიზნეაო.

**ავღანეთის** პრეზიდენტის, ჰამიდ ყარზაის განცხადებით, ქვეყნის ხელისუფლებამ ივნისში დანიშნული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები სექტემბერში გადაიტანა. წინასაარჩევნო პერიოდში მთავრობას სურს განაიარაღოს 40 ათასი ამბოხებული, რომლებმაც არ მოისურვეს ან ვერ შეძლეს რეგულარულ ჯართან გაერთიანება.

**სერბეთმა** ნაბიჯი გადადგა იმ რეჟიმის სარესტავრაციოდ, რომელსაც მთელ მსოფლიოში დიქტატორულს უწოდებენ. ქვეყნის პარლამენტმა გადაწყვეტილება მიიღო, მატერიალური კომპენსაცია მისცეს იუგოსლავიის ყოფილ პრეზიდენტს სლობოდან მილოშევიჩსა და სხვა პირებს, რომლებსაც ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალი ადანაშაულებს. სლობოდან მილოშევიჩი და ჰააგის დანარჩენი პატიმრები ყოველთვიურად დაახლოებით 300 დოლარს მიიღებენ.

**ლიტვის** საკონსტიტუციო სასამართლომ პრეზიდენტ როლანდას პაქსასს წაყენებული 6 ბრალდებიდან სამი დაუმტკიცა და კონსტიტუციის უხეში დარღვევისთვის დამნაშავედ ცნო. ახლა აღარავის ეეჭვება, რომ პრეზიდენტ პაქსასს გადააყენებენ.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

## „თბილღვინო“ უმაღლესი ლიგისკენ მიისწრაფვის

*თბილისის ქუჩებში სულ რაღაც ორი კვირაა, ორიგინალური სარეკლამო ბილბორდები გამოჩნდა წარწერებით: „ნუ დააძალებ“, „საჭესთან ნუ დალევ“, „დაძლიე ალკოჰოლიზმი“, რომელმაც საზოგადოების დიდი ნაწილის ინტერესი გამოიწვია. ინტერესს კიდევ უფრო ამძაფრებს ის, რომ ეს სარეკლამო ბილბორდები ღვინის მწარმოებელ კომპანია „თბილღვინოს“ ეკუთვნის. ისიც, რომ დღევანდელ სარეკლამო სივრცეში სოციალური შინაარსის რეკლამა და ღვინის მწარმოებელი კომპანია უცხო ხილია. ვესაუბრებით კომპანია „თბილღვინოს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს* ***გიორგი მარგველაშვილს:***




**— ვისი იდეა იყო, შექმნილიყო ასეთი ორიგინალური სარეკლამო ბილბორდები?**

— ჩვენ დიდი ხანია ბაზარზე ჩვენი კომპანიის და მისი პროდუქტის სარეკლამო კამპანია არ გვიწარმოებია. ამ ტაიმაუტის შემდეგ გადავწყვიტეთ, ისეთი სარეკლამო კამპანიის დაგეგმვა, რომელიც ორიგინალური და განსხვავებული იქნებოდა. დახმარებისათვის მივმართეთ პიარკომპანია PR-პოლისს, რომელიც კონსულტირებას გვიწევს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სარეკლამო სტრატეგიის შემუშავების საკითხებში. იდეა ეკუთვნით ჩვენს კონსულტანტებს და ის ჩვენთვის აბსოლუტურად მისაღები აღმოჩნდა, რადგან ჩვენ ვართ კომპანია, რომელიც ორიენტირებულია თანამედროვე ევროპული ღვინის წარმოებაზე და ამავდროულად ყოველთვის ითვალისწინებს ქართული მეღვინეობის უძველეს ტრადიციებს. ეს ბილბორდები ჩვენი, აზრით, ქართული იუმორითაა გაჯერებული, და ამავდროულად ისევე როგორც მე, ჩვეულებრივ ქართველს, ალბათ ბევრ მოქალაქეს შეახსენებს ღვინის სმისას ზომიერების დაცვას, (ელიმება)

**— როდის შეიქმნა თქვენი კომპანია და რა არის თქვენი წარმატების გარანტი?**

— კომპანია „თბილღვინო“ 1962 წელს დაარსდა, ხოლო ჩვენი გუნდი მას სათავეში 1999 წელს ჩაუდგა. ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ, ჩვეულებრივი საბჭოური ტიპის ღვინის ქარხანა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირებულ ღვინის მწარმოებელ კომპანიად გვექცია. ამისთვის კომპანიაში განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები, შეიცვალა მენეჯმენტი. გამოცდილება, რომელიც ამ წლების განმავლობაში დაგვიგროვდა, ახალგაზრდა პროფესიონალთა გუნდი და კომპანიის მუდმივი სტრატეგია — აწარმოოს მხოლოდ მაღალხარისხოვანი ქართული ღვინო, „თბილღვინოს“ წარმატების გარანტად იქცა.

ღვინის წარმოებისას ჩვენ ვიყენებთ როგორც უძველეს ქართულ ტრადიციებს, ასევე დასავლური, ევროპული მეღვინეობის გამოცდილებასაც. კომპანიაში წარმოების ყველა ეტაპზე, ვენახის მოვლიდან დაწყებული, დამთავრებული პროდუქციის რეალიზაციით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხარისხის კონტროლს.

1999 წელს სექტემბერში ქარხანამ პირველად მიიღო მონაწილეობა რთველში. პირველი ასორტიმენტი 2000 წელს, ზაფხულში წარმოვადგინეთ. გაყიდვების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. კერძოდ, თუ 2000 წელს 400 000 ბოთლის გაყიდვა შევძელით, ამ რიცხვმა ყოველწლიურად 200 000-ით დაიწყო ზრდა და 2003 წელს უკვე მილიონი ბოთლი გავყიდეთ. რეალიზაციის თითქმის 75% მოდის ექსპორტზე. ჩვენი პროდუქცია იყიდება კანადაში, აშშ-ში. ექსპორტის ყველაზე დიდი მოცულობა მოდის რუსეთის ბაზარზე და ერთადერთი ქართული კომპანია ვართ, ვინც ღვინოს შვეიცარიის ბაზარზეც ყიდის.

**— უცხოელ ღვინის მწარმოებლებთან თუ თანამშრომლობთ?**

— დიახ. ფრანგული კომპანია „ვაინ მეიკერს სარალ“ პასუხისმგებელია ჩვენი ღვინოების ხარისხის ამაღლებასა და შენარჩუნებაზე. ამ მიზნით, უკვე სამი წელია „თბილღვინოში“ მოვლინებულია ახალგაზრდა ავსტრალიელი მეღვინე ნიკ სპენსერი. იგი წელიწადში 7 თვეს საქართველოში ატარებს და უშუალოდ აკონტროლებს ვაზის მოვლასა და რთველს. მას ზედამხედველობას უწევს ფრანგი მეღვინე, რომელიც წელიწადში სამ-ოთხჯერ ჩამოდის ნიკის წარმოებული ღვინოების შესამოწმებლად. მაგრამ უცხოელების გარდა „თბილღვინოში“ არიან ქართველი მეღვინეებიც, როგორც ახალგაზრდები, ისე დიდი გამოცდილების მქონე პროფესიონალები.

**— ახალი მარკის ღვინოებზე თუ მუშაობთ?**

— 2002 წელს რთველზე შევარჩიეთ საფერავის ყურძნის ჯიშისგან დამზადებული ღვინის მასალა, რომელიც მოვათავსეთ საფრანგეთიდან ჩამოტანილ ხის კასრებში. 15-თვიანი დაძველების პროცესის შემდეგ ჩამოვასხით დაახლოებით 15 ათასი ბოთლი. ეს არის ქართული უნიკალური პროდუქცია, რადგან უახლოეს ისტორიაში არც ერთ ქართველ მწარმოებელს არ დაუძველებია მუხის კასრებში მაღალხარისხიანი წითელი, წითელი მშრალი ღვინოები. ამით ჩვენ ვაკეთებთ სერიოზულ განაცხადს, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთის ბაზარზე, ანუ ვამბობთ, რომ საქართველოშიც იწარმოება ღვინო, რომელსაც შეუძლია ითამაშოს „უმაღლეს ლიგაში“. მუხის კასრებში დაძველებულ მაღალხარისხოვან წითელ მშრალ ღვინოს მალე დააგემოვნებს ქართველი საზოგადოებაც.

*ეკა ლომიძე* R

# „ნამუსი გააქვთ?!“

(დასაწყისი იხ. გვ. 11)

**— კარგი, დავუშვათ, ბევრი დღევანდელი მომღერლის მსგავსად, გადავდე ნამუსი გვერდზე, მაშინ რა დამიჯდება სიმღერის ჩაწერა, არანჟირება და კლიპის გადაღება?**

— როცა სიმღერას დაიწყებთ, პირველ ყოვლისა, აუცილებელია ცოტა გაშიშვლდეთ, ანუ ხაზი გაუსვათ თქვენს სექსუალურობას. უნდა აიყვანოთ იმიჯმეიკერი და ა.შ. ვერ გეტყვით, ზუსტად რამდენი დაგჭირდებათ, მაგრამ მინიმუმ 10-15 ათასი დოლარი უნდა გქონდეთ გათვალისწინებული. რაც შეეხება სიმღერის ჩაწერას, ტექსტი და მუსიკაც რომ იყიდოთ, 1000-დან 2000 დოლარამდე დაგიჯდებათ, 4-5 ათასი დოლარი — კლიპის გადაღება. გააჩნია, ვისთან გადაიღებთ, ხოლო დანარჩენი თქვენზეა დამოკიდებული, უფრო სწორად იმაზე, თუ რამდენ ხანს შეძლებთ, ტელე და რადიოეთერით ატრიალოთ სიმღერა, შეუკვეთოთ ჟურნალ-გაზეთებში ინტერვიუები და ა.შ.

*ქართულ ესტრადაზე მსგავსი განუკითხაობა ალბათ კიდევ დიდხანს გასტანს, არადა ბატონ დათო ოქიტაშვილს მის მიერვე წამოყენებული კანონი რომ დაემტკიცებინა ფონოგრამის აკრძალვის შესახებ, იქნებ ასეთ სავალალო სიტუაციაში არც აღმოვჩენილიყავით. ჩემთან საუბრისას ბატონმა* **დათო ოქიტაშვილმა** *აღნიშნა:*

— ნამდვილ ქართველ მომღერალთა უმეტესობამ ყველაფერს მართლა თავად მიაღწია. იმედია, დღევანდელი ვაიმომღერლები ოდესმე მიხვდებიან, რომ არ შეიძლება ფულით იყიდო მომღერლობა, მსახიობობა და ა.შ. ფონოგრამის აკრძალვა ბევრს მიუჩენდა თავის ადგილს, მაგრამ სამწუხაროდ, ჩემი იდეა ბოლომდე ვერ განვახორციელე. იმედია, ამას მალე მივაღწევ და მაშინ კი აშკარა გახდება, ვინ არის მართლა ვარსკვლავი. სამწუხარო და გულსატკენია, რომ დღეს უნიჭოთა ფონზე ნიჭიერები იჩაგრებიან.

**— გეთანხმებით... დღევანდელ ქართულ ესტრადაზე მომღერალთა რამდენმა პროცენტმა გაიკვალა გზა მხოლოდ ფულით?**

— სამწუხაროდ, დღევანდელი ქართველი ვარსკვლავების 80% სულ ფულით არის „გაქაჩული“. იმედია, ამ უმსგავსობას ოდესმე წერტილი დაესმება.

*მართალია, ბატონმა დათომ არ ისურვა ფულით გავარსკვლავებულ მომღერალთა დასახელება, მაგრამ ერთ დროს, საუკეთესო ჯგუფად აღიარებული „სახის“ ყოფილმა ლიდერმა, დათო ფორჩხიძემ ფულით გაქაჩული „ვარსკვლავების“ ჩამოთვლით თავბრუ დამახვია. ცხადია, კარგად ვიცოდი, ქართული ესტრადა რომ უნიჭო მომღერლებით იყო სავსე, მაგრამ თუ „კაშკაშა ვარსკვლავებიც“ ამ სიაში შედიოდნენ, ნამდვილად არ მეგონა. მათი დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ.*

**დათო ფორჩხიძე:**

— ჩემი ინფორმაციით, რადიოში სიმღერის ერთხელ დატრიალება 5 ლარი ჯდება. ახლა გადაამრავლეთ ეს თანხა სიმღერის ეთერში გასვლის სიხშირეზე და ნახავთ, რას მიიღებთ. პრინციპში, თუ სმენის და ხმის გარეშე მომღერლობა გადაწყვიტე, მაშინ ფულიც არ უნდა დაინანო. სწორედ ამას აკეთებენ დღევანდელი ე.წ. ვარსკვლავები.

*ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სიმღერა არ გახლავთ დღევანდელი ვარსკვლავების შემოსავლის წყარო, ანუ ისინი წლების მანძილზე ვერ ახერხებენ იმ თანხების ამოღებას, რაც თავიანთ „ვარსკვლავობაში“ ჩადეს.*

*ცნობისათვის: ეს* **ნეკა სეზისკვერაძისგან** *შევიტყვე:*

— საქართველოში ბაზარი ძალიან დაბალ დონეზეა. სხვათა შორის, არც ერთი ბიზნესმენი არ დებს კონკრეტულ მომღერალში ფულს, რადგან იცის, რომ მისგან ამ თანხას წლების მანძილზე ვერ ამოიღებს.

**— ნეკა, თუ საიდუმლო არ არის, შენ ვინ გაფინანსებს?**

— არავინ რომ არ მაფინანსებს, ამიტომაა, რომ წელიწადში ერთი სიმღერის ჩაწერას ვახერხებ.

**— ანუ „ვარსკვლავობისათვის“ დიდი ფულია საჭირო?**

— გააჩნია, ვისთვის, როგორ. საერთოდ კი, რაც უნდა ნიჭიერი იყო, თუ ფინანსური მხარე მოუწესრიგებელი გაქვს, ძალიან დაიჩაგრები.

P.S. *აი, ასეთია სავალალო რეალობა. ფულმა დააბრმავა ის ხალხი, ვისაც შეეძლო რაიმე გზით არა მარტო ქართული ესტრადის, არამედ მომავალი თაობის გადარჩენაც. ჩვენს ბავშვებს ხომ გემოვნებას უქვეითებს უნიჭო მომღერლების შესრულებული უგემოვნო სიმღერა. იქნებ დროულად მოვეგოთ გონს და შევძლოთ, რომ ქართულ ესტრადაზე მხოლოდ ნიჭიერმა და ღირსეულმა ადამიანებმა დაიკავონ ადგილი.*

**ინგა ჩადუნელი**

# „არავის აქვს უფლება, კანონი, თუნდაც კარგი მიზნით, დაარღვიოს“

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

**— თქვენი აზრით, რატომ უფრთხილდებიან ასე ყოფილ პრეზიდენტს?**

— ეტყობა, პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს არ სურთ შექმნან ქვეყნის პირველი პირის დასჯის პრეცედენტი. ფიქრობენ, დადგება დრო, როდესაც ქვეყნის პირველი პირები ჩვენც აღარ ვიქნებითო. მე კი მომხრე ვარ, რომ სწორედ პირველი პირების დასჯის პრეცედენტი შეიქმნას. სხვანაირად, ამ ქვეყანაში კანონი ვერ იკანონებს. თუ მიხეილ სააკაშვილმა პირობა მისცა შევარდნაძეს, რომ არ დასჯიდა და ახლა დანაპირებს ასრულებს, მას შეწყალების კონსტიტუციური უფლებაც ხომ აქვს? ეს უფლება გამოიყენოს მას შემდეგ, რაც სასამართლო შედგება.

ჯოხთაბერიძის კომპანია 100 ლარად ვერ მიიღებდა სიხშირის გამოყენების ლიცენზიას, ის რომ პრეზიდენტის სიძე არ ყოფილიყო. ასეთივე ლიცენზია სომხეთში 134 მლნ დოლარად გაიყიდა. ფრიდონ ინჯიამ კი ერთი ასეთი ლიცენზია თვითონ ჩაიდო ჯიბეში (ჯეოსელი მისი იყო), მეორე კი შევარდნაძის ოჯახს მისცა. ეს არ არის თანამდებობის (შევარდნაძის მიერ) ბოროტად გამოყენება? ამიტომ მიკვირს და უცნაურად მიმაჩნია, როცა ჯოხთაბერიძე ციხეში ზის, შევარდნაძე კი კრწანისში მემუარებს წერს, პირიქით უნდა იყოს... რომელიმე პირისთვის კანონის წინაშე გამონაკლისის დაშვება ქვეყნის კეთილდღეობას არ წაადგება. არ შეიძლება და არასწორია პარლამენტის წევრებისთვის იმუნიტეტის გაუქმება მაშინ, როდესაც ყოფილი პრეზიდენტების იმუნიტეტს ვაწესებთ.

სულაც არ არის ჩემი მიზანი და ამოცანა ის, რომ ოქრუაშვილს საქმე გაუფუჭდეს და მე დავიკავო მისი ადგილი. მინდა და ვითხოვ, ოქრუაშვილმა კარგად, კანონის დაცვით გააკეთოს საქმე, თორემ მტერი რომ ვიყო, როცა საქმე გაფუჭდებოდა, მერე ვიყვირებდი.

**— მომავალი პარლამენტი უკვე აირჩიეს. რას იტყვით, როგორი პარლამენტი გვექნება?**

— დეპუტატებს საქართველოს ბედ-იღბალი უნდა აწუხებდეთ და არა რომელიმე პოლიტიკური გუნდისა. როცა ამ საზომით მიუდგებიან საქმეს, მაშინ წავა საქმე კარგად.

**— როგორ ფიქრობთ, ლეიბორისტებმა მართლა ვერ გადალახეს 7%-იანი ბარიერი?**

— ლეიბორისტები რევოლუციის დროს ხალხის გვერდით არ დადგნენ და მათი რეიტინგი დაეცა. „ახლებსა“ და „მრეწველებს“ იმან უშველათ, რომ აჭარაში დაძაბულობის დროს სწორი, სახელმწიფოებრივი პოზიცია დაიკავეს, ამით მოიპოვეს ამომრჩევლის კეთილგანწყობა. დღეს, როდესაც სააკაშვილი ასე პოპულარულია, ძველი სქემა — ვინც ყველაზე მეტად უპირისპირდება პრეზიდენტს, ის მოიგებსო, აღარ ამართლებს. ლეიბორისტები „აღორძინებასთან“ იდენტიფიცირებამ დაღუპა.

**— მიხეილ სააკაშვილი მაჟორიტარ დეპუტატებს საკუთარ ოპოზიციად მიიჩნევს, მართლაც ასეა?**

— გულიანად ვიცინე, როდესაც თქვა, ამ 75 კაციდან 50 ოპოზიციონერიაო. როგორ არიან ოპოზიციონერები, როდესაც მათი უმეტესობა საპრეზიდენტო არჩევნების დროს რაიონებში მიშას საარჩევნო შტაბის უფროსი იყო. თუ ამას გავითვალისწინებთ, მეტად უცნაური ოპოზიცია ჰყავს პრეზიდენტს.

**— რამდენიმე კვირის წინ სამართალდამცველებმა გლდანის ეკლესია და მისი მრევლი (სავარაუდოდ კი თქვენი ამომრჩევლები) დაარბიეს. როგორ შეაფასებდით ამ ფაქტს?**

— ისინი ჩემი კი არა, გურამ შარაძის ამომრჩევლები არიან. კანონის წინაშე მორწმუნეც თანასწორია და ათეისტიც. სამართალდამცველებს ეკლესია არ შეუნგრევიათ, ეს არ ყოფილა საქართველოს საპატრიარქოზე დაქვემდებარებული ეკლესია. რა უნდა ვთქვა იმ კაცის მორალზე, რომელიც ეკლესიაში დაიმალება, კარს ჩარაზავს და ხატს ამოეფარება. სანამ დააპატიმრებდნენ, მკალავიშვილი გაიძახოდა — ჩემს შესაპყრობად რომ მოვიდნენ, ჩემით ჩავბარდები, ისე, როგორც იოანე ოქროპირიო. თავადაც დავინახეთ, რომ ბასილს ბევრი უკლია იოანე ოქროპირობამდე. სერიოზული ეჭვი და ინფორმაციებიც მაქვს, რომ მკალავიშვილი რუსული სპეცსამსახურებიდან იმართებოდა და ქართულ ეკლესიაში განხეთქილების შეტანას ცდილობდა. უკეთესი იქნებოდა, ბასილ მკალავიშვილი წინადღეს, სახალხო დამცველის ოფისში აეყვანათ. სამართალდამცველები, რომლებმაც ის პრესკონფერენციის დროს არ დააკავეს, დღესაც არ არიან დასჯილნი. ასევე დასასჯელია ის პირიც, რომელმაც მოხუც ქალბატონს მუშტი ჩაარტყა სახეში (ეს კადრი ყველამ ვნახეთ ტელევიზიით, თქვენს გაზეთშიც წავიკითხე ამის შესახებ, შემზარავი სანახაობაა). ეს კაცი უნდა მოიძებნოს და მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ძალაუფლების გადამეტების გამო.

ამ ქვეყანაში ვერავინ ვერ უნდა ამოეფაროს ვერც პოლიციის მუნდირს, ვერც პრეზიდენტის სავარძელს, ვერც მინისტრის სკამს, ვერც ეკლესიასა და ვერც სამლოცველოს. როდესაც ყველა თანასწორი იქნება კანონის წინაშე, მაშინ გვექნება ნორმალური ქვეყანა.

**იზო რუკაძე**

# „დაუწერელი კანონია — კილერს შემკვეთი პირადად არ ესაუბრება“

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

დღეს ჩვენ ვაკონტროლებთ ყველა მნიშვნელოვან ობიექტს — მეტროპოლიტენსა თუ სხვა ხალხმრავალ ადგილს. ეს დიდი სამუშაოა, მაგრამ არსებობს თანამშრომელთა ქსელი, რომელიც მის შესრულებას უზრუნველყოფს.

**— ანუ არაფრის უნდა გვეშინოდეს?**

— ამ ეტაპზე სერიოზული საფრთხე არ გვემუქრება. ერთსაც გეტყვით, დივერსიული აქტი რამდენიმენაირია. მისი ერთი სახეობაა სახელმწიფო მოხელეების ლიკვიდაცია, მეორე — ხალხმრავალ ადგილებში აფეთქებების მოწყობა და ამ გზით ხელისუფლებასთან ულტიმატუმის ენით ლაპარაკი. საბედნიეროდ, ეს ნაკლებად გვემუქრება — ასეთ აქტებს სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაკიდებული ქვეყნები თუ ორგანიზაციები მიმართავენ. ასეთ დროს მშვიდობიანი მოსახლეობა იღუპება და ესეც წამგებიანია ტერორისტებისთვის. ჩვენთან ტერაქტს უფრო დესტაბილიზაციის დაწყების ფუნქცია ექნება. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ დივერსიული აქტი სატვირთო ვაგონზე დაიგეგმა და არა სამგზავროზე.

**— დღეს ლაპარაკობენ პრეზიდენტის ლიკვიდაციის მცდელობაზეც.**

— ეს შემაშფოთებელი გარემოებაა. პრეზიდენტებზე თავდასხმის პრაქტიკა საქართველოში უკვე არსებობს. უფრო შემაშფოთებელია ის ფაქტორი, რომ ეს ბათუმის ციხიდან გამოყვანილ დამნაშავეებს უნდა გაეკეთებინათ.

**— რა გაქვთ მხედველობაში?**

— როგორც წესი, დამნაშავეებს ასეთი ოპერაციის ჩასატარებლად არ „ავერბოვკებენ“. ამას მხოლოდ მაშინ მიმართავენ, როცა ნამდვილი გეგმის დამალვა სურთ. მსხალაძე შეიძლება მართლაც გულწრფელად აღიარებს ყველაფერს, მაგრამ გამორიცხული არ არის, მარიონეტი აღმოჩნდეს — ანუ ე.წ. დეზინფორმაციის გავრცელების საშუალება. როცა კილერი პოლიტიკური მკვლელობის შეკვეთას იღებს, მას ამ მკვლელობით დაინტერესებული პირები პირადად არ ელაპარაკებიან — ეს დაუწერელი კანონია. ჩავარდნის შემთხვევაში, ნამდვილმა კილერმა შემკვეთის ჩაშვება რომც მოინდომოს, ვერ შეძლებს. ამიტომ გაანალიზება სჭირდება იმ ფაქტსაც, რომ მსხალაძეს აჭარის უშიშროების შეფი ესაუბრა. შეიძლება ეს ასეც იყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გენერალური გეგმა სწორედ ამას გულისხმობს.

**— თქვენ გინდათ თქვათ, რომ პრეზიდენტზე ტერაქტი შეიძლება მართლაც განხორციელდეს და ამას უფრო სერიოზული ძალა გააკეთებს?**

— საფრთხე ნებისმიერი ქვეყნის პრეზიდენტს ემუქრება. ცხადია, არც ჩვენი პრეზიდენტია გამონაკლისი. ამიტომ ნებისმიერი ვარიანტი უნდა გაანალიზდეს და შესაბამისი დასკვნები გაკეთდეს. ასეთ ვითარებაში სწორ დასკვნებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს — შეიძლება აჭარის ფაქტორს იყენებენ და სინამდვილეში კი უფრო სერიოზული ძალები მოქმედებენ. პრეზიდენტზე თავდასხმა დღეს მთელ ქვეყანაზე თავდასხმას ნიშნავს. ამ ქმედებით საქართველოში ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს. ქაოსის მიღებასაც არ გამოვრიცხავ, რაც ყველა ქვეყნისთვის დამღუპველია.

**— ვინ არის ამით დაინტერესებული?**

— მე მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ვინც ამით არის დაინტერესებული, მათ ხელში ასლან აბაშიძე უბრალო ფიგურაა.

**— რუსეთს გულისხმობთ?**

— აუცილებელი არ არის ტერორისტული აქტი სახელმწიფო დონეზე დაიგეგმოს. რუსეთში არიან გავლენიანი ჯგუფები, რომლებიც ბევრს კარგავენ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დღევანდელი რადიკალური პოლიტიკით. ეს ანგარიშგასაწევი ძალაა, მაგრამ ისიც იცოდეთ — საქართველოს პრეზიდენტი იმაზე უკეთაა დაცული, ვიდრე ვიღაც-ვიღაცებს წარმოუდგენიათ.

**დავით დევიძე**

# რომელი კვერცხი შევღებოთ სააღდგომოდ?

(დასაწყისი იხ. გვ. 13)

დამოუკიდებელი ექსპერტი დემურ კაპანაძე მიიჩნევს, რომ მომხმარებელი ვერც ადგილობრივი პროდუქციით მოწამვლისგან იქნება დაზღვეული, „მანამ, სანამ საქსტანდარტი თავს არ მოაბამს ახალი სტანდარტების შემუშავებას, ისინი ჯერ ისევ კომუნისტების დროინდელი „გოსტით“ ხელმძღვანელობენ. მას კი ვერც კვერცხის მწარმოებელი იცავს და ვერც სხვა. გოსტის სტანდარტებით კვერცხზე უნდა ეწეროს, დიეტურია იგი, სუფრისათვის თუ საკონდიტრო წარმოებისთვის განკუთვნილი. მარკირებაც ამის მიხედვით სხვადასხვა ფერით უნდა ჰქონდეს გაკეთებული. ჩვენი მეწარმეები კი სხვადასხვა ფერს საკუთარი გემოვნების მიხედვით ფირმის ლოგოს აღსანიშნავად იყენებენ და არა გოსტის სტანდარტის მიხედვით, რომელიც აუცილებლად მოითხოვს, კვერცხის გამოშვების თარიღის აღნიშვნას.

კვერცხი 7 დღის განმავლობაში ინარჩუნებს მაღალ კვებით ღირებულებას, მერე კი მისი ხარისხი თანდათან ეცემა. გოსტით განსაზღვრული ვადა რომ ამოეწურება, სარეალიზაციო ქსელიდან უნდა ამოიღონ. აქ კი მგონი მანამ უდევთ, სანამ არ აყროლდება. სიტუაცია აშკარად რთულია, მაგრამ გამოსავალი არსებობს. აუცილებელია ახალი საწარმოო და სავაჭრო სტანდარტების მიღება, მეწარმისათვის ხელის შეწყობა. საბაჟოზე კვერცხის შემოსატანი ბაჟის და გადასახადების ნიხრმა უნდა აიწიოს, რომ ექსპორტიორს აქ „ნაგვის“ შემოტანის სურვილი საერთოდ გაუქრეს.

თუ კვერცხის შეძენის დროს შევძლებთ დავიცვათ ყველა პირობა, სამაგიეროდ, პრაქტიკულად შეუძლებელია გავიგოთ, როგორი კვერცხისგან მზადდება ის პროდუქტები, რომელთა ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი კვერცხია. ფონდი „ქართული ხარისხის“ პრეზიდენტი გიგლა კუნჭულია მიიჩნევს, რომ „თუ მეწარმემ თვითონ არ თქვა უარი ფალსიფიცირებული კვერცხის შეძენაზე, მისი შემოწმება ძალიან გაჭირდება. მე რომ ნამცხვარმა მომწამლოს, მივადგები მის მწარმოებელს, ის კი მიპასუხებს, კვერცხის ბრალიაო და მეფრინველესთან გამიშვებს, ის კიდევ ქვას ააგდებს და თავს შეუშვერს, მე უდანაშაულო ვაროო. სამეწარმეო საქმიანობის შესახებ კანონმა უნდა დაარეგულიროს ეს საკითხი. ნამცხვრის მწარმოებელი იძულებული უნდა გახდეს, თვითონ მოაგვაროს საქმე ყველა კომპონენტის მწარმოებელთან, მოითხოვოს მათგან ჯანსაღი პროდუქტი, რომ ჩვენ დაცული ვიყოთ საფრთხისაგან და შესაბამისად ზარალისგან. ადგილობრივი მეფრინველეები კონტრაბანდული კვერცხის გამო იძულებული გახდნენ, ძვირად ღირებული დანადგარი ეყიდათ, რათა მათი პროდუქციის მარკირების გაყალბება ვეღარ მოხდეს. კანონმა თუ მათ სწორი გეზი მისცა, კონტროლის მექანიზმიც აეწყობა და აღარც პრობლემები გვექნება“.

ფაქტი ერთია: აღდგომამდე კანონებს ვერავინ შეცვლის და ვერც პრობლემები მოგვარდება ერთი ხელის მოსმით. სპეციალისტების მითითების თანახმად კი გირჩევთ, კვერცხი ისეთ სავაჭრო ობიექტებში იყიდოთ, სადაც მისი შენახვის სათანადო პირობები არსებობს და აუცილებლად, განსაკუთრებით კარგად შეამოწმეთ მარკირება.

**ეკა ლომიძე**


ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება

იყიდება მხოლოდ თბილისის ოფისიდან

უნივერსალური სასათბურე ფირები

გარანტირებული დაცვა

- მზის მავნე გამოსხივებისაგან
- ვირუსებისა და მწერებისაგან
- ცვარისაგან
- ტემპ. ცვალებადობისაგან
- მოყინვისა და ჩახურებისაგან
- გარანტია = 2 წ; 3 წ

სიახლე

მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილებით საქართველოში

შპს შალი, თბილისი, მარჯანიშვილის 5

ტელ: 267888; 969164; ტელ/ფაქსი: 969195;

მობ: 8.99. 569195; 899 931110

ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 3 აპრილიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,0000 |
| ევრო | 2,4660 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,7032 |
| რუსული რუბლი | 0,0702 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,5302 |


„ტრანსეროთის“ ფირმის

მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები

ძალიან იაფად

ფერები: თეთრი, ნაძვის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.

ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია

მის: წერეთლის 141 ა. „დიდუბის“ გვერდით

☎26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ფაქსი: 966-779

შპს „გეოკორი“

აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად



მის: აკურის ქ. №8 (საპარის სახალხ. უკან), ოთ. 110

ტ: 33-26-75; 38-24-02

შპს „პოლიგრაფისტი“ (სტამბა №17) გთავაზობთ:

- ბეჭდვას შოლკოგრაფიით როგორც ქაღალდზე, ასევე სხვა მასალაზე.
- ყველა სახის პოლიგრაფიულ მომსახურებას.

მის: სურამის ქ. №13 (რკინიგზის დეპარტამენტის უკან)

☎ 95-00-97

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. თივა, კიტრი და სათვალე

გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში ერთი მეტად გულუბრყვილო, ცოტა „შეუსტვინე" კაცი ცხოვრობს, ბახას ეძახიან. თავისი ორიგინალური, დაუფიქრებელი ფრაზებით ხან ამხიარულებს და ხანაც საკმაოდ უხერხულ სიტუაციაში აგდებს ხოლმე თანასოფლელებს. გაგანია საბჭოურ ეპოქაში, ვეჯინის კოლმეურნეობას თბილისელი ჟურნალისტები ეწვივნენ. სოფლის თავმჯდომარე წინ გაუძღვა საპატიო სტუმრებს და საკუთარი სამფლობელო ძირფესვიანად დაათვალიერებინა. ჯერი ძროხების ფერმაზე მიდგა, სადაც ზემოთ ნახსენები ბახაც იმყოფებოდა. ჟურნალისტების „მახვილ მზერას" არ გამოჰპარვია, რომ პირუტყვს სიგამხდრისგან ნეკნებს დაუთვლიდა კაცი. მათ შენიშვნაზე თავმჯდომარემ თავი მოისაწყლა, მწვანე ბალახს ნაჩვევები, თივას არ ეკარებიანო.



— მწვანე სათვალე გაუკეთეთ და თივა ნორჩ ბალახად მოეჩვენებათ... — ენამოსწრებულად იხუმრა ერთმა ჟურნალისტმა გოგონამ. ამის თქმა იყო და ბახამ ისეთი თვალებით შეხედა საცოდავ ჟურნალისტს, რომ თავმჯდომარეს დასცეცხლა. მიხვდა, სტუმრებთან თავის მოჭრა გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ სანამ რამის თქმას მოასწრებდა, ბახას პასუხმა არ დააყოვნა:

— მოდი, ერთი გოგონი, შენ გაიკეთე მწვანე სათვალე და ერთ ადგილას შამამხედე, ქორფა კიტრად მაგეჩვენება?..

***კობა ხატისაშვილი, თბილისი***

## 2. სანდრო ბაბუა

გურიაში განთქმული ვეტერინარი იყო სანდრო ბაბუა, ჩემი უფროსი მეგობარი. ერთხელ ბურვაკი გამიხდა ცუდად და მივედი მასთან. — გამოცდილი ვეტექიმი ხარ, იქნება გადამირჩინო ბურვაკი-მეთქი და მოვუყევი, რაც ჭირდა. მისმინა და გამოუტანა განაჩენი — არ გადარჩება მაი შენი ბურვაკიო...



— ძვირიანი წამალი რომ, გენტამიცინი, გაუკეთო, იქნება გადარჩეს... — შევეხვეწე.

— მომიტანე ნემსი და გოუკეთებ!

— შენ ახლა გაუკეთე და ხვალ ოზურგეთში წავალ და მოგიტან...

ერთხანს დაფიქრდა სანდრო ბაბუა, მერე შევიდა შინ, გაამზადა ნემსი და წამოვიდა. კაკალებს ჩემი ღორი. უფრო გამოცდილმა ვეტექიმმა მოჭყუტული თვალით და ხელმეორედ დაუსვა „დიაგნოზი".

— მოჭერი თავი, არ გადარჩება!

— გოუკეთე მაგი ნემსი, შე კაცო, თუ არ გადარჩება, რა ვქნა!..

გაუკეთა ნემსი და წავიდა. გათენდა, ვხედავ, ჩემი ღორი გაცინულია... გავიქეცი ბაბუასთან. ნუგეში შენთვის დამეჯახებინა და დამშლა — ვუთხარი. მერე კი დავინდე, ნუგეშა გენტამიცინი მაინც არ დაგეხარჯა-მეთქი. თვალმოჭუტულმა გადმომხედა, — შენ მე გიჟი ხომ არ გგონივარ, შენი მომაკვდავი ღორისთვის გენტამიცინს გავაფუჭებდი? წყალი გოუკეთე, წყალი!..

***ჯეისონ კაშია, თბილისი***

## 3. ბუმბერაზი „ცირკაჩი"



გასული საუკუნის 60-იან წლებში თბილისში მოსკოვის სახელმწიფო ცირკის გასტროლის დროს, მოსკოველებმა ერთი ბუმბერაზი „ცირკაჩი" ჩამოიყვანეს. მაშინდელ პლეხანოვის პროსპექტზე ცხოვრობდა ერთი ძალზე დაბალი კაცი, მეტსახელად ავეტიკა. ჰოდა, ამ ავეტიკამ იყიდა ცირკის ბილეთი და შევიდა გოლიათი კაცის სანახავად. თანაც ისე დაემთხვა, რომ სულ წინა რიგში მოუწია დაჯდომა. როცა გოლიათმა ეს ნამცეცა კაცი დაინახა, ჰკითხა, რამდენი გადაიხადე ბილეთშიო?

— ათი შაური! — უპასუხა ავეტიკამ მკვირცხლად.

მაშინ ამ დიდმა კაცმა ამოიღო ხუთმანეთიანი და გაუწოდა, თან დასძინა: — არც მე მინახავს შენისთანა პატარა კაციო!

***ისიდორე კიკნაველიძე, თბილისი***

# ყურადღება!

## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ" მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

**კურიოზების კონკურსი**

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ____

**კვირის პალიტრა №14**

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 7 აპრილის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 8 აპრილის 13 საათამდე.*

## გამოვლინდნენ კურიოზების კონკურსის შემდეგი გამარჯვებულები:

პირველი ადგილი და პრემია — 50 ლარი მკითხველმა მიანიჭა „კვირის პალიტრის" მე-12 ნომერში გამოქვეყნებულ კურიოზს — „შპიონი" — 41,7%, ავტორი — **ჯანო ონიანი,** ქუთაისი. II-III ადგილები თანაბრად გადანაწილდა კურიოზებზე — „მოყვრები" (25,0%), ავტორი — **ალიკო ბარათაშვილი,** თერჯოლის რაიონი, სოფელი ძევრი (№10) და „ანეკდოტები კუპეში" (25.0%), ავტორი — **მამუკა ნიშნიანიძე,** ქუთაისი (№11). როგორც ვხედავთ, მათ ზუსტად ერთნაირი რაოდენობის ქულები მოაგროვეს და ამიტომ ორივე მათგანი 25-25 ლარს მიიღებს.

გამარჯვებულებს პრიზების მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 7 აპრილს, 17 საათსა და 30 წუთზე.

**კურიოზების კონკურსი გრძელდება!**

**3 მაისის ნომერში თქვენ შეიტყობთ აპრილის თვის გამარჯვებულთა ვინაობას.**

**წარმატებებს გისურვებთ!**

## 4. როგორ შეაშინეს სუკის გენერალი



მურმანი და მისი მეგობრები სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდნენ. საგამოცდო სესიებისთვის თანაჯგუფელ ნუნუსთან ემზადებოდნენ. ნუნუ თბილისის ერთ-ერთი პრესტიჟული სახლის პირველ სართულზე ცხოვრობდა. ზედა სართულზე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის იმჟამინდელი თავმჯდომარე, გენერალი ინაური ბინადრობდა.

ერთ დილას მეგობრები მივიდნენ ნუნუსთან სამეცადინოდ. კარი ნუნუს დედამ გაუღო და ბიჭები შეიპატიჟა: — ნუნუ ახლავე მოვა, პურზეა წასულიო. ბიჭებმა გადაწყვიტეს, გოგონას სადარბაზოში დალოდებოდნენ. მართლაც, მალე დაინახეს სახლში მომავალი თანაკურსელი პურით ხელში. გადაწყვიტეს გოგონას შეშინება და სადარბაზოს კარს უკან დაიმალნენ. რამდენიმე წუთში კარიც გაიღო და სამივემ „ბუუუჰ" შესძახეს.

... ქალის შეკივლების ნაცვლად გაისმა მამაკაცის განწირული ყვირილი: — ეტა პროვოკაცია!..

თურმე გენერალი ინაური ღამის მუშაობით დაქანცული, ღამენათევი შინ ბრუნდებოდა. მისმა მანქანამ გამოასწრო ნუნუს. გენერალმა მძღოლი და დაცვის თანამშრომელი გაისტუმრა და სადარბაზოს კარი თავად შეაღო. არადა, გენერალს რომ ინსტრუქცია არ დაერღვია და პირველად დაცვის თანამშრომელი შეეშვა სადარბაზოში, ვინ იცის, რა მოხდებოდა. ბეწვზე არიან გადარჩენილი დღეს ქალაქში კარგად ცნობილი მედიკოსები.

***ზ. ო., თბილისი***

## 5. ერთკვირიანი „შრომა-გამასწორებელი" სამუშაოები მოსკოვში

80-იან წლებში სამსახურიდან ერთი თვით კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე გამგზავნეს მოსკოვში. ჩავფრინდი, მოგეხსენებათ, მაშინ სასტუმროს პრობლემა იყო საბჭოეთის დედაქალაქში. აეროპორტშივე ერთმა ახალგაზრდა ტაქსისტმა „გამომიჭირა". მომთხოვა 50 მანეთი და სასტუმროში მოწყობაც თავის თავზე აიღო, შევთანხმდით. მოკლედ, შემოიარა ნახევარი მოსკოვი და ვერა და ვერ შეძლო ჩემი სასტუმროში დაბინავება. რა ექნა, სიტყვა სიტყვააო და წამიყვანა თავისი სიდედრის, საკმაოდ ახალგაზრდა ქალბატონის, ვალიას ბინაში. ვალია ოროთახიან ბინაში მარტოდმარტო ცხოვრობდა. ერთი ოთახი დამითმო და თავი უცხოდ არ იგრძნოო, მითხრა. გაიმართა გვიანი, მაგრამ ერთობლივი ვახშამი. ვოვამ (ტაქსის მძღოლმა) თავისი მეუღლეც გამაცნო. ერთად ვივახშმეთ. რა თქმა უნდა, ბლომად მქონდა წაღებული ქართული კონიაკები და მშრალი ღვინო. ვახშამმა გვიანობამდე გასტანა... მე ჩემთვის განკუთვნილ ოთახში შევედი. ახალი ჩაძინებული ვარ და... ვალიამ, ვოვას სიდედრმა შემაღვიძა (უკვე ჩემს საწოლში გადმობარგებულმა). მოკლედ, ის ღამე „თეთრად" გავათენე... დილით ვალიას წასვლა იყო სამსახურში და ჩაძინებაც ვერ მოვასწარი, რომ ვოვას მეუღლე, ნატაშა შემოვიდა. გემრიელი საუზმისა და კონიაკის შემდეგ ისევ ლოგინში აღმოვჩნდი, ამჯერად ნატაშასთან ერთად. მოკლედ, ასე გრძელდებოდა ერთი კვირა. ნატაშა წავიდოდა, ვალია მოვიდოდა, ვალია წავიდოდა, ნატაშა მოვიდოდა... არადა, ხომ ვერ გავამხელდი რომელიმესთან ამ „სადღეღამისო" მუშაობის შესახებ. ერთ კვირას „გავუძელი" და ვთხოვე ვოვას, თავს ცუდად ვგრძნობ, ეტყობა, მოსკოვის ჰავა ვერ ავიტანე და უნდა წავიდე-მეთქი. ვოვამაც უფასოდ გამაქანა აეროპორტში და როგორც იქნა, ჩამოვლასლასდი თბილისში.



ასე ავიმაღლე „კვალიფიკაცია" დიდ მოსკოვში...

P. S. ვინაობის გამხელა არ მსურს. ეს ამბავი კი მართლა მოხდა.

***„უცნობი"***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტები



**6.** სვანმა ქუჩაში ყავარჯნებით მიმავალი კაცი დაინახა:

— ძმაო, სიარული გიჭირს?

— კი, ძალიან...

— მოიტა, მაგ ჯოხებს მე წამოვიღებ!..

***ალიკა ხ., სურამი***

**7.** ტაქსის მძღოლი სვან გოგოს ეუბნება:

— გოგონი, ჩაჯექით, მიგიყვანთ!

— არ მცალია, მეჩქარება...

***მარინა მკრტიჩიანი, თბილისი***





**8.** — დედიკო, მამაჩემი მორცხვი კაცია?

— აბა, რა, თორემ, ახლა შენ 5 წლით უფროსი იქნებოდი.

***მარინა მ., თბილისი***

**9.** — რაიზა ხარ, ჭიჭიკია მოწყენილი?

— ცოლი ზღვაზე მიდის, სამი კვირით, დასასვენებლად...

— მერე მაგას რა ჯობია, ბიჯო?

— თუ მაგრა არ მევიწყინე, გადეიფიქრებს!

***თამაზ ხელაძე, ვანის რაიონი, სოფელი ზეინდარი***



## მილოცვა



**გვანცა მუზაშვილს!**

*ჩვენო სიხარულო, ჩვენო თვალბრიალავ,*
*ღმერთმა არ მოგაკლოს სიკეთე,*
*გაიზარდე კარგი, სასახელო ქალი,*
*შენზე ვამყარებთ იმედებს.*
*გზები გქონდეს მუდამ გაზაფხულის დარი,*
*გული სიყვარულით გიძგერდეს...*
*მამიდა, ბებია და პაპა*

**მირანდა ცენტერაძეს და გია ნაკაიძეს!**

გილოცავთ პატარა ნიკას დაბადებას. გისურვებთ სიხარულს, სიყვარულს და ჯანმრთელობას.

*კეთილი სურვილებით: ბებიები, ბაბუები*

## ბინები

იყიდება 2-ოთახიანი ბინა 2(3) დიდი ლოჯიით, ევრორემონტით, წაბლის კარ-ფანჯრით, მუხის პარკეტით, ჭერი 3,5 მ, ს/ფ 80კვმ, სველი წერტილები კაფელით. ფასი $28000. მის: ალმაშენებლის №197. ტელ: 36-39-47; 899 24-66-77

ქირავდება საცხოვრებლად ან საოფისედ ს. ჩიქოვანის (ყოფ. ხალიანის) ქუჩაზე, I სართულზე 2-ოთახიანი ბინა ევრორემონტით, რკინის კარით, გისოსებით, ბ/აირით, საკაბელო ტელევიზიით, ტელეფონით, მაცივრით, საჭირო ავეჯით. ფასი 170$. ტელ: 899 50-96-10. გიორგი

ქირავდება 4-ოთახიანი, 130 კვმ ბინა უცხოელებზე, ვაკეში, თამარაშვილის ქუჩაზე, ახალაშენებულ სახლში, მ/დენით, ბ/აირით, თერმექსით, ტელეფონით, III სართულზე. ბინა საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს. შეთანხმებისამებრ (ხელშეკრულებით) შესაძლებელია პირველი თვეების ქირით გარემონტდეს 20 დღეში. ტელ: 22-78-56; 893 12-25-05; 893 12-70-37

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიღუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს ბიზნესპარტნიორები. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 893 33-18-86

გთავაზობთ პარტნიორობას განვითარებად საერთაშორისო კომპანიაში, სადაც გეძლევათ საშუალება, მუშაობის თავისუფალი გრაფიკით გამოიმუშაოთ დამატებითი ზრდადი შემოსავალი ასაკისა და პროფესიის მიუხედავად. მსურველებს ვიხმობთ რეგიონებიდანაც. ინფორმაცია უფასოა. ტელ: 94-01-64 (18-24 სთ)

ყურადღება! საინფორმაციო ბიზნესის სფეროში მომუშავე დისტრიბუტორებისთვის გვაქვს საქმიანი შემოთავაზება. საწყისი ანაზღაურება 20%-ია სავალდებულო ყოველთვიური ბრუნვის გარეშე. ტელ: 30-09-49 (20 სთ-ის შემდეგ); 893 37-33-00

## მომსახურება

სუპერსიმაღლე – თვეში 3-4 სმ, 25 წლამდე; გახდომა-გასუქება – თვეში 7-20 კგ წონის შენარჩუნებით. დაგეხმარებით აბსოლუტურად მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული პრეპარატებით. შედეგები გარანტირებულია. საერთაშორისო კონსულტანტი მედეა. ტელ: 98-86-19; 899 51-18-20

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველსავე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

## მკურნალობა

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

გაჯანსაღება უახლესი მცენარეული საშუალებებით: თამბაქოსა და ალკოჰოლიზმისაგან გათავისუფლება, ნევროზები, უძილობა, კუჭის წყლული, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, თმის ცვენა, ალერგია, ასთმა, შარდის შეუკავებლობა, ართრიტი, ართროზი, წონის კორექცია, ფსორიაზი, კატარაქტა, სოკო, დიფუზიური ჩიყვი. ტელ: 32-39-46; 899 16-44-59. ნათია

ალერგია! გთავაზობთ ევროპაში მიღებული გერმანული და ფრანგული ალერგენებით შემდეგი დაავადებების მკურნალობას: ბრონქული ასთმა, პოლინოზი, რინიტი, ალერგიული დერმატიტი – საუკეთესო შედეგებით. ექიმი ჯულიეტა პეტაშვილი. რკინიგზის საავადმყოფო (ვაგზალთან), V სართ. ალერგოლოგიური განყოფილება (11-14 სთ). ტელ: 899 22-26-37

პროსტატიტი, იმპოტენცია, სპერმის უხარისხობა, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლული, ართრიტი, ართროზი, სოკო, ბუასილი, კოლიტი, პარადონტოზი, შარდის შეუკავებლობა, ასთმა, ალერგია, ქრ. ბრონქიტი, წონის კორექცია. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 899 72-39-20. ნოდარი

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t = 37,2°C), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი", ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

ნევროზები, შიში, დეპრესია, უძილობა, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, კოლიტი, ბუასილი, ვარიკოზი, კანის პრობლემები (ფსორიაზი, სოკო), ინფარქტისა და ინსულტის შემდგომი პერიოდი (აღდგენითი პროცესები), სისხლძარღვოვანი პროცესები, ჰიპერტონია, პრობლემატური კლიმაქსი. (კრემლის ყოფილი ლაბორატორიის ბაზაზე შექმნილი V თაობის პრეპარატებით. აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდით). ტელ: 53-08-02 ნინო

სიახლე! თამბაქოსა და ალკოჰოლისაგან გათავისუფლება სპეციალური პროგრამით; ფსიქოლოგიური და ფიზიკური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება; ორგანიზმის გაჯანსაღება ამ დაავადებების გართულებებისაგან: ჰეპატიტები, ნევროზები, უძილობა, აგრესიულობა მაქსიმალური შედეგებით. კონსულტაციისთვის დაგვიკავშირდით: 99-75-90; 893 36-87-62. ავთანდილი

აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდით პროდუქცია, რომელიც კურნავს: ნევროზს, უძილობას, შიშებს, დეპრესიას, თავის ტკივილებს, ჰიპერტონიას, ინსულტის შემდგომ პერიოდს, ვარიკოზს, ბუასილს, კოლიტს, თვალის დაავადებებს, ფსორიაზს, კუჭის წყლულს, სახსრებს, ქრონიკულ ბრონქიტს, კლიმაქსს; ანტითამბაქო, ანტიალკოჰოლი, აგრეთვე კოსმეტიკა. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული, უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილების დაგროვება), პოდაგრა, რევმატიული პოლიართრიტი. მკურნალობა ეფექტურია პირველივე დღეებიდან. მიღება წინასწარი ჩაწერით. მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან", ც. დადიანის №87), კაბ. №11, 14-17 სთ, ტელეფონზე: ტელ: 61-02-97; 39-39-97; 899 57-16-99. ექიმი ალექსიშვილი

გაჯანსაღება უახლოესი მეთოდით, მაქსიმალურად სწრაფი შედეგებით: ანტითამბაქო, ანტიალკოჰოლი, ნევროზი, უძილობა, დეპრესია, თავის ტკივილი, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, შარდის შეუკავებლობა, ცისტიტი, ასთმა, ალერგია, სახსრები, რევმატიზმი, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ბუასილი, კოლიტი, კუჭის წყლული, კატარაქტა, სოკო, ფსორიაზი. ტელ: 893 96-50-32. მაია

ნევროზები, ნევრიტები, უძილობა, სახსრების მარილოვანი დაავადებები, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, ართრიტი, ართროზი, თმის ბუდობრივი ცვენა, ვენების ვარიკოზული გაგანიერება. ტელ: 99-75-90 (12-18 სთ). გიორგი

ალკოჰოლიზმისაგან გათავისუფლება, გაჯანსაღება, ქრონიკული ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან გამოწვეული გართულებების აღმოფხვრა, ჰეპატიტები, თამბაქოსაგან გათავისუფლება, კრემლის ყოფილ ლაბორატორიაში შექმნილი ექსკლუზიური, სერტიფიცირებული პრეპარატებით. პრეპარატებს უკუჩვენება არ გააჩნია. (მკურნალობა შეიძლება პაციენტის სურვილისაგან დამოუკიდებლად – ოჯახის წევრის მიერ ფარულად). ტელ: 899 22-63-90 ნინო

ვმკურნალობთ უახლესი მეთოდებით მეტყველების დარღვევას, ენაბლუობას (ლოგონევროზი), ენაჩლუნგობას. რესპუბლიკური რეაბილიტაციის ცენტრი, ლოგოპედიური განყოფილება. მის: ვაჟა-ფშაველას №18ა. ტელ: 39-01-12 (სამს.); 23-12-89 (ბინა); 899 78-23-12. ლომთათიძე ლალი

ალერგენების კომპიუტერული დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ლოგონევროზი-ენაბლუობა) მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით, ლიცენზირებულ სამედიცინო ცენტრში, მაღალი შედეგებით. მის: ვაჟა-ფშაველას 16, მე-13 სართ (ყოფ. მშენებლობის სამინისტროს შენობა), რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ექიმი ზურაბ ხარიაშვილი. 10-16 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა)

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 20-19-66

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაკი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი „მზიური". კომპიუტერის შემსწავლელი კურსები, თანამედროვე ტექნიკა, საუკეთესო მეთოდიკა, ქართულენოვანი ლიტერატურა, სათანადო სერტიფიკატი. მის: უზნაძის ქ. №70. ტელ: 29-48-61

შევასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail, საგამომცემლო და გრაფიკა: Page Maker, PhotoShop., CorelDraw; Quarkxpress, AutoCAD, Arcicad, 3d-MAX; veb-დიზაინი: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის. მ. „რუსთაველთან", რესტორან „სამოთხის" უკან. გაბაშვილის ქ. 7. ტელ. 98-80-23

სწავლება კოსმეტიკის კურსებზე, სააღდგომო 40%-იანი ფასდაკლებით. შეისწავლება: სახის კანის დეფექტები, მკურნალობა, მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), მასაჟი, ეპილაცია, კანის გაწმენდა, ნიღბები, რძეები, ლოსიონები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ალმაშენებლის №90 (მ. „მარჯანიშვილთან"), I სად, II სართ. ტელ: 95-47-67; 66-53-56; 893 33-09-66

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი ატარებს სასწავლო კურსს – ინგლისური ენა იურისტებისათვის (კონსტიტუცია სამართალი). სწავლა ფასიანია. კურსდამთავრებულები მიიღებენ სერტიფიკატებს. საბუთები მიიღება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 12-16 სთ, 2004 წლის 15 აპრილამდე. მის: იუსტიციის სასწავლო ცენტრი, რუსთაველის №30 (იუსტიციის სამინისტრო). ტელ: 98-42-69; 75-83-23; ელ. ფოსტა: T.C.@ justice.gov.ge

## იყიდება

იყიდება ა/მ Mercedes-Benz ML-320, ჯიპი, 1998 წლის, ახალი ჩამოყვანილი, ტყავის სალონით, სრული ელექტროპაკეტით, გარბენი – 91000კმ. ფასი $25000. ტელ: 899 56-79-23

ა/მ „ფორდ-მონდეო", ქარავანი, 1993 წლის, თეთრი, ძრავი 2.0, გარბენი 157000კმ, მექანიკა, ცენტრალური საკეტით, აბს, ჰიდრავლიკა, ლუკით, 2 აირბალიშით, ახალი საბურავებით, ალუმინის დისკებით, ახალი ჩამოყვანილი, განუბაჟებელი. ს.ფ – $3500. ტელ: 893 32-14-12

ხეხილის ნამყენი ნერგები, უწამლო ვაზები, ვარდები, როზმარინი, იასამანი, იუკა, ტირიფი, ცაცხვი, ნუში, კაკალი, კვიპაროსი, მოცხარი, ჟოლო, ჟასმინი, ტუია, კედარი, ფიჭვი, ნეკერჩხალი, ლუგუსტრუმი. გვყავს პროფესიონალი მებაღე-დეკორატორი. მის: სანერგე მეურნეობის დასახლება (თბილისის ზღვასთან). ტელ: 69-97-05. გივი; 899 16-93-15. ამირანი

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

## სხვადასხვა

**ერისკაცებო, ბიზნესმენებო!**

იმზინეთ ვედრება ჩემი, გადაარჩინეთ სახელმწიფო სტრუქტურაში დარჩენილი ერთადერთი 125 წლის №1 აფთიაქ-მუზეუმი. ნამდვილად არ ეკადრება 1550 წლის დედაქალაქ თბილისს ასე უყურადღებოდ მიტოვებული იუბილარი აფთიაქი რომ ჰქონდეს. 1986 წელს შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში წამალი შევიძინე კარლ შეელეს სახელობის 200 წლის აფთიაქში. ამ აფთიაქს შვედები თვალისჩინივით უფრთხილდებიან. 18 წლის წინათ იქ ვნახე კომპიუტერული მომსახურება და მას შემდეგ ვოცნებობ, რომ №1 აფთიაქში 2 კომპიუტერი გვქონდეს, მაგრამ ამაოდ.

ერისკაცებო! აფთიაქი თქვენი ერის კულტურა და ისტორიაა. დაგვეხმარეთ ისტორიული ძეგლის გადარჩენაში.

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი ადვოკატებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის აწყობს საჯარო ლექციას თემაზე– საპროცესო შეთანხმება, ბრალდებულის დახმარება და თანამშრომლობა გამოძიებასთან; საპროცესო შეთანხმების სამართლებრივი შედეგები. ლექციას ჩაატარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ნინო გვენეტაძე. ლექცია ფასიანია. ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ქ. თბილისი, რუსთაველის №30 (იუსტიციის სამინისტრო). ტელ: 9+8-42-69; 75-83-23

საქართველოს აიკიდოს ფედერაცია იწვევს მსურველებს საქართველოს რეგიონებიდან საინსტრუქტორო ვარჯიშებზე. მომავალში დაგეხმარებით რეგიონალური კლუბების გახსნაში. მის: ალმაშენებლის გამზ. №95 (ორშაბათი-ოთხშაბათი-პარასკევი, 20 სთ-დან). ტელ: 64-28-64; 899 51-85-24

მიმდინარეობს შპს „კანარგო სტანდარტ ოილ პროდუქტი – სამტრედია"-ს ლიკვიდაცია. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტა ხეთაგუროვის ქუჩა. დირექტორი-ლიკვიდატორი კარლო შენგელია.

**LCG**

law consulting group

საადვოკატო-საკონსულტაციო ჯგუფი

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საადვოკატო-საკონსულტაციო ჯგუფი" – „LCG" (ელ-სი-ჯი)**

**გთავაზობთ სამართლებრივ მომსახურებას შემდეგ საკითხებში:**

- სამეწარმეო-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- კონსულტაციები და ინტერესების დაცვა საგადასახადო და საბაჟო საქმეების წარმოებისას;
- სახელშეკრულებო ურთიერთობების გაფორმება (ხელშეკრულებების პროექტების მომზადება);
- მიწასთან ან სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირება;
- შრომითი-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- აუდიტორული მომსახურება;
- უფლებების წარმოდგენა და დაცვა სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში;
- სანოტარო მომსახურება;
- კონსულტაციები სამართლის სხვა დარგებში.

მის: ლესია უკრაინკას ქ. №3

☎ (+995 32) 92 11 60; 98 39 38

ფაქსი: (+995 32) 98 39 38

## თბილისში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო აცხადებს ფოტოკონკურსს თემაზე:

## „პოლონური კვალი საქართველოში"

*კონკურსის პირობები:*

1. ორგანიზატორია თბილისში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო.
2. კონკურსი ღიაა და მასში მონაწილეობა შეუძლიათ ყველა ფოტოგადაღებით დაკავებულს საელჩოს თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების გამოკლებით.
3. საკონკურსოდ უნდა გამოიგზავნოს ფერადი ან შავ-თეთრი, გლუვ ქაღალდზე დაბეჭდილი ფოტოსურათები ზომებით 20X30სმ, მისამართზე: პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო, ძმები ზუბალაშვილების ქ. 19, 0108 თბილისში.

ფოტოსურათს ან ფოტოსურათებს _ მაქსიმუმ 10 ერთი მონაწილესგან უნდა ახლდეს შემდეგი მონაცემები: ავტორის გვარი და სახელი, ასაკი, ფოტოსურათის გადაღების ადგილი, ზუსტი მისამართი კორესპონდენციისათვის, ტელეფონის ნომერი ან იმეილის მისამართი. და გამოიგზავნოს წარწერით **„KONKURS"** ან პირადად მოტანილ იქნას საელჩოში. საკონკურსოდ შეიძლება გამოიგზავნოს კომპლექტები შედგენილი არაუმეტეს 5 ფოტოსურათისგან. კომპლექტებზე უნდა მიეთითოს, ხოლო ფოტოსურათები დაინომროს იმ თანმიმდევრობით როგორც საჭიროა მათი დათვალიერება.

4. ნამუშევრების მიღების ვადა იწურება 2004 წლის 30 აპრილს. ამის შემდგომ გამოგზავნილი ნამუშევრები ვერ მიიღებენ კონკურსში მონაწილეობას. ითვლება ნამუშევრების მიღების და არა საფოსტო შტამპის თარიღი.
5. ნამუშევრები შეფასდება საელჩოს მიერ არჩეული ჟიურის მიერ. კონკურსის გამარჯვებულები მიიღებენ შემდეგ პრიზებს: ფოტოაპარატებს **Minolta Dynax 404si, Olimpus Camedia C-150, SONY DSC-P30.**
6. გამარჯვებულებს მოგების შესახებ ეცნობებათ მათ მიერ გამოგზავნილი საკორესპონდენციო მისამართის მიხედვით.
7. ყველაზე საუკეთესო ნამუშევრები რჩება საელჩოს საკუთრებაში საელჩოს შენობის შიგნით გამოსაფენად.
8. ორგანიზატორი იტოვებს უფლებას მიღებული ფოტოსურათები გამოიყენოს უფასოდ კონკურსის მიზნებისათვის და აგრეთვე კონკურსის შემდგომი გამოფენისათვის.
9. ჟიურის გადაწყვეტილება საბოლოოა. საკონკურსოდ ფოტოსურათების გამოგზავნა ტოლფასია მათი გამოყენების უფლებაზე თანხმობის და მოცემული პირობების აღიარებისა.
10. საკონკურსოდ სურათების გამოგზავნით მონაწილე იძლევა თანხმობას მისი კოორდინატების საელჩოს მონაცემთა ბაზაში შეტანაზე და კონკურსის მიზნებისათვის შემდგომ გამოყენებაზე.
11. საელჩო არ აბრუნებს გამოგზავნილ სურათებს და იტოვებს საკუთრებაში.



## თემურ ურუშაძის მონატრება

გაზაფხულს გილოცავ, დედიკო, ჩემო ლამაზო და მონატრებულო შვილო. მიილია უშენობით სიხარულწართმეული 11 თვე. ჩემო პატარავ, 23 წლისამ დაასრულე შენი ხანმოკლე სიცოცხლე. აკადემიაში ასაკით ყველაზე პატარა იყავი, სამსახურშიც „მალიშის" სახელით გიცნობდნენ. ახალ სამსახურზე ოცნებობდი, ბევრს მპირდებოდი, დედიკო, მაგრამ მოხდა საოცრება... ვინ გაგიმეტა 4 ივნისს, ვინ მომიკლა შენი თავი? ისევ დაგეძებ, დედიკო, მაგრამ ვერსად გპოულობ. შენი ცხედარიც არ მაჩვენეს, დედა. კიდევ გეძებ, ბევრს გეძებ მანამ, სანამ არ გიპოვი.

შენი ხანმოკლე სიცოცხლით ბევრი სიკეთე დათესე, დედიკო, არა მარტო ჩვენი ოჯახისთვის, არამედ ყველასთვის — ვინც კი გიცნობდა.

ძალიან, ძალიან მენატრები, კიდევ გელოდები, დედიკო. ღმერთს ვთხოვ, მალე მაპოვნინოს შენი თავი.

*ნაზი*

## ზინა კოტრიკაძის, მიხეილ ლომინეიშვილის მონატრება





მუხლმოყრით ვევედრებით წმინდა სამებას: მამა ღმერთს, ძე ღმერთს — მაცხოვარს ჩვენსას იესო ქრისტეს და სულიწმიდას, ნათელში ამყოფოს თქვენი სულები და, როგორც ყველა ადამიანს, თქვენც მოგიტევონ ამქვეყნიური ცოდვები.

რაც მეტი დრო გადის თქვენი გარდაცვალებიდან, მით მეტად გვიძლიერდება თქვენი ნატვრა.

თქვენი შექმნილი ოჯახი ვმრავლდებით ღმერთის შეწევნით, უბრალო და მარტივი ცხოვრებით ვცხოვრობთ, როგორც თქვენ გიყვარდათ. შეგიძლიათ მშვიდად იყოთ.

დაე, ნურაფერიააფორიაქებს თქვენს სულებს. მშვიდობით, ჩვენო ძვირფასებო.

*დოდო, ზაალი, რუსუდანი, მურმანი ოჯახებით*

## ჟორა კვანტალიანის გახსენება



წელიწადი გავიდა... ვერა და ვერ ვეჩვევით წარსულ დროში შენს ხსენებას... გვაკლია შენი იმედიანი სიტყვა და თბილი იუმორი...

ტკივილიანი მონატრება არ გვიშრობს ცრემლებს... ვერასოდეს დაგივიწყებთ...

ნათელში იყოს შენი სული...

*ნატო ღვინჯილია*



## ნოდარ ჯაიანის ხსოვნას!

ერთი წელი გავიდა, რაც შენ ჩვენ გვერდით აღარ ხარ, ძვირფასო მამავ, ერთგულო მეუღლევ, მოსიყვარულე ბაბუავ. ყველა გიყვარდა და ყველას უსაზღვროდ უყვარდი. შენ გარშემო დიდი სითბო და ალერსი იფრქვეოდა. დაე, ყველა ჩვენგანის სიყვარულმა, მონატრებამ, შენს სახელზე დანთებულმა სანთლებმა, შენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ უფლის შეწევნით დაგიმკვიდროს ნათელი სამუდამო სასუფეველში.

*მეუღლე ეთერი, შვილი მზია, შვილიშვილები, შვილთაშვილი*

## ზურაბ ჩიკვილაძეს!



გვენატრები, ზურა, გავიდა 20 წელი იმ უბედური დღის შემდეგ, თავზარი რომ დაგვეცა. უშენოდ შევხვდით შენი დაბადების 50 წლისთავს.

*კაცი იყავი კაცური,*
*გულმართალი და ალალი,*
*ჩვენს გვარ-ჯილაგში*
*გვყოლოდნენ*
*შენნაირები მრავალი*

*მურმანი, ბესო, თინიკო, ნიკო*

## ლევან მურუსიძის ხსოვნას!



უშენობის ოცდაორი წელი მიიწურა... თავზარი დაგვცა პირველი შვილის ბედნიერებით გახარებულ დედ-მამას შენმა გარდაცვალებამ. ხუთ წელიწადში წახვედი და დაგვტოვე დამწუხრებულები. მას შემდეგ ბევრი სიხარული განვიცადეთ, როემლსაც თან ახლდა შენგან გამოწვეული დიდი მწუხარება. დავაქორწინეთ შენი მეუღლის და-ძმა, რომლებიც საკუთარი დედმამიშვილებივით შემოგციცინებდნენ თვალებში. გვწამს, რომ ჩვენს სიხარულს უერთდებოდა შენი წმინდა სული სამუდამო სასუფევლიდან.

უშენობით გამოწვეულ დარდს გვიმსუბუქებს შენი დატოვებული ცოლ-შვილი, რომლებმაც გაამაგრეს და გააძლიერეს შენი ფუძე. აღზარდა შენმა მეუღლემ სასახელო შვილი და დარჩა მხოლოდ ერთი — სურვილი დააქორწინოს იგი და შენს ფუძეზე გაჩნდეს შენი სახელის გამგრძელებელი პატარა ლევანიკო.

გწამდეს, შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

*ნორა, კაპიტო, ელგუჯა და ნანი მინდიაშვილები*

## გიორგი (ჟორა) ბაგდასაროვის მონატრება



უთქმელად, ჩუმად გაგვეცალე, დღეები გადის ტკივილითა და ცრემლით სავსე. გვაკლიხარ და გვენატრები ყველას, დიდი და თბილი გულის პატრონი, საოცრად ყურადღებიანი იყავი. ყველას გაჭირვებას იზიარებდი, ირგვლივ მყოფთა გაჭირვება და ტკივილი საკუთარივით მიგქონდა გულთან. ამიტომაც გიმტყუნა იმ კეთილმა გულმა, რომელიც ყველას სიყვარულს იტევდა. ჩემო მოუშუშებელო ტკივილო, საშინელ სიცარიელეს, უშენობა რომ ჰქვია, ვერაფერი შეავსებს. ვერასოდეს შევეგუები შენს გარდაცვალებას და თვალიც ვერ გადაეჩვევა შენს ლოდინს.

ტკივილამდე მენატრები. უფალს ვთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი ელენე ბუხრაშვილი*

## მურად (იურა) ოთარის ძე თუთაშვილის ხსოვნას!



დაბადებისა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ერთად გილოცავთ, მურად! ჩვენო საამაყო და საფიცარო ვაჟკაცო. წახვედი მოულოდნელად და დაგვიტოვე მოურჩენელი გულისტკივილი.

დრო არ ყოფილა ყველაფრის მკურნალი, მით უფრო — უშენობის. გვიჭირს შენ გარეშე შენს უბედურ მშობლებს, მეუღლეს, შვილებს, რომლებსაც ახლა უნდოდათ მათი მოსიყვარულე და ლამაზი მამიკო; შენს დებს, სიძეს, დისშვილებს... ყველას გვენატრები და გვიყვარხარ.

10 აპრილს უკვე მეოთხედ შევიკრიბებით შენს საფლავთან და მოგილოცავთ დაბადების დღეს შენი უახლოესი ადამიანები. უშენოდ დარჩენილებს სიკვდილის აღარ გვეშინია, რადგან შენ გვეგულები იქ, მარადიულ სასუფეველში. შენი დატოვებული სითბო და სიყვარული არასოდეს განელდება. შენ ამშვენებდი ოჯახს, სანათესავოს. უზომო სიკეთეს და სიყვარულს გასცემდი. კაცურად იცხოვრე ამ ქვეყანაზე და იმედი გვაქვს, იმ საუფლოსაც დაამშვენებ, სადაც ასე ადრიანად წახვედი.

ჩვენ მუდამ ვილოცებთ შენთვის. ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი კეთილი სული.

*ოჯახი*

## ნუგზარ ბილანიშვილის ხსოვნას!



ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც უკურნებელმა სენმა შენი გულისცემა შეწყვიტა და შენი წმინდა ლამაზი სული ნიავივით გააფრინა სამუდამო სასუფეველში.

შენს სამეზობლოს და სამეგობროს მოაკლდა საქმის უბადლო შემსრულებელი, შესანიშნავი არქიტექტორი, ცნობილი დახვეწილი იუმორითა და ქართული სიმღერების უბადლო შესრულებით.

უსაზღვროა შენი გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება. თუმცა ერთი კია: ისეთი ადამიანები, როგორიც შენ იყავი, დიდხანს, ძალიან დიდხანს დარჩებიან ახლობლების მეხსიერებაში, როგორც ერთი მოურჩენელი ტკივილი. გვჯერა, რომ შენი მიწიერი სპეტაკი ცხოვრება იქ სამოთხის კარს გაგიღებს და ღმერთს ვევედრებით, მუდამ ნათელში ამყოფოს შენი ნათელი სული.

დაე, შენს სახელზე აღვლენილმა ლოცვამ უფლის შეწევნით გაგინათოს გზა და დაგიმკვიდროს ნათელი სამუდამო სასუფეველში.

*შენი მეზობლები*

## გელა მელიას გახსენება



სულ ორიოდე თვეში ერთი წელი გასრულდება შენი გარდაცვალებიდან, — ტკივილიანი, ცრემლიანი, მწარე მოგონების ერთი წელი.

ფეხბურთზე შეყვარებულმა, პროფესიონალმა სპორტსმენმა ბურთს სიცოცხლის ბოლომდე სდიე... იმედისმომცემ ფეხბურთელს, სიკეთით, სითბოთი, სიყვარულით აღვსილ ვაჟკაცს, უცხო მიწაზე ჩიტივით გაგიფრინდა სიცოცხლე.

გამწარებულ ოჯახს შენი შვილი — პატარა გელა უმსუბუქებს ამქვეყნად შენი არყოფნის სიმწარეს. შენ მარტო შენს ოჯახს არ დაჰკლებიხარ, დააკლდი ჩვენს ოჯახსაც. შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

მჯერა, ცათა სასუფეველში დავანებული შენი სული მფარველად მოევლინება ყველა შენს ახლობელს, მეგობარს; განსაცდელიდან დასახსნელად მშობლიურ ქართულ მიწასაც შეაწევს თავის სიძლიერეს.

*სიყვარულით — ანიკო და ბადრი ქოიავები*

## ავთანდილ ოჩიგავას ხსოვნას!



ძვირფასო მამავ, 6 აპრილს 25 წელი გახდება, რაც ამ ქვეყნიდან წახვედი. როგორ მოგვენატრე... რა სამწუხაროა — წახვედი ტკივილით და დაგვიტოვე ტკივილი. ნუთუ მხოლოდ 52 წელი იკმარე სიცოცხლისთვის?

ჩვენო მამავ, რატომ იყავი ასეთი კეთილი და ყველასთვის კარგი?! ყველას გვარიგებდი, თუ როგორ გვეცხოვრა უშენოდ. შენს შვილებს შენგან ნაბოძებ დიდ სიკეთესთან ერთად სახსოვრად ყველაზე ძვირფასი — შენი შვილობა დაგვიტოვე.

ვინუგეშებთ თავს, რომ სიკვდილი რჩეულთა ხვედრია, ამიტომაც ამოგირჩიათ ნაადრევად.

ცხრა წელია, დაგვტოვა დედამაც. მსუბუქი ყოფილიყოს თქვენს გულზე დაყრილი მშობლიური სეფიეთის მიწა.

მარადიულ სასუფეველში გადასახლებულხართ. იმქვეყნიური ნათელი გქონოდეთ.

გვჯერა, თქვენი უბოროტო სული მარადიულია.

*შვილები*

## ანზორ (ვაჟა) ალექსანდრეს ძე ხომერიკის ხსოვნას!



დღეს, 4 აპრილს, ჩვენო კაცურო კაცო, შენი დაბადების დღეა. 14 წელია, უშენოდ აღვნიშნავთ შენი დაბადების დღეს შენს დიდ ოჯახში.

5 აპრილს მძიმე ოპერაცია გაიკეთე მოსკოვში, 19 აპრილს კი... ველარ გაუძლო შენმა გულმა და წახვედი იმ ქვეყნად. დაგვიტოვე მოუშუშებელი ჭრილობა შენს დედას, მეუღლეს, შვილებს, ძმებს, დებს და მეზობლებს, სოფელს, მეგობრებს... შენი მოსახელე შვილიშვილი ვაჟიკო გააგრძელებს შენი ოჯახის ტრადიციას შვილებთან ერთად.

ნათელში იყოს შენი დიდი ბუნების სული. მსუბუქი იყოს შენს ავადმყოფ გულზე დაყრილი მიწა.

*დედა ანეტი, მეუღლე თინა, შვილები, შვილიშვილები, ძმები, დები*



## გოდერძი პაპუაშვილის ხსოვნას!

ორმოცი დღე გადის შენი გარდაცვალებიდან და უფრო მეტად გვტკივა ყველას გული. ძალიან დააკლდი ოჯახს, ახლობლებს.

გულღიასა და სტუმართმოყვარეს, შენი ნანას სიკვდილმა მოგტეხა ფრთა. ახლა ერთად იქნებით და ალბათ ლოცულობთ ოჯახისათვის.

ღმერთმა გაანათლოს შენი სული.

*იური და ნათელა*

## ლილი ხალხელაური-წიწაკიშვილის მონატრება



ჩვენო საყვარელო დედიკო, 11 აპრილი შენი დაბადების დღეა. პირველად ვხვდებით უშენოდ ამ დღეს. წახვედი და დაგვიტოვე მოუშუშებელი ტკივილი. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. რა ვქნათ, რით ვანუგეშოთ შენი საყვარელი მეუღლე?!

შენ ყოველთვის ჩვენთან იქნები და ისეთი დარჩები, როგორიც იყავი — შეუდარებელი დედა, ბებია და უერთგულესი მეუღლე. ნუგეშად ისღა დაგვრჩენია, დაბადების დღე სასუფეველთან თვალცრემლიანებმა მოგილოცოთ და შენი საყვარელი ყვავილები მოგიტანოთ.

*შენი ოჯახი, შვილები და შვილიშვილები*

## ომარ ზარიძის ხსოვნას!



აპრილის თვე, ლამაზი გაზაფხული, შენი დაბადების თვეა, ჩემო ლამაზო ძმაო. მაგრამ შენთვის რომ აღარ დადგა ის ლამაზი გაზაფხული, გული მტკივა. 1996 წლის ნოემბერი იყო, რომ მითხარი: თუ მშვიდობა იქნება, აპრილში კარგი პური ვჭამოთო. 1997 წლის 7 იანვარი შენი ოჯახის, ახლობლებისა და მეგობრების მეხსიერებაში ხსოვნის დღედ ჩაიბეჭდა; აღარ ამოვიდა შენთვის ის ლამაზი მზე, ყოველ დილით აივანზე რომ ხვდებოდი ხოლმე. შენმა ხათუნამ თავისი ცოდნა და გამოცდილება არ მოგაკლო, მაგრამ... სწყინდა ხოლმე, სხვა ექიმს რომ მოგიყვანდი. შენს განუკურნებელ სენს ვერც ერთმა მედიცინის მუშაკმა ევრ აჯობა.

ჩემო ომარ, მჯერა, რომ ჩვენ შევხვდებით, როცა იქნება. რა უბედური დედმამიშვილი ვიყავი, შენ რომ მითხარი ტელეფონით: დიდი ამბავი, კაცობრიობას თუ ერთი კაციც გამოაკლდებაო, — თან იცინოდი, მაგრამ არჯეს ჰგავდა შენს ბუნებრივ სიცილს. მოგიკვდეს და.

ილოცოს შენმა სპეტაკმა სულმა შენი ოჯახისთვის. ჩვენ კი სანამ ვართ, მუდამ ცოცხლად მოგიხსენიებთ.

*ლიანა*

## დალი ჩხაიძის მონატრება



დღემდე გაოგნებულები ვხვდებით თქვენი მარადისობაში გადასვლის წლისთავს. ჯერ კიდევ ვერ გაგვიცნობიერებია, რომ ჩვენ გვერდით აღარ ხართ. თქვენ ამშვენებდით ოჯახს, სანათესავოს, სამეგობროს; გასცემდით უზომო სიკეთეს, სიყვარულს; ყველას მხსნელი, დამხმარე, უანგარო მოამაგე იყავით; ყველა ადამიანში მხოლოდ კარგის დანახვას ცდილობდით; თქვენ გვერდით ყოველთვის იმედითა და ხალისით ვივსებოდით. ამიტომ დაგვაკლდით ალბათ ასე ძალიან. გვენატრებით ძლიერ, ვეფერებით თქვენზე მოგონებებს. თქვენს სახელს დავიწყება არ უწერია, სულით ლამაზო და ფიზიკურად მშვენიერო ქალბატონო დალი. რაც დრო გადის, მით მეტად გვინდა თქვენზე საუბარი, თქვენი გახსენება, რათა დავიწყების ჩრდილმა არ დაფაროს თქვენი ნათელი ხსოვნა. სიცოცხლეში ანთებული სანთელი იყავით, რომელიც ყველასთვის იწვოდა და გვჯერა, ზეცაშიც რჩეულთა შორის ხართ. მადლობელი ვარ უფლის, თქვენი მეგობრობის ბედნიერება რომ მარგუნა.

ჩვენ გვჯერა, რომ თქვენი სპეტაკი სული სამოთხეშია. გვენატრებით, უსაზღვროდ გვენატრებით. დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოთ გზა მარადიულ სასუფეველში.

*ლია ადამია*

## ნოდარ (გუჯა) გუთნიაშვილის მონატრება



5 აპრილს წელიწადი შესრულდა, რაც წახვედი ამ ქვეყნიდან და დაგვიტოვე მოურჩენელი ტკივილი.

დრო მკურნალიაო — ეს ტყუილია, არავითარი დრო არ მოგვიშუშებს შენი სიკვდილით მოყენებულ ტკივილს. დაგვაკლდი და-ძმას, დედას, დეიდებს, მამიდებს, სანათესავოს და სამეგობროს.

ერთი რამ გჯეროდეს — შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია, მუდამ იცოცხლებ შენი დის გულში. გულს მიკლავს შენი სევდიანი თვალები, სიკვდილის მოახლოება რომ იგრძენი. როგორ გინდოდა სიცოცხლე...

წახვედი ჩვენგან სიკეთით სავსე ადამიანი, შინაგანად სუფთა, ყველას მოსიყვარულე. გვენატრები, ძმაო.

მსუბუქი იყოს შენთვის იგოეთის მიწა. ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

*ეთერი გუთნიაშვილი-თათარაშვილი*

## ლანა გაბედავას მოგონება

ჩვენო მამიდა, ორი ტკივილიანი, სევდიანი, ცრემლიანი წელი გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. გაუსაძლისია, მამიდა, უშენობა ყველასთვის, ვინც შენ გიცნობდა. შენგან მიყენებულ ტკივილს ვერ გაუძლო ბიძიას გულმა და მანაც შენთან არჩია ყოფნა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ჩვენს ტკივილს. შენ ისეთი თბილი, კეთილი, ლამაზი და კარგი იყავი, რომ ყველას უჭირს დაჯერება იმისა, რომ შენ აღარ ხარ. რად გვილირს შენი ხმის გაგონება, შენი სახის, ღიმილის დანახვა — შენ ხომ ჩვენი ოჯახების სილამაზე და მშვენება იყავი, მაგრამ ვაი, რომ ახლა მხოლოდ მოგონებებით ვცხოვრობთ...

ერთადერთი სურვილის ასრულების ნება რომ მოგვცეს ღმერთმა, შენს სიცოცხლეს ვინატრებდით. გვენატრება შენი ალერსი, შენთან საუბარი.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, შენი ლამაზი სულისთვის ვილოცოთ, საფლავზე წმინდა სანთლები ავანთოთ და შენზე მოგონებებით ვიცხოვროთ.

*ძმისშვილები*

## ვალიკო ფაშალიშვილის ხსოვნას!



შენი სითბო და სიყვარული ძალიან მოგვაკლდა, ვალიკო ძია. რამდენი ღიმილი და სიხარული გვაჩუქე, რამდენი ხალისი... მართლაც სიყვარული იყავი — ხორცშესხმული სიყვარული. შენი ოჯახიც შენს გზას აგრძელებს. გვინდა, პატარა შვილიშვილმა, რომელსაც ვერ მოესწარი, იცოდეს, როგორი პაპა ჰყავდა და რამდენი მადლი დაუტოვა სინათლედ მეუღლეს, შვილებსა და შვილიშვილებს ცხოვრებაში.

*ლელა, ირმა, ეკა, ირაკლი*

## ჯუმბერ მგელაძის ხსოვნას!

მიილია ცრემლიანი და ძალზე ტკივილიანი ორი წელი შენი დაკარგვიდან. ძალიან გვიმძიმს უშენობა, გვიჭირს იმის დაჯერება, რომ აღარა ხარ ჩვენ შორის. სიზმარივით გამოგვეცალე ხელიდან.

რატომ გაგიმეტა ბედისწერამ ასე სასტიკად? შენ ხომ ასე ძალიან გიყვარდა სიცოცხლე?! როგორ შეხაროდი შენს პატარა ოჯახს, გინდოდა შენი შვილები კარგ ადამიანებად აღგეზარდა, მაგრამ არ დაგცალდა.

შენი წასვლით დაცარიელდა შენი სახლი უშენოდ, ჩვენო იმედო, ჩვენო სიხარულო და ჩვენო ძვირფასო, ახლა კი დაუსრულებელო მწუხარებავ და მოურჩენელო ტკივილო.

როგორ გვენატრები, ძალიან გვიჭირს უშენობა. ამბობენ, „დრო მკურნალიაო", მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. ყოველი დღე ერთიმეორეზე უფრო ტკივილიანია.

ვეფერებით შენს სურათებს და გვჯერა, რომ წმინდა სასუფეველში დაიმკვიდრებ სამუდამო ბინას. ამისათვის ჩვენ ყველანი ვილოცებთ.

შენი ამ ქვეყნიდან გასვლა, უფლის კიდევ ერთი საოცრებაა ჩვენთვის. მშვიდად იცხოვრე, ჩვენო კეთილო ადამიანო, ზეციურ საუფლოში. ღმერთი იყოს შენი მფარველი,

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა. შენ ჩვენთვის ყოველთვის ცოცხალი იქნები.

ნათელში იყოს შენი კეთილი, ლამაზი სული.

*მეუღლე, შვილები*

---

„საქინფორმკინო" თანაუგრძნობს თინა, ნუკრი და მარინა ბარამიძეებს მეუღლისა და მამის

**ლუარსაბ (ტიტო) ბარამიძის**

გარდაცვალებას.

ღმერთმა აცხონოს განსვენებულის სული.

---

შპს „თბილქალაქგანათების" კოლექტივი სამძიმარს უცხადებს *დემურ გიგაშვილს* დედის გარდაცვალების გამო.

---

ფოთის ნავსადგურის ნავთობჩამომსხმელი ტერმინალის მუშა-მოსამსახურე კოლექტივი იზიარებს მწუხარებას მთავარი მექანიკოსის, *მურმან არზიანის* მეუღლის

**მარინა ხოფერია-არზიანის**

გარდაცვალების გამო.

---

*გოგი თანდილაშვილს* თანავუგრძნობთ სიძის

**ბონდო გაბიტაშვილის**

გარდაცვალების გამო.

აბაშის II საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

# დროში ვიმოგზაურე



რაც გაჭირვება დაიწყო და თავის რჩენა გაგვიჭირდა, ყოველ შემოდგომაზე ჩემი სოფლის ახლოს, ტყეში კენკრის საკრეფად დავდიოდი, ცხადია, მეზობლის ქალებთან ერთად. ერთხელაც მაყვალს ვკრეფდით. ხელები დამეკაწრა და ძალიან დავიღალე კიდეც — პატარა ხომ აღარა ვარ, ნორმალურ პირობებში ჩემხელა ქალები შინ სხედან და სოლიდური პენსიით ცხოვრობენ. მე კი, ზამთარში შიმშილით რომ არ მოვკვდე, იძულებული ვარ, ყოველ შაბათ-კვირას თბილისიდან ვიარო სოფელში, მთელი დღე ტყეში ვიწანწალო, სამურაბე კენკრა მოვაგროვო-მეთქი, — ვწუწუნებდი მეზობლებთან. ისინიც თავის გასაჭირზე მელაპარაკებოდნენ. ერთი ფერდობიც რომ ავიარე, ვიგრძენი, გული ცუდად გამიხდა. ჩამოვჯექი. ქალებს ვთხოვე, ახლომახლო დაკრიფეთ მაყვალი, მე კი ცოტას დავისვენებ-მეთქი. ისინიც მიმოიფანტნენ. ცოტა ხანში მათი ხმაც კი აღარ მესმოდა. შევშინდი, იქაურ ადგილებს კარგად არ ვიცნობდი. დავიძახე. არც ერთი არ გამომპასუხებია. წამოვდექი და გზას დავადექი... სულ 4-5 მეტრი მექნებოდა გავლილი. ძველი შენობა დავინახე, ცალი მხარე ჩამორღვეული ჰქონდა. გამიკვირდა... ძველად რომ ციხეებს აგებდნენ, ისეთი იყო, ოღონდ მომცრო. ცნობისმოყვარეობამ მძლია და ვიწრო კარით შევედი შენობაში. მიმოვიხედე. ქვის კედლების მეტი არაფერი იყო. პირდაპირ სარკმელი იყო გაჭრილი, ისიც საკმაოდ ვიწრო... გავიხედე იქიდან და ამწვანებული ფერდობი დავინახე... იქვე რამდენიმე მამაკაციც იდგა. ჯვალოს უხეში პერანგები ეცვათ... გული გადამიქანდა — როგორია, ტყეში უცხო კაცებთან ერთად მარტო ყოფნა? მერე მეუცხოვა ერთი რამ: მაყვლის ბუჩქები თეთრი ყვავილებით იყო გადაპენტილი. არადა სექტემბერი იდგა, მაისი კი არა... მზერა დავძაბე და ხალხს დავაკვირდი. უცნაურად გამოიყურებოდნენ, წვერგაუპარსავებს ფეხზე ტყავის ქალამნები ეცვათ. უცებ პატარა გოგო გამოჩნდა, თიხის ქოთანი მოჰქონდა. მოიტანა და მიწაზე დადგა. ერთ-ერთმა ბრგე მამაკაცმა ხელი ჩაყო ქოთანში, რაღაც ამოიღო და დანარჩენებს უჩვენა. მერე ხელი ჩემკენ გამოიშვირა... და უცებ მისი და ჩემი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. გაკვირვებული და დამფრთხალი მიყურებდა. ორი ნაბიჯით უკან დაიხია და გვერდით მდგომს რაღაც გადაულაპარაკა.

ახლა ჩემს ამბავს არ იკითხავთ? შიშით კინაღამ გავთავდი. გამომწყვდეული ნადირივით მივაწყდი აქეთ-იქით. მერე ისევ სარკმელში გავიხედე. უკვე ჩემკენ მოდიოდნენ. ორს შიშველი ხმალი ეჭირა... ერთს — კომბალი... ერთსაც აკეცილი პერანგის კალთაში ქვები ეყარა. სწორედ მან მესროლა პირველად ქვა. ქვა კედელს მოხვდა. თავი გამოვწიე და ჩუმად შევიყუჟე კუთხეში. მეორე ქვა სარკმელში შემოვარდა. ფეხის ხმა გაისმა... მოდიოდნენ... აი, მაშინ კი რაღაც ენით აუწერელი საფრთხის შეგრძნება დამეუფლა. ვიფიქრე, რაც იყოს, იყოს-მეთქი და კარისკენ დავიხიე... ამ დროს კიდევ ერთი ქვა შემოვარდა სარკმელში და თავში მომხვდა, კიდევ კარგი, გონება არ დამიკარგავს... კარს ვეცი, გარეთ გავვარდი და გავიქეცი. თან განწირული ხმით მეზობლებს ვეძახდი: გულო!.. ანეტა!.. მარინა!.. იქვე ახლოს ჯერ ერთი გამოვარდა ტყიდან, მერე მეორე... მესამე... შემომეხვივნენ — რა ნახე, რა მოგივიდაო... შუბლზე სისხლი ჩამომდიოდა. გული ყელში მიცემდა. ყველაფერი ვუამბე. მათგან ყველაზე უფროსი — ანეტა გაოცდა! ბავშვობიდან ამ ტყეში დავდივარ, მსგავსი არაფერი მინახავსო...

მივიარ-მოვიარეთ იქაურობა, შენობის ნანგრევების კვალიც კი არსად იყო...

...საღამოს შინ მომაკითხეს და მომინახულეს. აჩემებული მქონდა: ნამდვილად სხვა დროში ვიყავი, მაყვალი ყვაოდა-მეთქი... ჩემმა შვილმა სასაცილოდ ამიგდო: თუ მართლა სხვა დროში იყავი, ეტყობა, ძველებს შენი შინდისფრად შეღებილი დახვეული თმა ცუდად მოხვდათ თვალში და ეშმაკი ეგონეო. რა ვიცი, რა მოხდა, ვერაფერს გეტყვით. მაგრამ რომ მოხდა, ცხადია — გატეხილი თავი თითქმის ერთი თვე მტკიოდა.

***ელენე ჯიშკარიანი***
***თბილისი***

# უსულო და უგრძნობი ნივთი არ არსებობს!..

**გულისგულში ყოველთვის მჯეროდა, რომ ყველა საგანს თავისი აურა და „გუნება“ აქვს, ამიტომ არ მიყვარს პირადი ნივთების განათხოვრება და არც სხვისას ვიყენებ... მაგრამ მარტო მე არ ვგრძნობ თურმე, რომ ნივთიც „სულდგმულია“...**

**სვეტლანა, 56 წლის:** — 18 წლის რომ გავხდი, დედამ დაბადების დღეზე ოქროს საათი მაჩუქა. ეს ნივთი ისე შემიყვარდა, რომ არასოდეს ვიცილებდი. ღამითაც კი სასთუმალთან მედო — თუ მისი წიკწიკი არ მესმოდა, არ მეძინებოდა... მჯეროდა, უქეიფობისას საათი რომ გამეკეთებინა მაჯაზე, უკეთ გავხდებოდი და ასეც იყო.

ერთხელ მეზობელმა მთხოვა: სტუმრად მივდივარ და შენი საათი მათხოვეო. არ მესიამოვნა, მაგრამ ვერ ვუთხარი უარი... იმ დღეს ცუდად გავხდი, წნევაც ამეწია... საათი, დამიბრუნა თუ არა, მაშინვე გავიკეთე, მეგონა, გამოვმჯობინდებოდი, მაგრამ უფრო ამეწია წნევა. დილით კი შევამჩნიე, საათი 38 წლის განმავლობაში პირველად გაჩერებულიყო... გავურბენინე შემკეთებელს. დაზიანება ვერ აღმოუჩინა, ამუშავდა კიდევაც მის ხელში, მაგრამ ცოტა ხანში ისევ გაჩერდა, ორიოდე დღის შემდეგ კი... სულ დაიკარგა. არ ვიცი, როდის შემეხსნა მაჯიდან... ეჭვიც არ მეპარება გამინაწყენდა სხვას რომ ვათხოვე...

**ელისო, 24 წლის:** — ორი წლის წინ მეგობრებმა საყურე მაჩუქეს. ძალიან შემიყვარდა და არც დღე ვიხსნიდი და არც ღამე. როცა მოდაში გრძელი საყურე შემოვიდა, გადავწყვიტე, მეყიდა და ბაზრობაზე რამდენიმე გავსინჯე. არც ერთი არ მიყიდია, რადგან არ მომიხდა... შინ დაბრუნებულს აღარც ძველი საყურე მეკეთა. ალბათ გამყიდველთან დამრჩა-მეთქი. იმ დღეს გვიანი იყო ბაზრობაზე მიბრუნება, მეორე დღესაც ვერ მოვიცალე. ორი დღის შემდეგ კი მართლა ვიპოვე ჩემი საყურე, თურმე ჩემსავით ბევრს რჩება ახლის მოზომების შემდეგ და გამყიდველი ერთ პატარა ყუთში ყრის მათ... გავიკეთე და წამოვედი შინ დამშვიდებული. მეორე დღეს ყურები დამიწითლდა და შემიშუპდა, ძლივს მოვიშუშე... ასე განმეორდა რამდენიმეჯერ და მივხვდი, საყურე „გამიბრაზდა“!

**ნიკუშა, 20 წლის:** — კომპიუტერი ბიძამ მაჩუქა ორი წლის წინ და მითხრა — თუ მუშაობისას გაჯიუტდეს, არ გაუწყრე, პატარა ბავშვივითაა, მოფერება უყვარს — ალერსით ყველაფერს გააკეთებინებო!..

მანქანას რა მოფერება უნდა, რას მასულელებ-მეთქი, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ბიძაჩემი სრულ სიმართლეს ამბობდა — საკმარისია გავცხარდე და „წავეჩხუბო“, კომპიუტერი ვირივით გაჯიუტდება, თუ მოვუბოდიშე და დავუყვავე, შევეხვეწე, ამუშავდება.

**ზაზა, 42 წლის:** — არ მითხრას ვინმემ, მანქანას კაცის ენა არ ესმისო. ჩემს ჯაბახანა ჟიგულს თუ მოვეფერე და შევეხვეწე, ყველაფერს მიჯერებს, თუ მისი აუგი ვთქვი და დავიწუწუნე — ახალ მანქანას ვერ ველირსე-მეთქი, „ეჭვიანობს“, დადგება და ოქროს ნაწილებიც რომ ჩავუდგა, არ მუშაობს, ქუჩაში დამტოვებს... მეც ველაპარაკები და ვეფერები, რომ მნახოთ მასთან „მუსაიფში“ გართული, გიჟი გეგონებით...

*ამდენი უცნაური ამბის მოსმენის შემდეგ ნაცნობ ფიზიკოსს შევუჩნდი: — გამაგებინე, შეიძლება თუ არა ნივთები „ცოცხლები“ იყვნენ-მეთქი! მითხრა: — ძნელია თქმა, რას ნიშნავს „ცოცხალი“ — საგანთან მიმართებაში, მაგრამ უსულო საგნებს რომ ინფორმაციული ველი აქვთ და პატრონსაც „ცნობენ“, ეს ნამდვილია. გაჩუქებული ნივთები დიდხანს ვერ ივიწყებენ ძველ პატრონს და ახალს გარკვეული სახის პრობლემებსაც უქმნიან, თითქოს მათ ცხოვრებას ელფერს უცვლიან და ძველი პატრონისას ამსგავსებენ... ამიტომ არ არის სასურველი ნახმარი ნივთების შეძენა...*

***ინგა ჯაყელი***

# მგონი, უცხოპლანეტელებს დავუკავშირდით...

იმ სამსახურებმა, რომლებიც არამიწიერ ცივილიზაციებს ეძიებენ, აღმოაჩინეს საიდუმლო სიგნალები. არავინ იცის, რას ნიშნავს ეს სიგნალები, ან საიდან მოვიდა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ, ბოლოს და ბოლოს, აღმოაჩინეს კოსმოსური ნავიგაციური შუქურა უცხოპლანეტელთა მფრინავი აპარატებისთვის. სიგნალები რადიოტელესკოპმა დააფიქსირა. ახლა მას ექსპერტები შეისწავლიან. ზოგი მეცნიერი ვარაუდობს, რომ რომელიმე კოსმოსური აპარატი შეტყობინებას უგზავნიდა დედამიწაზე მყოფ უცხოპლანეტელებს.

***ჯენტე***

## „საზალდო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I.** ქათამი.

**II.** მე-2-გ; მე-3-ა; მე-5-ბ; ზედმეტია 1-ლი და მე-4 ფრაგმენტები.

**III. აბა, გამოიცანი:**

1) — ბ); 2) — გ); 3) — ა); 4) — გ); 5) — დ); 6) — ა); 7) — დ); 8) — ა).


## საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი

### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
### საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
### აცხადებს კონკურსს ვაკანტურ თანამდებობებზე

საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის ფარგლებში განახორციელოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების რეფორმა. რეფორმის არსი მდგომარეობს უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამოცდების უნიფიცირებული, ობიექტური შეფასების სისტემის შექმნასა და დანერგვაში, რისთვისაც „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ქართული ენის, მათემატიკისა და უცხო ენების ჯგუფებს დაემატებათ წევრები.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოელის შესაბამისი კვალიფიკაციის პირების განცხადებებს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:

**ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის წევრი (1 ვაკანსია)**
**მათემატიკის ჯგუფის წევრი (1 ვაკანსია)**
**ინგლისური ენის ჯგუფის წევრი (1 ვაკანსია)**
**გერმანული ენის ჯგუფის წევრი (1 ვაკანსია)**
**ფრანგული ენის ჯგუფის წევრი (1 ვაკანსია)**
**რუსული ენის ჯგუფის წევრი (1 ვაკანსია)**

**პასუხისმგებლობა და მოვალეობები:**
- საგამოცდო პროგრამის მომზადება უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდებისთვის;
- საგამოცდო კითხვათა და დავალებათა ბანკის მომზადება უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდებისთვის;
- მონაწილეობის მიღება საგამოცდო კითხვათა და დავალებათა ბანკის აპრობაციებში, ანალიზსა და კორექტირებაში;
- მონაწილეობის მიღება სააპელაციო კომისიის მუშაობაში;
- მონაწილეობის მიღება როგორც საინფორმაციო, ასევე ტესტურ კითხვათა ნიმუშების ბუკლეტების მომზადებაში;
- მონაწილეობის მიღება საზოგადოებასთან ურთიერთობის დაგეგმვასა და წარმართვაში.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება (სასურველია სამეცნიერო ხარისხი);
- საგნის სწავლების მინიმუმ ხუთწლიანი გამოცდილება;
- საგნის სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- კომპიუტერთან მუშაობის ჩვევები.

**ანგარიშვალდებულება:**
ჯგუფის წევრები ანგარიშვალდებულნი არიან ჯგუფის ხელმძღვანელების წინაშე.

**ხელშეკრულების ხანგრძლივობა:**
თავდაპირველად ხელშეკრულებები დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია). წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა №60, მე-2 სართული, ოთახი №1.**
**ტელეფონები: 95-98-25; 96-80-78.**
**საკონტაქტო პირები: ალექსანდრე ბალავაძე, მერაბ თოფურია**
**განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 16 აპრილი**

**შენიშვნა:**
საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;
ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.



## საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი

### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
### საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
### აცხადებს კონკურსს ვაკანტურ თანამდებობებზე

საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის ფარგლებში განახორციელოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების რეფორმა. რეფორმის არსი მდგომარეობს უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამოცდების უნიფიცირებული, ობიექტური შეფასების სისტემის შექმნასა და დანერგვაში.

ახალი ამოცანები მნიშვნელოვნად ზრდის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ფსიქომეტრიის ჯგუფის სამუშაოს მოცულობას. შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კონკურსის წესით იწვევს სპეციალისტს შემდეგ თანამდებობაზე:

**ფსიქომეტრისტის თანაშემწე**

**ფუნქციები და პასუხისმგებლობები:**
- შერჩევის მოცულობის განსაზღვრა ტესტების გამოცდისა და პილოტირებისათვის;
- ტესტის გამოცდისა და პილოტირებისათვის სკოლების შერჩევა;
- მონაცემთა კოდირება (Excel, SPSS) და მონაცემთა ბაზების შექმნა;
- მონაცემთა ფსიქომეტრიული ანალიზი;
- ოპერატორებთან მუშაობის კოორდინაცია;
- შეფასების ჯგუფის მიერ ორგანიზებულ კვლევებში მონაწილეობა;
- საინფორმაციო ბუკლეტებისათვის მასალების მომზადება;
- სამუშაო სემინარებისათვის თვალსაჩინო მასალების მომზადება.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება ფსიქოლოგიაში;
- ტესტის თეორიის ცოდნა;
- ფსიქომეტრიის ძირითადი მახასიათებლების ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება ფსიქომეტრიაში;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- კომუნიკაციის მაღალი უნარი;
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები;
- საუკეთესო ორგანიზაციული უნარი.

**ანგარიშვალდებულება:**
ფსიქომეტრისტის თანაშემწე ანგარიშვალდებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ფსიქომეტრისტის წინაშე.

**ხელშეკრულების ხანგრძლივობა:**
აღნიშნული თანამდებობა სრულ განაკვეთიანია.

თავდაპირველად ხელშეკრულება დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია). წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა №60, მე-2 სართული, ოთახი №1.**
**ტელეფონები: 95-98-25; 96-80-78.**
**საკონტაქტო პირები: ალექსანდრე ბალავაძე, მერაბ თოფურია**
**განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 15 აპრილი**

**შენიშვნა:**
საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;
ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.

# კინოთეატრი „მერსედესში“

ნიუ-იორკელმა ანდე გეინიმ თავის ავტომანქანაში კინოთეატრი მოაწყო და დაისაჯა კიდეც.

კინომანი საგზაო პოლიციამ მაშინ დააკავა, როცა თავაწყვეტილი მიაქროლებდა მანქანას და თანაც პორნოფილმს უყურებდა. ფილმი „შოკოლადის ქაფი“ ერთდროულად სამ ეკრანზე მიმდინარეობდა. ერთ-ერთი — მძღოლის სავარძლის მარჯვნივ იყო დამონტაჟებული.

პორნოფილმების მოყვარული დააპატიმრეს — მან არა მარტო საგზაო მოძრაობის წესები, არამედ მანქანაში ტელევიზორის ყურების აკრძალვის შესახებ კანონიც დაარღვია. როგორც საგზაო პოლიციელები ირწმუნებიან, ასეთი რამ ნიუ-იორკში პირველად მოხდა.

*ვოკრუგ სვეტა №10*

# „ჩემს ოჯახში ყველაფერი წესრიგშია...“



ლოს-ანჯელესში ცნობილი ჯექსონების კლანის მეთაურმა ჯოზეფმა რესტორანი გახსნა. საზეიმო ცერემონია მეტად მოკრძალებული გამოვიდა — მამისა და მეუღლის „სარესტორნო დებიუტს“ არ დასწრებიან ჯოზეფის მეუღლე კეტრინი, რომელიც ლას-ვეგასში ისვენებს, შვილები: მაიკლი და ჯანეტი. პოპვარსკვლავი ვაჟი სასამართლო პროცესითაა დაკავებული, ქალიშვილი კი სკანდალშია გახვეული — ამერიკული ფეხბურთის ჩემპიონატის ფინალური მატჩის შესვენებისას ჩატარებულ კონცერტზე ჯანეტს მკერდი მოუშიშვლდა. ეს ტელევიზიით მთელმა ქვეყანამ იხილა, მართალია, ძმა ჯერმეინი ირწმუნება, ეს უნებლიეთ მოხდაო, მაგრამ ჯანეტის „უზნეობაზე“ ლამის მთელი პრესა ალაპარაკდა.

ასე რომ, ჯოზეფ ჯექსონი გულდაწყვეტილი იყო, მაგრამ სტუმრებს მაინც რიხიანად განუცხადა, — ჩემს ოჯახში ყველაფერი წესრიგშიაო.

*ეხო პლანეტი №11*

# ცოლის დამჯერი მძარცველი

გერმანიის ქალაქ გეტინგენში მძარცველმა ერთ-ერთი მაღაზიიდან 1900 ევრო გაიტაცა. ზუსტად ერთ საათში დამნაშავემ უკან დააბრუნა ნაძარცვი. ყაჩაღმა დაბნეულ პერსონალს აუხსნა, — ფული ცოლს ვაჩვენე, მან კი შავი დღე მაყარა — ქურდობა როგორ გაბედეო და მიბრძანა, ნაძარცვი დაუყოვნებლივ დამებრუნებინა. ვალი მქონდა გადასახდელი და იმისთვის ვიქურდე, მაგრამ ამჯერად ვამჯობინე, ცოლს დავუჯეროო, — ესა თქვა, მშვიდად ჩაჯდა მანქანაში და წავიდა.

გაოგნებულმა მაღაზიის თანამშრომლებმა სიტყვის თქმა ვერ მოასწრეს, ვერც მანქანის ნომერი დაიმახსოვრეს.

პოლიციამ დიდხანს ეძება მონანიე დამნაშავე, მაგრამ უშედეგოდ...

*დენგი №11*

# ძმური პრეზიდენტობა



საპრეზიდენტო არჩევნებში აშშ-ის პრეზიდენტის მთავარი მეტოქე ჯონ კერი ჯორჯ ბუშის ნათესავი აღმოჩნდა.

საკვლევმა ორგანიზაცია FEAMILI FOREST-მა ჯორჯ ბუშისა და დემოკრატიული პარტიიდან მისი მეტოქის, ჯონ კერის ნათესაური კავშირი დაადგინა. როგორც არქივისტებმა აღმოაჩინეს, ისინი შორეული ნათესავები არიან. მეტიც, მათ საერთო სახელგანთქმული ნათესავებიც ჰყოლიათ, მაგალითად, დიდი მულტიპლიკატორი უოლტ დისნეი, მსახიობი მაიკლ დუგლასი და კლინტ ისტვუდი, თვითმფრინავის გამომგონებლები ძმები რაიტები, პრინცესა დაიანა, ალბანეთის ტახტის მემკვიდრე ლეკა II, იტალიის პრინცი ემანუილ ფილიბერტო, ესპანეთის პრინცი ფილიპე.

თვითონ ჯორჯ ბუში „ნათესავის“ გამოჩენას გულგრილად შეხვდა და განაცხადა, „პრეზიდენტის სავარძლისთვის ყველამ თვითონ, ნათესავ-მოყვრების ჩაურევლად უნდა იბრძოლოსო“.

*ნიუზუიქი*

# ევროპა შავ პომიდორზე შეიშალა!



თითქმის მთელი ევროპის მებაღეები შავი პომიდვრის მოშენებაზე გადავიდნენ. სუპერმარკეტების დახლები აივსო ახალი ჯიშის პომიდვრით, რომელსაც მეცნიერებმა კუმატო დაარქვეს.

კუმატო წითელი ტომატისგან განსხვავდება სიტკბოთი და სიმწიფით. ის ველური სახით იზრდება მხოლოდ გალაპაგოსის კუნძულებზე. 1990 წელს მისი მოშენება ესპანეთში დაიწყეს, ვინაიდან მას სამკურნალო თვისებები აქვს — კერძოდ, კურნავს სიმსივნეს და საგრძნობლად ზრდის პოტენციას.

*ჯენტე*

# ბავშვებს... 70 წლის ასაკამდე



ნორვეგიელ 72 წლის ქალბატონს თავის სიცოცხლეში ალბათ ბევრი უცნაური რამ სმენია, მაგრამ ის, რაც მას შეემთხვა, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს...

სიგარეტის საყიდლად მარკეტში შესულს სრულწლოვანების დასადასტურებლად პასპორტი მოსთხოვეს. აიდა ნოვიკის თქმით, გამყიდველის თხოვნამ იმდენად გააოგნა, რომ მეტყველების უნარი დაკარგა და პასუხიც ვერ გასცა. მოხუცს თან პასპორტი არ ჰქონდა, ამიტომ იძულებული შეიქნა, მაღაზიიდან უსიგარეტოდ წასულიყო. მომხდარის უცნაურობის მიუხედავად, ქალბატონს ესიამოვნა კიდეც არასრულწლოვანად რომ მიიჩნიეს.

„მოსაწონია, რომ ჩვენი თანამშრომლები მკაცრად იცავენ წესებს და სიგარეტის მყიდველებს პასპორტს სთხოვენ. თუმცა თავდაპირველად კლიენტს თუ შეათვალიერებენ, ურიგო არ იქნება“... — ამბობს კომპანიის წარმომადგენელი და დასძენს, ეტყობა, ქალი მართლაც ახალგაზრდულად გამოიყურებოდაო.

*ვლასტი*

# ბრძოლა უშარვლოდ ბედნიერებისთვის

იაპონიის ქალაქ ოკაიამაში ყოველწლიურად 10 000 მამაკაცი იბრძვის ბედნიერებისათვის „შიშვლების დღესასწაულზე“. ეს წინასაგაზაფხულო ტრადიცია სათავეს შორეული 1510 წლიდან იღებს. თებერვლის ერთ ცივ ღამეს შიშველი მამაკაცების ვეებერთელა ჯგუფი ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევს მაგიური ხის ჯოხისთვის. გადმოცემით, მას ბედნიერება მოაქვს.

ბედნიერებისთვის ბრძოლაში მონაწილეობა ყველას შეუძლია, მიუხედავად მოქალაქეობისა, აღმსარებლობისა, კანის ფერისა და წონითი კატეგორიისა. მთავარია, მამაკაცი იყო. ქალებს საპატიო მისია აკისრიათ — დოლს უკრავენ და დაჭრილებს პირველად დახმარებას უწევენ.

ბრძოლის დროს სახელგანთქმული იაპონური თავაზიანობისაგან აღარაფერი რჩება. 20სმიანი ორი ჯოხისთვის (მათ სინგის ეძახიან) თავგადაკლული ცემა-ტყეპა იმართება. შემდეგ სინგის მფლობელები გამარჯვებას ზეიმობენ და საკეს სვამენ, მათი ნაკლებიღბლიანი თანამებრძოლები კი ჭრილობებს ითვლიან. იქნებ მომავალ წელს გაუღიმოს ბედმა.

*ტაიმი*

# ძაღლის ბედი



ძაღლებს ადამიანებივით თან სდევს ბედი, ზოგს მეტად უმართლებს, ზოგს — ნაკლებად.

ჩაკა ოთხი თვისა იყო, როცა წინა თათებზე მანქანამ გადაუარა. გამვლელებს შეებრალათ ძაღლი და დახმარების გაწევაც სცადეს, მაგრამ ამაოდ — ძაღლი არავის იკარებდა. კეთილმა ადამიანებმა ისღა მოახერხეს, რომ ჩაკა უპატრონო ძაღლთა თავშესაფარში ჩააბარეს...

იზოლატორშიც არავინ მიიკარა ჩაკამ. წასული იყო მისი საქმე, მაგრამ...

მალე იმავე თავშესაფარში მიიყვანეს ჯეფი, რომლისთვისაც მატარებელს ერთი ფეხი წაეჭრა, მეორე — საკმაოდ დაეზიანებინა. ჯეფი მალე გამოჯანმრთელდა, რადგან უფრო დამჯერი პაციენტი აღმოჩნდა, ვიდრე ჩაკა.

თავშესაფარში ორი მარტოსული შეხვდა ერთმანეთს: თეთრი ჩაკა სევდიანი თვალებით, გულჩათხრობილი, ამაყი, უკარება და შავგვრემანი, ღონიერი, ალერსიანი ჯეფი. მათ მოეწონათ ერთმანეთი.

კეთილმა ჯეფიმ საკუთარი ტკივილი დაივიწყა და დაიწყო ზრუნვა სატრფოზე — მოჰქონდა ჩაკასათვის საჭმელი, არავის აკარებდა. სულ გვერდით ეჯდა, თითქოს ყურში რაღაცას ეჩურჩულებოდა, ლოკავდა...

ჩაკა საგრძნობლად გამოიცვალა — უფრო რბილი, დამყოლი და მიმნდობი გახდა...

სიყვარულმა შეუძლებელი შეძლო: ჩაკა მალე გამოკეთდა. გაზაფხულის პირზე უკვე ლეკვებიც დაყარა — ხუთივე პირწავარდნილი მამაა, — თვალხალიანი და ალერსიანი...

*სობესედნიკი №10*

# კოცნა დანაშაულია?



ინდონეზიის ქუჩაში ერთი კოცნისთვის შეიძლება 5 წლით ჩაჯდეთ ციხეში ან გადაიხადოთ ჯარიმა — 29 ათასი დოლარი. ქვეყნის პარლამენტში განიხილება კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს დასჯას საზოგადოებრივ ადგილებში ურცხვი საქციელისათვის. 10-წლიანი პატიმრობით დაისჯება საზოგადოების წინაშე გაშიშვლება, ეროტიკული ცეკვები და სექსსაღამოების მოწყობა. მოქალაქეთა უმრავლესობა ბოლო დრომდე ლიბერალურად უდგებოდა რელიგიას. ახლა ხელისუფლება ისე შეწუხებულა ახალგაზრდების ზნედაცემულობით, რომ გადაწყვიტეს, მკაცრი კანონებით ებრძოლონ მას. ინდონეზიელებს არ სურთ, მათი სამშობლო დაემსგავსოს დასავლეთის სახელმწიფოებს, სადაც გარყვნილება და ძალადობა ყვავის.

ხელისუფლება საპოლიციო რეიდის ჩატარებასაც გეგმავს. მიზანი ერთია: სამოქალაქო ქორწინებით დაკავშირებული წყვილების აღმოჩენა. კანონდამრღვევებს ჯარიმას — 600 დოლარს გადაახდევინებენ.

*მირ ნოვოსტეი*

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“






**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ნ ი კ ო ლ ო ზ ბარათაშვილის სიტყვებს ამოიკითხავთ.**

**დ.** მევენახეობის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; **ა.** მსოფლიოს ყველაზე გრძელი ჩანჩქერი; **ი.** კუნძული, რომელზეც მდებარეობს ინდონეზიის დედაქალაქი ჯაკარტა; **ს.** ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი; **ვ.** ქალის პირბადე; **ე.** საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც განაგებს ეპისკოპოსი; **ნ.** საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებული ჭაბუკი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელიც უიმედოდ უყვარდა ნიმფა ექოს; **ე.** გემის ან თვითმფრინავის მომსახურე პერსონალი; **პ.** მექსიკის ფულის ერთეული; **ა.** ძველი რუსული სიგრძის საზომი ერთეული; **ლ.** ბულგარული ფულის ერთეული; **ი.** იაპონური მხატვრობა, ყვავილების, ფოთლებისა და ტოტებისაგან გამოსახულების შექმნა; **ტ.** ბერლინი — შპრეე, ვაშინგტონი — პოტომაკი, პრაღა — ვლტავა, რომი — ?; **რ.** ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **ი.** მონასტრის წინამძღვარი; **ს.** წინასწარმეტყველი ქალი ძველ რომსა და საბერძნეთში; **ფ.** გადასახსნელსახურავიანი მსუბუქი ეტლი; **ე.** რა ჰქვია რეჟისორ რიაზანოვს; **რ.** დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც იბრძვიან მოკრივეები; **ე.** უძველესი ქართული სახელმწიფო; **ბ.** ბანქოს ერთგვარი თამაში, რომლის მსოფლიო ჩემპიონატიც კი ტარდება; **შ.** გზატკეცილი; **ი.** იმამის ხელისუფლება.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**დ.** დრაკონი; **ა.** არშინი; **ი.** იაკუძა; **ს.** სლალომი; **ვ.** ვერონა; **ე.** ეტალონი; **ნ.** ნამაზი; **ე.** ესტრადა; **კ.** კაენი; **ვ.** ვარდო; **ი.** ილიადა; **რ.** რუსტი; **ი.** ინჯია; **ს.** სმოკი; **პ.** პაბლო; **ა.** აქსიომა; **ლ.** ლიუბეკი; **ი.** იდილია; **ტ.** ტემპი; **რ.** რეესტრი; **ა.** აუდი; **ს.** სკოტი; **თ.** თემიდა; **ა.** აპენინი; **ნ.** ნაგანი; **ე.** ეზოპე; **რ.** რაბინი; **თ.** თხა; **ა.** აორტა; **დ.** დისპუტი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: აშკარა მტერი სჯობს უმედო მეგობარს.**

# კვირის «მინიკალენდარი»

**„კვირის პალიტრა“ დაბადების დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს. სახელგანთქმული ადამიანების „მინიკალენდარი“ კი ასეთია:**



**5 აპრილი:**

**ბესიკი** (ბესარიონ გაბაშვილი), პოეტი; **მიხეილ კობახიძე**, კინორეჟისორი; **კოლინ პაუელი**, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, გენერალი; **გრეგორი პეკი**, მსახიობი; **ჰერბერტ ფონ კარაიანი**, დირიჟორი.

**6 აპრილი:**

**იოსებ ნონეშვილი**, პოეტი; **ჰარი გუდინი**, ილუზიონისტი; **ბარი ლევინსონი**, რეჟისორი; **რაფაელო სანტი**, მხატვარი.

**7 აპრილი:**

**მარიკა ბარათაშვილი**, პოეტი; **ფრენსის ფორდ კოპოლა**, რეჟისორი, სცენარისტი, პროდიუსერი; **რასელ ქროუ**, მსახიობი; **ჯეკი ჩანი**, მსახიობი; **გერჰარდ შრედერი**, გერმანიის კანცლერი.

**8 აპრილი:**

**კოფი ანანი**, გაეროს გენერალური მდივანი, ნობელის პრემიის ლაურეატი; **პატრისია არკეტი**, მსახიობი; **ჯულიან ლენონი**, პოპმომღერალი, ჯონ ლენონის ვაჟი.

**9 აპრილი:**

**ჟან-პოლ ბელმონდო**, მსახიობი; **შარლ ბოდლერი**, პოეტი; **ჟაკ ვილნევი**, მსოფლიო ჩემპიონი „ფორმულა -ში“; **ერნსტ ნეიზვესტნი**, სკულპტორი, მხატვარი, გრაფიკოსი.

**10 აპრილი:**

**ვახტანგ ჭელიძე**, მწერალი; **გიული ჭოხონელიძე**, კინომსახიობი, რეჟისორი; **ბელა ახმადულინა**, პოეტი; **ჯოზეფ პულიცერი**, გაზეთების მფლობელი, პულიცერის პრემიის დამაარსებელი; **სტივენ სიგალი**, მსახიობი; **ომარ შარიფი**, მსახიობი.

**11 აპრილი:**

**ემილ კიო**, ილუზიონისტი; **გიორგი იარცევი**, რუსეთის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

# სიტყვათა კონა

**იზმირი** — ჩარხზე ხის სათლელი სადურგლო იარაღი.
**ილაჯი** (არაბ.) — ღონე, ძალა, არაქათი.
**ილინჭა** (ძვ.) — ჩიტის მახე, გალიის მსგავსი (საბა).
**იმამი** (არაბ.) — მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი, მოძღვარი.
**იოგი** — ბოჭკოვანი ქსოვილი, რომელიც აერთებს ჩონჩხის ცალკეულ ნაწილებს, სხეულის ცალკეულ ორგანოებს.
**იორღა** (თურქ.) — 1. კარგად მოსიარულე ცხენი, — თოხარიკი.
**ისარნა** — ჭურის მსგავსი ფართოძირიანი ჭურჭელი; ხმარობენ ბადაგის ჩასასხმელად (იციან იმერეთში).
**ისინდი** — 1. ძველებური ქართული გუნდური შეჯიბრება ცხენოსნობაში, — ჯირითი. 2. ჯოხი, რომელსაც ამ შეჯიბრებაში რიგრიგობით ესვრიან ერთმანეთს მოწინააღმდეგენი.
**ისრიმი** — მკვახე, უმწიფარი ყურძენი.
**ისხარი** — ჩქარი წვიმა, ადრე მომდარებელი (საბა).
**იღუმენი** (ბერძნ.) — მონასტრის წინამძღვარი.
**იშვლეჭს** (კუთხ.) — იშიშვლებს (ხმალს).
**იშტა** (არაბ.) (საუბ.) — მადა, სურვილი, ნდომა (ფლავი წინ ვის უდგას და იშტა ვისაც აქვსო).
**იშხანი** — იგივეა, რაც გელაქნური (სევანის ტბის კალმახი).
**იჩქითად** — უეცრად, მოულოდნელად, ანაზდად.
**იხანი** — ქოხის, საბძლის და მისთ. ზედსარტყელი, კოჭი გადებული კედლების შესაკრავად (კახეთში).
**იჯრა** — ჭამა ერთ ჯერობაზე // საჭმელი, რასაც ერთ ჯერობაზე ჭამენ.

# «პოპულარობის გარდა ლექს-სენი მაყურებელს უყვარს»...

**— რატომ აკრძალა მამუკა ღლონტმა ლექს-სენის სიმღერები თავის ტელეარხზე. ეს იმან ხომ არ განაპირობა, რომ ლექსოს ახალი მენეჯერი და პროდიუსერი ჰყავს და ამით მისი დასჯა განიზრახა?**

***ნინო ოდილავაძე***



კითხვაზე უპასუხებს **მამუკა ღლონტი,** სტუდია „მაესტროს“ პროდიუსერი.

— აკრძალვა ცოტა ხმამაღალი ნათქვამია. არც ის გახლავთ მართალი, თითქოს ლექსო ქავთარაძის მენეჯერი აღარ ვიყო. ეს ნაბიჯი იმისთვის გადავდგით, რომ ჭორები გაგვექარწყლებინა. თავი მომაბეზრა მითქმა-მოთქმამ, რომ თითქოს ლექსოს პოპულარობა ხელოვნურია და რომ მაყურებლის სიყვარული მხოლოდ ჩემი დახმარებით მოიპოვა (ვგულისხმობ კლიპებს და მათ ხშირ გაშვებას ეთერში, თანაც მუსიკალურ რეიტინგებში პირველი ადგილით). არადა, ლექსო ნიჭიერი მომღერალია და მარტოოდენ ჩემი დახმარებით ვერაფერს მიაღწევდა. მართალია, კლიპების „ხშირ ტრიალს“ პოპულარობა მოაქვს, მაგრამ მაყურებლის სიყვარული სულ სხვა რამ გახლავთ. პოპულარული სადამ ჰუსეინიცაა, მაგრამ ვის უყვარს. ამ გადაწყვეტილებით ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ლექსო ქავთარაძე მსმენელს მართლა უყვარს, ამაზე მეტყველებს მაყურებლის გამოხმაურებაც. თანაც იმასაც ამბობდნენ, რომ ლექს-სენის პოპულარობის გამო სხვა იჩაგრებოდა. ამიტომ არავინ რომ არ დაჩაგრულიყო, მე და ლექსომ გადავწყვიტეთ, აღარ გვეტრიალებინა მისი კლიპები არც პირველი სტერეოს არხზე და არც რადიოზე. თუმცა, ახლო მომავალში ლექსოს სოლო კონცერტი ჩატარდება, განვაახლებთ რეპერტუარსაც და დავამტკიცებთ, რომ ლექს-სენის პოპულარობა ხელოვნური არ არის.

# ზურა ხაჩიძე უკვე მესამედ გაქურდეს...

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ქუჩის ბიჭები“, კერძოდ კი ზურა ხაჩიძე გაქურდეს, ხოლო გურამ ლომიძეს მანქანა მოჰპარეს. იქნებ დაგვიზუსტოთ ან გააქარწყლოთ ეს ინფორმაცია. ვინმე კონკრეტულ პიროვნებაზე ხომ არ ეჭვობენ ბიჭები?**

***ანი მამულაშვილი***



კითხვაზე უპასუხებს ზურა ხაჩიძე, „ქუჩის ბიჭების“ წევრი.

— დაახლოებით ორი კვირის წინ მართლაც გამქურდეს. რამდენიმე დღეში კი გურამს მანქანა მოჰპარეს. მან მანქანის ქურდობაზე პოლიციაში განაცხადა კიდეც, თუმცა, მის განცხადებას შედეგი არ მოჰყოლია.

რაც შემეხება მე, უკვე მესამედ მქურდავენ, რაზეც ძალიან გაბრაზებული ვარ. ვიღაცას ჰგონია, რომ „ქუჩის ბიჭებს“ ძალიან ბევრი ფული აქვთ. ქურდებმა ნახმარი ტანსაცმელიც კი წაიღეს და ეს ყველაფერი ნახევარი საათის განმავლობაში მოხდა. ვინმეს თუ ჰგონია, რომ მდიდრები ვართ, ძალიან ცდება. მე პოლიციაში არ განმიცხადებია, რადგანაც არ მჯერა, რომ დანაკარგს დამიბრუნებენ, თანაც არ მსურს, ვინმე ძალადობის მსხვერპლი გახდეს, მაგალითად, ჩემი უბნის ქუჩის ბიჭები. პირველ რიგში მათ შეექმნებათ სულ ტყუილად პრობლემები. ასევე არ მსურს შევუქმნა ზედმეტი პრობლემები მეზობლებს (ვგულისხმობ დაკითხვას და ა.შ.). ვთვლი, რომ საბოლოოდ შედეგი არ ექნება.

პოლიციას მაშინ ვირწმუნებ, როდესაც საკუთარ სახლში დაცულად ვიგრძნობ თავს და ნებისმიერი მოქალაქე ასე იქნება.

რაც შეეხება შეკითხვას, ვინმე კონკრეტულზე ხომ არ ვეჭვობ, არა! იმიტომ, რომ სამჯერვე ქურდობა სხვადასხვა მისამართზე მოხდა, თანაც ისეთი არაფერი დაგვიშავებია ბიჭებს, რომ ვინმე გამიზნულად გვიქმნიდეს პრობლემებს.

# ახალი პლანეტის შესახებ

**— რამდენიმე ხნის წინ ყური მოვკარი ინფორმაციას, რომელიც რუსული ტელეარხით გადაიცა. თურმე მზის სისტემაში ახალი, მეათე პლანეტა აღმოუჩენიათ და მის ატმოსფეროში ჟანგბადიც ყოფილა. ეს ინფორმაცია ვერსად გადავამოწმე და იქნებ თქვენ დამეხმაროთ...**

***მამუკა ალექსანდრია***



— რამდენიმე ხნის წინ მართლაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ კალიფორნიელმა მეცნიერებმა, ტელესკოპების, „ჰაბლისა“ და „სპიცერის“ მეშვეობით ახალი ციური სხეული აღმოაჩინეს მზის სისტემაში, თუმცა ჯერ არ არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ ეს სხეული მართლაც პლანეტაა. ზოგიერთი სპეციალისტი მას დიდ ასტეროიდად მიიჩნევს. ამ სხეულს სახელიც შეურჩიეს — სედნა. სედნა ესკიმოსების ქალღმერთის სახელია, რომელიც ოკეანის მფარველად მოიაზრებოდა... წინასწარი მონაცემებით, სედნა დედამიწიდან დაახლოებით ათი მილიარდი კილომეტრით არის დაშორებული და მზის გარშემო შორეული ორბიტით მოძრაობს. ის პლუტონის ტოლი, ან ოდნავ მასზე დიდი უნდა იყოს. რაც შეეხება მის ატმოსფეროში ჟანგბადის არსებობას, ეს მცდარი ინფორმაციაა. თუმცა სედნას აღმოჩენამდე ოდნავ ადრე, „ჰაბლის“ მეშვეობით დაადგინეს, რომ პლანეტა ოსირისის ატმოსფეროში ნამდვილად არის ჟანგბადი და ნახშირბადი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იქ შეიძლება სიცოცხლის რაიმე ფორმა არსებობდეს, რადგანაც ოსირისი მზის მაგვარად, გავარვარებულ მასას წარმოადგენს. ოსირისი დედამიწიდან 150 სინათლის წლით არის დაშორებული.

P.S. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მომრავლდა ისეთი ციური სხეულები, რომლებიც „მეათეპლანეტობაზე“ აცხადებენ პრეტენზიას. საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის ექსპერტების აზრით, ამერიკელები „ოდნავ აჩქარდნენ“, როდესაც სედნა მეათე პლანეტად გამოაცხადეს.

# უემბლის სტადიონი კვლავ რეკონსტრუქციის პროცესშია

**— რა მდგომარეობაშია ლონდონის უემბლის სტადიონი და როდის დამთავრდება მისი რეკონსტრუქცია?**

***გოჩა ხიამაშვილი***

— უემბლის სტადიონის რეკონსტრუქცია ამჟამადაც მიმდინარეობს და სავარაუდოდ, 2006 წლამდე არც დასრულდება. ექსპერტები სკეპტიკურად უყურებენ ამ სტადიონის რეკონსტრუქციას, ხოლო ინგლისელი ფეხბურთის გულშემატკივრები — იმედიანად და მოთმინებით. თუმცა, როგორც ჩანს, არა მარტო ისინი. როგორც ამბობენ, რესტავრირებული სტადიონი 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებსაც უმასპინძლებს. სტადიონის რეკონსტრუქციის პროექტი თავის დროზე 750 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეფასდა, ხოლო რეკონსტრუქციისთვის დამტკიცდა 327 მილიონი, როცა მისი წინამორბედის, ძველი უემბლის მშენებლობაზე 180 მილიონი გირვანქა სტერლინგი დახარჯულა და თანაც, მშენებლობას 330 დღე დასჭირვებია (გაიხსნა 1924 წლის 23 აპრილს). ახალი სტადიონი 90 000 მაყურებელზეა გათვლილი.

# მსოფლიოს რეკორდსმენი დედები...

**— ვინ არის მსოფლიოში რეკორდსმენი მრავალშვილიანი დედა? ასევე მაინტერესებს, ვის ეკუთვნის ყველაზე ბევრი ტყუპის (ვგულისხმობ ერთ მშობიარობაზე) დედობის რეკორდი.**

***მარიკა ხომასურიძე***

— ყველაზე მრავალშვილიანი დედა ყოფილა რუსი ფიოდორ ვასილევის მეუღლე (შუის ოლქი). მას 27 ფეხმძიმობიდან (1725-1765 წლებში) 69 შვილი შესძენია: 16-ჯერ — წყვილი ტყუპი, 7-ჯერ — სამი და 4-ჯერ — ოთხი შვილი(!). გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ 69 ბავშვიდან მხოლოდ ორი ჩვილი დაიღუპა ადრეულ ასაკში, დანარჩენები ჯანმრთელი ყოფილან და დიდხანს უცხოვრიათ. თანამედროვეობის ყველაზე მრავალშვილიანი დედა კი ჩილელი, სან-ანტონიოს მკვიდრი, ლეონტინა ალბინა ყოფილა. მას 1981 წელს 55-ე და ბოლო შვილი შეეძინა. მისი მეუღლის თქმით, ისინი დაქორწინდნენ არგენტინაში 1943 წელს. ჩილეში საცხოვრებლად გამგზავრებამდე მის მეუღლეს 5-ჯერ უმშობიარია და თითო ჯერზე 3-3 ვაჟი შესძენია.

ამჟამად მსოფლიოში 100 მილიონი ტყუპი ცხოვრობს, ხოლო ტყუპების ყველაზე მრავალრიცხოვანი შობადობა აფრიკულ ტომებზე მოდის, ყველაზე მცირე კი — მონღოლური რასის წარმომადგენლებზე.

მეორე შეკითხვაზე კი გიპასუხებთ, რომ დაუზუსტებელი ინფორმაციით, რეკორდული რიცხვი ერთი ფეხმძიმობიდან ტყუპების გაჩენისა, გახლავთ 10 ბავშვი (2 ვაჟი და 8 გოგონა). სამწუხაროდ, დედის სახელი უცნობია, ცნობილია მხოლოდ ქვეყანა — ბრაზილია (ბაკაკაია) და თარიღი — 1946 წლის 22 აპრილი. 10 ტყუპის დაბადებას ასევე იუწყებოდნენ იტალიელები 1924 წელს და ჩინელები — 1936 წელს.

არსებობს ოფიციალური დოკუმენტები იმის შესახებ, რომ ერთი ფეხმძიმობიდან 9 ტყუპის დედაა ჯერალდინა ბროდრიკი. 1971 წლის 13 ივნისს მას 5 ვაჟი და 4 გოგო შეეძინა, თუმცა ვერც ერთმა ტყუპისცალმა 6 წუთზე მეტხანს ვერ იცოცხლა. 9 ტყუპის შეძენას ასევე იუწყებოდა ფილადელფია (პენსილვანიის შტატი) და ბანგლადეშში 1977 წელს. ამ შემთხვევებიდან არც ერთ ჩვილს არ უცოცხლია დიდხანს.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

# ქართულ-ევროპული ფინალი


მანუჩარ მარკოიშვილი

დღეს თამამად შეიძლება ითქვას — ქართული კალათბურთის ისტორიაში ახალი, სრულიად განსხვავებული დრო დგება. მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ სამი ქართველი კალათბურთელი გამოდის NBA-ში, მაშინ როცა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ჩემპიონატის მქონე იტალიელებისთვის ნაციონალური საკალათბურთო პირველობა ჯერაც დაუძლეველ ბარიერად რჩება.

უახლოეს პერიოდში შესაძლოა მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში კიდევ ერთი ქართველი კალათბურთელი ვიხილოთ — მანუჩარ მარკოიშვილმა სულ რაღაც 16 წლის ასაკში იტალიის „ბენეტონის“ შემადგენლობაში, გასულ სეზონში მოასწრო ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის, ევროლიგის ფინალის თამაში „ბარსელონასთან“. ის შეხვედრა მართლაც უდიდესი მოვლენა იყო თავად მანუჩარის საკალათბურთო კარიერაში.

ახლახან ქართველმა სპორტსმენმა კიდევ ერთი აღიარება მოიპოვა — ფიბა-ევროპის თასზე. იგი ევროლიგის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის შემდეგ რანგით მეორე დონის ასპარეზობად მოიაზრება, სწორედ აქ გამოიჩინა თავი მანუჩარ მარკოიშვილმა. გერმანული „მიტელდოიჩერის“ შემადგენლობაში, სადაც „ბენეტონის“ ხელმძღვანელობამ სტაჟირებაზე გაუშვა, მან ფიბა-ევროპის თასი მოიგო და რაც მთავარია, საკუთარი გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანა.



იზმირში გამართულ გადამწყვეტ მატჩში მანუჩარ მარკოიშვილის „მიტელდოიჩერი“ საფრანგეთის „დიჟონს“ დაუპირისპირდა, სადაც თავის მხრივ ორი ქართველი გამოდის — ვატო ნაცვლიშვილი და ვიქტორ სანიკიძე. ვატო ნაცვლიშვილი რომ „დიჟონის“ სული და გულია, ამას მის მიერ ფინალური მატჩისას მოპოვებული საუკეთესო მაჩვენებელი — 22 ქულაც მოწმობს. ვიქტორ სანიკიძე კი ჯერჯერობით, ფინალურ ეტაპს სათადარიგოთა სკამიდან უცქერდა. ფრანგთა შემადგენლობაში სულ ახლახან ჩაირიცხა კიდევ ერთი ქართველი ჭაბუკი გიორგი მამაცაშვილი. ასე რომ, ფიბა-ევროპის თასის ფინალური მატჩი თამამად შეიძლება ითქვას, ქართველთა დაპირისპირებად იქცა, მით უფრო, რომ ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესოები სწორედ ჩვენებურები იყვნენ.

აი, რას ამბობს **მანუჩარ მარკოიშვილი:**

— ვოცნებობდი, რომ „დიჟონი“ ყოფილიყო ჩვენი მეტოქე ფიბა-ევროპის თასის ფინალში. ეს პირველი ქართული დაპირისპირება იქნებოდა ევროთასების ფინალში. თუკი NBA-ში ტარდება ქართული „დერბი“, რატომ არ უნდა ყოფილიყო ეს ევროპის თასების ფინალის დონეზე? ერთი სიტყვით, გახარებული ვარ, რომ ჩემი ოცნება ახდა. აქვე ვიტყვი იმას, რომ ვატო ნაცვლიშვილიც და ვიქტორ სანიკიძეც ანალოგიურად ფიქრობდნენ. ნაცვლიშვილი თავისი გუნდის ლიდერია, შეიძლება ითქვას, რომ ნახევარი გუნდია. მას რომ სხვა მოთამაშეებიდან ხელის შეწყობა ჰქონოდა, ბუნებრივია, შედეგი ასეთი არ იქნებოდა.

**— თავად მატჩის შესახებ რას იტყვი?**

— ამ თამაშს ფინალისთვის დამახასიათებელი დაძაბულობა ახლდა თან. პირველი მეოთხედი ფრთხილად დავიწყეთ, დაცვაში ორივე გუნდი კარგად ვთამაშობდით. „დიჟონი“ უკეთესად გაისარჯა და პირველი მეოთხედი 16:19 წავაგეთ. მეორე მეოთხედში ჩვენ უფრო გავაძლიერეთ დაცვა და შეტევებშიც უკეთესად ვითამაშეთ. ამან პრობლემები შეუქმნა „დიჟონს“, მათ სროლებს სიზუსტე დაეკარგა და სწორედ ამის გამო იყო, რომ შევძელით მნიშვნელოვანი უპირატესობა მოგვეპოვებინა მატჩის ამ მონაკვეთში. პირველი ტაიმი მოვიგეთ 39:30, მეორე ტაიმი ჩვენთვის საკმაოდ მძიმედ დაიწყო. „დიჟონმა“ რამდენიმე სამქულიანი ჩააგდო და დასაწყისში 10:0 მოგვიგო, მაგრამ საბოლოოდ შევძელით ისევ შეგვეტანა თამაშში გარდატეხა და მეოთხე პერიოდის დასაწყისისთვის რვა ქულას ვიგებდით. მატჩის დასკვნითი ნაწილი ჩვენ დამაჯერებლად წარვმართეთ და გავიმარჯვეთ 84:68.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ მარკოიშვილით უკვე დაინტერესდნენ NBA-ს სკაუტები. ასე რომ, შესაძლოა გაისად ფაჩულიას, ცქიტიშვილის და სტეფანიას გვერდით NBA-ში მარკოიშვილიც ვიხილოთ.

*მარკოიშვილმა და სანიკიძემ იზმირიდან ხორვატიას მიაშურეს, სადაც დანიშნული იყო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩები ჭაბუკ კალათბურთელთა შორის. საქართველოს ნაკრები უძლიერეს ჯგუფში მოხვდა. მისი მეტოქეები ევროპული კალათბურთის ლიდერები — ხორვატია, იტალია, საფრანგეთი, ლატვია და ფინეთი იყვნენ.*

*ჩვენმა ჭაბუკებმა სტარტი წარუმატებლად აიღეს. მათ იტალიელებთან დათმეს შეხვედრა 87:101, შემდეგ კი ჯერ ევროპის ჩემპიონს, ხორვატიას მოუგეს 79:75, შემდეგ ფინელებთან იმარჯვეს 72:69 და კარგი წინაპირობა შეიქმნეს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად. ფინალურ ეტაპზე ჯგუფიდან სამი საუკეთესო გუნდი ითამაშებს.*

# ორი ქართველი ევროპიდან მსოფლიოზე

დრეზდენში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი ჭადრაკში ქალთა შორის, ეს ტურნირი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიც გახლდათ. 12 საუკეთესო მოჭადრაკე მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის უფლებას იღებდა.

საქართველოს წარმომადგენლებმა მოკრძალებულ შედეგებს მიაღწიეს. საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა ნანა ძაგნიძეს, რომელმაც 8,5 ქულით მეხუთე ადგილი დაიკავა. მერვე იყო ქეთევან არახამია 8 ქულით.

სწორედ ძაგნიძე და არახამია გამოვლენ მსოფლიო ჩემპიონატზე. შეგახსენებთ, რომ გასულ წელს ნანა ძაგნიძემ ორჯერ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი ჯერ 18, ხოლო შემდეგ 20-წლამდელთა შორის. იმედია, მისი პირველი ცდა დიდებს შორის მოსინჯოს ძალა, ასევე წარმატებით დასრულდება.

# თბილისის საერთაშორისო ტურნირზე



თბილისში დასრულდა „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, სადაც მსოფლიოს 32 ქვეყნის წარმომადგენლები ასპარეზობდნენ. ეს გახლდათ ათენის ოლიმპიადის საგზურის მოსაპოვებლად ბოლო სალიცენზიო ტურნირი, რის გამოც მას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ეროვნული გუნდის წევრები დაესვენებინა და ტურნირზე სათადარიგო შემადგენლობა გამოეყვანა. პირველ დღეს სამი წონითი კატეგორიიდან მხოლოდ დავით ბოდაველმა შეძლო ბრინჯაოს მედლის მოპოვება 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში.

მეორე დღე უფრო შედეგიანი იყო ქართველი სპორტსმენებისთვის. ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ ალექსი დავითაშვილი (მძიმე), გრიგოლ მამრიკიშვილი (81). მეორე ადგილი დაიკავა მინდია ბოდაველმა (90). მესამე ადგილზე გავიდნენ გრიგოლ სინჯიკაშვილი (81), გიორგი გუგავა (100) და ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე). 81კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებით, ოლიმპიური საგზურის მოპოვების შანსი მიეცა გრიგოლ მამრიკიშვილს.

**გიგა ხირსელი**

# ჟირესის გზა საქართველოში

## „კარგი და სასარგებლო“-დან „გამართულ, თანამედროვე ფეხბურთამდე“

„კარგი და სასარგებლო“ — ორიოდე სიტყვით ამგვარად შეაფასეს საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებმა 30 მარტს, მანჰაიმში, გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებთან გამართული მატჩი, რომელიც ჩვენი ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის რანგში ფრანგი ალენ ჟირესისთვის სადებიუტო გახლდათ. თუკი ეს შეხვედრა ვინმესთვის სასარგებლო იყო, ეს, უწინარესად, სწორედ ფრანგი სპეციალისტია. მარტო იმიტომ კი არა, რომ მან თავისი მომავალი შეგირდები (მართალია, მცირე შემადგენლობით, მაგრამ მაინც) საქმეში ნახა... ამიერიდან მან უკვე მეტ-ნაკლებად მაინც იცის, თუ რა სირთულეებმა შეიძლება წამოყოს თავი როგორც მატჩების ორგანიზების, ისე, ქართველი ფეხბურთელების თამაშისას.


გერმანია-საქართველო — 2:2

ორგანიზებაში იმას ვგულისხმობთ, რომ ნაკრების მთავარ მწვრთნელს, რომელსაც თავისივე განცხადებით, 40-მდე კანდიდატის სია აქვს შედგენილი, 30 მარტის ამხანაგური შეხვედრისთვის 14 ფეხბურთელიღა შერჩა. კი ბატონო, ტრავმებმა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი (კალაძე, არველაძე, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ხიზანიშვილი, დემეტრაძე) გამოგვაკლო, მაგრამ ხომ შეიძლებოდა მათი შემცვლელების გამოძებნა. ტრავმები არა მარტო ჩვენი, ნებისმიერი ნაკრების ფეხბურთელთა თანმდევია და თუკი ისინი უმკლავდებიან ამ არასასიამოვნო მომენტს, ჩვენი ნაკრები რაღა გამონაკლისია? თუ ჟირესს მომავალშიც არ უნდა ჰქონდეს ტრავმირებული ფეხბურთელების სასწრაფო წესით შეცვლის იმედი?

რაც შეეხება იმედს, როგორც ჩანს, ამხანაგური მატჩების მოყვარულმა ჟირესმა, უახლოეს მომავალში, საშუალო დონის ნაკრებებთან შეხვედრაზე არც უნდა იოცნებოს და მას, მეტწილად, მეორეხარისხოვან ნაკრებებთან ან გუნდებთან თამაშით მოუწევს დაკმაყოფილება. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლის რევაზ არველაძის განცხადება, რომლის თანახმადაც იგი ორ გერმანულ კლუბთან — „ჰანოვერთან“ და მიუნხენგლადბახის „ბორუსიასთან“ აწარმოებს მოლაპარაკებას. მართალია, ეს გუნდები ბუნდესლიგაში თამაშობენ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ბრწყინავს. ამდენად, მათთან სპარინგის მიზანშეწონილობა, ცოტა არ იყოს, გაუმართლებლად მიგვაჩნია. ამავდროულად, არც იმის ილუზია გვაქვს, რომ საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებამდე ევროპისა თუ მსოფლიოს წამყვანი ნაკრებები „კარს აგვიტალახებენ“. თუმცა, აგვისტოში სათამაშოდ უკვე შეთანხმებული მოლდოვას დარი გუნდების დაყოლიება არ უნდა გაგვიჭირდეს, თუ, რა თქმა უნდა, ფედერაციამ მოინდომა... ეს სამომავლოდ. ახლა კი უკვე ჩავლილ ამბავსაც შევეხოთ: პირველი, რაც მანჰაიმში გამართული მატჩის სტატისტიკის გაცნობისას თვალში გხვდება, საქართველოს ნაკრების მიერ ანგარიშის ორჯერ გათანაბრება გახლავთ, რასაც ანალოგი არ მოეძებნება. ჩვენს ნაკრებსა და გუნდებს ერთ-ერთ უმთავრეს ნაკლად, სწორედ „პირველი გოლის ფაქტორით“ გამოწვეული ფსიქოლოგიური და აქედან გამომდინარე, ტაქტიკური აშლილობა ეთვლებოდა.

ალან ჟირესს სათადარიგოთა სკამზე ორად ორი მინდვრის მოთამაშე ჰყავდა — ალექსიძე და ახალაია. სასიამოვნოა, რომ გერმანელთა კარში ორივე გოლი შეცვლაზე შესულთა უშუალო მონაწილეობით გავიდა. პირველი გამათანაბრებელი გოლი ალექსიძემ გაიტანა, ხოლო მეორე ახალაიას გერმანელთა საჯარიმოში წაქცევასა და თერთმეტმეტრიანს მოჰყვა (პენალტი ნემსაძემ გამოიყენა).

უფრო მეტად ამ შეხვედრაზე საუბარი, ცოტა არ იყოს, უხერხულიცაა, რადგან იგი საქართველოში მყოფთაგან არავის უნახავს, ფეხბურთელთა მონაყოლით კი, იმის თქმა შეგვიძლია, რომ ახალგაზრდა გერმანელებმა ძალიან კარგი, გამართული ფეხბურთი აჩვენეს, რაც გარკვეულწილად, ჩვენი ნაკრების დადებით მხარეებზეც მიუთითებს (გერმანულად გამართულ ფეხბურთთან გამკლავებაც ხომ ყოველთვის გვიჭირდა).

უინტერესო არ უნდა იყოს იმ მატჩებსაც შევეხოთ, საქართველოს ნაკრების მეტოქეთა მონაწილეობით რომ გაიმართა. პირველად ხორვატია-თურქეთის დაპირისპირებაზე შევჩერდებით. ქართველების მსგავსად, თურქებმაც ორჯერ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და ეს შეხვედრაც 2:2 დასრულდა, რაც ჩვენს მეზობლებს ურიგო შედეგად არ უნდა ჩაეთვალოთ, მით უმეტეს, რომ თურქთა დროებითმა მთავარმა მწვრთნელმა უნალ კარამანმა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანთაგან მხოლოდ სამი ფეხბურთელი მიიწვია.

ხიხონში, ესპანეთთან 0:2 დამარცხდა დანია, თუმცა ამ შემთხვევაში, ანგარიშის მიხედვით ბევრს ვერაფერს გაიგებ, რადგან ჯერ ერთი, ესპანეთი დანიელთათვის ისტორიულად, ყველაზე უხერხულ მეტოქედ ითვლება, მეორეც, როგორც უცხოური სააგენტოები იუწყებიან, მორტენ ოლსენის გუნდს წასაგები არაფერი ჰქონდა, რადგან „მილანელმა“ იონ დალ ტომასონმა და მისმა თანაგუნდელებმა მრავალი საგოლე მომენტი გაანიავეს. სამაგიეროდ, მორიენტესმა და რაულმა ორად ორი მომენტი გამოიყენეს.

ისიც სათქმელია, რომ დანიას ნახევრად ექსპერიმენტული შემადგენლობა ჰყავდა: წაგების მიუხედავად, ოლსენი უკმაყოფილო არ დარჩენილა და ისიც აღნიშნა, ამ გუნდით ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე წარმატების მიღწევა შესაძლებელიაო...

ლანძღვა-გინებით აიკლეს უკრაინულ ინტერნეტსაიტებზე, ამ ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი, მას შემდეგ, რაც მისი გუნდი 0:1 დამარცხდა სკოპიეში მაკედონიასთან. გაბრაზებულ გულშემატკივართა მთავარი არგუმენტი, უკრაინელი მცველების ურიცხვ შეცდომებთან ერთად, ევროშესარჩევ ტურნირში მაკედონიელთა ბოლო ადგილზე გასვლა გახლდათ. მატჩის შემდეგ ბლოხინს უთქვამს, ზაფხულში შეკრული, დაბალანსებული გუნდი გვეყოლებაო, მაგრამ ეს გუნდი, დიდი შანსია, სხვის ხელში დაბალანსდეს, რადგან უკრაინელი ჟურნალისტები, ჯერ „მოუსვლელი“ ბლოხინის წასვლაზე უკვე ალაპარაკდნენ...

შინ მოიგო კერკეტმა ალბანეთმა, რომელსაც მეტოქედ, არცთუ იოლად დასამარცხებელი ისლანდია ჰყავდა. ისლანდიის ნაკრებში „ჩელსელი“ გუდიონსენი თამაშობს და თავისი ბომბარდირული თვისებები მან ამ შეხვედრაშიც გამოავლინა. თუმცა, გუდიონსენამდე ალბანელმა ალიაიმ გამოიჩინა თავი, 1:1-ზე კი ბუშმა საბოლოო ანგარიში მასპინძელთა სასარგებლოდ დააფიქსირა — 2:1...

ბოლოდროინდელი შედეგებით თუ ვიმსჯელეთ, ყველაზე სერიოზული მეტოქე საქართველოს საბერძნეთის სახით ეყოლება. შინ, შვეიცარიასთან 1:0 მოგების შემდეგ, ბერძნებმა, რომელთაც გერმანელი ოტო რეჰაგელი თავკაცობს, 14-მატჩიანი წაუგებელი სერია კიდევ ერთი მატჩით გაიხანგრძლივეს. „საბერძნეთმა ამჯერა-


ხორვატია-თურქეთი — 2:2

დაც გამართული, თანამედროვე ევროპული ფეხბურთი ითამაშა“, — ასე შეაფასეს ბერძენმა და ევროპელმა მიმომხილველებმა რეჰაგელის გუნდის თამაში, ბერძნების უპირატესობა შვეიცარიელებთან აშკარა იყო. თავად ოტოს, ამდენი წარმატების შემდეგ (საბერძნეთმა 2004 წლის ევროშესარჩევში ესპანეთსა და უკრაინას გადაუსწრო და ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა) ტრიბუნებიდან ჰიმნს უმღერიან. ამით დასრულებაც შეიძლებოდა, ოტო რეჰაგელის ერთი საინტერესო დასკვნა რომ არა: „საბერძნეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე შეუძლია როგორც ფურორის მოხდენა, ისე სრულიად მოულოდნელად დაბნევა და საკუთარი ხელწერის დაკარგვა“.

ევროპის ჩემპიონატზე ქართველებს არაფერი გვესაქმება, მაგრამ იქნებ ჰერ ოტოს დასკვნები მომავალ შესარჩევში საჩვენოდ გამოვიყენოთ.

სამშაბათსა და ოთხშაბათს გამართული სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია ინგლისის ნაკრების მარცხი სტუმრად შვედებთან — 0:1, იტალიელთა გამარჯვება პორტუგალიაში ევროპის მომავალი ჩემპიონატის მასპინძლებთან —1:2, გერმანელთა მიერ ბელგიელების აშკარა დაჩაგვრა — 3:0, აგრეთვე ჰოლანდიისა და საფრანგეთის ნაკრებთა უგოლო ფრე.

**ნიკა ლებანიძე**

## №13 (391) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის

რეიტინგის თემა იყო „ზომიერი ტელეარხი“. გამოკითხვას 524 რესპონდენტი გამოეხმაურა. 8 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 202-მა ქალმა და 314-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„თქვენი აზრით, რომელია ყველაზე ზომიერი და ობიექტური ტელევიზია?“**

პირველ ადგილზე ტელეკომპანია „იმედია“, საშუალო ქულაა **6,59**. აღსანიშნავია, რომ არსებობის ზუსტად ერთი წლის მანძილზე ამ ტელეარხმა თავისი განსაკუთრებული ადგილი ქართულ ტელესივრცეში უკვე მოიპოვა. შეფასებები — ყველაზე ობიექტური და ზომიერი — უდავოდ დიდ აღიარებას ნიშნავს.

რესპონდენტთა 29%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით, მინიმალური ქულა კი 0,8%-მა დაუწერა.

შემდეგ ადგილზეა ტელეკომპანია „რუსთავი 2“. საგულისხმოა, რომ წლების მანძილზე ამ ტელეარხს ანგარიშგასაწევი კონკურენტი ფაქტობრივად არ ჰყოლია. დღეს კი, როგორც ვხედავთ, ზომიერებისა და ობიექტურობის თვალსაზრისით, „იმედმა“ უკან ჩამოიტოვა და 5,66 საშუალო ქულით „რუსთავი 2“ მეორე ადგილზეა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა 45%-მა მისცა მას მაქსიმალური შეფასება, მინიმალური ქულა კი 11%-მა დაუწერა.

სულ ოდნავ ჩამორჩება „რუსთავი 2-ს“ ტელეკომპანია „მზე“, საშუალო ქულაა 5,59. ეს ტელეარხი კი დღევანდელ რეიტინგში იმით გამოირჩევა, რომ მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა (0,2%) შეაფასა მინიმალური — 1 ქულით.

ზომიერი და ობიექტური ტელეარხების რეიტინგი ასე გამოიყურება.

საინტერესოა, როგორი შედეგები იქნებოდა, ყველა ტელეარხი თანაბარი სიხშირით რომ ვრცელდებოდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან — თბილისელი, 45 წლის **ლალი ხუნწარია** და ქუთაისელი, 56 წლის **უჩა ჩომახიძე.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 7 აპრილს, 17 საათზე.

## №14 (392) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

*** საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვასა და «მკითხველის პრემიას».**

№14 (392) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 7 აპრილის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 8 აპრილის 13 საათამდე.

© თბილისი

**რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.**

თემა №14(392) — პრეზიდენტის რჩეული ქალბატონები

**თქვენი აზრით, ვინ არის პრეზიდენტ სააკაშვილის ფავორიტი** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№14(392) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ქალბატონები | ქულა |
|---|---|---|
| 1 | **მაია ნადირაძე** (ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები) | |
| 2 | **სალომე ზურაბიშვილი** (საგარეო საქმეთა მინისტრი) | |
| 3 | **ელენე თევდორაძე** (ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები) | |
| 4 | **თამარ ლებანიძე** (გარემოს დაცვის მინისტრი) | |
| 5 | **მარიკა ვერულაშვილი** (ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები) | |
| 6 | **ნინო ბურჯანაძე** (პარლამენტის თავმჯდომარე) | |
| 7 | **თამარ სულუხია** (ინფრასტრუქტურის მინისტრი) | |
| 8 | **ხათუნა გოგორიშვილი** (ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები) | |

**დამატებითი კითხვა**

თქვენი აზრით, ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში კორუფციის დონე —

| შემცირდა | გაიზარდა | იგივე დარჩა | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|
| | | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______________________

______________________
თქვენი სახელი, გვარი

______________________
ქალაქი (რაიონი)

ასაკი ______ ტელეფონი ______

თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათსავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

### მკითხველის რეიტინგის შედეგები

**არჩევნების წინასწარი შედეგების მიხედვით პარლამენტს მიღმა დარჩენილ პოლიტიკურ ძალთაგან ვის თანაუგრძნობთ ყველაზე მეტად?**




1. ლეიბორისტული პარტია
2. მოძრაობა „თავისუფლება“
3. „ერთობა“
4. ედპ-ტრადიციონალისტები
5. სახალხო ფრონტი
6. არც ერთი
7. მიჭირს პასუხის გაცემა
8. სხვა პარტიები

*მკითხველის რეიტინგში 375 რესპონდენტი მონაწილეობდა.*

# ·ფოტოპალიტრა· © ფოტოანტიკვარი

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

______________________

______________________

______________________

______________________

თქვენი სახელი, გვარი ______________

ქალაქი (რაიონი) ______________



დავით თევზაძე, მერაბ ადეიშვილი

დღევანდელი „ფოტოანტიკვარის“ პერსონაჟმა აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია. დასახელდნენ — ნუგზარ შევარდნაძე, ზურაბ ჟვანია, ლევან ბერძენიშვილი, ნანა დევდარიანი, ხათუნა გოგორიშვილი, ნიკო ლეკიშვილი, თინათინ ხიდაშელი, ლევან პრველი, ნინო ჩხობაძე და... წარმოიდგინეთ, ქართველ პოლიტიკოსთა მეცენატი ჯორჯ სოროსიც კი!

მკითხველთა 3,8%-მა ამ ბიჭუნაში ამოიცნო ირინა სარიშვილი, ჯემალ გოგიტიძე, სესილი გოგიბერიძე, 5,7%-მა კი — მედეა მეზვრიშვილი...

იქნებ ფოტოზე გაკეთებულმა მინაწერმა — „მეც დამიძახებს ოქრუაშვილი?“ განაპირობა კიდეც მკითხველთა თვალსაზრისით, გენპროკურორისთვის საინტერესო პირთა ასეთი ფართო სპექტრის წარმოდგენა...

ამ ბიჭუნაში კი მხოლოდ 1%-მა ამოიცნო პოლიტიკოსისა და მალაჩინოსნის **მიხეილ მაჭავარიანის** სახე.





ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი



მიხეილ მაჭავარიანი, ორი წლის

## ფოტო კომენტარით



25 მარტს საბერძნეთში სტარტი აიღო ოლიმპიური ცეცხლის გადაცემის ესტაფეტამ. ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო ცნობილმა ბერძენმა მსახიობმა ტალია პროკოპიუმ.



— მიტოს გაუმარჯოო! გინდა ორი პარაზიტის ბრძოლას გაყურებინო? დღეს საღამოს ჩემთან მოდი!..

— რაო, რა ხდება?!..

— ჩემს სიდედრს წურბელა უნდა დაასვან...

**5/IV** ○

**სავსე მთვარე**

**მაგნიტური დღეებია:**
5/IV 19-დან 21 საათამდე
7/IV 6-დან 9 საათამდე
10/IV 6-დან 9 საათამდე

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. პლატინა; 4. დალტონი; 6. დაკია; 7. იფანი; 8. არაყი; 9. ირისი; 10. „ინტერი“; 13. აბორტი; 16. ტაიმი; 18. ემბარგო; 19. ნირვანა; 20. პრიმა; 22. ბროლია; 23. ბიკინი; 25. კრუსი; 27. პატიო; 28. ივანა; 29. გრიგი; 30. იარლიყი; 31. ალუბალი.

**შვეულად:** 1. პარტიზანი; 2. ადმირალი; 3. აკვამარინი; 4. დარიჩინი; 5. იმუნიტეტი; 11. ტაბლო; 12. რურკი; 14. ბორტი; 15. რუანი; 16. ტროპ; 17. ინა; 21. ილუსტრაცია; 22. ბრილიანტი; 24. ინტერნეტი; 25. კიპლინგი; 26. ინოვაცია.








**თარაზულად:** 1. კინოსახე, რომელმაც მსოფლიო დიდება მოუპოვა 5-გზის ოლიმპიურ ჩემპიონს, 67 მსოფლიო რეკორდის ავტორს და 100 მეტრზე წუთზე ნაკლებ დროში მოცურავეს ჯონი ვაისმიულერს. 4. მრავალნაწილიანი ფილმი საერთო სიუჟეტით; 6. სამკურნალო ბალახი; 7. ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა; 8. ავსტრალიური ველური ძაღლი; 9. ფასიანი ქაღალდი; 10. ბავშვობიდანვე სანატრელი, მაგრამ აუხდენელი რამ; 13. კაბის 10-მეტრიანი უკანა კალთა, რომლითაც ალტაცებაში მოიყვანა დამსწრენი ლუსია მენდესმა; 16. პირველი ტრიუმვირატის მონაწილე იულიუს კეისარსა და პომპეუსთან ერთად; 18. სეირნობა ჯანმრთელობის განსამტკიცებლად; 19. რეპის მომღერლის მარშალ ბრიუს მეტერს III-ის ფსევდონიმი; 20. ლონდონის „არსენალის“ მწვრთნელი... ვენგერი; 22. საქვეყნოდ ცნობილი ბრაზილიელი მწერალი; 23. ნახატი ზღვის ხედით; 25. მდედრი იმ ცხოველებისა, რომელთა რაოდენობამაც გერმანიის დედაქალაქის საზღვრებში 9000-ს მიაღწია და აიძულა მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის ხარჯზე დაექირავებინა მოხალისე მონადირენი; 27. ბურატინოს მამილო; 28. კვების განსაკუთრებული რეჟიმი; 29. ქალაქი დიდ ბრიტანეთში; 30. რაიმეს შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით; 31. ქართველი პრომეთე.

**შვეულად:** 1. „პატარა მღებავად“ წოდებული გვიანდელი აღორძინების ხანის იტალიელი ფერმწერი; 2. ჰეიზერების ქვეყანა; 3. შენობათა დეკორატიული განათება-გაჩირაღდნება; 4. ებრაელთა სალოცავი; 5. მანჩესტერის ერთ-ერთი საფეხბურთო კლუბი; 11. იაპონური მინიატურული ქანდაკება; 12. ბაკარა, ბოჰემია; 14. გერმანული ფოტოაპარატის მარკა, რომელმაც დასაბამი მისცა ფოტოაპარატების წარმოებას ყოფილ საბჭოეთში; 15. პერსონაჟი გოლზუორთის „ფორსაიტების საგაში“; 16. კორეული ავტომობილი; 17. „ბონდიანას“ ავტორი ... ფლემინგი; 21. მამა-შვილი, ამერიკელი კინომსახიობები; 22. სახის გალამაზების ხელოვნება; 24. გამომწვარი თაბაშირი, იხმარება ქანდაკებისთვის; 25. საბავშვო გამომცემლობა საქართველოში; 26. ელექტროსადენის გარეთა შრე.

**შეადგინა რამაზ ალანიამ**

## დემი მეორედ გაბედნიერდება

ჰოლივუდის 41 წლის ვარსკვლავმა დემი მურმა უარი არ თქვა თამამ გადაწყვეტილებაზე, ცოლად გაჰყვეს თავის 26 წლის მეგობარს ეშტონ კატჩერს. თანაც, ყველაზე საინტერესო ის არის, რომ დემის ყოფილი მეუღლე, ბრიუს უილისი ხელისმომკიდე იქნება ქორწილზე.

ბრიტანული გაზეთი Deili Mail-ი იტყობინება, რომ ბრიუსის მეჯვარეობა დემის სურვილი იყო. მსახიობმა ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ მათი შვილები — 15 წლის რუმერი, 12 წლის სკაუტი და 10 წლის ტალულა მალე შეეგუონ და მიიღონ ახალი მამილო. როგორც ამბობენ, უილისი დიდხანს ფიქრობდა ამ პიკანტურ წინადადებაზე. წყვილი ქორწილს ივნისში გადაიხდის კალიფორნიაში ან დემის რანჩოზე აიდაჰოში. ქორწილზე უკვე დაპატიჟებულია 120 სტუმარი და როგორც გამოთვალეს, წყვილს 1 მილიონი დოლარი დასჭირდება. ეს მიზერული თანხაა იმასთან შედარებით, რაც ბრიუსს განქორწინება დაუჯდა — 38 მილიონი დოლარი...



**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## (14) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________________

სიტყვა და საქმე

**გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება**

№14 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 8 აპრილის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი © 1518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.


შავი ყვითელი ლურჯი წითელი